საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ი. უთურაშვილი

გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

(ბორის მაზრის მასალების მიხედვით)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1957

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის საკითხი კაპიტალიზმის ხანის ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა ძირეულ, თვისობრივ ცვლილებებს, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავდნენ საზოგადოების განვითარების შემდგომ გზებს. ფეოდალიზმი ირღვევა და იღუპება, მტკიცდება და ძალაში შედის კაპიტალიზმი, იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა. ამას კი თან სდევს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება — მასების განუსაზღვრელი გაღატაკება. მშრომელი ხალხის მატერიალური ცხოვრების დონე საგრძნობლად უარესდება. კაპიტალიზმი ჰქმნის თავის მესაფლავეს — პროლეტარიატს.

სსრ კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების მაგალითზე ისტორიამ დაგვანახა, რომ ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში, რომელიც კაპიტალიზმის დამხობასა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნაში მდგომარეობს, ქალაქის პროლეტარებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი სოფლის პროლეტარებმა და ნახევრად პროლეტარებმაც შეასრულეს.

კაპიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდ რუს და სხვა მოძმე ხალხებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმა, მათ შორის ქართლის გლეხობამ. ქართლის გლეხობა, რომლის უდიდესი ნაწილი წარსულში უუფლებო, ღატაკი, დაბეჩავებული და დაკნინებული იყო, ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქაში წელში გამართული და თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია. ის მთელ ქართველ ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ეწევა შემოქმედებით შრომას კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გორის მაზრის გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის საკითხი (ქრონოლოგიური ჩარჩოა

1864—1905 წლები), რის გადასაწყვეტად დასმულია შემდეგი საკითხები:

1. რა მისცა საგლეხო რეფორმამ გორის მაზრის გლეხობას;

2. სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება რეფორმის შემდგომ პერიოდში და გორის მაზრის გლეხობა;

3. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განმტკიცება სოფლად და გლეხობის დაშლა.

რეფორმის შემდგომ პერიოდში გლეხობა იშლება ორ, ანტაგონისტურ კლასად — გლეხურ ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად. დაშლა მიმდინარეობს საშუალო გლეხობის ხარჯზე და ის დამთავრებული არ არის 1905 წლისათვის. სოფელი თანდათან მტკიცედ უკავშირდება კაპიტალისტურ ბაზარს. ეს უკანასკნელი იმორჩილებს რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის ეკონომიკას — ყველაფერი ბაზრის ინტერესებს უკავშირდება, სოფლის მეურნეობის ყველა დარგი ცდილობს დაამზადოს მეტი ნაწარმი გაყიდვის მიზნით. გლეხურ მეურნეობაში ფართო სარბიელს პოულობს დაქირავებული შრომის გამოყენება. მიწათმოქმედება სავაჭრო ხასიათს იღებს, ეს კი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას იწვევს. მდიდარი გლეხის მეურნეობა თანდათან უფრო ინტენსიური ხდება. გაძლიერებით მიმდინარეობს. მიწის კონცენტრაცია გლეხობის ზედაფენის ხელში. ძლიერ ფართოვდება მიწის იჯარით გაცემა. მიწას იჯარით აძლევს, ერთი მხრით, თავადაზნაურობა გლეხობას, ხოლო, მეორე მხრით, თვით ღარიბ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი — მდიდარ გლეხებს. მიწის ბატონყმურ იჯარას თანდათანობით ცვლის კაპიტალისტური იჯარა.

ამრიგად, რეფორმის შემდეგდროინდელი ქართლის სოფელი განუხრელად მიდის განვითარების კაპიტალისტური გზით, ხდება ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა შეცვლა კაპიტალისტურით. ამავე დროს, ძველი წარმოებითი ურთიერთობების ძლიერი ნაშთები, არ შეესაბამებოდნენ რა საწარმოო ძალთა ხასიათს, ხელს უშლიდნენ მის განვითარებას, ამუხრუჭებდნენ მას.

საერთოდ, ქართლის სოფელსა და, კერძოდ კი, ქართლის გლეხობაში მომხდარი ცვლილებები მჭიდრო კავშირშია საქართველოსა და ამიერკავკასიასა და რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან.

რეფორმის შემდგომი პერიოდის ერთ ყველაზე საგულისხმო მოვლენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეკონომიური კავშირების გან-

მტკიცება საქართველოს ცალკეულ რაიონებს შორის. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად გორის მაზრა უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდება საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა სამეურნეო მხარეებსა და ოლქებს ისევე. როგორც ეს ეკონომიური კავშირები მტკიცდება რუსეთთან — მის ცალკეულ მხარეებსა და ოლქებთან. მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, საქართველოსა და, კერძოდ, გორის მაზრის როლი მთელი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში თანდათანობით იზრდება.

ძლიერდება ეკონომიური კავშირი საქართველოს ცალკეულ მხარეებს შორის. იქმნება ნაციონალური ბაზარი. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ყალიბდება ქართველი ბურჟუაზიული ერი. იზრდება და მრავლდება ქვეყნის საწარმოო ძალები, რაც პროგრესის უტყუარ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთის სოფელში რეფორმის შემდგომ პერიოდში უმთავრესად პრუსიული გზით წავიდა. ლენინის მითითებებზე დაყრდნობითა და ფაქტიური მასალის გათვალისწინებით ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმის განვითარება ქართლის სოფელში მიმდინარეობდა ისეთ ფორმებში, რაც პრუსიული გზის უცუდეს სახესხვაობას წარმოადგენდა.

საკითხის დამუშავების სიძნელე. უპირველეს ყოვლისა, წყაროების ნაკლოვანებაში მდგომარეობს. ეს ეხება, პირველ რიგში, იმდროინდელ სტატისტიკას. განსხვავებით რუსული საერობო სტატისტიკისაგან. რომელიც იმ დროისათვის მეტად მაღალ საფეხურზე იდგა, სტატისტიკა თბილისის გუბერნიასა და მთელ ამიერკავკასიაშიც არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სტატისტიკური მონაცემები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება და, რაც მთავარია, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მეტად ზოგადი ხასიათისაა. დიდია მისწრაფება ე. წ. საშუალო მონაცემებისაკენ, ხოლო ეს ე. წ. საშუალო მონაცემები ძალიან ცოტა რამეს გვეუბნება ამა თუ იმ სერიოზული საკითხის გარკვევისას.

ჩვენი თემისთვის შეძლებისდაგვარად გამოყენებულია თითქმის ყველა გამოქვეყნებული მასალა და ნარკვევი.

გამოუქვეყნებელი მასალებიდან გამოვიყენეთ საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივისა და მოსკოვის ცენტრალური სამხედრო-ისტორიული არქივის ფონდები.

წყაროების თანაბარი ღირებულება აქვს ბევრ მასალას, რაც მოთავსებულია საკვლევად აღებული ხანის პერიოდიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალ-გაზეთები: „კვალი", „დროება", „მეურნე", „გუთნის დედა", „სასოფლო გაზეთი", „ივერია", „მოამბე", „იმედი", „Кавказ", „Кавказское сельское хозяйство", „Кавказский вестник", „Юридическое обозрение" და სხვ.

რადგანაც გლეხობის დაშლის საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული მასალები ძალზე ნაკლებადაა, ჩვენ ყურადღება მეტად გავამახვილეთ იმ მოვლენებზე, რომლებიც კლასობრივი დიფერენციაციის საფუძვლებს ეხება. ასეთ უმთავრეს მოვლენებად მიგვაჩნია: სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა (ქალაქებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაბების ზრდა), ქართლის სოფლიდან ქალაქისაკენ, ხოლო მთიდან მთისძირა სოფლებისა და ბარისაკენ მოსახლეობის სწრაფვა, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება, რკინიგზების გაყვანა. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა, მიწის ყიდვა-გაყიდვისა და მიწის იჯარით გაცემის გაძლიერება, ნატურალური (პროდუქტებით) და შრომამიგებითი იჯარის ფულადი იჯარით შეცვლა, დაქირავებული შრომის გამოყენება და სხვ.

ამგვარად, ძირითად საკითხთან ერთად და ამ საკითხის მართებულად გაშუქების ინტერესებისათვის შევეხეთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხსაც, რომელთა ყოველმხრივი განხილვა, რასაკვირველია, არ დაგვისახია მიზნად და ეს არც იყო ჩვენი თემისათვის საჭირო.

შრომაში ყურადღება მივაქციეთ სოფლად კაპიტალიზმის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს. ასეთად, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბატონყმობის ძლიერი ნაშთები, რაც უმთავრესად შრომამიგებასა და კაბალაში მდგომარეობდა, ხოლო შემდეგ სავახშო კაპიტალი და ნაწილობრივ სავაჭრო კაპიტალი, რამდენადაც ისინი მაშინ დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გლეხობის კლასობრივი დაშლის საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. გლეხობის კლასობრივი დაშლის საკითხს ბურჟუაზიულ ქართულ ისტორიოგრაფიაში, საერთოდ, არავინ შეხებია. თითქმის ასევე ითქმის ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაზედაც. ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს სპეციალური შრომა ამ საკითხისადმი არ მიუძღვნიათ. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ისტორიკოსთა ზოგიერთ შრომაში ჩვენი თემისათვის საინტერესო შენიშვნებიც გვხვდება.

გლეხობის საკითხს საქართველოში ეხებოდნენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ნაროდნიკი მწერლები.

ს. ავალიანის ოთხტომიანი შრომა „Крестьянский вопрос в Закавказье" ძირითადად მიმოიხილავს საგლეხო რეფორმის გატარებას ამიერკავკასიაში, იძლევა ბევრ სასარგებლო ცნობას გლეხთა კატეგორიების (თანრიგების) ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე, იგი განხილვის გარეშე სტოვებს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს სოფელში, როგორიც არის, მაგალითად, გლეხობის ბურჟუაზიული დაშლა. ავალიანისათვის გლეხთა შორის ძირითად ეკონომიურ კატეგორიებად რჩება გლეხთა ფეოდალური თანრიგები (კატეგორიები). მისთვის შეუმჩნეველი დარჩა სოფლად ახალი კლასების გაჩენის პროცესი.

გლეხობაში მომხდარი ბურჟუაზიული ცვლილებები შეუმჩნეველი რჩებოდა ქართველი ნაროდნიკების მიერაც. XIX საუკუნის 90-იან წლებშიაც კი ისინი უარს ამბობდნენ ეცნოთ ფაქტი — საქართველოს კაპიტალისტური გზით განვითარებისა[1].

არ ესმოდათ რა საზოგადოების განვითარების კანონზომიერება, ნაროდნიკები ილაშქრებდნენ კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგ; ჩვენს ქვეყანას ამ გზით წასვლა „პროლეტარიატობაშიც ჩააგდებსო"[2].

ცნობილია, რომ შემდგომში ნაროდნიკები ესერების პარტიის სახით გვეკლინებიან. ამ ახალი მოდის ნაროდნიკებს არ ესმოდათ კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი ნიშნები, ყველგან და ყველაფერში კაპიტალიზმს ხედავდნენ, ჯერ კიდევ 1906 წელს ი. სტალინი, აკრიტიკებდა რა ესერებს, მიუთითებდა, რომ „მემამულეთა მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობა არაა, რომ ის ბატონყმური მეურნეობის ნაშთია"[3].

ქართველი მენშევიკები ნ. ჟორდანიას მეთაურობით 1910 წ. ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება საქართველოში მხოლოდ XX საუკუნეში დაიწყო[4].

---

1 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, 1927, გვ. 43.

2 ე. ბახტაძე, ანტონ ფურცელაძის ეკონომიური შეხედულებანი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947, გვ. 40.

3 ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 212.

4 ს. ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, 1927, გვ. 43.

ცნობილია, რომ თავადაზნაურულ-მემამულური მიწათმფლობელობა საქართველოში უპირატესობას ინარჩუნებდა 1921 წლამდე. მიუხედავად ამისა, მენშევიკების ბატონობის წლებში წვრილბურჟუაზიული პარტიები, გამოდიოდნენ რა მშრომელი მასების ინტერესების წინააღმდეგ, თავადაზნაურთა დამცველების როლში, ამტკიცებდნენ გლეხობის უხვმიწიანობას შედარებით თავადაზნაურობასთან, უარყოფდნენ გლეხობის მასიურ გაღატაკებას კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, ამტკიცებდნენ, რომ ორთქლის გუთანი (გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები — ი. უ.) არ ანადგურებს წვრილ სასოფლო მეურნეობას[1] და, მაშასადამე, კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად შეუძლია არ გამოიწვიოს გლეხთა უდიდესი მასების გაღატაკება. აქედან გამომდინარეობდა მათი ოპორტუნისტული დასკვნა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის თანამშრომლობის შესახებ.

ჩვენთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ფ. მახარაძის შრომებს, რომლებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი თვით ავტორის პირადი დაკვირვებანი. ფ. მახარაძე მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოში მიდიოდა კაპიტალისტური გზით, ხდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა და გლეხობის დაშლა.

დიდი მნიშვნელობა აქვთ პროფ. პ. გუგუშვილის შრომებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ. ძვირფასია ,აგრეთვე, მის მიერვე გამოცემული დოკუმენტების კრებულები „Сельское хозяйство и аграрные отношения“ და გამოკვლევები საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1956 წელს გამოქვეყნებული შრომა „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX სს.“, სადაც, აგრეთვე, გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი გლეხობის დიფერენციაციის საკითხს.

ასევე მნიშვნელოვანია პროფ. შ. ჩხეტიას შრომები და საბუთების კრებულები: „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში“ და „Документы по истории Грузии“[2].

---

1 ალ. ასათიანი, მიწის საკითხი საქართველოში, 1919, გვ. 8, 30—31.

2 შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950; Документы по истории Грузии. Грузия в период буржуазных реформ (1862—1872 гг), т. I, часть I, под редакцией проф. Ш. Чхетия, Тбилиси, 1954.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გლეხობის დაშლის საკითხს, უმთავრესად გორის მაზრის მაგალითზე, აკად. გ. ხაჭაპურიძის წერილში „Грузия во второй половине XIX века“ [1].

ჩვენ ხელნაწერის სახით გამოვიყენეთ დოც. მ. დუმბაძის გამოუქვეყნებელი შრომა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება XIX ს. რეფორმის შემდგომ პერიოდში“[2], სადაც ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს გლეხობის დაშლის საკითხს და მნიშვნელოვან დებულებებს იძლევა.

თემაზე მუშაობის დროს გარკვეული დახმარება გაგვიწიეს, აგრეთვე, ს. ხუნდაძის, ა. კიკვიძის, ი. ანთელავასა და სხვ. შრომებმა.

თემის უკეთ დამუშავებისათვის საჭირო მასალების შეგროვების მიზნით ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1957 წლის ზაფხულში გაგზავნილი ვიყავი სამეცნიერო მივლინებაში კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ზნაურის, სტალინირისა და ლენინგორის რაიონებში; უფრო ადრე კი. სახელდობრ 1956 წლის ზაფხულში, მოვინახულე ჯავისა და სტალინირის რაიონები.

მივლინების დროს მე ჩავიწერე ბევრი ნაამბობი იმ მოხუცებისა, რომელთაც ახსოვდათ XIX საუკ. დასასრული და XX საუკ. დასაწყისი ხანის გლეხური კომლების ეკონომიური მდგომარეობა.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროებისა და სხვა დამხმარე მასალების დამუშავების პროცესში ვხელმძღვანელობდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებით.

---

[1] Г. В. Хачапуридзе, Грузия во второй половине XIX века, журнал „Историк Марксист“, 1940, № 8.

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, П—101.

თავი პირველი

საგლეხო რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში და გორის მაზრის გლეხობა

1. გორის მაზრის მოსახლეობა

საქართველოს ისტორიაში რუსეთთან შეერთების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო.

შეერთებისთანავე ქართლ-კახეთის სამეფო გუბერნიად გამოცხადდა და 5 მაზრად გაიყო (გორის, ლორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის). ეს მაზრები საქართველოს გუბერნიას შეადგენდნენ. 1840 წელს ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თბილისის, გორის, თელავის, ბელაქნის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევნის, ახალციხისა და გურიის მაზრები. 1846 წლიდან საქართველო-იმერეთის გუბერნია დანაწილდა. 1846 წელს მას გამოეყო ქუთაისის გუბერნია (ქუთაისის, გურიისა და ახალციხის მაზრები) და თბილისის გუბერნია — თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და ელისავეტპოლის მაზრებითა და მთისა და ოსეთის ოკრუგებით[1]. 1850 წლის 1 იანვარს შეიქმნა ერევნის გუბერნია — ერევნის, ნახჭევნისა და ალექსანდროპოლის მაზრებით[2].

დროთა განმავლობაში ადგილი ჰქონდა ცვლილებებს ადმინისტრაციულ დაყოფაში. გორის მაზრაც თავისი არსებობის მანძილზე ზოგიერთ ტერიტორიულ ცვლილებას განიცდიდა. მაგალითად, მას გამოეყო და ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა ხეფინის ხევში მდებარე სოფლები[3].

---

[1] Сборник статистических сведений о Кавказе, Тифлис, 1869, გვ. 43.

[2] იქვე, გვ. 52.

[3] Сборник материалов для описания Тифлисской губернии, Тифлис, 1870, გვ. 51.

ცვლილებები შემდეგშიაც ხდებოდა; მაგალითად, XIX საუკუნის 60 -იან წლებში შორაპნის მაზრის შემადგენლობაში გადასულა 9 სოფელი: გოლათუბანი, ბექათუბანი, ნებოძირი, მოლითი, ზვარე, გდეისი (დეისი), ვახანი, ჩრდილი და ზედუბანი. 1860—1861 წლების კამერალური აღწერით კი ზემოთ აღნიშნული სოფლები გორის მაზრის შემადგენლობაში იყვნენ[1].

ამაჟე აღწერის შემდეგ გორის მაზრის შემადგენლობაში შევიდა მთის ოკრუგის ქსნის უბანი, სადაც 1651 კომლი ყმა გლეხი ითვლებოდა[2]. გორის მაზრა თითქმის მთლიანად შეიცავდა დღევანდელი ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონებს და ახლანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ძირითად ნაწილს. ის ერთი უმსხვილესთაგანი იყო გუბერნიაში როგორც ტერიტორიით, ისე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ამის თაობაზე საგუბერნიო სახაზინო პალატა აღნიშნავდა: „გორის მაზრის მიერ დაკავებული ფართობის სიდიდისა (6127 კვ. ვერსი) და მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის გამო (240000 სული)... ეს მაზრა ეტოლება თბილისის გუბერნიის სამ სხვა მაზრას: ახალქალაქის, ახალციხისა და თელავისას“[3].

გორის მაზრას ეკავა თბილისის გუბერნიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი და მდებარეობდა ჩრდილოეთის განედის 41°38′—42°41′ და აღმოსავლეთის გრძედის 60°52′—62°21′ შორის[4]. 1865 წლის ცნობების მიხედვით მისი ტერიტორია შეადგენდა 5940 კვ. ვერსს[5]. 1903 წელს კი, უფრო ზუსტი დაანგარიშების მიხედვით, 6007, 56 კვ. ვერსს, ანუ 625787,50 დესეტინას[6].

---

[1] С. Л. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, т. II, 1913, გვ. 108.

[2] Документы по истории Грузии, Грузия в период буржуазных реформ (1862—1872), т. I, ч. I, под редакцией проф. Ш. Чхетия, Тбилиси, 1954, გვ. 152.

[3] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი („საქ. ცსსა“), ფონდი 254, საქმე 11750, ფურც. 12, 1910—1911 წწ.

[4] Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края („МДИЭБГКЗК“), т. VI, 1887, გვ. 135.

[5] Сборник статистических сведений о Кавказе, под редакцией Н. Воронова, Тифлис, 1869, გვ. 6.

[6] Кавказский календарь на 1907 г., გვ. 4.

ამგვარად. გორის მაზრა, მიუხედავად ზოგიერთი ტერიტორიული ცვლილებისა. ყოველთვის მაინც რჩებოდა მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიდიდის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულად.

რელიეფის მიხედვით მაზრა სამ ნაწილად იყოფოდა: ჩრდილო მთიანეთი, ბარის მიდამოები და სამხრეთი მთიანეთი. ჩრდილოეთით აღმართული მაღალი მთები მუდმივი თოვლით იყო დაფარული. ეს მთები სამხრეთით თანდათან დაბლდებოდა და უერთდებოდა ვაკეებს. ვაკე ადგილები უმთავრესად მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების სანაპირო ველებს წარმოადგენდა. სამხრეთით კვლავ მთიანეთი იწყებოდა; ეს მთიანეთი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ჩრდილოეთისა.

მაზრაში კონტინენტალური კლიმატი ბატონობდა. ამასთან, რელიეფის დიდ სხვადასხვაობასთან დაკავშირებით, ჰავაც განსხვავებული იყო. ჩრდილო მთიანეთის სოფ. შუა ერმანსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ზამთარი ხშირად 8 თვეს გრძელდებოდა, თოვლი ზოგჯერ აგვისტოს ბოლოს მოდიოდა, რის გამოც შემოსვლას საშემოდგომო ქერიც კი ვერ ასწრებდა. ნალექების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდიოდა სურამის მიდამოებში (620,7 მილიმეტრი), ყველაზე ნაკლები — გორში (525,1 მილიმეტრი)[1].

ადმინისტრაციულად მაზრა დაყოფილი იყო 5 უბნად ანუ საბოქაულოდ. ზოგჯერ უბანთა სახელწოდება იცვლებოდა, ბოქაულის რეზიდენციაც ყოველთვის ერთსა და იმავე სოფელში არ ყოფილა. თუ 1868 წელს საბოქაულოთა ცენტრები იყო ახალქალაქში, ბორჯომში, ცხინვალში, სურამსა და ტყვიავში[2], 900-იან წლებში ტყვიავისა და ახალქალაქის მაგიერ ვხვდებით ხიდისთავსა და მეჯვრისხევს[3].

უბანი შედგებოდა სასოფლო საზოგადოებებისაგან, სასოფლო საზოგადოება კი სოფლებისაგან. საკმაოდ ხშირი იყო სასოფლო საზოგადოებების შეერთება-გაყოფა: თუ 1884 წელს მაზრაში 124 სა-

---

[1] П. Г. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Карталинии, 1897, გვ. 14.

[2] Кавказский календарь на 1889 г., გვ. 165.

[3] Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях („СССОЧЗТКГ"), под редакцией Ф. Г. Гогичайшвили, Тифлис, 1910, გვ. 394.

სოფლო საზოგადოება იყო[1], ხოლო 1886—1890 წლებში — 121[2], 1893 წელსა და 1900—1901 წლებში საზოგადოებათა რიცხვი 37-ს შეადგენდა[3].

სასოფლო საზოგადოებები 1900 წ. უბნების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული:

I. ბორჯომის უბანი შედგებოდა 41 სოფლისაგან[4].

II. მეჯვრისხევისა შედგებოდა 115 სოფლისაგან. ამ უბანში გაერთიანებული იყო შემდეგი სასოფლო საზოგადოებები:

ანდორეთისა — 31 სოფლით, კარალეთისა — 10 სოფლით, ქვემო ჭალისა — 19, მეჯვრისხევისა — 11, მერეთისა — 13, ტყვიავისა—12 და ხურვალეთისა — 19.

III. სურამის უბანში შედიოდა 168 სოფელი შემდეგი სასოფლო საზოგადოებებით: ალისა — 27 სოფლით, ატოცისა — 27, ბრეთისა — 11, ქვიშხეთისა — 10, ხაშურისა — 7, ოქიანისა — 35. სურამისა — 15 და ხცისისა — 36.

IV. ხიდისთავის უბანი — 184 სოფლითა და შემდეგი სასოფლო საზოგადოებებით: ახალქალაქისა — 18 სოფლით, ბობნევისა — 45, დოესისა — 4, ზღუდრისა — 36, კავთისხევისა — 16. ქარელისა — 8, მეტეხისა — 6, ქვემო ნიჩბისისა — 8. რუისისა — 7 და ხიდისთავისა — 11.

V. ცხინვალის უბანი — 178 სოფლითა და შემდეგი სასოფლო საზოგადოებებით: ბელოთისა — 40 სოფლით, ჯავისა — 29, დიცისა — 12, ქემერტისა — 12. ყორნისისა — 10, ორტევისა — 15, როკისა — 20, თამარაშენისა — 12, წუნარისა — 15, ცხინვალისა — 1 და შინდისისა — 12[5].

გორის მაზრაში XIX საუკ. ბოლოსაც კი ჭარბობდა ისეთი სოფლები, რომლებშიც მცხოვრებთა რიცხვი 25 კომლს არ აღემატებოდა. 1897 წ. მაზრაში 718 სოფელი იყო. მათგან:

---

[1] Труды Тифлисского губернского статистического комитета, Выпуск I, 1886, გვ. 30—94.

[2] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893, გვ. 7.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 4996, ფურც. 4—14, 1893 წ.; Кавказский календарь на 1902 г., გვ. 76—77.

[4] ამ უბანში ერთი სასოფლო საზოგადოება იგულისხმება.

[5] Кавказский календарь на 1902 г., გვ. 76—77.

10 კომლამდე მცხოვრებით —	214 სოფელი
11—25	233
26—50	136
51—100	80
101—200 „	38
200 კომლზე მეტი	17

მთლიანად მაზრაში ითვლებოდა 26201 კომლი, 172951 სულით (ორივე სქესისა)[1].

სოფლები კომლთა მცირე რიცხვით უმთავრესად მთიან ადგილებში მდებარეობდა.

გორის მაზრაში მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხობა შეადგენდა. ის ოთხ ძირითად თანრიგად (კატეგორიად) იყოფოდა: საბატონოდ, სახაზინოდ, საეკლესიოდ და ხიზნებად.

1838 წლისათვის გლეხთა რაოდენობა ასეთია:

გლეხთა ჯგუფები	კომლთა რიცხვი	მამაკაცთა სულადობა
საბატონო გლეხები	4462	18695
სახაზინო	2209	7705
საეკლესიო	1605	4825
სულ:	8276	31225[2]

როგორც ეს მონაცემები გვიჩვენებს, საბატონო გლეხთა რაოდენობა სახაზინოებზე ორჯერ, ხოლო საეკლესიო გლეხებზე თითქმის სამჯერ მეტია. აქ ხიზნები ნაჩვენები არ არიან. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სტატისტიკამ ხიზნები საბატონო, საეკლესიო თუ სახაზინო მიწებზე დასახლების მიხედვით აღნიშნულ კატეგორიებთან გაათანაბრა.

---

[1] Сборник сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1902, გვ. 264.

[2] Сборник материалов для описания Тифлисской Губернии, под редакцией К. Зиссермана, Тифлис, 1870, გვ. 62—63.

მაზრის მოსახლეობის შესახებ 1865 წ. მონაცემები ასეთია:

		ქ. გორი		გორის მაზრა	
		მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
თავადაზნაურობა:	შთამომავლობითი	37	59	1694	1244
	პირადი	52	20	38	39
სასულიერო წოდება	მართლმადიდებელ-ური	28	24	575	385
	სომხურ-გრიგორიანული	20	18	50	45
საპატიო მოქალაქეები	შთამომავლობითი	2	2	—	—
	პირადი	4	3	—	—
მოქალაქეები		833	897	—	—
სახელმწიფო გლეხები		295	293	21551	17513
საეკლესიო	„	164	180	13550	10370
ბატონყმობიდან გამოსულნი		157	88	24468	20116[1]
	ს უ ლ:	1592	1584	61926	49712

ცხრილი გვიჩვენებს, რომ 1838 წელთან შედარებით გლეხური მოსახლეობა გაზრდილა: ყოფილი საბატონო გლეხები დაახლოებით 1,3-ჯერ, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხთა რიცხვი — თითქმის 3-ჯერ.

ეს უნდა მიუთითებდეს გლეხთა ამ ჯგუფების ეკონომიური მდგომარეობის სხვადასხვაობაზე. გლეხობა იბრძოდა სახაზინო ან საეკლესიო კატეგორიებში მოხვედრისათვის, სადაც მას შედარებით უკეთესი მდგომარეობა მოელოდა. უეჭველია, ბუნებრივი გამრავლებითაც გლეხთა ეს ჯგუფები წინ უსწრებენ საბატონო გლეხებს.

2. საგლეხო რეფორმის გატარება აღმოსავლეთ საქართველოში

მე-18 საუკ. მიწურულიდან რუსეთში, ფეოდალიზმის წიაღში, კაპიტალისტური ურთიერთობა შეუჩერებლივ ვითარდებოდა[2]. რუსეთის მოსახლეობა, რომელიც 1800 წელს 35 მილიონ სულს უდრიდა, 1861 წლისათვის 73.6 მილიონამდე გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი. 1724 წლიდან 1851 წლამდე რუსეთში მათი რაოდენობა 10-ჯერ გადიდდა[3].

[1] Кавказский календарь на 1866 г., გვ. 133.

[2] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, 1952, т. II, გვ. 5.

[3] Н. А. Цаголов, Очерки русской экономической мысли периода падения крепостного права, Москва, 1956, გვ. 9.

1800—1861 წლებში გაიზარდა თუჯის გამოდნობა 12,2 მილიონი ფუთიდან 17,4 მილიონ ფუთამდე. რკინიგზების საერთო სიგრძე 1861 წლისათვის აღწევდა 2238 კილომეტრს, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1802 წელს შეადგენდა 109,1 მილიონ მანეთს, 1861 წელს კი 344,3 მილიონს. მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, რომელიც 1804 წელს 95,2 ათას კაცს უდრიდა, 1861 წლისათვის 522,5 ათას კაცამდე გაიზარდა[1].

ამ პერიოდში მიმდინარეობდა კაპიტალისტური საწარმოო ძალების შედარებით სწრაფი ზრდა. ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ხელს უშლიდნენ, ბორკავდნენ კაპიტალიზმის განვითარებას. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ძველი წარმოებითი ურთიერთობებიდან ახალზე გადასვლა მიმდინარეობს არა უმტკივნეულოდ, უკონფლიქტოდ, არამედ „ძველ წარმოებით ურთიერთობათა რევოლუციური დამხობისა და ახალ წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრების გზით“[2].

ახლის დამკვიდრების, მისთვის არსებობის მოპოვების ინტერესები იწვევენ მოძრაობას ხალხთა მასებში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ ვხედავთ გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობის უდიდეს ზრდას.

მეფის რუსეთი სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ბატონყმური ურთიერთობა და მისი ნაშთები მოსპობილ იქნა რუსეთზე ადრე და რევოლუციური გზით — ინგლისში XVII საუკუნის რევოლუციისა, საფრანგეთში 1789 წლის რევოლუციისა, ხოლო დანარჩენ ქვეყნების უმრავლესობაში 1848 წლის რევოლუციის წყალობით. რუსეთში ბატონყმობის გაუქმება მოხდა არარევოლუციური გზით, რადგან საუკუნეების განმავლობაში მემამულეთა მონობაში მყოფ ხალხს არ შეეძლო დაეწყო ფართო, აშკარა და შეგნებული ბრძოლა თავისუფლებისათვის[3]. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები ჩატარდა იმ დროისათვის პროგრესული ბურჟუაზიის წინამძღოლობითა და ინიციატივით, რუსეთში ბურჟუაზია არასდროს

---

[1] П. А. Хромов, Экономическое развитие России в XIX—XX веках, Москва, 1950, გვ. 435—439.

[2] ი. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ სახელგამი, 1954, გვ. 42.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., გამოცემა მე-4, ტ. 17, გვ. 87.

არ გამხდარა მასების რევოლუციურ წინამძღოლად. თვით დაჩაგრულთა შორის ჯერ არ იყო რევოლუციური კლასი, რომელიც ითავებდა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის საქმეს; გარდაქმნა კი საჭირო იყო.

საწარმოო ძალები რუსეთში ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ვითარდებოდა, თუმცა მათ განვითარებას ხელს უშლიდა ბატონყმური ურთიერთობა. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა არსებული წყობილების გარდაქმნა. წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებებისაკენ უბიძგებდა რუსეთს XIX საუკ. შუა ხანების მთელი ისტორია, ამ დროისათვის, განსაკუთრებით კი 50-იანი წლების ბოლოსათვის. თითქმის ყველა კლასისათვის აშკარა გახდა ამ ცვლილებათა აუცილებლობა[1]. ამ დროს რუსეთში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

რუსეთის შემდგომი განვითარება მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა წასულიყო, ეს გზა განვითარების კაპიტალისტური გზა იყო. ამის აუცილებლობა გამოწვეული იყო ეკონომიური განვითარების ობიექტური კანონების მოქმედებით, პირველყოვლისა, წარმოებითი ურთიერთობის საწარმოო ძალების ხასიათთან აუცილებელი შესატყვისობის კანონის მოქმედებით. ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის. მეფის მთავრობა, ყირიმის კამპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ამბოხებებით შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა.

რეფორმამ ბატონყმობა გაუქმებულად გამოაცხადა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალებთან შესატყვისობაში არ მოუყვანია. რუსეთის კაპიტალისტური განვითარება შეიძლებოდა ორი გზით წასულიყო: ერთი იყო რევოლუციური გზა, ფერმერული გზა (ამ დროს ძველი წყობილება იმსხვრევა და ახლისათვის ადგილის განთავისუფლება სწრაფად ხდება), მეორე იყო არსებულ წყობილებასთან შეგუების გზა, განვითარების რეფორმისტული გზა, პრუსიული გზა. მემამულეები და იმპერატორი ალექსანდრე II იძულებული იყვნენ მხარი დაეჭირათ განვითარების მეორე გზისათვის. ლენინი წერდა, რომ ბატონყმობის დაცემის ეპოქაში „მემამულეებსა და გლეხებს შორის ბრძოლა წარმოებდა იმის გამო, თუ რა წესით განხორციელებულიყო რეფორმა.

[1] Р. Гвоздев, Кулачество-ростовщичество и его общественно-экономическое значение, С-Петербург, 1899, зз. 27.

პირველნიც და მეორენიც იცავდნენ ბურჟუაზიული ეკონომიური განვითარების პირობებს (ამის შეუგნებლად)"[1].

მემამულეები და გლეხები ამ პირობებს განსხვავებული თვალსაზრისით უდგებოდნენ: მემამულეები მომხრენი იყვნენ ისეთი განვითარებისა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა მემამულურ მეურნეობათა და ექსპლოატაციის მემამულური ფორმების მნიშვნელოვნად შენარჩუნებას. გლეხობა მიისწრაფოდა ექსპლოატაციის ყოველგვარი მემამულური და კაბალური ხერხების მოსპობისაკენ. მეორე შემთხვევაში საწარმოო ძალების განვითარება უფრო ფართო და უფრო სწრაფი იქნებოდა.

წარმოებით ურთიერთობათა საწარმოო ძალების ხასიათთან აუცილებელი შესატყვისობის კანონი გზას იკვლევდა რეფორმამდე. ფეოდალები მეფის მეთაურობით იძულებული იყვნენ წასულიყვნენ დათმობაზე. ისინი გრძნობდნენ, რომ ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის შეჩერება მათ არ შეეძლოთ. რომ ძველი წესების ხელუხლებლად დატოვებას შეეძლო გამოეწვია განვითარება რევოლუციური გზით. მემამულეები იძულებული შეიქნენ აერჩიათ რეფორმის გატარება.

მეფის ოფიციალური ისტორიკოსები ბევრს ლაპარაკობდნენ „დიდი რეფორმის" შესახებ, რომლის გატარებასაც რუსეთი უნდა უმადლოდეს იმპერატორ ალექსანდრე II-ს, „დიდსო". სინამდვილეში კი „დიდი რეფორმა" ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ანხორციელებდნენ ბატონეები.

რეფორმის გატარება მეფის მთავრობისათვის, მემამულეებისათვის ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იყო. XIX საუკ. 50—60-იანი წლების მიჯნაზე რუსეთში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. ამ სიტუაციას ლენინი 1859—1861 წლებით ათარიღებს. რევოლუციური სიტუაცია რევოლუციად არ გადაქცეულა, რადგან გლეხთა აჯანყებები 50—60-იან წლებში დაქსაქსული და სტიქიური იყო. რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო რევოლუციური კლასი, რომელიც შეძლებდა ამ აჯანყებათა გაერთიანებასა და გლეხობის წაყვანას მეფე-მემამულეთა წინააღმდეგ.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 292.

1861 წლის 19 თებერვალს მეფის ხელმოწერით გამოიცა „მანიფესტი" და დებულება გლეხთა განთავისუფლების შესახებ[1]. აღნიშნული საკანონმდებლო აქტები საჯაროდ გამოქვეყნდა მხოლოდ 1861 წლის 5 მარტს.

საგლეხო რეფორმა საქართველოში ისე, როგორც მთელ ამიერკავკასიაში, შედარებით გვიან გატარდა. სახელდობრ, საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარება დაიწყო 1864 წლიდან და ეს პროცესი გრძელდებოდა 1871 წლამდე.

კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ ინსტრუქცია „გლეხთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ" მიიღო ჯერ კიდევ 1858 წელს. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ცხადია პეტერბურგისავე კარნახით, გლეხთა მდგომარეობის შესწავლას ხელი მოჰკიდა მხოლოდ 1861 წლიდან.

1861 წელს, რუსეთში რეფორმის გატარების შემდეგ, იმპერატორმა უბრძანა ბარიატინსკის შესდგომოდა რეფორმისათვის მზადებას. შეიქმნა სამაზრო კომიტეტები, შემდეგ ეს კომიტეტები გადაკეთდა თავადაზნაურთა სამაზრო ყრილობებად. ამ ყრილობებს უნდა წარედგინათ თავისი მოსაზრებანი ბატონყმობის გაუქმების საკითხებზე. შეიქმნა ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტი. ქართველი თავადაზნაურობა არ ჩქარობდა ბატონყმობის გაუქმების საქმეში. მხოლოდ გორის მაზრის თავადაზნაურობამ წარადგინა თავისი მოსაზრებანი ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში 1862 წლის 16 იანვარს[2]. 1862 წლის 25—30 აპრილის განმავლობაში მუშაობას აწარმოებდა თავადაზნაურობის თბილისის საგუბერნიო ყრილობა. თავადაზნაურობის დავალებით 1862 წლის სექტემბერში დიმიტრი ყიფიანს მიენდო პროექტის შედგენა. დ. ყიფიანმა პროექტი შეადგინა მემამულეთა აზრისა და სურვილების სრული გათვალისწინებით და 1863 წლის გაზაფხულზე წარუდგინა სამაზრო ყრილობებს (თელავის მაზრის თავადაზნაურობას — აპრილში, გორის, თბილისისა და დუშეთის მაზრებისას — მაისში). 1863 წლის მაისში შედგა თავადაზნაურთა საგუბერნიო კრება. მოსმენილ და განხილულ იქნა დ. ყიფიანის პროექტი. საგუბერნიო კრებამ პროექტი მოიწონა. მას ხელი მოაწერა კრების 539 წევრმა. 16 კაცი თავისი პროექტით გამოვიდა. „საერთოდ მემამულეთა ძირითადი მასა მოითხოვდა

[1] Полное собрание законов Российской империи, т. XXXVI, 1861, ეს. 128, 141.

[2] С. Л. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, 1912, ეს. 206—207.

(და ამასვე გამოხატავდა დ. ყიფიანის პროექტიც), რომ: 1. ყმები გაეთავისუფლებინათ უმიწოდ; 2. გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის მებატონეებს ფული მიეღოთ ხაზინიდან; 3. მისცემოდათ გლეხებს ისეთ პირობებში და ისე მცირე რაოდენობით სანადელო მიწები, რომ მებატონეთა ადგილმამული და სახლკარი უზრუნველყოფილიყო გლეხის მუშა-ხელით; 4. „დროებით-ვალდებული" გლეხი თავის ნადელის გამოსყიდვის დროს რაც შეიძლება არახელსაყრელ პირობებში ყოფილიყო ჩაყენებული, რათა იგი გამოუვლად დარჩენილიყო „დროებით ვალდებულის" მდგომარეობაში"[1].

თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობამ ჯერ კიდევ 1862 წლის აპრილში დაადგინა: „1. ჩვენს ყმებს თავისუფლება მიეცეთ, ჩვენ სამაგიეროთ ფული მოგვეცეს, 2. რაც ახლა ჩვენს მამულზედ სახლკარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილ-მამულები უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა, თუ საბალახეს, თუ წყალს ჰხმარობენ, ყოველსავე ამას მათვე მივაჩემებთ, მხოლოდ პირობითა ამით, რომ მიწის შემოსავალი გვეძლეოდეს და ბეგარას ასრულებდნენ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, 3. ეს ჩვეულება შეუშლელად დარჩეს ჩვენსა და მათ შორის დრომდე; რარომ ეს დრო გავა, მაშინ შემდგომისათვის ჩვენ ერთმანეთს მოურიგდებით"[2].

რას ნიშნავს „მიწის შემოსავალი გვეძლეოდეს და ბეგარას ასრულებდნენ ქვეყნის ჩვეულებისამებრ"? თავად დავით ციციშვილის 1862 წლის გაანგარიშებით ეს ნიშნავს შემდეგს:

ღალის გარეშე ერთ გლეხურ კომლს წლიურად უნდა გადაეხადა ბატონისათვის 3—100 კოდამდე ხორბალი (5—100 მანეთამდე ღირებული), ძროხაზე ან ფურკამეჩზე $2^1/_4$ გირვანქა ერბო (25 კაპიკად ღირებული და რაკი საშუალოდ ერთ კომლ გლეხზე მოდიოდა 2 სული მეწველი საქონელი, ამიტომ ორჯერ მეტს, ე. ი. 50 კაპ., გადაიხდიდა), აღდგომისა და შობის დროს მინატანი (2 მანეთად ღირებული). ქათამი და კვერცხი (ერთი მანეთისა), ერთ თვეში ნათიბი თივა თავისი მიტანით (54 მანეთად ღირებული); ამას გარდა გლეხი ვალდებული იყო ბატონისათვის გაეწია შინამოსამსახურეობა (20 მანეთის ღირებულების), ტყიდან მოეტანა 1—20 მორი (1—20 მანეთად ღირებული), ბატონის ოჯახის წევრის დაქორწილების შემთხვე-

[1] პ. გუგუშვილი, ბატონყმობის გაუქმება საქართველოში, ჟურნ. „ბოლშევიკი", 1939, № 9—10, გვ. 90.

[2] ციტირებულია შ. ჩხეტიას ნაშრომიდან „ბრძოლა საგლეხო რეფორმის გარშემო აღმოსავლეთ საქართველოში", პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 114—115.

ვაში გადაეხადა 3 მან. და 50 კაპიკიდან 25 მანეთამდე (წლიურად საშუალოდ 35 კაპიკიდან 2 მანეთსა და 50 კაპიკამდე), გარდაცვალების დროს ამდენივე, ხოლო თავისი ოჯახის გოგოს გათხოვების შემთხვევაში 5—80 მანეთამდე (წლიურად საშუალოდ 50 კაპიკიდან 8 მანეთამდე). ქვრივის გათხოვებისას 20 მანეთიდან 100 მანეთამდე (საშუალოდ წლიურად 2-დან 10 მანეთამდე), დაქორწილების შემთხვევაში 1 მანეთი, ბატონის შორს წასვლის შემთხვევაში გლეხი ბატონს აძლევს ცხენსა და ურემს (წლიურად 4 მანეთსა და 30 კაპ. ღირებული), თევზისჭერისაგან მიღებული შემოსავლის ნაწილს გლეხები აძლევენ ბატონს (წელიწადში დაახლოებით 10 მანეთამდე), გლეხური კომლის გაყრის დროს ბატონი იღებს ქონების 1/10-ს. რაც შეადგენს არანაკლებ 50 მანეთისა (ეს იანგარიშება 10 წელიწადში ერთხელ, საშუალოდ 5 მანეთი წელიწადში).

ამგვარად, გლეხს ბატონის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა წლიურად 115 მანეთიდან 239 მან. 80 კაპიკამდე. საშუალოდ გლეხურ კომლს უწევდა წლიურად 177 მან. 40 კაპ. გადახდა[1].

ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესული ელემენტები მოითხოვდნენ ბატონყმური ურთიერთობის ბოლომდე გაუქმებას. ილია და ნიკო ჭავჭავაძეები და კ. მამაცაშვილი მოითხოვდნენ გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას და ყოველგვარი პირადი ბეგარების დაუყოვნებლივ გაუქმებას.

ცნობილია, რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე. ყოველი მოვლენა, ყოველი აზრი უნდა განვიხილოთ არა გარემოსაგან მოწყვეტილად, არამედ სხვა მოვლენებთან კავშირში. იმ ქვეყანაში, სადაც „სურამის ციხე“ თანამედროვეობის ამბავი იყო, ილიასა და მისი თანამიმდევრების ეს მოთხოვნები უალრესად პროგრესულ მოთხოვნებად. ხოლო ი. ჭავჭავაძე დიდ დემოკრატად შეიძლება მივიჩნიოთ.

რეფორმის ვატარებით დაინტერესებული იყვნენ როგორც გლეხები, ისე მემამულეები. ძირითადი ხაზი ბრძოლისა რეფორმის ირგვლივ სწორედ ამ ორ კლასს შორის მდებარეობდა. მემამულეებს ბევრნაირი საშუალება ჰქონდათ თავისი ინტერესების გამოსახატავად, გლეხობა კი უშუალოდ არ იყო წარმოდგენილი მრავალგვარ კომისია-კომიტეტებში, არ ჩანდა მათი აზრი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. გლეხობა, რომელიც რევოლუციური ბრძოლით ცდილობდა მიეღწია განთავისუფლებისათვის, მხარს უჭერდა მას გახშირებული რევოლუციური გამოსვლებით. რუსეთში პუბლიცისტურ ლი-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 1054. ფურც. 1, 2, 1862 წ.

ტერატურაში გლეხობის რევოლუციური ბრძოლა გამოხატული იყო ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და სხვათა სტატიებში. საქართველოში გლეხთა ინტერესების დამცველად გამოვიდნენ ქართველი განმანათლებლები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ვ. ი ლენინი აღნიშნული ორი ძირითადი (რევოლუციურ-დემოკრატიული და ლიბერალური) მიმდინარეობის შესახებ აღნიშნავდა: „1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელნიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს"[1].

რეფორმის წინ საკითხი მკვეთრად დაისვა: გლეხური რევოლუცია ან მემამულური რეფორმა. ეს საკითხი ეკონომიკიდან იდეოლოგიურ სფეროში გადავიდა, აქ კი დიდ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი განმანათლებლები, რომელთა მოღვაწეობა რეფორმის დროს გაჟღენთილი იყო დემოკრატიული იდეებით.

* * *

რუსეთთან საქართველოს შეერთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისა და მისი ფიზიკური გადაშენებისაგან გადარჩენის საქმეში. შეერთებამ ობიექტურად ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას. საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში ნელა, მაგრამ განუხრელად ვითარდება კაპიტალიზმის საწყისები, სწრაფად იზრდება მოსახლეობა, ჩნდება სამრეწველო საწარმოები, გაჰყავთ ახალი და აუმჯობესებენ ძველ გზებს, მოქმედებას იწყებს საზღვაო პორტი ფოთი, ვითარდება სასაქონლო-ფულადი მეურნეობა და სხვ.

მართალია, საქართველო კოლონიურ მდგომარეობაში რჩებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიური განვითარება მაინც წინ, ფეოდალიზმის რღვევის გზით მიდიოდა. რუსეთი განაპირა მხარეებს ერთმანეთზე მაყოლებით აბამდა მსოფლიო მეურნეობაში. მეტროპოლიას მრეწველობისათვის სჭირდებოდა ნედლეული, ასეთით კი ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო მდიდარი იყო (სპილენძი, რკინა, ვერცხლი, მარგანეცი, ნავთი). ამიერკავკასიისა და საქართველოს თავისებური მდგომარეობაც ხელს უწყობდა მრეწველობის განვითარებას. წარმოიშვა საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებები, რომლებიც უმთავრესად პირველი მოხმარების საგნების წარმოებაზე მუშაობდნენ. მეფის რუსეთი საქართველოში ხელს უწ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 128—129.

ყობდა ისეთ საწარმოთა შექმნას, რომლებიც რუსეთის ფაბრიკებს სამრეწველო ნედლეულს მიაწვდიდნენ.

XIX ს. 30-ანი წლებიდან რუსეთის მთავრობამ ამიერკავკასიაში თავისუფალი ტრანზიტი და ვაჭრობა აკრძალა. აქაც გავრცელდა „მფარველობითი“ საბაჟო პოლიტიკა. ამიერკავკასია ჩაბმული აღმოჩნდა საერთო საიმპერიო საბაჟო სისტემაში. ამასთან ერთად დაწესებულ იქნა რეგულარული სავაჭრო-სატრანსპორტო კავშირი ამიერკავკასიისა იმპერიასთან. ეს კავშირი ხორციელდებოდა როგორც საქართველოს სამხედრო გზის, ისე შავი ზღვისა და კასპიის ზღვებით. 1856 წელს შავ ზღვაზე დაიწყო სავაჭრო ორთქლის გემების მიმოსვლა[1].

შედარებით იაფი სამრეწველო საქონელი, რომლის შემოტანა საქართველოში თანდათან იზრდებოდა, ბადებდა მისი შეძენის სურვილს. მებატონეები აძლიერებენ გლეხთა ექსპლოატაციას, უმატებენ ვალდებულება-გადასახადებს, ცდილობენ იმავე გლეხთა შრომით მეტი პროდუქტები და მისი გაყიდვით კი მეტი ფული მიიღონ. ვითარდება ფულადი მეურნეობა. გარდა ზემოაღნიშნული პირობებისა, საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას აჩქარებდა გლეხთა ძლიერი ანტიბატონყმური ბრძოლა. ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობას დღის წესრიგში აყენებდნენ სამეგრელოში 1857 და 1863 წწ., იმერეთში 1858 წ., გურიაში 1862 წ. და ა. შ.[2].

მემამულე-მებატონეები მეფის მეთაურობით დიდი ხალისით როდი მიდიოდნენ ბატონყმობის გაუქმებაზე ცენტრალურ გუბერნიებში. ამის უფრო ნაკლებ ხალისს იჩენდნენ ისინი განაპირა მხარეების მიმართ. ცნობილია იმპერატორ ალექსანდრე II უარყოფითი პასუხი ქართველ თავადაზნაურთა შეკითხვაზე, რომელიც ეხება არსებულ წესწყობილებაში ცვლილებების შეტანას[3]. ეს პასუხი, რა თქმა უნდა, ორჭოფული იყო და არც შეიძლებოდა დიდხანს დარჩენილიყო ძალაში. მეფეს, ცხადია, ახსოვდა 1855 წლის შემოდგომა, როცა ომერ-ფაშას ემისრებმა სამეგრელოში ხმები გაავრცელეს „მოკავშირეები ბატონყმობას გაუქმებენო“ და მთელი სამეგრელო რამდენიმე დღეში დანებდა ომერ-ფაშას[4].

---

[1] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, 1952, т. I, გვ. 551—552.

[2] გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, 1932, გვ. 72—75, 81, 112—118; შ. ჩხეტია, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს, თბილისი, 1953.

[3] Журн. „Колокол“, 1865, № 198, გვ. 1626.

[4] იქვე, გვ. 1626.

საქართველოში გლეხთა გამოსვლებსა და აჯანყებებს უფრო აძლიერებდა ის ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რუსეთში საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით. საქართველოში მომხდარმა მრავალმა აჯანყებამ ხელი შეუწყო იმ დროს რუსეთის იმპერიაში შექმნილი ანტიბატონყმური რევოლუციური სიტუაციის გაღრმავებას.

მეფის მოხელეები რეფორმის გატარების შეფერხების მიზეზად უფრო მეტად თვლიდნენ გრ. ორბელიანს, რომელიც მაშინ მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მოსვლისთანავე კავკასიაში საქმე სწრაფად წავიდა წინ. საკითხს, რა თქმა უნდა, მიხეილ რომანოვის ან გრიგოლ ორბელიანის პირადი თვისებები ვერ სწყვეტდა. რეფორმის გატარების დაჩქარების საქმეში, თვით საქართველოში გლეხთა გამოსვლების გარდა, უეჭველია მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლონეთის 1863 წლის აჯანყებამ. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე 1865 წელს „კოლოკოლში“ წერდა: „როცა 1863 წელს პოლონეთის აჯანყებამ რუსეთს ევროპის ომის საფრთხე მოუვლინა, რუსეთის მთავრობამ ელდანაკრავივით მოიგონა სამეგრელოს ღალატი, ფაცი-ფუცით დეპეშა-დეპეშაზე აფრინა ტფილისში, სახელდახელოდ წამოაყენა გლეხთა საკითხი საქართველოში, დაავიწყდა საქმის თანდათანობით კეთების ტრფიალი და აიძულა კავკასიის მმართველობა, რომ გლეხთა განთავისუფლების თუნდაც რამდენიმე პროექტი წარედგინა“[1].

რეფორმა იდეოლოგიურად მომზადებული იყო მოწინავე რუსი მოაზროვნეების გავლენით. ისტორიკოსი ს. ავალიანი აღნიშნავდა, რომ ისეთი კონსერვატორიც კი, როგორიც იყო გრ. ორბელიანი, განიცდიდა პუშკინის დიდ გავლენას. ავალიანი ხაზს უსვამს „სურამის ციხის“ დიდ მნიშვნელობას ბატონყმობის გაუქმების იდეოლოგიური მომზადების საქმეში[2].

ბატონყმური ურთიერთობების დრომოჭმული წესების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძე, დ. ჭონქაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები, რომლებიც იმ დროისათვის მოწინავე იდეების მატარებელნი იყვნენ. ცნობილია, რომ ახალი საზოგადოებრივი იდეები და

---

[1] Журн. „Колокол“, № 198, გვ. 1626.

[2] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, გვ. 213—214

თეორიები აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებამ საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახა.

საქართველოში იმ დროს ვითარდებოდა კაპიტალიზმის საწყისები, ფეოდალიზმის წიაღში ისახებოდა ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა განვითარებისათვის საჭირო იყო ძველის, დრომოჭმულის დანგრევა, მოსპობა რევოლუციური გზით.

* * *

ალექსანდრე მეორემ 1864 წლის 13 ოქტომბერს ხელი მოაწერა საკანონმდებლო აქტებს ბატონყმობის გაუქმების შესახებ თბილისის გუბერნიაში. ეს აქტები იყო: 1. დამატებითი წესები ბატონყმობიდან გამრსულ გლეხთა შესახებ თბილისის გუბერნიაში, 2. დებულება მემამულეთა მიწაზე მოსახლე გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ იმავე გუბერნიაში, 3. წესები გლეხთა საზოგადოებების მოწყობისა და მათ მიერ სახაზინო, საერობო და სასოფლო ბეგარა-გადასახადების გაღების შესახებ. შემდეგ გამოიცა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1864 წლის 4 ნოემბერს დამტკიცებული: 1. წესები გლეხთა უფლებებისა და ურთიერთობის შესახებ პირველ ორ წელიწადს, 2. დებულება ხიზანთა და შინაყმათა მოწყობის შესახებ, 3. წესები თბილისის გუბერნიის მემამულეთათვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ გლეხთა განთავისუფლების გამო, 4. დებულება მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ[1].

გლეხთა განთავისუფლების შესახებ ცნობა თბილისში, გორში, თელავსა და სიღნაღში გამოცხადებულ იქნა იმავე წლის 8 ნოემბერს, ხოლო კიდევ ერთი კვირის შემდეგ წაკითხულ იქნა გუბერნიის ეკლესიებში[2].

ამგვარად, დებულების მიხედვით თბილისის გუბერნიაში მოისპო ბატონყმური დამოკიდებულება, გლეხს პირადი თავისუფლება მიენიჭა; აღარ შეიძლებოდა მისი ყიდვა, გაყიდვა ან გაჩუქება. რეფორმის არსი ჩვენში იგივე იყო, რაც რუსეთის შიდა გუბერნიებში. „კავკასიის სამეფისნაცვლოს ნაწილებში ეს რეფორმები გამოიხატა იმ საერთო დებულებების საფუძველზე, რომლებიც გამოცემული იყო შიდა გუბერნიებისათვის“ — აღიარებდა მეფის ისტორიკოსი

[1] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 21.

[2] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, стр. 281.

ს. ესაძე[1]. ამასთან ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ რეფორმის გატარების დროს ქართველ მებატონეებს ცარიზმის წინაშე თავისი დამსახურების გამო ნაკლები „ზარალი“ ენახათ.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულება მხოლოდ ყმა გლეხებსა და შინაყმებს შეეხო. დებულება არ შეხებია სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებსა და ხიზნებს. 1860—1861 წლების კომლობრივი აღწერით მათი რაოდენობა თბილისის გუბერნიაში შეადგენდა: სახელმწიფო გლეხებისა — 54083 კომლს (344169 სული), საეკლესიოსი — 8305 კომლს (55399 სული), ყმა-გლეხებისა 17281 კომლს (122247 სული); სულ გუბერნიაში იყო გლეხთა 79669 კომლი (538201 სული ორივე სქესისა)[2].

1865 წლისათვის შემდეგი სურათი გვაქვს: სახაზინო გლეხთა რიცხვი უდრიდა 322153 სულს, საეკლესიო — 49417, დროებითვალდებულ გლეხთა — 122035 სულს[3].

ამგვარად, გუბერნიაში რეფორმა შეეხო გლეხურ კომლთა მხოლოდ 21,6%-ს, სულადობის მიხედვით კი 23,4%-ს. გორის მაზრაში რეფორმა შეეხო 47437 სულს საბატონო გლეხს. გლეხთა საერთო რაოდენობა კი მაზრაში იმ დროისათვის 113413 სულს შეადგენდა[4]. განთავისუფლების დროისათვის გლეხთა მთელი მიწა (საკარმიდამო ნაკვეთების ჩათვლით) გამოცხადებულ იქნა მემამულეთა საკუთრებად. საქართველოში ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხს მემამულის თანხმობის გარეშე უფლება არ ჰქონდა გამოესყიდა როგორც სახნავ-სათესი, ისე საკარმიდამო და სხვა ნაკვეთები[5].

ცარიზმის ისტორიკოსები ჩვეულებრივად სთვლიან, რომ რეფორმამ გლეხობა გაათავისუფლა მიწიანად. ეს არაა სწორი. რეფორმამ მხოლოდ გლეხობის მიწიანად განთავისუფლების ილუზია შექმნა. დებულებით „ნადელი“ (საკომლო მიწა) უნდა გადაცემულიყო „გლეხთა მუდმივ სარგებლობაში“[6]. ფაქტიურად კი ეს ნიშნავდა მი-

---

[1] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, 1907, т. I, გვ. 281.

[2] Сборник статистических сведений о Кавказе. Под редакцией Н. Воронова, Тифлис, 1869, გვ. 37—38.

[3] Сельское хозяйство и аграрные отношения, составил проф. П. Гугушвили, Тбилиси, 1950, т. II, გვ. 289.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 10, 1865 წ.

[5] Полное собрание законов Российской империи, т. XXXVI, გვ. 175.

[6] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, გვ. 327.

წის იჯარით გაცემას მემამულეთა მთელი კლასის მიერ გლეხობის. მთელ კლასზე. გლეხობის მიწით განთავისუფლება ნიშნავს გლეხობისათვის მიწის გაცემას ყოველგვარი გამოსასყიდი ფასისა და გადასახადების გარეშე, რასაც ადგილი არ ჰქონია.

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულებაში პირდაპირ იყო ნათქვამი:

„გლეხთა ყოფაცხოვრების უზრუნველსაყოფად და მათი ვალდებულებების შესასრულებლად მთავრობისა და მემამულეთა წინაშე, ამ დებულებაში მოცემულ საფუძვლებზე დაყრდნობით. გლეხებს ადგილობრივი მამულებიდან მუდმივ სარგებლობაში ეძლევათ მიწის სათანადო ოდენობა, რომლისთვისაც გლეხები იხდიან დაწესებულ ბეგარას"[1].

გლეხს საკომლო მიწა (ნადელი) აუცილებლივ უნდა მიეღო, რათა შეძლებოდა შეესრულებინა თავისი ვალდებულება სახელმწიფოსა და მემამულის წინაშე. დებულებაში ნათლად იყო გამოხატული გარე-ეკონომიური იძულება. დებულების 106 მუხლით, ბატონყმობის გაუქმებიდან 9 წლის შემდეგაც კი, „ვისაც თავისი საკარმიდამო მიწა ჯერ არ გამოუსყიდია, უფლება არა აქვს უარი თქვას სახნავ ადგილ-მამულზე და ამავე დროს დაიტოვოს თავის სარგებლობაში მხოლოდ გამოუსყიდველი საკარმიდამო ნაკვეთი"[2]. ამგვარად, გლეხი ან სავსებით უნდა აყრილიყო მიწიდან, ან ისევ კაბალაში დარჩენილიყო მემამულესთან. ამასთან პირველი 9 წლის განმავლობაში მას არ შეეძლო მიწის მიტოვება.

ადგილობრივი დებულება ქართველ თავადაზნაურებს ყოველგვარ პრივილეგიებს ანიჭებდა. ეს პრივილეგიები აღემატებოდა რუს მემამულე-მებატონეებისას. მეფის მთავრობა ცდილობდა განაპირა ქვეყანაში მტკიცე დასაყრდენი — თავადაზნაურობა სავსებით მადლიერი ჰყოლოდა, რათა მას „კეთილი" მეფისა და რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნებისათვის თავი არ დაეზოგა.

დებულების მიხედვით, გლეხთა მიწით უზრუნველყოფა იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ გლეხებს მისცემოდა სარწყავ ადგილებში 5 დესეტინამდე, ხოლო ურწყავ ადგილებში 10 დესეტინამდე საკომლო მიწა. თბილისის გუბერნიაში გლეხთა უფლებები უფრო მეტად იყო შეზღუდული, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

---

[1] Местное положение Тифлисской губернии, 13-X-1864 г., § 3.

[2] Дополнительные правила о крестьянах вышедших из крепостной зависимости Тифлисской губернии (შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 443).

მებატონეს უფლება ჰქონდა გლეხის საკომლო მიწის რაოდენობა სურვილისამებრ შეემცირებინა, თუკი მას იმ სოფელში, სადაც მამულები ჰქონდა, მიწების ნახევარზე ნაკლები რჩებოდა. ე. წ. მცირემიწიანი მემამულეები (60 დღიურზე ნაკლების მქონენი) განთავისუფლებულნი იყვნენ გლეხთათვის მიწის გამოყოფის ვალდებულებისაგან. ეს ქართველ გლეხს მეტად მძიმე პირობებში აყენებდა.

ნაროდნიკები გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებაში ხედავდნენ კაპიტალისტური წარმოების პრინციპის განხორციელებას, მიუთითებდნენ რა მარქსის დებულებაზე, რომ წარმოების საშუალებათაგან მუშაკის განთავისუფლება არის კაპიტალისტური წარმოების აუცილებელი წინამძღვარი. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სინამდვილეში 1861 წელს გლეხთა უმიწაწყლოდ დატოვება უმეტეს შემთხვევაში მოასწავებდა არა თავისუფალი მუშის შექმნას კაპიტალისტურ წარმოებაში, არამედ იმავე „საბატონო", მემამულური მიწის კაბალური (ე. ი. ფაქტიურად ნახევრად ყმა ან თითქმის ყმა) მოიჯარადრის შექმნას"[1].

მემამულეთა მიწებით სარგებლობის სანაცვლოდ გლეხებს ბატონის სასარგებლოდ შრომითი ბეგარა ეკისრებოდათ. ამავე დროს ისინი იხდიდნენ ღალასაც. 9 წლის შემდეგაც მიწაზე გლეხის მიერ უარის თქმა იმდენ დაბრკოლებას ხვდებოდა, რომ ეს ფაქტიურად შეუძლებელი იყო[2].

ვ. ი. ლენინი სასტიკად ილაშქრებდა ცარიზმის იმ ლაქია-ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც რეფორმას ყოველგვარ სიკეთეს მიაწერდნენ და ამტკიცებდნენ, რომ გლეხობა მიწით იქნა განთავისუფლებული. ლენინი ამბობდა: „თავიდან ბოლომდე ფარისეველურია და ყალბი „დიადი" რეფორმის ის შეფასება, რომელიც გავრცელდა ჩვენში: „გლეხთა განთავისუფლება მიწიანად სახელმწიფოებრივი გამოსყიდვის საშუალებით". სინამდვილეში კი ეს იყო გლეხთა განთავისუფლება მიწისაგან"[3].

დებულებით მემამულეებსა და გლეხებს შორის დადებული უნდა ყოფილიყო საწესდებო სიგელები (уставные грамоты). სიგელში აღნიშნული უნდა ყოფილიყო იმ საკომლო მიწის რაოდე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 115—116.

[2] П. А. Зайончковский, Отмена крепостного права в России, Москва, 1954, გვ. 115.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 517.

ნობა, რომელიც გლეხს ეძლეოდა, და ბეგარა-ვალდებულებანი, რაც გლეხს მიწით სარგებლობის სამაგიეროდ უნდა მემამულისათვის გადაეხადა. სიგელები დგებოდა მემამულესა და ცალკეულ გლეხს შორის კი არა, არამედ მემამულესა და ყველა მის ნაყმევს შორის. საწესდებო სიგელების შედგენა-დამტკიცების საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდათ მომრიგებელ-შუამავლებს. რომლებიც თვითონ იყვნენ მემამულეები და, ცხადია, დაიცავდნენ თავისი კლასის ინტერესებს.

საწესდებო სიგელების შედგენისას ხშირი იყო დარღვევები. სოფ. ქარელის დროებითვალდებული გლეხები სიმონა ქვრივიშვილი, სოლომონ, სვიმონ, გიგო და ოქრო საზანდრიშვილები მეფისნაცვლის სახელზე 1868 წლის 10 ივნისს გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნავდნენ, რომ მათმა ნაბატონარმა თავადმა ალექსანდრე ციციშვილმა არასწორად შეადგინა საწესდებო სიგელი, „რის გამო მოკლებული ვართ ჩვენს მამაპაპეულ საკარმიდამო ნაკვეთებს და ნადელებს". გლეხები თხოულობდნენ საქმის ადგილზე გარკვევას. 1873 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო იძულებული იყო მიენდო მომრიგებელი შუამავლისათვის საქმის გადასინჯვა და, თუ სიგელში შეცდომა აღმოჩნდებოდა, „საწესდებო სიგლის გადაკეთება". საქმე ეხებოდა 60 დღიურ მიწას. მემამულემ მაინც შესძლო გლეხების ნადელისათვის ჩამოეკლო 17 დღიურზე მეტი საუკეთესო მიწა, ე. წ. „კარის ნაფუძარი". გლეხების შემდგომი ჩივილი უშედეგოდ დარჩა[1].

1864 წელს თბილისის გუბერნიაში (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გამოკლებით) ითვლებოდა 14230 კომლი საბატონო გლეხი. მათგან საკომლო მიწა არ მიუღია 1334 კომლს. საკარმიდამო ნაკვეთი არ მიეცა 386 კომლს. 110 კომლ ბოგანოს კი სრულიად არაფერი არ მიუღია. ისეთ კომლთა რიცხვი, რომელნიც მინიმალურადაც კი არ იყვნენ უზრუნველყოფილნი მიწით, შეადგენდა 1830-ს, ე. ი. ბატონყმური ვალდებულებიდან გამოსულ გლეხთა 13%-ს[2].

მაზრების მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს:

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 78, ფურც. 1—45, 1868—1876 წწ.

[2] Л. Кипшидзе, Очерк крепостного права и крестьянская реформа журн. „Кавказский вестник", 1902, № 6.

(„განთავისუფლების“ დროს არ მიუღიათ)

		საკარმიდამო მიწა		სახნავ-სათესი		საკარმიდამო და სახნავ-სათესი	
თბილისის	მაზრაში	30	კომლს	60	კომლს	1	კომლს
გორის	„	248	„	600	„	71	„
დუშეთის	„	57	„	179	„	2	„
სიღნაღის	„	33	„	259	„	43	„
თელავის	„	18	„	235	„	3	„
ს უ ლ:		386	კომლს	1334	კომლს	120	კომლს

„ყველა ესენი, უკლებლივ, მათხოვრები არიანო“ — წერდა ამ გლეხთა შესახებ „კავკაზ“-ის კორესპონდენტი[1].

რეფორმამდე ყმა გლეხობის სარგებლობაში იმყოფებოდა საკარმიდამო ნაკვეთები და ვენახები 7049 დესეტინა; სახნავი მიწები 84665, აქედან სარწყავი — 34992 დესეტინა, ურწყავი — 42624 დესეტინა. საშუალოდ კომლზე მოდიოდა 5,9 დესეტინა. რეფორმის შემდეგ გლეხებს თითქმის მთლიანად დარჩათ მხოლოდ საკარმიდამოები და ვენახები, სახნავიდან კი მათ მიეცათ: სარწყავი 23376 დესეტინა, ურწყავი — 25254 დესეტინა, ე. ი. 28986 დესეტინით იმაზე ნაკლები, რაც სარგებლობაში ჰქონდათ რეფორმამდე, ამის შედეგად კომლზე მხოლოდ 3,9 დესეტინა მოდიოდა ნაცვლად 5,9 დესეტინისა[2]. ამგვარად, გუბერნიაში საკომლო მიწების 34% გლეხებს ჩამოაჭრეს. თბილისის გუბერნიაში რეფორმის შემდეგ თითოეულ მამაკაცზე თითო დესეტინაზე ნაკლები მოდიოდა, ხოლო თითო სულზე ნახევარ დესეტინაზე ნაკლები. „28 წლის გავლის შემდეგ... გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ სულზე დესეტინა საკომლო მიწის ერთი მეოთხედიც კი აღარ მოდის“ — ამბობდა ყიფშიძე[3].

საგლეხო რეფორმას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან წარმოების მუშაკი, ყმა გლეხი პირადად თავისუფალი გახადა. გლეხსა და მის მიერ შექმნილ დოვლათზე ბატონს იურიდიული უფლება აღარ ჰქონდა. განვითარების გზა გაეხსნა გლეხობას, საქართველოს ეკონომიურ წინსვლას, ამაში მდგომარეობდა რეფორმის უდიდესი მნიშვნელობა, მისი ბურჟუაზიული შინაარსი. ამასთან რეფორმას მკვეთრად გამოხატული ბატონყმური ხასიათი ჰქონდა. მან არა მარ-

[1] Газ. „Кавказ“, 1884, № 73.

[2] А. Кипшидзе, Очерк крестьянского права и крестьянская реформа, Журн. „Кавказский вестник“, № 6, 1902, გვ. 24.

[3] იქვე, გვ. 24—25.

ტო მემამულეთა მიწები, არამედ ის მიწებიც, რომლებიც გლეხებს ეკავათ საუკუნეების განმავლობაში, მემამულეთა საკუთრებად გამოაცხადა. ამ მიწებით სარგებლობა შეიძლებოდა მხოლოდ სათანადო ღალა-ბეგარის გადახდით. გამოსყიდვისას (თუ ამაზე მემამულე დათანხმდებოდა) გლეხი ისეთ თანხას იხდიდა, რაც ბევრად აღემატებოდა მიწის საბაზრო ფასს. მიწა მემამულეთა საკუთრებაში დარჩა.

როგორც ი. ბ. სტალინი შენიშნავდა, ფეოდალიზმის საფუძველს წარმოადგენდა ფეოდალური საკუთრება მიწაზე[1]. მემამულეთა საკუთრებაში მიწის დატოვებით მთავრობა ცდილობდა ფეოდალიზმის ეკონომიური საფუძვლის შენარჩუნებას. რა თქმა უნდა. მიწის მემამულეთა სრულ საკუთრებაში დატოვებამ დააბრკოლა სოფლად კაპიტალიზმის განვითარება. მაგრამ ახალ პირობებში, წარმოების სწრაფი განვითარების დროს, მიწა თვით მემამულეთა საკუთრების სახითაც უნდა გამოსულიყო ახალ ურთიერთობათა სამსახურში: ერთი მხრით, მემამულეები ცდილობენ მოაწყონ მეურნეობა კაპიტალისტურ საფუძველზე, მეორე მხრით, ფართო მასშტაბით მიმდინარეობს მემამულეთა მიწების გაყიდვა-დაგირავება. აღმოსავლეთ საქართველოში მემამულეთა მიწა XIX საუკ. II ნახევარში გამოყენებული იყო წარმოების ისეთ საშუალებად, რომელიც ემსახურებოდა კაპიტალისტურ ბაზარს.

საგლეხო რეფორმის გასატარებლად 1864 წლის 8 ნოემბერს დანიშნულნი იქნენ მომრიგებელი შუამავლები. დაარსებულ იქნა საგლეხო საქმეების საგუბერნიო საკრებულო, მეფისნაცვალთან კი მთავარ სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით გლეხთა მოწყობის მუდმივი კომიტეტი[2].

მემამულეთა და გლეხობის ურთიერთობათა საკითხების გადასაჭრელად მთავრობამ შექმნა დაწესებულებანი მხოლოდ ერთი კლასის წარმომადგენლებისაგან — თავადაზნაურობისაგან გამოსული მოხელეებისაგან. ამ „საგლეხო“ დაწესებულებებსა და მომრიგებელ შუამავლებს თავადი გ. თუმანიშვილი შემდეგნაირად ახასიათებდა: „...დროებითი საგლეხო წესების უსრულობის გამო სინამდვილეში ბევრი რამ არის დამოკიდებული ადგილობრივი მომრიგე-

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, თბილისი, 1952, გვ. 45.

[2] А. П. Николаи, Отчет по главному управлению наместника Кавказом, 1873, გვ. 16.

ბელი შუამავლების თვითნებობაზე. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს უკანასკნელნი, ხსენებული წესების მიხედვით, აიყვანებიან ხოლმე ადგილობრივ მიწისმფლობელთაგან, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ ვის ინტერესებს ემსახურებიან შუამავლებისათვის მინიჭებული ფართო რწმუნებანი და აქედან რა ახლოსაა ფაქტიურად ბატონყმური წესების აღდგენამდე"[1].

თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ მომრიგებელ შუამავლებად უმთავრესად ისეთი ადამიანებია, რომლებიც ადგილობრივ ჩვეულებებს არ იცნობენ.

„მთელი საქმის ერთადერთი მცოდნენი შუამავლებს შორის არიან ისინი, რომლებიც თავიანთ თანამდებობაზე გადავიდნენ პოლიციის დაბალი საფეხურის აგენტობიდან, მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება საკმარისია, რომ გასაგები გახდეს, თუ როგორ იყენებენ ისინი ადგილობრივი ცხოვრების ცოდნას და როგორი მომრიგებელი შუამავლები შეიძლება იყვნენ ისინი. მათი უმრავლესობა კი კანცელარიის მოხელეები ან ისეთი პირები არიან, რომლებიც მანამდე არავითარ საქმიანობას არ ეწეოდნენ. წაგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოები, რომელთაც მომრიგებელი შუამავლები ემორჩილებიან, უაღრესად ბიუროკრატიული დაწესებულებებია... ისინი არასდროს არ აყენებენ და არ წყვეტენ არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს მათი გამგებლობის დარგში"[2].

საწესდებო სიგელები უნდა შედგენილიყო 2 წლის განმავლობაში. თბილისის გუბერნიაში ეს საქმე მეტისმეტად გაჭიანურდა.

ეს განსაკუთრებით გორის მაზრაზე ითქმის. 1867 წლის იანვარში მეფისნაცვლის სახელით მისი მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი ატყობინებდა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს, რომ მეფისნაცვლისათვის გუბერნატორის მიერ წარდგენილ უწყისში 1866 წლის 8 ნოემბრის მდგომარეობის მიხედვით (ე. ი. რეფორმიდან სწორედ ორი წლის შემდეგ — ი. უ.) საწესდებო სიგელების შედგენის საქმეში თბილისის გუბერნიაში ყველაზე მეტად ჩამორჩებოდა გორის მაზრის მომრიგებელი შუამავლების მე-4 და მე-5 განყოფილებანი. მე-4 განყოფილებაში შედგენილი არ იყო 365, ხოლო მე-5-ში — 148 საწესდებო სიგელი[3]. 1873 წელს კი ბარონ

[1] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, С-Петербург, 1900, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 24.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 935, 1867 წ.

ნიკოლაი აღნიშნავდა, რომ თბილისის გუბერნიაში შედგენილ იქნა 2389 სიგელი 13872 კომლზე, მხარეებს ხელი არ ჰქონდათ მოწერილი 248 სიგელზე[1].

საწესდებო სიგლების შედგენის დროს მემამულეთა დაუფარავი სიხარბე და თვითნებობა გლეხების პროტესტს იწვევდა. ისინი უარს აცხადებდნენ ხელი მოეწერათ საწესდებო სიგლებზე. ასე იყო, მაგალითად, სოფ. ბროწლეთში. აქაური გლეხები ჩიოდნენ 1866 წელს, რომ მემამულე სულხანიშვილმა მათ გამოუყო სოფლიდან 2—2$^1/_2$ ვერსით დაშორებული მიწები, ხოლო გლეხთა კარმიდამოებთან ახლოს მდებარე ნაკვეთები თვითონ მიითვისა.

საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ განიხილა ეს საქმე და აღნიშნა: მემამულე სულხანიშვილი აცხადებს, რომ ეს მიწები ხარისხით ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება, და, თუ საჭიროა, შევცვლი, მაგრამ გლეხთა ამ უკმაყოფილებაში დამნაშავეა გლეხი გაბრიელ ნიკოლიშვილი, რომელიც ადრეც იყო დაპატიმრებული თბილისის ციხეში 3 თვით, რადგან მაშინ მან ბატონის წინააღმდეგ მიმართული წერილი გაავრცელა გლეხებშიო. მემამულემ მოითხოვა ნიკოლიშვილის დაპატიმრება, სანამ საწესდებო სიგლების შედგენა არ დამთავრდებოდა. საკრებულო დაეთანხმა მემამულეს და აღძრა შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე გლეხი გ. ნიკოლიშვილის დაპატიმრების შესახებ.

საკრებულოს ეს დადგენილება მოიწონა მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა[2].

რეფორმიდან 25 წლის გავლის შემდეგაც კი საწესდებო სიგლები ყველგან არ იყო შედგენილი: „საზღვარგარეთული ბერძნული მონასტრების მამულებში, სადაც ცხოვრობს დაახლოებით 20 ათასი გლეხი, უკანასკნელ დროს მხოლოდ ახლა ადგენდნენ საწესდებო სიგელებს“ — აღნიშნავდა გ. თუმანიშვილი[3].

ჩვენ ს. მგალობლიშვილის ნაწერებიდანაც ვიცით, რომ, მიუხედავად ფორმალური გაუქმებისა, ქართლის მთელ რიგ სოფლებში ბატონყმობა შემონახული იყო ბერძნული მონასტრების კუთვნილ სოფლებში. რეფორმის შემდეგ „წმინდა მამებმა“ კიდევ უფრო გა-

---

[1] А. П. Николаи, Отчет по главному управлению наместника Кавказом, 1873, გვ. 17.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 880. ფურც. 3—4, 6—7, 1866 წ.

[3] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900, გვ. 11.

აძლიერეს გლეხობის ექსპლოატაცია. ეკლესიას მხარში უდგნენ ადგილობრივი შეძლებული გლეხები და ჩარჩ-ვაჭრები. ეკლესიას ეშ-ხრობოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია[1].

3. საგლეხო რეფორმა და გორის მაზრის გლეხობა

ა) დროებითვალდებული გლეხები

1870 წლისათვის თბილისის გუბერნიაში 14230 კომლი დროებითვალდებული გლეხი ცხოვრობდა. მათ შორის: თბილისის მაზრაში 1176 კომლი, ბორჩალოს — 1249, დუშეთის — 2416, სიღნაღის— 2080, თელავის — 1830, თიანეთის — 323, ხოლო გორის მაზრაში — 5156 კომლი, ანუ მთლიანად გუბერნიის დროებითვალდებულ გლეხთა 36%. 1873 წლის ცნობით გორის მაზრის დროებითვალდებულ გლეხთა რაოდენობა 6686 კომლს უდრიდა[2].

საწესდებო სიგლების მიხედვით გორის მაზრაში ყოფილა დროებითვალდებულ გლეხთა 5302 კომლი (24063 მამრობითი სქესის სულადობით), მათ შორის:

ბორჯომის უბანში	43	კომლი,	175	(მამრობითი სქესის სული)
მეჯვრისხევის	1783	„	7135	„
სურამის	1048	„	4592	„
ხიდისთავის	1075	„	6265	„
ცხინვალის	1353	„	5896	„

მათ სარგებლობაში იყო მიწები:

	რეფორმამდე				რეფორმის შემდეგ მიიღეს			
	სარწყავი		ურწყავი		სარწყავი		ურწყავი	
ბორჯომის უბანში	2	დეს.	132	დეს.	2	დეს.	84	დეს.
			1660	კვ. საჟ.			1770	კვ. ს.
მეჯვრისხევის „	7802	„	2227	დეს.	4281	დეს.	1662	დეს.
	1754	კვ. ს.	2177	საჟ.	1117	საჟ.	1858	საჟ.
სურამის	1859	დ.	4252	დეს.	961	დეს.	2549	დეს.
	735	საჟ.	1181	საჟ.	124	საჟ.	263	საჟ.
ხიდისთავის	3847	დ.	1532	დეს.	2087	დეს.	762	დეს.
	289	საჟ.	322	საჟ.	4	საჟ.	437	საჟ.
ცხინვალის	2866	დეს.	2023	დეს.	1626	დეს.	2478	დეს.
	1649	საჟ.	167	საჟ.	326	საჟ.	1527	საჟ.
ს უ ლ:	16377	დეს.	10168	დეს.	8957	დეს.	7537	დეს.
	2027	საჟ.	707	საჟ.	1571	საჟ.	1055	საჟ.
	26546	დეს.			16495	დეს.		
	334	საჟ.			226	საჟ.		

[1] И. Иоселиани, Сельское хозяйство и правовые отношения сельского населения, 1887, გვ. 574; ს. მგალობლიშვილი, ლამის მეხრე ალეკო, ედიშერ გეგელაშვილი, რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1951.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 2313, ფურც. 42, 1873 წ.

ამგვარად, რეფორმამდე საბატონო გლეხების განკარგულებაში იყო 26546 დესეტინა და 334 კვ. საჟენი მიწა (სახნავ-სათიბი), ხოლო შემდეგ მათ მიეცათ 16495 დესეტინა და 226 კვ. საჟ., ე. ი. გორის მაზრაში ყოფ. საბატონო გლეხებს ჩამოაჭრეს 9851 დესეტინა[1] და 108 კვ. საჟენი მიწა, ანუ მიწების 37%.

უბნების მიხედვით გლეხებს ჩამოეჭრათ:

ბორჯომის უბანში		47	დეს.	და	2290	კვ. საჟ.	—35,5%
მეჯვრისხევის	„	4086	„	„	956	„	—40,7%
სურამის	„	2601	„	„	1529	„	—42,5%
ხიდისთავის	„	2530	„	„	170	„	—47 %
ცხინვალის	„	784	„	„	2363	„	—15,6%

ჩამონაჭრების ყველაზე დიდი პროცენტი მოდის ხიდისთავის უბანზე, ყველაზე ნაკლები — ცხინვალის უბანზე; ეს საერთოდ, კერძოდ კი ბევრი გლეხი მხოლოდ თითო ციდა საკომლო მიწას ღებულობდა («нулевые наделы»). მაგალითად, სოფ. ძევერის მცხოვრებთაგან 3 კომლმა 40—40 კვ. საჟენი მიიღო, სოფ. ახალქალაქში 6 ოჯახმა 41—41 კვ. საჟ. თითოეულმა, 4 ოჯახმა — 49—49 კვ. საჟ. და 2 კომლმა 50—50 საჟ.[2].

სოფ. წაღვლის მემამულე თავად მიხეილ ამირეჯიბის ნაყმევი ორი კომლიდან რეფორმამდე გიორგი კილაძის ოჯახს ეკავა საკარმიდამო ნაკვეთი 0,5 დღიური, ვენახი — 3/4 დღიური, გრიგოლ კაპანაძეს — საკარმიდამო 0,5 დღიური, ვენახი 3/4 დღიური. ორივე კომლს ერთად ეკავა, აგრეთვე, 51 დღიური ურწყავი მიწა. საწესდებო სიგელში მითითებულია, რომ ეს მიწა თუმცა ურწყავია, მაგრამ კარგ მოსავალს იძლევა, ამიტომ თითოეულ კომლს 10—10 დღიური მიეცესო[3]. დანარჩენი 31 დღიური მათ ჩამოაჭრეს და მებატონეს გადასცეს.

სოფ. დოესში თავად მიხეილ ციციშვილსა და გლეხებს შორის დადებული საწესდებო სიგლიდან ირკვევა, რომ 1860—1861 წლების კამერალური აღწერით ციციშვილზე ითვლებოდა ყმათა სამი

---

[1] დესეტინა უდრის 2400 კვადრატულ საჟენს, დღიური—ნახევარ დესეტინას, ხოლო ჩარეკი—დღიურის 1/4-ს.

[2] Газ. „Кавказъ", 1884, № 73, გვ. 2.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 31, საქმე 222, 1866 წ., საწესდებო სიგელი № 197.

კომლი. შემდეგ მათ ერთი კომლი მიემატათ და მიწა, რომლითაც 1860—1861 წლებში 3 კომლი სარგებლობდა, ახლა 4 კომლს გაუნაწილდა.

მეორე ანალოგიური შემთხვევიდან ჩანს შემდეგი: რეფორმამდე ჯერ 3 კომლს, შემდეგ კი 4-ს ჰქონდა 88 დღიური სახნავი მიწა. რეფორმის შემდეგ გლეხთა ამ ოთხივე კომლს მისცეს 40 დღიური, ე. ი. ჩამოაჭრეს 48 დღიური, ანუ ნახევარზე მეტი[1].

ადგილობრივი დებულება აწესებდა გლეხის საკომლო მიწის უმაღლეს ზომას, მინიმუმს კი არ საზღვრავდა. მემამულე არ იყო ვალდებული ეზრუნა გლეხის ცოტად თუ ბევრად მიწით უზრუნველსაყოფად. ეს ჩანს, მაგალითად, საწესდებო სიგელში, რომელიც დადებული იყო სოფ. ავლევის მემამულე მამაცაშვილსა და გლეხთა 4 კომლს შორის. ამ სიგელით[2] თითოეულ კომლს მიეცა:

	საკარმიდამო	ვენახი ხეხილითა და კაკლის ხეებით	სახნავი
პავლე ჯახველიძის ოჯახს	1/4 დღიური	3/4 დღიური	5,5 დღიური
სოსიკა ჯახველიძის ოჯახს	1/2 „	1 „	7,5 „
ლაზარე დოლაშვილის ოჯახს	1/4	1,5	4
ზაქარია გამდლიშვილის ოჯახს	1/4	—	—

ამ 4 კომლში 22 მამაკაცი იყო. ორივე სქესის რაოდენობა, მართალია, აღნიშნული არაა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დაახლოებით 42-დე სულს აღწევდა. ამრიგად, პავლე ჯახველიძისა და ლაზარე დოლაშვილის ოჯახებს სულზე დაახლოებით 2 ჩარექი (1/2 დღიური) ანუ 1/4 დესეტინა სახნავი მიწა უწევდა, სოსიკა ჯახველიძის ოჯახის წევრებს — 3 ჩარექი (3/4 დღიური), ხოლო ზაქარია გამდლიშვილს მხოლოდ საკარმიდამო მიწა გააჩნდა.

სტატისტიკური ცნობებით საკარმიდამო ნაკვეთები დროებითვალდებულ გლეხთა ყველა კომლს არა ჰქონია. საწესდებო სიგელების მიხედვით, 1865—1866 წლებში შემდეგი მდგომარეობს გვაქვს (იხ. ცხრილი 1).

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 31, საქმე 21225, 1867 წ., საწესდებო სიგელი № 27.

[2] იქვე, საქმე 21181, 1867 წ., საწესდებო სიგელი.

ცხრილი 1

გორის მაზრის დროებითვალდებულ გლეხთა საკარმიდამო ნაკვეთებით უზრუნველყოფა უბნების მიხედვით

უბანთა დასახელება	კომლთა რაოდენობა	ნაკარმიდამო ნაკვეთების რაოდენობა	საკარმიდამო ნაკვეთ. ფართობი	
			დესეტ.	კვადრ. საჟ.
ბორჯომის უბანი	54	54	12	1425
მეჯერისხევის „	1757	1624	198	1880
სუოამის „	1251	1102	198	1230
ხიდისთავის „	1133	910	118	338
ცხინვალის „	1468	1302	156	401
ს უ ლ:	5663	4992	684	474[1]

5663 კომლიდან საკარმიდამო ნაკვეთები გამოუყვიათ 4992 კომლისათვის, ხოლო 671 კომლი ანუ 11,8% მის გარეშე დაუტოვებიათ.

შემდგომში კიდევ უფრო იზრდება უმიწო და მცირემიწიან გლეხთა რიცხვი. 1888 წელს გორის მაზრაში დროებითვალდებულ გლეხთა რაოდენობა 6815 კომლს შეადგენდა. მათგან საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა 4855 კომლს, უნაკვეთოდ რჩებოდა 1960 კომლი, ისინი ძველ მებატონეთა ან „სხვათა“ მიწებზე ისხდნენ.

ცალკეული უბნების მიხედვით დროებითვალდებულთა კომლებს ბაღ-ვენახები შემდეგი რაოდენობით გააჩნდათ:

ბორჯომის უბანში	—	35	ნაკვეთი,	9	დესეტ.	და 603	კვ. საჟ.
მეჯერისხევის „	—	1755	„	499	„	385	„
სუოამის „	—	827	„	269	„	1685	„
ხიდისთავის „	—	1030	„	348	„	90	„
ცხინვალის „	—	1014	„	302	„	1408	„
ს უ ლ:	—	4661	„	1428	„	1471[2]	„

აქ ძნელია დადგენა, თუ რამდენ გლეხს არ ჰქონდა ბაღ-ვენახი, რადგან მოცემული გვაქვს მხოლოდ ნაკვეთების რაოდენობა და ისიც შესაძლებელია, რომ ზოგ გლეხს რამდენიმე ნაკვეთი ჰქონდა, ხოლო ზოგი მას სრულიად მოკლებული იქნებოდა.

თუნდაც თითოეულ კომლზე რომ თითო ნაკვეთი ვიანგარიშოთ, მაინც დაახლოებით ათასი გლეხური კომლი ბაღ-ვენახების გარეშე რჩება.

---

[1] „СССОЧЗТКГ“, გვ. 368—395, 430—431.

[2] Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, под редакцией Е. Кондратенко, 1893, გვ. 12.

ანალოგიური სურათი გვაქვს სახნავ-სათესი მიწების განაწილება-სარგებლობის მხრივაც. გლეხებს ჰქონდათ:

ბორჯომის უბანში		190	ნაკვეთი	152	დესეტ.	590	კვ. საჟ.
მეჯვრისხევის	„	7254	„	6639	„	1690	„
სუოამის	„	5606	„	6140	„	1359	„
ხიდისთავის	„	3640	„	2986	„	416	„
ცხინვალის	„	9087	„	5492	„	1619	„
ს უ ლ:		25777	„	21411	„	874[1]	„

ამგვარად, დროებითვალდებულთა 5663 კომლს სახნავ-სათესი მიწა, საკომლო მიწების სახით, მიეცა 21411 დესეტინა, რაც გაფანტული იყო 25777 ნაკვეთად, ე. ი. საშუალოდ თითოეულ ნაკვეთზე 1 დესეტინაც კი არ მოდიოდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის დროებითვალდებულთა თითოეულ კომლზე საშუალოდ მოდიოდა: საკარმიდამო 281 კვ. საჟენი, ვენახი — 587 კვ. საჟენი, ბაღი — 10 კვ. საჟენი.

სახნავ-სათესი:				
რეფორმამდე	სარწყავი — 3	დესეტ.	538 კვ. საჟ.	5 დესეტ. 618 კვ. საჟ.
	ურწყავი — 2	„	80 „	
რეფორმის შემდეგ	სარწყავი — 1		1772 კვ. საჟ.	2 დესეტ. 2121 კვ. საჟ.[2]
	ურწყავი — 1		349 „	

ამ მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ ყველა სახის მიწა მოდიოდა თითო ოჯახზე რეფორმამდე — 5 დესეტ. და 1496 კვ საჟ., რეფორმის შემდეგ კი 3 დესეტ. და 599 კვ. საჟ.

აქ მოტანილი ცნობები ცხადჰყოფენ, რომ დროებითვალდებული გლეხები გორის მაზრაში უფრო ნაკლებად იყვნენ უზრუნველყოფილნი მიწით, ვიდრე საშუალოდ თბილისის მთელ გუბერნიაში. ცნობილია, რომ გუბერნიაში რეფორმამდე კომლზე საშუალოდ 5,9 დესეტინა მოდიოდა, გორის მაზრაში კი 5,1 დესეტინა. რეფორმის შემდეგ გლეხებს მიეცათ თბილისის გუბერნიაში 3,9 დესეტინა, ხოლო გორის მაზრაში — 3,2 დესეტინა.

საკომლო მიწა არათანაბრად ნაწილდებოდა ცალკეული სოფლების დროებითვალდებულ გლეხთა შორის, ამასთან რეფორმის

---

[1] „СССОЧЗТКГ", გვ. 368—395, 430—431.

[2] Сборник статистических данных о землепользовании и способов хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1899 („ССДЗСХПГЗК"), გვ. 12.

შემდეგ თანდათან მცირდებოდა გლეხთა მფლობელობაში მყოფი მიწების რაოდენობა.

1900-იანი წლების დასაწყისში გორის მაზრის 22 სოფელში (აბისი, ატენი, ახალქალაქი, აწერისხევი, ბეღლეთი, ბრეთი, დგვრისი, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, ქარელი, ქვიშხეთი, მეღვრეკისი, დიდი მეჯვრისხევი, პატარა მეჯვრისხევი, მერეთი, მეტეხი, მონასტერი, რუისი, თამარაშენი, თიღვა, ტირძნისი, ერედვი) 754 დროებითვალდებულ კომლს (ორივე სქესის 4805 სულით) ჰქონდა 1159,99 დესეტინა საკომლო მიწა და 587,93 დესეტინა საკუთარი მიწა, ე. ი. კომლზე საშუალოდ 2,32 დესეტინა, რაც სულზე შეადგენდა 0,36 დესეტინას[1].

აღნიშნული სოფლებიდან დროებითვალდებულთა შორის საკუთარი მიწები უფრო მეტი რაოდენობით ჰქონდათ შემდეგ სოფლებში: ტირძნისში — 151.27 დესეტ. 59 კომლს, თიღვაში — 120,16 დესეტ. 23 კომლს, რუისში — 38,05 დესეტ. 26 კომლს[2].

იმავე 22 სოფლის 754 კომლს შორის მიწა შემდეგნაირად ნაწილდებოდა (თითოეულ კომლზე):

1	დესეტინამდე	ეჭირა	270	კომლს
1—2	„	„	183	„
2—3	„	„	122	„
3—5	„	„	94	„
5—7,5	„	„	53	„
7,5—10	„	„	19	„
10—15	„	„	12	„
20—30	„	„	1	„ (ეს ერთი კომლი ქარელში ყოფილა)[3]

აღნიშნულ კომლთა შორის ვენახი ჰქონია 581 კომლს, აქედან:

1/16	დესეტინამდე	99	კომლს
1/16—1/8	„	161	„
1/8 —1/4	„	165	„
1/4 —1/2	„	112	„
1/2 —3/4	„	28	„
3/4 —1	„	11	„
1—1,5	„	3	„ (ერთი კომლი ატენში, ერთი კომლი
1,5—2	„	2	„ დიდ მეჯვრისხევში)[4]

რეფორმამ გლეხთა ეკონომიური ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გააუარესა. გლეხთა ეკონომიური ცხოვრებისათვის დიდი

[1] „СССОЧЗТКГ", გვ.436.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 442.
[4] იქვე, გვ. 443.

ლახვარი იყო ჩამონაჭრები, რომლებიც, როგორც დავინახეთ, გორის მაზრაში ძალზე დიდი იყო და საშუალოდ შეადგენდა გლეხის განკარგულებაში მყოფი მიწის 37%-ს, ხოლო მაზრის ბევრ სოფელში 50-სა და მეტ პროცენტსაც უდრიდა. გლეხთათვის მიწის ჩამოჭრა წარმოადგენდა ისტორიულ უსამართლობას, რომელიც შემდეგ დიდხანს ხელს უშლიდა საზოგადოების განვითარებას. მეორე მხრით, მემამულეები უფრო ზრდიან გადასახადებს მიწაზე. თუ რეფორმამდე გადასახადი მოსავლის 1/5—1/10-ს და 1/20-საც კი შეადგენდა[1], რეფორმის შემდეგ ის შეადგენს პურის მოსავლის 1/4-ს (ღალა) და ღვინის მოსავლის 1/4-ს (კულუხი).საკარმიდამო ნაკვეთზე კი ფულადი გადასახადი იქნა დაწესებული, დღიურზე 3 მანეთი. ე. ი. მემამულე გლეხის ზედმეტი შრომის (ზედმეტი პროდუქტის) მითვისებას ახერხებს ისე, რომ ამის სანაცვლოდ იძლევა ხშირად უფრო ცოტა მიწას, ვიდრე იძლეოდა ბატონყმობის დროს. იმის გამო, რომ მიწა კვლავ მემამულეთა საკუთრებას შეადგენდა, ყმობიდან თავისუფალი გლეხების დიდი უმრავლესობის სამუშაო დრო ძველებურად იყოფოდა აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ. ზედმეტ სამუშაო დროში გლეხი ჰქმნიდა პროდუქტს, რომელსაც მემამულე ითვისებდა. ეს გამოიხატებოდა მემამულის მეურნეობაში გლეხის ზედმეტი შრომით ან გლეხის მიერ საკუთარ მეურნეობაში შექმნილ და მემამულის მიერ მითვისებულ ზედმეტ პროდუქტებში.

ბევრი მემამულე ძველებურად იქცეოდა და ცდილობდა გლეხისათვის ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მეტის წართმევას.

გორის მაზრის სოფ. ფლავის მცხოვრები, დროებითვალდებული გლეხი სოლომონ ბიძინაშვილი უჩივის მემამულე კაკო ერისთავს — ნადელში დაწესებულზე მეტ გადასახადს მახდევინებს, ხოლო, მიუხედავად ზემდგომი დაწესებულებების მიერ არაერთგზის გაფრთხილებისა, მომრიგებელი შუამავალი ზომებს არ იღებსო. გლეხი თავის ერთ-ერთ თხოვნაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე 1876 წელს წერდა: „ჩემ მიერ კავკასიის მეფისნაცვლის... სახელზე არაერთგზის შეტანილი საჩივრების მიუხედავად, — ჩემზე ზედმეტი ბეგარა-ვალდებულებათა დაკისრების გამო, — გორის მაზრის I განყოფილების მომრიგებელ შუამავალს გაეგზავნა მრავალი მიწერილობა, მაგრამ იგი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ასრულებს მას“[2].

---

[1] Романов Михаил Николаевич, Всеподданнейшая записка от 1.VII —1865 г.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 956, ფურც. 5, 1873—1884 წწ.

ეს საქმე გლეხსა და ნაბატონარს შორის 1866 წლიდან 1884 წლამდე გრძელდებოდა.

მემამულეთა შეუზღუდავ ძალადობაზე მიუთითებს მეორე ფაქტიც. სოფ. ხიდისთავის მცხოვრები გლეხები გაბრიელ და დავით მაწონაძეები 1867 წელს უჩივიან მემამულეს, აზნაურ დიმიტრი მეღვინეთუხუცესს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უკანონოდ მიითვისა მაწონაძეების კუთვნილი ორი ვენახი. გლეხებმა წარადგინეს 1836 წ. 17 სექტემბრის ხელწერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „მე გორის უეზდის აზნაური დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთუხუცესოვი, გაძლევთ, თქვენ ჩემს სამკვიდროთა და ერთგულთა ყმათა, ამავე უეზდსა შინა მცხოვრებელთა სოფელსა ხიდისთავსა, ნასყიდასა და თევდორე მაწონაძეთა და ძეთა თქვენთა ივანესა და გაბრიელსა დავითსა და იოსებსა ამ წერილს: რომელ რადგანცა წინაპართაცა ჩემთათვის გქონიათ თქვენ დაუშრომელი ერთგულებითი სამსახური, და აწცა ჩემზედანა ყოფთ უმეტესსა სამსახურსა; და რადგანცა (ამისათვის) ჩემს მამა პაპათა არ აუღიათ თვისსა დროებასა შინა არარამე კუთვნილთა თქვენდამი ორთა ვენახთა ზედა კულუხნი და მეცა არა ძალმიცს თქვენის ერთგულების გამო არა აღმოგიკვეთოთ იგი აღმოკვეთილი კულუხნი და მომავალთაცა ჩემთაგან არა გეთხოვებოდეთ თქვენ ზემო აღნიშნულთა ვენახებთა ზედან კულუხნი. რომლისათვისაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ აზნაური დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთუხუცესოვი. ამ წერილის ღამწერი და მოწამეცა ვარ გრიგოლ კარიჭაშვილი. ამ წერილის თანახმა ვარ ნინა კონსტანტინეს ასული მამაცოვისა“[1].

საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ვენახები მემამულეს დაუტოვა, სცნო, რომ საბუთი ნასყიდობის შესახებ, რომელიც გაცემული იყო დიმიტრი მეღვინეთუხუცესის ხელმოწერით, შედგენილი იყო მემამულის მცირეწლოვანობისას. ამგვარად, მემამულურმა საკრებულომ სრულიად უარყო მეღვინეთუხუცესის მიერ გაცემულ ხელწერილში ნათქვამი: „კუთვნილთა თქვენდამი ორთა ვენახთა ზედა კულუხნი... არა გეთხოვებოდეთო“ და არა თუ კულუხი, არამედ ვენახები გლეხებს წაართვა და მემამულეს მისცა. შემდეგ გამოირკვა, რომ მემამულე მეღვინეთუხუცესი და თვით მომრიგებელი შუამავალიც გლეხებთან ურთიერთობაში ფიზიკური ძალის გამოყენებასაც მიმართავ-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 79, ფურც. 43, 1868—1875 წწ. (ნინო მამაცაშვილისა დიმიტრი მეღვინეთუხუცესის და იყო).

დნენ. „რაც შეეხება მემამულის მიერ მომჩივანის შევიწროვებას, ასევე მომრიგებელი შუამავლის თავად ციციშვილის მიერ მის ცემას, გამოთხოვილ იქნა ახსნა-განმარტება მომრიგებელი შუამავლისაგან. ამ უკანასკნელმა წარმოადგინა მოწმეებისა და თვითონ მაწონაძის მიერ ხელმოწერილი აქტი, საიდანაც ჩანს, რომ მომჩივანმა პრეტენზიებზე ხელი აიღო. მას განუმარტავს, რომ ეს პრეტენზიები ჩართულია მის თხოვნაში თხოვნის შემდგენელის მიერ, მისდა დაუკითხავად“. ასე იყო ნათქვამი საკრებულოს მიერ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე გაგზავნილ წერილში[1].

ფეოდალური რენტის ყველა ფორმა (შრომამიგებითი, პროდუქტებით, ფულადი) საკვლევი ხანის მთელ მანძილზე გვხვდება გორის მაზრის სოფელში. ამასთან თანდათან იზრდება ფულადი რენტის როლი. შეძლებული გლეხები მემამულეებს უმთავრესად ფულად რენტაზე ურიგდებოდნენ, ღარიბები და საშუალო გლეხები კი უმთავრესად შრომამიგებასა და პროდუქტებით (მოსავლის ნაწილი) რენტას მიმართავდნენ.

დროებით-სავალდებულო დამოკიდებულება გორის მაზრაში ისე, როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, ფაქტიურად მუდმივ სავალდებულო დამოკიდებულებად იქცა. დროებით-ვალდებულება წარმოადგენდა ბატონყმობის ძლიერ ნაშთს. დროებით-ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი დიდხანს არსებობდა; რუსეთში იგი გაუქმებულ იქნა 1881 წლის 28 დეკემბრის კანონით. ამ კანონით დროებით-სავალდებულო ურთიერთობა წყდებოდა 1883 წლის 1 იანვრიდან. ამიერკავკასიას კი ეს კანონი არ შეხებია და ამიტომ დროებითვალდებულთა კატეგორია აქ ხელუხლებლად დარჩა.

შემდგომისათვის, როგორც ფირალოვი აღნიშნავს, ამიერკავკასიისათვის ასეთი დროებითი მდგომარეობა მუდმივი გახდა, ამას კი... „დემორალიზაცია შეჰქონდა გლეხებსა და მემამულეებში, იწვევდა მათ გაბოროტებას ერთმანეთის მიმართ და საქმე მიჰყავდა დავასა, ჩხუბსა და მკვლელობათა ჩადენამდე“[2].

დროებით-სავალდებულო დამოკიდებულება ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. გლეხისათვის უაღრესად შეზღუდული იყო საკუთარ მიწაზე მეურნეობის წარმოების პირობები. ჯერ ერთი, გლეხს მემამულისაგან მიწის გამოსყიდვა შეეძლო მხოლოდ მემამულის ნებართვით (ამასთან მიწის გამოსასყიდი ფული

[1] საქ. ცსსა. ფონდი 220, საქმე 79, ფურც. 5—6, 1868—1875 წწ.
[2] А. С. Пиралов, Аграрный вопрос и крестьянские беспорядки в Закавказье, 1905, გვ. 13.

გლეხს ყოველთვის არ გააჩნდა), მეორეც, მემამულის მიწის დამუშავებისას გლეხი არ ცდილობდა შეექმნა ინტენსიური მეურნეობა და, მესამეც, მიწის ხარისხის გაუმჯობესების შემთხვევაში მემამულე იმავე გლეხს იმავე ნაკვეთს უფრო ძვირად მიჰყიდიდა. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მიწის რაციონალურ დამუშავებას. ორივე მხარე ცდილობდა მიწისაგან რაც შეიძლება მეტი მიეღო. მიწით ასეთი სარგებლობის დროს არ ხდებოდა მიწის განოყიერება და მიწათმოქმედება ატარებდა „მტაცებლურ" ხასიათს. ამის შედეგად მიწა იფიტებოდა და თანდათან ნაკლებ მოსავალს იძლეოდა.

კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „გლეხებისა და (დანარჩენ) სოფლელთა სავალდებულო ურთიერთობა მიწათმფლობელთა მიმართ უარყოფით მოვლენას წარმოადგენდა და ამ ურთიერთობას ბოლო უნდა მოღებოდა, როგორც ბატონყმობის გადმონაშთს"[1]. უფრო გვიან, მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დროებით-სავალდებულო დამოკიდებულება შემდგომში არ შეიძლება მოვითმინოთო[2].

1912 წლის 20 დეკემბრისა და 1913 წლის 7 ივლისის კანონებით გაუქმდა დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი, გლეხები გადაყვანილ იქნენ საკომლო მიწების სავალდებულო გამოსყიდვაზე. მიუხედავად ამისა, დროებით-სავალდებულო დამოკიდებულება და მასთან დაკავშირებული გადასახადები მაინც დარჩა თვით 1917 წლის რევოლუციამდე[3].

1912 და 1913 წლების კანონების მიუხედავად გლეხთა დროებითვალდებულებისაგან განთავისუფლების პროცესი ნელა მიმდინარეობდა მანამდე, სანამ გლეხური მასების დაწოლის შედეგად 1917 წლის 7 ივნისს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა არ მიიღო დადგენილება გამოსასყიდი გადასახადების გაუქმების შესახებ.

თუ რამდენად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა დროებითვალდებული გლეხობა, ნათლად ჩანს დ. ყიფიანის სიტყვებიდან: ყმა გლეხები ხიზნებად რომ დარჩენილიყვნენ, თავის ბედს

---

[1] ციტირებულია წიგნიდან „Великая годовщина", Ореста Семина, 1911, გვ. 53.

[2] Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка, 1907, გვ. 24.

[3] კ. ბაბილოძე, აგრარული ურთიერთობა საქართველოში XIX საუკ. II ნახევარში, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1950, გვ. 30.

დალოცავდნენო[1]. რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები ის გარემობა, რომ დროებითვალდებული გლეხები უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილი სხვადასხვა სახის ბეგარა-გადასახადებით, ვიდრე, მაგალითად, სახელმწიფო გლეხები.

ბ) სახელმწიფო გლეხები

1877 წელს გაზეთი „ივერია" მიუთითებდა, რომ თბილისის გუბერნიაში ნაყმევებს გარდა ცხოვრობენ საეკლესიო გლეხები, რომლებიც ახლა სახასოდ არიან შერიცხულნი, „და სახასო გლეხნი, რომელთაც როგორც ვენახები, ისე სახნავ-სათიბი მიწები უფრო უხვადა და ბლომადა აქვთ"[2].

სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში ყოფნა უფრო სახარბიელო ყოფილა იმითაც, რომ ამ კატეგორიის გლეხის გაყიდვა ან გაჩუქება არ შეიძლებოდა. სოფ. ხიდისთავის მცხოვრები გადამდგარი პორუჩიკი ლუკა სიმონის ძე მეღვინეთუხუცესი თავის ანდერძში 1847 წელს აღნიშნავდა: გლეხი დავით და პეტრე ფარემუზაშვილის ოჯახი (ერთი კომლი 13 სულით) ჩემი და ჩემი ცოლის გარდაცვალების შემდეგ სახაზინო უწყებაში გადავიდესო. ანდერძში ნათქვამია: „ორთავე ჩვენი გარდაცვალების შემდეგ ისინი მთელი თავისი უძრავი და მოძრავი მამულ-დედულითა და ქონებით უნდა შევიდნენ სახაზინო უწყებაში"[3]. შემდეგ აღნიშნულია, რომ: „ეს გლეხი თავისი ოჯახით არავის არ უნდა მიჰყიდონ, არ დააგირაონ და არც გააჩუქონ; — ხოლო ჩვენი სიკვდილის შემდეგ თუ ვინმე განიზრახავს ან გაბედავს მათ ყმად მითვისებას, მაშინ ეს ანდერძი მათ უნდა წარადგინონ პოლიციის უახლოეს საუფროსოში, რომელიც ვალდებულია გამოესარჩლოს მათ, როგორც სახაზინო გლეხებს"[4].

ასე იყო რეფორმამდე. რეფორმის შემდეგაც სახელმწიფო გლეხები დროებითვალდებულ გლეხებთან შედარებით უფრო ძლიერ ეკონომიურ კატეგორიას წარმოადგენდნენ.

გორის მაზრაში სახელმწიფო გლეხთა აბსოლუტური უმრავლესობა სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა. სახაზინო გლეხები თბილისის გუბერნიის 941 სოფელში იყვნენ გაფანტულნი. მათგან გორის მაზ-

---

[1] Д. Кипиани, Хизанский вопрос, Журн. „Юридическое обозрение", № 165, 1884, გვ. 99.

[2] ჟურნ. „ივერია" № 1, 1877, გვ. 4.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 255, საქმე 2361, ფურც. 1, 1847 წ.

[4] იქვე, ფურც. 1—2.

რაზე 123 სოფელი მოდიოდა[1]. 123 სოფლიდან ქართველებით დასახლებული იყო 76; ოსებით — 23, სომხებით — 2, რუსებით — 3, სხვადასხვა ეროვნების ხალხით — 19.

თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხობა შედგენილი იყო ყოფილ საეკლესიო და სამეფო გლეხთაგან, რუსეთიდან გადმოსახლებული გლეხებისა და იმ ჯარისკაცთაგან, რომლებიც აქ რჩებოდნენ საცხოვრებლად, აგრეთვე გერმანული კოლონისტებისა და თურქეთიდან გადმოსახლებულთაგან. ამ რიცხვს ემატებოდა, აგრეთვე, რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილე თავადაზნაურთაგან ჩამორთმეული გლეხები. სახელმწიფო გლეხთა რიცხვი იზრდებოდა არა მარტო ბუნებრივი გამრავლების შედეგად, არამედ, აგრეთვე, სხვა კატეგორიებიდან ამ კატეგორიაში გადასვლის საშუალებით.

გორის მაზრაში 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით სახელმწიფო გლეხთა 3718 კომლი იყო. მათგან ქართველები — 2358 კომლი, სომხები — 564, ოსები — 686, ებრაელები — 50, ბერძნები — 36, რუსები — 24. 1884—1885 წლებში ქართველები შეადგენდნენ 2926 კომლს, სომხები — 688, ოსები — 486, ებრაელები— 58, ბერძნები — 24, რუსები — 25, სულ 4207 კომლი[2].

ეს 4207 კომლი უბნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ბორჯომის უბანში ცხოვრობდა 192 კომლი, მეჯვრისხევისაში — 920, სურამისაში — 985, ხიდისთავისაში — 1091, ცხინვალისაში — 898, ხოლო დანარჩენი ქალაქ გორში[3].

1897 წლისათვის მაზრაში სახელმწიფო გლეხების კომლთა რიცხვი 5044 კომლამდე გაზრდილა[4]. მთიან ზონაში იყო სახელმწიფო გლეხთა 19 სოფელი (ბაკურიანი, ბადაანი, ბორჯომი, გერი, გომანი, ჯომაღა, დაბა, ზღუდერი, კიმასი, ყლარსი, კობი, დიდი მიტარბი, ჭვრივი, საზელეთი, სბა, თორი, ხოჯა, ციხიჯვარი, შუა ერმანი) ამ სოფლებში ცხოვრობდა სახელმწიფო გლეხთა 379 კომლი.

მთისძირა ზონაში იყო 15 სოფელი (ახალდაბა, ანძისი, ბერიჯვარი, ვარდგინეთი, ღრომი, გორიჯვარი, კიტრიული, კორკულა, კორტანეთი, მარალეთი, მიფარეთი, ორტევი, ჭყოპიანი, ჭობისხევი,

---

[1] „МДИЭБГКЗК", т. VI, 1887, გვ. 145.

[2] Свод. материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края („СМПИЭБГКЗК"), Тифлис, 1887, т. II, გვ. 152

[3] „ССДЗСХПГЗК", გვ. 24—36.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 250, 1898 წ.

შელეური) 277 კომლით[1]. დანარჩენი 89 სოფელი ბარად იყო განლაგებული.

მაზრის სახელმწიფო გლეხთა 4207 კომლს ეჭირა: საკარმიდამო ნაკვეთების სახით 414,26 დესეტინა, ბაღ-ვენახები — 784,41 დესეტ., სახნავი — 15410,53 დესეტინა (სარწყავი — 6474,17 დესეტ., ურწყავი — 8936,36 დესეტ.), სათიბი — 510,99 დესეტ., საძოვრები — 4594,18 დესეტ., სულ 21729,82 დესეტინა.

თითოეულ კომლზე მოდიოდა ყველა სახის მიწა — 5,17 დესეტ. აქედან ბაღ-ვენახი — 0,19 დესეტ., სახნავ-სათესი — 3,66 დესეტინა.

სახელმწიფო გლეხთა მიწით უზრუნველყოფა უბნების მიხედვით განსხვავებული იყო:

კომლზე მოდიოდა	ბაღ-ვენახი	სახნავ-სათესი	ყველა სახის სახმარი მიწა
ბორჯომის უბანში	0.04 დესეტ.	2,19 დესეტ.	2,96 დესეტ.
მეჯვრისხევის „	0,15 „	5,35 „	7,81 „
სურამის „	0,13 „	2,55 „	3,11 „
ხიდისთავის „	0,35 „	3,62 „	5,03 „
ცხინვალის „	0,13 „	3,25 „	4,21 „[2]

როგორც ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, ბაღ-ვენახები ყველაზე მეტი ჰქონდათ ხიდისთავის უბანში (კომლზე 0,35 დესეტ.), ყველაზე ნაკლები ბორჯომის უბანში (კომლზე 0,04 დესეტ.). ბორჯომის უბანში ვენახების სიმცირე აიხსნება კლიმატური პირობებითაც (უბანი ძირითადად მთიანი ზონაა). სახნავ-სათესით უფრო უზრუნველყოფილი არიან მეჯვრისხევის უბანში (კომლზე — 5,35 დესეტ.), უფრო ნაკლები მიწები აქვთ ბორჯომის უბანში (კომლზე 2,19 დესეტ.), სახელდობრ, მეჯვრისხევზე 2—3-ჯერ ნაკლები.

მიწით უზრუნველყოფაში განსხვავება არსებობდა არა მარტო უბანთა და სოფელთა შორის, არამედ კომლთა შორისაც. ამასთან ეს განსხვავება უფრო დიდი და უფრო არსებითი იყო. გლეხთა გარკვეული რაოდენობა სრულიად უმიწაწყლო იყო. მთიანი ზონის 19 სოფელში, სადაც სახელმწიფო გლეხთა 2850 სული მამაკაცი და ქალი ცხოვრობდა, იმათგან უმიწაწყლო გლეხობა შეადგენდა 185 სულს, მათ შორის 104 მამაკაცსა და 81 ქალს[3]. მთისძირა 15 სოფლის 2178 სულიდან უმიწაწყლო იყო 86 სული (50 მამაკაცი და 36

[1] „МДИЭБГКЗК", т. VI, გვ. 266—271.
[2] „СМПИЭБГКЗК", т. IV, გვ. 324.
[3] „МДИЭБГКЗК", т. VI, გვ. 266—269.

ქალი)[1]. საერთოდ კი მთელს მაზრაში 26724 სულიდან უმიწაწყლოდ დარჩენილი იყო 1802 სული[2]. როგორც ჩანს, სახელმწიფო გლეხობის 6,7% უკვე 80-იან წლებში სრულიად უმიწაწყლოა. ესენი ქართლის სოფელში ცნობილი იყვნენ ბოგანოთა სახელით.

XIX საუკ. 80-იან წლებში სახელმწიფო გლეხებს ეჭირათ 21729,82 დესეტ. მიწა. ამ რაოდენობაში შედიოდა: სახაზინო მიწა — 20424,53 დესეტ., საკუთარი — 961,53 დესეტ., საერთო თავადაზნაურობასთან — 343,65 დესეტინა.

ეს მიწები შემდეგნაირად იყო დანაწილებული:

		სახაზინო მიწა	საკუთარი მიწა	საერთო მიწა თავადაზნაურობასთან
საკარმიდამო		405,80 დეს.	8,46 დესეტ.	—
ბაღ-ვენახები		705,58 „	78,83 „	—
ტყე		15,45 „	—	—
სახნავი	სარწყავი	5869.07 „	605,10	21,80 დეს.
	ურწყავი	8645,31 „	269,25	
სათიბი		510,99 „	—	—
საძოვარი		4272,33 „	—	321,85 „
	სულ	20424,53 „	961,64 „	343,65[3]

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო გლეხები 80-იან წლებში ძირითადად სახაზინო მიწებზე ცხოვრობდნენ, საკუთარი მიწა მცირე ჰქონდათ (სახაზინო — 94%, თავადაზნაურობასთან საერთო — 1,58%. საკუთარი — 4,42%).

ცნობილია, რომ გორის მაზრა სამ ეკონომიურ რაიონად იყოფოდა: I—მთიან ზონად, II—მთისძირა ზონად და III—ბარად.

სახაზინო მიწები ამ რაიონთა შორის შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ცხრილი 2

გორის მაზრის სახაზინო გლეხთა სახმარი მიწით უზრუნველყოფა ეკონომიური ზონების მიხედვით

		I რაიონი (მთიანი ზონა)	II რაიონი (მთისძირა) ზონა)	III რაიონი (ბარი)	სულ
სახნავ-სათესი	სარწყავი	—	30.00 დეს.	6444,17 დეს.	6474,17 დეს.
	ურწყავი	893,47 დეს.	815,73 „	7227,16 „	8936.36 „
დანარჩენი		1300,01 „	463,44 „	4555,84 „	6319,29 „
ყველა სახის მიწა		2193,48 „	1309,17 „	18227,17 „	21729,82 „

[1] „МДИЭБГКЗК“, т. VI, გვ. 268—271.
[2] იქვე, გვ. 254—265.
[3] იქვე, გვ. 151.

ყველა სახის მიწა მოდიოდა:

	კომლზე	სულზე
I რაიონში —	5,79 დეს.	0,77 დეს.
II რაიონში —	4,72 „	0,60 „
III რაიონში —	5,13 „	0,84 „[1]

სახელმწიფო გლეხთა 123 სოფლიდან მთლიანი ნაკვეთები ჰქონდა 36 სოფელს, დანარჩენი 87 სოფლის მიწები დაქსაქსული იყო მემამულეთა მიწებთან ერთად[2].

სახელმწიფო მიწების ასეთ დაქსაქსულობას გორის მაზრის სახაზინო გლეხთა მდგომარეობის შემსწავლელნი (მაგალითად, ს. მაჩაბელი) ხსნიდნენ იმით, რომ სახაზინო მიწების დიდი ნაწილი წარმოდგებოდა ოდესღაც მემამულეთა მიერ ეკლესიისათვის შეწირული მიწის ნაკვეთებისაგან. შემდეგში, როგორც ცნობილია, საეკლესიო მიწა და საეკლესიო გლეხები ხაზინის გამგებლობაში გადავიდნენ. მიწების ასეთი დაქსაქსულობა გლეხურ მეურნეობაზე ცუდ გავლენას ახდენდა, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა მემამულეთადმი დამოკიდებული მდგომარეობის გახანგრძლივებას.

ისევე, როგორც ყოველ ადგილას, სადაც კი მიწაზე კერძო საკუთრება ბატონობს, გორის მაზრაშიც იმ დროს მიწის საკითხებზე გაუთავებელი დავა წარმოებდა. სადავოს წარმოადგენდა 2040 ნაკვეთი 10929,50 დესეტინა ფართობით. მიწის გამო ერთმანეთს ედავებოდნენ სახაზინო გლეხები, ხაზინა, მემამულეები და სხვ. არევ-დარევა სუფევდა მიწის აღწერებში. გლეხის მიერ მემამულისაგან შეძენილი მიწა ზოგჯერ სახაზინოდ იყო ჩაწერილი. ასე იყო, მაგალითად, შემდეგ სოფლებში: ერგნეთში, კულბითში, ფხვენისში, ტირძნისში და სხვ. ზოგჯერ მთავრობის ორგანოები იძულებული იყვნენ ეცნოთ გლეხის უფლება შეძენილ მიწაზე. ასე იყო სოფელ ფხვენისში, სადაც 33 კომლიდან 7 კომლი გადაყვანილ იქნა კერძო საკუთრეთა კატეგორიაში 1885 წელს[3].

სადავო მიწები სახაზინო გლეხებსა და ხაზინას შორის შეადგენდა 645,60 დესეტინას. ხაზინასა და მემამულეებს შორის სადავო იყო 628 დესეტინა.

სახაზინო მიწის ის რაოდენობა, რასაც გლეხი ამუშავებდა, ჩვეულებრივად, დამოკიდებული იყო გლეხის განკარგულებაში მყოფ მუშა პირუტყვის (გამწევი ძალა) რაოდენობაზე. გუთნის შებმა

---

[1] „МДИЭБГКЗК", т. VI, გვ. 205—206.
[2] „СМПИЭБГКЗК", т. II, გვ. 273.
[3] „МДИЭБГКЗК", т. VI, გვ. 163.

ცალკეულ კომლს იშვიათად თუ შეეძლო. უმეტესად, რამდენიმე ოჯახი ერთ გუთანს აბამდა („გადაბმით ხნავდა“).

სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწები ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: 1. ვარგისი მიწები, რომლებიც ცალკეულ კომლთა მიერ იყო დაჩემებული („ნაფუძარი“, ან „საბლის მიწები“) და 2. დანარჩენი ვარგისი მიწები („სასოფლო“ „სახასო“, „სათემო“)[1]. „ნაფუძარი“ ანუ „საბლის მიწების“ ყიდვა-გაყიდვა თავისუფლად შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც სახელმწიფო მიწების ფონდში შედიოდა. ღირსებით ეს მიწები გაცილებით უკეთესი იყო და მემკვიდრეობით გადადიოდა.

რეფორმას არცკი უცდია ქართლში სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობა ახლებურად. მან დროს მიანდო მასში ცვლილებების შეტანა. რუსეთის გუბერნიებში 1861 წლის კანონით სახელმწიფო გლეხებს სახაზინო მიწა კერძო მფლობელობაში გადაეცა. ეს. კანონი თბილისის გუბერნიაზე არ გავრცელებულა და აქაური სახელმწიფო გლეხები 1917 წლამდე ძველებურ ურთიერთობაში რჩებოდნენ. სახაზინო გლეხებს რეფორმით მიწა არ მიუღიათ, ისინი კაბალურ მდგომარეობაში რჩებოდნენ და დროებითვალდებული გლეხებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ გადასახადებს უხდიდნენ არა მემამულეებს, არამედ ხაზინას.

მიუხედავად ბატონყმური ურთიერთობის ძლიერი ნაშთებისა, სახაზინო გლეხები მაინც იძენდნენ მიწებს კერძო საკუთრებაში. 900-იან წლებში მაზრის 12 სოფელში (ატენი, ახალქალაქი, ბაკურიანი, დგვრისი, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, ქვიშხეთი, მეტეხი, რუისი, თამარაშენი, ტირძნისი, ჩუმათელეთი) 383 სახაზინო კომლს (2 536 სული) ჰქონდა სახაზინო მიწა 619,01 დესეტინა და საკუთარი მიწა 201,96 დესეტინა. სოფ. რუისის 98 სახაზინო კომლს ჰქონდა 119,30 დესეტინა საკუთარი მიწა, სოფელ მეტეხის 125 კომლს 33,94 დესეტინა[2]; ეს მიუთითებს იმაზე, რომ მესაკუთრე გლეხთა გამოყოფა სახელმწიფო გლეხთაგან სხვადასხვა სოფელში განსხვავებული ზომით წარმოებდა.

აღნიშნული 12 სოფლის 383 კომლს მიწა არათანაბრად უნაწილდება. ყველა სახის მიწა ეჭირათ (თითოეულ კომლზე):

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 207—210; პ. გუგუშვილი, თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1946, გვ. 13.

[2] „СССОЧЗТКГ“, გვ. 440—441.

0—1	დესეტინამდე	133	კომლს
1—2	„	101	„
2—3	„	71	„
3—5	„	48	„
5—7,5	„	22	„
7,5—10	„	5	„
10—15	„	3	„

ვენახები ჰქონდათ:

1/16	დესეტინამდე	50	კომლს
1/16—1/8	„	93	„
1/8 —1/4	„	95	„
1/4 —1/2	„	66	„
1/2 —3/4	„	17	„
3/4 —1	„	7	„

ვენახები ჰქონია სულ 328 კომლს. აქედან ნახევარი დესეტინა და უფრო მეტი აქვს 24 კომლს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ვენახი მეტად შრომატევადი კულტურაა და საკმაო შემოსავალსაც იძლევა სხვა კულტურებთან შედარებით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გლეხთა ეს ნაწილი შედარებით შეძლებულ ფენას წარმოადგენდა, გლეხთა უმრავლესობას კი (301 კომლი) ვენახების მცირე ნაკვეთები (1/16—1/2 დესეტინამდე თითოეულ კომლს) ჰქონდა[1].

გ) ხიზნები

ხიზნობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. პირველი საბუთი, რომელშიც ხიზანი მოხსენებულია, როგორც გარკვეული გლეხური კატეგორიის წარმომადგენელი, ეკუთვნის 1552 წელს[2]. ხიზანთა კატეგორია მოხსენებულია ვახტანგ VI კანონებშიც. სულხან-საბას განმარტებით ხიზანი არის ლტოლვილი („ხიზვნა მტერთა და სენთ დარიდება")[3].

ხიზნისა და მემამულის ურთიერთობის საფუძველი მიწა იყო, ხიზნებად, უმთავრესად, მცირემიწიანი ან სრულიად უმიწო გლეხები ხდებოდნენ.

საქართველოში ხიზნობა ყველაზე მეტად გორის მაზრაში იყო გავრცელებული. აქ ბევრი საბატონო გლეხი, მათ სარგებლობაში მყოფი მიწის დიდი სიმცირის ან უმიწობის გამო, საცხოვრებლად გადადიოდა სხვა მემამულესთან, რომელსაც მიწით სარგებლობისა-

---

[1] „СССОЧЗТКІ", გვ. 440—441.

[2] ვ. გურუა, ხიზნობა და ხიზანთა საკითხი საქართველოში, თბილისი, 1954 (Автореферат диссертации).

[3] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 904.

თვის უხდიდა გადასახადს (ამასთან ის ვალდებული იყო გადაეხადა გადასახადი იმისათვისაც, ვის ყმასაც იგი წარმოადგენდა). ხიზნები მარტო მემამულეებს არ ჰყავდათ, „ისინი ჰყავდათ როგორც კერძო მფლობელთ, ისე ეკლესიას და ხაზინას“[1].

ხიზნის მდგომარეობის გათვალისწინების დროს თვალში გვეცემა მისი პირადი უფლებები. მემამულეს არ შეეძლო ხიზნის ყიდვა-გაყიდვა ან გაჩუქება. მაგრამ თუ ხიზანი ე. წ. „თავისუფალი“ თემიდან მოვიდოდა, იგი ხიზნის ხელშეუხებლობით სარგებლობდა მხოლოდ პირველ 30 წელიწადს, შემდეგ კი ის და მისი შთამომავლობა ყმის მდგომარეობაში გადადიოდა. ჩვეულებრივ, ხიზანი, როგორც უმიწო, ან მცირემიწიანი ყმა, გლეხი (საბატონო, საეკლესიო ან სახელმწიფო), გლეხთა ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადადიოდა ისე, რომ ბატონყმური ურთიერთობიდან მას გამოსვლა მაინც არ შეეძლო.

როგორც უკვე ვთქვით, ხიზანი შეიძლება ყოფილიყო მოსული ელემენტი, ე. ი. არა ყმა გლეხი. ისინი ურთიერთობას ამყარებდნენ მიწისმფლობელთან. ეს ურთიერთობა მიწისა და სანაცვლო ძალის შეერთების საჭიროებაზე იყო დამყარებული. ილ. ჭავჭავაძის მოხდენილი თქმით, „იმგვარი მფლობელობა და ხმარება მიწისა, რომელსაც ხიზნობა ჰქვიან, წარმოსდგა ერთის მხრივ იქიდან, რომ მიწას ხელი არ ჰყვანდა საკეთებლად, და მეორეს მხრით — ხელს მიწა არ ჰქონდა“[2]. ეს ურთიერთობა ჩვეულებას ემყარებოდა, რომლის მიხედვითაც მიწისმფლობელს ხიზნის პიროვნებაზე ხელი არ მიუწვდებოდა, თუმცა მფლობელს უფლება ჰქონდა თავისი მიწიდან ხიზანი აეყარა. 1865—1866 წლებში თავადი გივი ამილახვარი თხოულობს, რომ სოფ. რენეს გლეხები, რომელნიც ამილახვარის გამგებლობაში გადავიდნენ, როგორც მისი ცოლის მზითევში მოყოლილნი, ჩაითვალონ ხიზნებად, ე. ი. რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი მიწიდან აყრა. გლეხები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ხიზნები არ იყვნენ და ისევე იხდიდნენ ყოველგვარ ვალდებულება-გადასახადებს, როგორც ყველა სხვა გლეხი[3]. ამ საბუთიდან ჩანს, რომ ქართლის თავადაზნაურობა ხიზნებს ჩვეულებრივ მოიჯარადრეებად სთვლიდა, იგივე საბუთი მიუთითებს ხიზანთა მდგომარეობის დიდ მერყეობაზეც.

---

[1] ალ. ასათიანი, მიწის საკითხი საქართველოში, 1919, გვ. 26.
[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 173.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 881, 1866 წ.

ფ. მახარაძე შემდეგნაირად განსაზღვრავს ხიზნების წარმოშობას: „ხიზნების სათავე ბატონყმურ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. როცა მებატონე უზომოთ აწუხებდა ყმას, ეს უკანასკნელი გარბოდა და ეხიზნებოდა სხვა მემამულეს მიწაზე უფრო შეღავათიან პირობებით"[1]. ფ. მახარაძე ხიზნების წარმოშობას ხედავს გარე-ეკონომიურ ძალაში („მებატონის მიერ ყმის შეწუხება"). თავადი თუმანიშვილი კი შემდეგი აზრისაა:

„...ხიზანი არის თავისუფალი ადამიანი ან სახელმწიფო, ან მემამულის, ან საეკლესიო გლეხი, რომელიც მცირემიწიანობის, შიმშილისა და სხვა უბედურებათა ან რაიმე შემთხვევითი გარემოების გამო იძულებული გამხდარა გადახვეწილიყო თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან და მემამულესთან, სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებაში თავშესაფარი ეპოვნა. ხიზანი ან რჩება ძველ მემამულესთან ბატონყმურ დამოკიდებულებაში, ან არ რჩება"[2].

თუმანიშვილის ამ განმარტებაში აშკარად შეიმჩნევა კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის შეუფასებლობა და ხიზნობის წარმოშობის მხოლოდ წმინდა ეკონომიური მიზეზებით ახსნა.

მფლობელობის ხიზნური ინსტიტუტი მხოლოდ საქართველოში არ გვხვდება. მსგავსი მფლობელობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვა ქვეყნებშიც არსებობდა. ი. ჭავჭავაძე ამის შესახებ ამბობდა: „რუსეთის ჩინში, გერმანიის ერბრახტი, ინგლისის ოლსტერის ჩვეულება, პორტუგალიის აფორამენტო და ყველა ამ გვარნი მფლობელობანი სხვისა მიწისა, ერთს ნერგზედ ამოსულნი და ერთისა და იმავე ბუნებისანი არიან"[3]. ილია ამათ ხიზნობის მაგვარ ინსტიტუტებად თვლის. ხიზნური ინსტიტუტის უმაღლეს ფორმად ილიას ჰოლანდიური ბეკლემრეხტი მიაჩნია: ღალა ანუ იჯარა მუდმივია, ბეკლემმეიერს შეუძლია მიწა გაჰყიდოს, გააქირავოს ან ანდერძით აჩუქოს[4].

მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი თვლიდა, რომ ხიზნობა ყველაზე მეტად ჩინშს უახლოვდებოდა[5]. კოფოდის აზრით, „Хизаны —

---

[1] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. II. გვ. 73.

[2] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900, გვ. 37.

[3] ილ. ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 171.

[4] იქვე, გვ. 168.

[5] Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Закавказским краем, 1907, გვ. 37.

род чиншевиков".[1] „ჩინშევიკი" პირადად თავისუფალი იყო. მის მოვალეობას შეადგენდა „ყოველთვის, განსაკუთრებული მოთხოვნის გარეშე, თავის დროზე, გადაეხადა მესაკუთრისათვის განსაზღვრული ჩინში"[2]. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ხიზნები უვადო-მემკვიდრეობითი მოიჯარადრეები იყვნენ[3].

რეფორმის შემდეგ, როცა გლეხი მიწისმფლობელს ეხიზნებოდა, ორივე მხარე ფიქრობდა, რომ ხიზანი მუდმივად დარჩებოდა მიწაზე, ხოლო მემამულე თავის უფლებას მიწიდან მუშაკის აყრისას არ გამოიყენებდა. ხიზანი ეწყობოდა არა დროებით, არამედ მუდმივად ისე, რომ ხიზანთა მოიჯარადრეთა იურიდიულ კატეგორიაში ჩარიცხვა არასწორი იყო. ხიზანი მუდმივ სარგებლობაში იღებდა მიწას.

რეფორმის შემდეგ ხიზანთა საკითხის მწვავედ დაყენებასთან დაკავშირებით მემამულეები მოითხოვდნენ ხიზნების ვადიან მოიჯარადრეებად მიჩნევას, რათა ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო ხიზნების აყრა.

ქართველი პროგრესული მოაზროვნეები სასტიკად ილაშქრებდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა ხიზანთა მოიჯარადრეებად მონათვლას. ნ. ნიკოლაძე 1880 წელს აღნიშნავდა: „ხიზნების მოიჯარადრეებად მონათვლა და მათი საერთო კანონმდებლობისაღმი დაქვემდებარება—ნიშნავს იმას, რომ მთელი ეს კლასი დაუმორჩილოთ მებატონეთა ძალადობას"[4].

ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა ხიზნის ღალისა და სამსახურის უცვლელად დარჩენას (ე. ი. არ მოხდეს მისი ზრდაო. ი. უ.), ხოლო თვითონ ხმარება მიწისა უსათუოდ ვადადაუდებელი უნდა იყოსო. ილიას მიაჩნდა, რომ ხიზნის მიერ მიწის ხმარება საშვილიშვილოა და რომ ღალა-გადასახადი უცვლელია[5]. გაზეთი „დროება" უარყოფს აზრს მოიჯარადრისა და ხიზნის იგივეობის შესახებ—„არენდატორი ყოველთვის ვადით იღებს ხოლმე მიწას და ხიზანი კი უვადოთო"[6].

---

[1] А. Кофод, Сельскохозяйственные очерки Закавказья, С-Петербург, 1904, გვ. 56.

[2] Л. Гантовер, О происхождении и сущности вечно-чиншевого владения, С-Петербург, 1884, გვ. 37.

[3] „СМПИЭБГКЗК", т. II, გვ. 403.

[4] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1932, გვ. 261.

[5] ა. იოსელიანი, ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, 1951, გვ. 393.

[6] გაზეთი „დროება", 1880. № 77, გვ. 2.

*
* *

1861 წელს თბილისის გუბერნიაში იყო ხიზანთა 5938 ოჯახი[1].

1876 წლისათვის გორის მაზრაში იყო 3250 კომლი ხიზანი, ყველა ისინი მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდნენ; მათგან ყოფილა ყმა გლეხი იყო 2310 კომლი, დანარჩენები ეკუთვნოდნენ თავისუფალ ვლეხთაგან გამოსულ პირებს[2].

70—80-იან წლებში ძალიან სწრაფად იზრდება ხიზანთა რიცხვი გორის მაზრაში. თუ 1882—1884 წლებში აქ 3222 კომლი იყო, 1890 წელს, ე. ი. 7—8 წლის შემდეგ, ის გაიზარდა 7148 კომლამდე, ანუ 3926 კომლით. მაზრაში ხიზანთა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში ყოველწლიურად საშუალოდ 400—500 კომლით იზრდებოდა.

ხიზანთა რაოდენობის სწრაფი ზრდა მიმდინარეობს არა მარტო ვლეხობის სხვა თანრიგებიდან ამ კატეგორიაში გადასვლის საშუალებით, არამედ უმთავრესად მთიდან მოსახლეობის ჩამოსვლით. ხიზანთა „მცირე რიცხვი დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულია და დიდი უმრავლესობა, რომელთაც კავკასიის მთავრობა „ტერორისტულ“ ხიზნებს უწოდებს, იმის გამო, რომ ისინი მუდმივ დავაში არიან მემამულეებთან, ჩრდილო კავკასიის მთებიდან არიან ჩამოსახლებულნი“[3]. თბილისის გუბერნიის ხიზანთა უმრავლესობას კავკასიის მთიელები შეადგენდნენ, რომლებიც თავის ვიწრო ხეობებში მიწის დიდი სიმცირის გამო მუდამ გატანჯული იყვნენ[4]. მთიდან მოსული ხიზნები უმთავრესად ტყეებში მკვიდრდებოდნენ[5] და ხელს ჰკიდებდნენ მესაქონლეობასა და ხვნა-თესვას.

ხიზნები ყველაზე მეტი რაოდენობით სურამის უბანში ცხოვრობდნენ (1 152 კომლი). მაზრის სასოფლო საზოგადოებათაგან კი ბორჯომის (266 კომლი), ქვიშხეთის (145 კომლი), იტრიის (128 კომლი), წრომის (130 კომლი), ქარელის (205 კომლი), ყორნისის (157 კომლი), თორმანეულისა (117 კომლი) და წუნარის (134 კომლი) საზოგადოებებში[6].

---

[1] „МДИЭБГКЗК“. т. I, გვ. 402—403.

[2] იქვე, გვ 445—446.

[3] Прекращение хизанских отношений в Грузии, Тифлис, 1914, გვ. 23.

[4] З. Ванеги, Социально-экономическое положение крестьян Юго-Осетии накануне революции, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского Института, Выпуск III, Сталинири, 1936, გვ. 227—228.

[5] А. Кипшидзе, Очерк крепостного права и крестьянская реформа. журн. „Кавказский вестник“, 1902, № 6.

[6] Свод сведении о экономическом положении хизан Тифлисской и Кутаисской губерниях, 1883, გვ. 4—20.

ხიზნები ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენდნენ. თანამედროვენი ხიზნებს ისევე, როგორც გლეხთა სხვა ჯგუფებსაც, ეკონომიური სიძლიერის მიხედვით ოთხ ძირითად ჯგუფად ყოფდნენ:

I ჯგუფს („ლიტრიანების" სახელწოდებით) მიეკუთვნებოდნენ ყველაზე შეძლებულნი. მათ სარგებლობაში ჰქონდათ კომლზე საშუალოდ 20 დღიური მიწა მაინც.

II ჯგუფს შეადგენდნენ „სამჩარექიანები", რომელთაც ჰქონდათ 15 დღიური მიწა.

III ჯგუფს „ნახევარლიტრიანები" (ორი ჩარექი)—10 დღიურით.

IV ჯგუფს „ჩარექიანები" — 5 დღიურით.

ამ კატეგორიების გარეშე იდგნენ უმიწო ხიზნები[1], რომელთაც ჰქონდათ მცირე საკარმიდამო ნაკვეთები. ეს ნაკვეთები მემამულეთა საკუთრებას შეადგენდა. ხიზანთა 126 კომლს (3,9%) კი სრულიად არ ჰქონდა საკარმიდამო ნაკვეთები[2].

1882—1884 წლებში კომლთა რიცხვი სახნავი მიწების რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

	0—2,5 დესეტ. ჰქონდა	2,5—5 დესეტ.	5—25 დესეტ.	არ ჰქონდა სახნავი მიწა
გორის მაზრაში	829 კომლს (25.5 %)	1671 კომლს (51,5 %)	486 კომლს (15,0 %)	189 კომლს (5,8 %)
თბილისის გუბერნიაში	1586 კომლს (22,41 %)	2066 კომლს (43,8%)	1869 კომლს (20,21%)	782 კომლს (11,54%)[3]

ხიზანთა 25,5%-ს 2,5 დესეტინამდე მიწა უკავია, ესენია ის ე. წ. „ჩარექიანები", რომელთაც თვით მეფისდროინდელი სტატისტიკა ღარიბ გლეხებად თვლიდა. სტატისტიკა ერთად გვაძლევს ყველა იმათ, ვისაც 5 დესეტინაზე მეტი ეჭირა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ 8—10% ამ მფლობელებიდან შეძლებული გლეხები („ლიტრიანები") იყვნენ. უეჭველია, ეს ე. წ. „ლიტრიანები" ხშირად მიმართავდნენ დაქირავებული შრომის გამოყენებასაც, რადგან დიდი რაოდენობით პირუტყვის მოვლა და 20 დღიურზე მეტი მიწის დამუშავება ჩვეულებრივად მოითხოვდა მუშახელს იმაზე მეტი რაოდენობით, რაც ოჯახს გააჩნდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის მაზრაში ხიზნებს ეჭირათ 10 493 დესეტინა სახნავ-სათესი, რაც კომლზე საშუალოდ 3 დესეტინასა და

---

[1] „МДИЭБГКЗК", т. I, გვ. 139.
[2] „ССДЗСХПГЗК", გვ. 16.
[3] იქვე, გვ. 17.

1 234 კვ. საჟენს შეადგენდა, გუბერნიაში კი 4 დესეტინას და 1 522 საჟენს უდრიდა[1].

ხიზნები სარგებლობდნენ, აგრეთვე, ბაღ-ვენახებით:

	0—600 კვ. საჟენამდე ფლობდა	600—1200 კვ. საჟენამდე	არ ჰქონდათ ბაღ-ვენახები
გორის მაზრაში	191 კომლი (5,9 %)	25 კომლი (0,8 %)	2959 კომლი (91 %)
თბილისის გუბერნიაში	367 კომლი (5,43 %)	211 კომლი (3,11 %)	6125 კომლი (90,42 %)

მაზრაში ხიზანთა სარგებლობაში იყო ბაღ-ვენახები სულ 29 დესეტინა და 241 კვ. საჟ., ე. ი. კომლზე საშუალოდ 323 კვ. საჟ. ვუბერნიაში კი ეს რაოდენობა ორჯერ უფრო დიდი იყო და შეადგენდა 614 კვ. საჟენს[2].

ხიზანთა მდგომარეობა ძველებურად მძიმე რჩებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც. მაზრის 9 სოფელში (აბისი, აწერისხევი, ბეღლეთი, ბრეთი, ბულბულისციხე, ქვიშხეთი, მონასტერი, ტაშისკარი, თიღვა) მცხოვრებ ხიზანთა 77 კომლს, 519 სულით (ორივე სქესისა), ეჭირა 262,05 დესეტინა ყველა სახის მიწა (საშუალოდ კომლზე 3,40 დესეტ., სულზე 0,5 დესეტინა). ამასთან, მიწა ხიზანთა კომლებს შორის არათანაბრად ნაწილდებოდა:

თითო	დესეტინამდე	ეჭირა	7	კომლს
1—2	„	„	15	„
2—3	„	„	15	„
3—5	„	„	23	„
5—7,5	„	„	13	„
7,5—10	„	„	2	„
10—15	„	„	2	„[3]

მაშასადამე, 17 კომლს აქვს 5—15 დესეტინამდე მიწა, დანარჩენებს კი ნაკლები.

ვენახი ჰქონდა 39 კომლს. აქედან $^1/_{16}$ დესეტინამდე—5 კომლს, $^1/_{16}$—$^1/_8$ დესეტინამდე — 20 კომლს, $^1/_8$—$^1/_4$ დესეტინამდე — 9 კომლს, $^1/_4$—$^1/_2$ დესეტინამდე—4 კომლს, $^1/_2$—$^3/_4$ დესეტინამდე —1 კომლს (ეს ერთი კომლი ტაშისკარიდან არის).

მიწით სარგებლობის სანაცვლოდ ხიზნები რენტას იხდიდნენ. რენტის რაოდენობა იცვლებოდა მიწის ნაყოფიერებისა და მისი მდე-

---

[1] „ССДЗСХПГЗК", გვ. 17.

[2] იქვე.

[3] „СССОЧЗТКГ", გვ. 437, 444—445.

ბარეობის (ბაზარსა და რკინიგზის სადგურთან სიშორე-სიახლოვის) მიხედვით.

გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი შემდეგს აღნიშნავდა: „მამულის მდებარეობისა და მიწის ნაყოფიერების დაგვარად იცვლება ხიზნის ვალდებულება. ერთგან ვხედავთ, რომ გარდა დღიურზე გადაწყვეტილი ორი კოდი ჭირნახულისა ხიზანი იხდის დიდის სიამოვნებით კვირაში ერთხელ ბეგარას მუშით და ურმით; უხნავს მებატონეს, უთესავს, უმკის, ულეწავს კიდეც და ძღვენსაც მიართმევს. მეორედან კიდევ ვხედავთ, რომ ორი კოდის მაგიერათ აძლევს მხოლოდ ერთ კოდს ღალას და მცირე ბეგარას. მესამედგან კი—არც ღალას იხდის, არც ბეგარას, მხოლოდ მცირე გადაწყვეტილი ფული (მახტა) და ორიოდ ძღვენი არის მისი ვალდებულება. ამგვარი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვთვალოთ, სულ განსხვავებული ერთი მეორისაგან“[1].

ხიზნები სახნავ-სათესი მამულებით სარგებლობისათვის გადასახადს იხდიდნენ შემდეგი სახით: ან მოსავლის ნაწილს $^1/_6$-დან $^1/_2$-მდე (გადასახადი გაიცემოდა მოსავლის აღების შემდეგ ძნების და გალეწილი ხორბლის სახით), ან გადასახადს, იმისდა მიუხედავად, თუ როგორი მოსავალი იქნებოდა, დღიურზე 1—4 კოდამდე (კოდი=2 ფუთსა და 10 გირვანქას ან მეტს, 4 ფუთსაც კი) — ეს იყო ღალა.

სათიბი მიწით სარგებლობისათვის ხიზანი იხდიდა აღებული თივის ნახევარს, ბაღით სარგებლობისათვის—ბაღის შემოსავლის $^1/_4$-დან $^1/_2$-დე, ხოლო ვენახით სარგებლობისათვის $^1/_4$-დან $^1/_3$-დე. ვენახის გადასახადს კულუხი ეწოდებოდა. როგორც წესი, კულუხს ყურძნის წვენის სახით იხდიდნენ.

თუ ხიზანი მემამულის მიწაზე საკუთარი საშუალებებით გააშენებდა ბაღს, მაშინ შესაძლებელი იყო 5—10 წლის შემდეგ მის განკარგულებაში გადასულიყო ან ბაღის ნახევარი (სამუდამოდ სარგებლობისათვის), ან მთელი ბაღი 10—12 წლით სარგებლობისათვის.

ღალა და კულუხი ხიზანს საკუთარი საშუალებებით უნდა მიეტანა მებატონესთან.

გარდა აღნიშნული გადასახადებისა, ხიზანი ვალდებული იყო მინდვრით, ტყით, საძოვრითა და წყლით სარგებლობისათვის შრომამიგებითი ვალდებულებანი შეესრულებინა მემამულის სასარგებლოდ; ამას ბეგარა ეწოდებოდა. საბეგარო სამუშაო წარმოებდა, უმთავრესად, ხვნა-თესვის, მოსავლის აღებისა და ბაღ-ვენახების შემუ-

[1] გაზ. „დროება“, 1880, № 75, გვ. 1—2.

შავების დროს. მებეგრესვე ევალებოდა მემამულისათვის შეშის მიტანა და დახმარება მშენებლობის დროს. სამუშაო დღეების რაოდენობა ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრებოდა. ხიზანთა ნაწილი პიწათსარგებლობის სანაცვლოდ ფულად გადასახადს იხდიდა.

ტყითა და საძოვრებით სარგებლობისათვის ხიზნები მხოლოდ ფულად გადასახადს იხდიდნენ. საერთოდ კი ხიზნებს უმთავრესად შერეული სახის ვალდებულება-გადასახადების გადახდა უწევდათ.

ხიზნები, კუჩაევის აზრით, პირადი დამოკიდებულების გამომხატველ გადასახადებს (საქვრივო, საჩექმე, მოსამსახურის მიცემა და სხვა) არ იხდიდნენ, ან თუ იხდიდნენ მხოლოდ „საკუთარი სურვილით"[1]. მისივე აზრით, სამუშაო დღეების რაოდენობა მემამულის სასარგებლოდ წელიწადში 2—30 დღეს უდრიდა. თითოეულ ხიზანს ურემი წელიწადში 1—2-ჯერ უნდა გამოეყვანა.

ამ ვარაუდში კუჩაევი ცდება. მის მიერ მოტანილი ცნობებიდანაც ჩანს, რომ ხიზნის ვალდებულებები ფაქტიურად ყმა გლეხის მდგომარეობას გამოხატავდა.

ვეიდენბაუმიც აღნიშნავდა კუჩაევის აზრის მცდარობას. კუჩაევის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ხიზნები საადგილმამულო გადასახადებს იხდიდნენ აუცილებლად, ხოლო პირად ბეგარა-გადასახადებს კი საკუთარი სურვილით,—ვეიდენბაუმი გულუბრყვილობად სთვლის[2].

1863 წელს ქართლის მემამულეები დ. ყიფიანს სწერდნენ: ხიზნები მოვალე არიან უხადონ მებატონეს „დღიურზედ 2 კოდი პური ანუ ღალა მოსავლის მეექვსედი, ვენახიდან კულუხი მეექვსედიცე მოსავლისა, აგრეთვე ხეხილიდამაც, კომლზედ ორმოცი მუშა წელიწადში და სამი ძღვენი.

დღიურზედ—ორი კოდი და ორი ჩანახი; გაკეთებულს ყანაზედ მოსავლის ნახევარი; წელიწადში 80 მუშა კომლზედ, 3 ძღვენი და 3 ურემი შეშა"[3].

ეს იყო რეფორმამდე, რეფორმის შემდეგ კი, როგორც კუჩაევი წერს, „მემამულეებმა ხიზნებს გადიდებული ბეგარის მოთხოვნა დაუწყეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ხიზნები ამაზე არ ეთანხმებოდნენ, მემამულეები სასამართლო ხელისუფალთ უყენებდნენ მოთხოვნას—გაესახლებინათ ხიზანნი მათ მიერ დაკავებული ნაკვეთები-

---

[1] „МДИЭБГКЗК", т. I, გვ. 400—401.

[2] Е. Вейденбаум, Хизаны в Грузии, 1913, გვ. 27.

[3] Сельское хозяйство и аграрные отношения, под редакцией проф. П. Гугушвили, т. II, 1950, გვ. 82.

დან, და სასამართლო ხელისუფალთაც არ შეეძლოთ არ დაეკმაყოფილებინათ მფლობელთა კანონიერი მოთხოვნანი"[1].

ამგვარად, აღიარებულია, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ ხიზნების ექსპლოატაციის ხარისხი იზრდება. გადასახლების შიშით ხიზნები იძულებული არიან გადაიხადონ გაზრდილი ბეგარა-გადასახადები. თუ რეფორმამდე ხიზნის ერთ ოჯახს მემამულის სასარგებლოდ. გარდა სხვა გადასახადებისა, უნდა შეესრულებინა ბეგარა 40—80 დღის განმავლობაში, ცხადია რეფორმის შემდეგ ასეთი გაზრდილი ექსპლოატაციის პირობებში არ შეიძლებოდა ეს რიცხვი 30 დღემდე ყოფილიყო შემცირებული. მსგავსი შეცდომების საფუძველი მკვლევართა კლასობრივ შეზღუდულობაში უნდა ვეძიოთ. რად ღირს თუნდაც კუჩაევის ის აზრი, რომელიც ხიზნების ექსპლოატაციის გაძლიერებას „მფლობელთა კანონიერ მოთხოვნილებებად" მიიჩნევს.

ჩვენ გვაქვს ხიზანთა ვალდებულება-გადასახადების ცოტად თუ ბევრად ზუსტი აღრიცხვა 80-იანი წლებისათვის. გორის მაზრის 3 253 კომლი ხიზნიდან ფულად გადასახადს იხდიდა 717 კომლი. ეს გადასახადი შეადგენდა საკარმიდამო მიწაზე დღიურზე წელიწადში 3 მანეთს, ტყისა და საძოვრისათვის კომლზე საშუალოდ 5 მანეთს, სხვა სახის მიწებზე დღიურზე 1 მან. და 50 კაპ., შერეული სახის გადასახადს იხდიდა 2 455 კომლი. ამათგან 94 კომლი ღალასა და კულუხს იხდიდა მოსავლის $^1/_6$ ნაწილის სახით, 194 კომლი—$^1/_5$-ს, დანარჩენები კი $^1/_4$-ს, ან დღიურზე 2,5—3 კოდს[2]. რეფორმამდე ღალა-კულუხი იშვიათად აღემატებოდა მოსავლის $^1/_6$-ს, 80-იან წლებში კი $^1/_6$-ს იხდიდა ხიზანთა მთელი რაოდენობის მხოლოდ 2,8%.

* * *

1864 წლის 13 ოქტომბრის დებულება ხიზნებს არ შეხებია. გლეხთა მოწყობის კომიტეტმა 1866 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რაც შემდგომში მეფისნაცვალმა დაამტკიცა, უარყო საგლეხო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულოს წინადადება ხიზანთათვის საკომლო (სანადელო) მიწების გამოყოფის თაობაზე. ეს შემდეგნაირად დაასაბუთეს: ა) საკომლო მიწების გაცემით მყარდება ისეთი დროებით-სავალდებულო ურთიერთობანი, რომელიც შეუთავსებელია თავისუფალ დამოკიდებულებაში მყოფ პირთა უფ-

[1] „МДИЭБГКЗК", т. I, გვ. 407—408.
[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 200.

ლებებთან, და ბ) სავალდებულო გამოსყიდვის დროს საჭირო იქნება მთავრობის დახმარება, რაც დროებითვალდებულ გლეხთა გარდა არ შეიძლება სხვაზე გავრცელდეს[1].

თავადაზნაურობა ყოველნაირად ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ხიზნები აღარ არსებობდნენ, რომ ისინი ჩვეულებრივი მოიჯარადრეები იყვნენ. 1880 წლის 28 მარტს გორის მაზრის თავადაზნაურობის საგანგებო კრებამ განიხილა ხიზანთა საკითხი. აღინიშნა, რომ ხიზნები არსებობდნენ რუსეთთან შეერთებამდე, დროთა განმავლობაში ხიზნები ყმების მაგვარ დამოკიდებულებაში ჩავარდნენ და მათ შორის განსხვავება წაიშალა. ხიზნები საბოლოოდ გადაიქცნენ ყმებად. მაშასადამე, — აცხადებდნენ მებატონეები, — „აღწერილი ხიზნური ურთიერთობანიც შეწყდაო“. ამჟამად ერთი მემამულის გლეხები თუ სხვა მებატონეს უკავშირდებიან, მისგან მამულს იჯარით იღებენ (სელშეკრულება იდება წერილობით ან ზეპირი წესით). ამგვარად, კატეგორია ხიზნებისა აღარ არსებობს, „ასეთი კატეგორიის გლეხები... სარგებლობდნენ მოიჯარადრეთა უფლებებით“[2]. „გორის მაზრაში ხიზნები უკვე აღარ არსებობენო“ — დაასკვნიდნენ მემამულეები[3].

ჯერ კიდევ რეფორმისათვის მზადების პერიოდში გუბერნიის თავადაზნაურობა ცდილობდა ყმა გლეხები ეცნო ხიზნებად, ხოლო ხიზნები უბრალო მოიჯარადრეებად. ეს იმას ნიშნავდა, რომ გლეხებს როცა უნდოდათ, მაშინ აჰყრიდნენ მიწიდან. ეს გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერებას მოასწავებდა.

ხიზანთა საკითხის გადაჭრის მიზნით 1884 წლის 14 ივლისს შეიკრიბა თბილისის თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობა. მებატონეებს მანამდეც ჰქონდათ გამოთქმული თავიანთი მოსაზრება ხიზნების შესახებ. ამის გარშემო ახლაც მსჯელობდნენ. ზოგიერთმა მემამულემ თავისი მოსაზრება წერილობით წარადგინა[4].

თავადაზნაურთა ერთი ნაწილი მომხრე იყო ხიზნებისათვის, დროებითვალდებული გლეხების მსგავსად, საკომლო მიწების გამოყოფისა, მეორე ნაწილი კი ხიზნებს მიიჩნევდა მოიჯარადრეებად და წინააღმდეგი იყო მათთვის საკომლო მიწების გამოყოფისა[5].

---

[1] „МДИЭБГКЗК“, т. I, გვ. 435.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 31, საქმე 1035, ფურც. 29—30, 1880 წ.
[3] იქვე, ფურც. 30, 1876—1885 წწ.
[4] „МДИЭБГКЗК“, т. I, გვ. 410.
[5] იქვე, გვ. 416.

1884 წლის 14 მაისს ი. ჭავჭავაძე გამოვიდა სიტყვით, სადაც დააყენა საკითხი — „დარჩეს ხიზნობა, თუ საჭიროა მისი გაუქმება?“.

ილიას მიაჩნდა, რომ ხიზნობა არ შეიძლებოდა გაუქმებულიყო მსგავსად ყმობისა, რადგან, მისი აზრით, ის „სასიკეთო მოვლენა იყო“[1].

ილიამ, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა, რომ ხიზნობის „სიკეთე“ ფრიად შედარებითი იყო, მაგრამ რაკი იგი გამოდიოდა კონკრეტულ-ისტორიული ვითარებიდან, ამიტომ მას სცნობდა სასიკეთო მოვლენად. იმ დროს ხიზანთა საკითხის გადაჭრის ბედი მხოლოდ თავადაზნაურობასა ჰქონდა ხელთ. თუ ხიზნების კატეგორია მოიჯარადრეთა კატეგორიად დაკანონდებოდა, მაშინ ხიზნები კარგავდნენ იმ უდიდეს შრომას, რაც მათ გასწიეს მემამულეთა მიწებზე. განსაკუთრებით მრავალწლიანი კულტურების მოშენებისა და ნაგებობათა შექმნის საქმეში.

მემამულურ ყრილობაზე ხიზანთა საკითხი არ გადაწყვეტილა.

სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებაში იყო მიმდინარეობა, რომელიც უფრო რაციონალურად მიიჩნევდა ხიზანთა ყოფილ რეფორმას, რისთვისაც მოითხოვდა შემდეგ ღონისძიებათა გატარებას: ა) ხიზანთა სარგებლობაში მყოფი მიწების სახელმწიფო საკუთრებად გამოსყიდვა, ბ) ხიზანთა მუდმივ მოიჯარადრეებად დატოვება ამ მიწებზე, გ) სახელმწიფოს უნდა დარჩენოდა უფლება ხიზანთა საკომლო მიწის სიდიდის შეცვლისა მუშახელის რაოდენობის შესატყვისად, დ) საკომლო მიწა უნდა იყოს იმდენი, რამდენსაც დაამუშავებს ოჯახი საკუთარი მუშახელით[2].

მიწის სახელმწიფო საკუთრებად გამოსყიდვის სარგებლიანობას, წინააღმდეგ ხიზანთა პირად საკუთრებაში მიწის გამოსყიდვისა, ვერმიშევი შემდეგნაირად ასაბუთებს: „ხიზანთა საკუთრებაში მიწის გამოსყიდვის არასასურველობა გამართლებულია იმით, რომ საკუთრების უფლება, რომელიც მიწაზე ვრცელდება, არა მარტო ხელს აო შეუშლის მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში მიწის თავმოყრას, უმრავლესობის უმიწობის გვერდით, არამედ ამ არასასურველ მოვლენას უაღრესად ფართო გასაქანსაც მისცემს, როგორც ეს მტკიცდება, მაგალითად, მიწის განაწილებით კომლობრივი მფლობელობის

[1] საქ. ცსსა, ფონდი 31, საქმე 1035, ფურც. 168, 1876—1885 წწ.

[2] Х. Вермишев, Хизаны и хизанство, Труды Кавказского общества сельского хозяйства, 1885, № 2—3, გვ. 25—26.

რაიონებში და რუსეთის ამ ნაწილში სოფლის პროლეტარიატის შექმნით"[1].

მეფის მოხელე ვერმიშევი მიუთითებს ინგლისზე, სადაც მთელ რიგ რაიონებში გლეხები მიწიდან აყარეს და პროლეტარებად აქცეს. არავის არ შეუძლია თავდებობა, რომ ეს ერთხელ ჩვენთანაც არ მოხდებაო. გლეხთა გაპროლეტარების შიში, მასთან დაკავშირებული შედეგებით—რევოლუციითა და მემამულეთა კლასისა და მეფის მთავრობის ბატონობის დამხობით—აი, რა ალაპარაკებდა ვერმიშევს.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ი. იოსელიანი გამოთქვამდა აზრს, რომ ხიზანთა საკითხი მოეგვარებინათ საგლეხო რეფორმის საფუძველზე: ეცნოთ ხიზნის უფლება იმ მიწაზე, რომლითაც იგი სარგებლობდა, მიწის სავალდებულო გამოსყიდვით[2].

ხიზანთა საკითხის მოგვარების მიზნით 1891 წლის 3 ივნისს გამოცემულ იქნა კანონი. ამ კანონის მე-2 მუხლით ხიზნებს რჩებოდათ უფლება სარგებლობისა იმავე საკარმიდამო სახნავ, სათიბ მიწებსა და ბაღ-ვენახებზე, რასაც მანამდე ფლობდნენ (იმავე ვალდებულებაგადასახადების საფასურად, რასაც მანამდე იხდიდნენ)[3].

ამასთან, მემამულეს უფლება რჩებოდა აეყარა ხიზანი მიწიდან, მაგრამ გლეხის მიერ მის მიწაზე აშენებული სახლ-კარის საფასური ორმაგად უნდა გადაეხადა.

1891 წლის 3 ივნისის კანონი დიდხანს დარჩა უცნობი გლეხებისათვის. მემამულეებმა, გაეცნენ რა მას, მიიჩნიეს, რომ იგი მათ ინტერესებს არ შეესაბამებოდა[4]. ამიტომ დაიწყეს მათ ამ კანონის წინააღმდეგ ბრძოლა. 1900 წელს გამოცემულ იქნა ახალი კანონი, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავდა ხიზანთა უფლებებს.

ხიზნობის არსებობა რეფორმისშემდგომ პერიოდში წარმოადგენდა ბატონყმობის ძლიერ ნაშთს, ეს ნაშთი დარჩა საქართველოში თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

---

[1] „МДИЭБГКЗК", т. I, 1893, გვ. 472.

[2] И. Иоселиани, Сельское хозяйство и правовые отношения сельского населения, Труды Кавказского общества сельского хозяйства, № 7—8, 1887, გვ. 576.

[3] Полное собрание законов Российской империи, т. XI, 1891, გვ. 354.

[4] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900, გვ. 43.

* * *

ამგვარად, საგლეხო რეფორმა, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიული იყო, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი გორის მაზრაში, უაღრესად ბატონყმურ ხასიათს ატარებდა. მან ვერ გადასჭრა გლეხობის მიწათმოწყობის საკითხები ბურჟუაზიულ მოთხოვნათა დონეზე. რეფორმამ ვერც კი გააუქმა მანამდე არსებული გლეხთა ზოგიერთი კატეგორია. რეფორმა აქ, რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით, უფრო ნაკლებ ატარებდა ბურჟუაზიულ ხასიათს.

თავი მეორე

ვაჭრობა-მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გავლენა გლეხობის დაშლაზე

1. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება

ა) საგარეო და საშინაო ვაჭრობის ზრდა

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში დაჩქარდა ნატურალური მეურნეობის დაშლა. ამით ხელი შეეწყო ეკონომიური განვითარების ახალი ფაქტორების გაძლიერებას. გაფართოვდა ვაჭრობა, გაიზარდა ქალაქები და, საერთოდ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. ამასთან „ყველაფერი ეს აქ ხდებოდა გაცილებით უფრო მძიმე და უარეს პირობებში, ვიდრე რუსეთში"[1].

XIX საუკუნის პირველ ნახევარში სავაჭრო კაპიტალი საქართველოში მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტორად გადაიქცა. 50-იანი წლებიდან უკვე სამრეწველო კაპიტალის ფორმებიც ჩაისახა ჩვენში და ის 70-იანი წლების მეორე ნახევრისათვის საგრძნობ ძალას წარმოადგენდა, 90-იანი წლებისათვის კი მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა და გაიზარდა[2].

საქართველოში ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოქმნის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოეთსა და რუსეთთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობას[3].

საქართველოს ეკონომიური წინსვლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ბაზარს. თუ რუსეთი დასავლეთის მი-

---

[1] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950, გვ. XLI.

[2] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, ტფილისი, 1927, გვ. 33.

[3] ს. ხუნდაძე, ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1930, გვ. XVI.

მართ უმთავრესად ნედლეულის მიმწოდებლის როლში გამოდიოდა, აღმოსავლეთის მიმართ მისი როლი მანუფაქტურული მრეწველობის ნაწარმის მიწოდებით იყო შეცვლილი[1].

XIX ს. 30-იანი წლების პირველი ნახევრის ბოლოს ამიერკავკასიის სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან შეადგენდა 2700000 მანეთს (შემოტანა 1970000 მან., გატანა 730000 მან.), სპარსეთთან — 919770 მან., თურქეთთან — 100000 მან., მთის რაიონებთან — 125000 მანეთს[2]. საქონლის ასორტიმენტი მეტად მრავალგვარი იყო და შეიცავდა რკინეულობას, ქსოვილებს, მარცვლეულს, ღვინოს, პირუტყვს, ჩაის, შაქარს, ბეწვეულს, ნავთს, ჭურჭლეულსა და სხვ.

გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა რუსეთის დიდ სავაჭრო ქალაქებთან. 1830 წელს მარტო ნიჟეგოროდში ამიერკავკასიისათვის შეძენილ იქნა 1200000 მანეთის საქონელი[3].

ამიერკავკასიაში შემოდიოდა ევროპული, აზიური და რუსული წარმოების საქონელი[4]. XIX საუკ. პირველ ნახევარში ამიერკავკასიაში თავისუფალი კონკურენციის პირობებში ევროპულ საქონელთან რუსეთის საქონელი მარცხდებოდა[5]. ამიტომ მეფის მთავრობა უცხოურ საქონელს მაღალ ბაჟს ადებდა, რაც ხელს უწყობდა რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. XIX საუკ. II ნახევარში ამიერკავკასიაში რუსული საქონელი ბატონდება. ვაჭრობა რუსეთთან უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დასავლეთ ევროპასთან.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ამიერკავკასიაში უცხოეთიდან საქონლის შემოტანა გაიზარდა დაახლოებით 4-ჯერ, გატანა კი 30-ჯერ და უფრო მეტად. ეს მოწმობს ამიერკავკასიის სწრაფ ეკონომიურ განვითარებას. ამიერკავკასიის ხალხები ისტორიული ჩამორჩენილობიდან გამოდიან და წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან მტკიცედ იკავებენ ადგილს რუსეთის იმპერიისა და მსოფლიოს ხალხთა ურთიერთობებში. „1870 წელს ამიერკავკასიის საგარეო აღებ-მიცემობა მთელი რუსეთის საგარეო აღებ-მიცემობის 1/45 ნაწილს შეადგენდა და 1893 წელს 1/18. თუ მარტო გატანას ვიქონიებთ მხედველობაში.

---

[1] Р. Гвоздев, Кулачество-ростовщичество и его общественно-экономическое значение, 1899, გვ. 11.

[2] Статистическое описание Закавказского края, Составил Орест Евецкий, С - Петербург, 1835, გვ. 76 — 78.

[3] იქვე, გვ. 75 — 78.

[4] Кавказский календарь на 1865 г., გვ. 48.

[5] ვ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX საუკუნეებში, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 136.

1870 წელს ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ საქონლის გატანა შეადგენდა რუსეთიდან მთელი გატანის 1/91 ნაწილს, 1893 წელს კი 1/15"[1].

ამგვარად, ამიერკავკასიის აქტიური ჩაბმა მსოფლიო ვაჭრობაში, მისი ხვედრითი წონის ზრდა მაჩვენებელია მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდისა ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით XIX საუკ. მეორე ნახევარში. საქონელბრუნვის ზრდა გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასია ამ მხრივ, შეფარდებით მთელ იმპერიასთან, უფრო სწრაფად ვითარდება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა ამიერკავკასიის ან საქართველოს უფრო სწრაფ ეკონომიურ ზრდა-განვითარებას რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით.

სავაჭრო ბრუნვის ზრდა, კერძოდ, საქონლის გაზიდვის სწრაფი ზრდა ხდებოდა ბუნებრივი სიმდიდრეებისა და არა საფაბრიკო-საქარხნო პროდუქციის ხარჯზე. ასეთი გაზიდვა უფრო მეტად გამოხატავდა ამიერკავკასიის კოლონიურ ძარცვა-გლეჯას.

ამიერკავკასიიდან გააქვთ ნავთი, მარგანეცი, მარცვლეული და სხვა. ძლიერ გაიზარდა ხორბლის, სიმინდისა და ქერის გატანა. კავკასიიდან საზღვარგარეთ 1885 წელს გატანილ იქნა 5397930 ფუთი სიმინდი 3313202 მანეთის ღირებულებისა, 1953542 ფუთი ქერი 1273000 მანეთისა და 6243452 ფუთი ხორბალი 6116000 მანეთისა[2]. 80-იან წლებში ამიერკავკასიიდან გატანილმა ხორბალმა და სიმინდმა მოიპოვეს საერთაშორისო მნიშვნელობა აბრეშუმთან, ნავთთან, მარგანეცსა და მატყლთან ერთად[3].

შემდგომში, მართალია, ხორბლეულის ანუ პურის გატანა შემცირდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა მისი საერთო მოსავლის შემცირებას. გატანის შემცირება აიხსნება მსოფლიო აგრარული კრიზისით, რომელიც მაშინ მძვინვარებდა, აგრეთვე მაშინდელ ამიერკავკასიაში. აგროტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონით, რაც მაღლა სწევდა მარცვლეულის თვითღირებულებას რუსულ და ამერიკულ პურთან შედარებით; სამრეწველო მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნილება პურზე, რომლის გაყიდვაც ამიერკავკასიაშივე არანაკლებ მომგებიანი იყო. ამასთანავე, ვითარდებოდა ძვირფასი სპეციალური კულტურების მოყვანა-მოშენება.

---

[1] ფ. მახარაძე. თხზ., ტ. VIII, თბილისი, 1932, გვ. 11.

[2] Кавказский календарь на 1887 г., გვ. 150 — 151.

[3] А. Н. Арасханянц, Закавказская хлебная торговля, в связи с развитием сельского хозяйства, Тифлис, 1887, გვ. 2.

პურეულის მოყვანის საქმეში გორის მაზრას საპატიო ადგილი ეჭირა. მაგალითად, 1886 წელს თბილისის გუბერნიაში სასაქონლო პურის მთელი რაოდენობა 6575000 ფუთს უდრიდა (3 მილიონ ფუთამდე საჭირო იყო გუბერნიის ქალაქების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად), აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 1500000 ფუთი, გორის მაზრაზე მოდიოდა[1]. მაშასადამე, გორის მაზრა გუბერნიაში სასაქონლო პურის მნიშვნელოვან რაოდენობას იძლეოდა. შესაძლებელია ეს ციფრები გაზვიადებული იყოს, მაგრამ მაინც უეჭველია ,რომ გორის მაზრის ხვედრითი წონა გუბერნიაში სასაქონლო პურის დამზადების საქმეში დიდი ყოფილა.

ამიერკავკასიის საერთო ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ღვინო.

მევენახეთა ყრილობაზე 1899 წელს მემამულე ს. ვახვახიშვილი ლაპარაკობდა, რომ რუსეთის უზარმაზარი იმპერია ბევრ ღვინოს ხმარობს და „საჭიროა მხოლოდ დაპყრობა ამ ბაზრისა"[2]. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიის ღვინო, თავის მხრივ, იპყრობს რუსეთის ბაზარს[3].

XIX საუკუნის II ნახევრიდან ღვინის გატანა უცხოეთსა და რუსეთში რეგულარულ ხასიათს ღებულობს. გატანას ძლიერ შეუწყო ხელი რკინიგზის გაყვანამ ამიერკავკასიაში და ამ გზით რუსეთთან დაკავშირებამ. რუსეთში, საერთოდ, შეტანილი ღვინის ღირებულება შეადგენდა: 1850 წელს 5283593 მანეთს, 1860 წელს — 5486025 მანეთს, 1870 წელს—8822394 მანეთს, 1880 წელს—13602824 მანეთს, 1885 წელს — 7170150 მანეთს, 1890 წელს — 5092798 მანეთს, 1893 წელს — 5125347 მანეთს[4]. 1897 წელს მარტო ამიერკავკასიიდან 508665 ვედრო ღვინო გაიტანეს[5].

XIX საუკუნის 90-იან წლებში ღვინის გატანა ამიერკავკასიიდან შემცირებულა, რის ერთ-ერთ მიზეზად ფილოქსერის გაჩენა ითვლება. ფილოქსერა ამერიკიდან შემოიჭრა და ძლიერ დააზიანა ვენახები როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთის იმპერიაში. ფილოქსე-

---

[1] Кавказский календарь на 1890 г., გვ. 24.

[2] პ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი, შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801 — 1920 წლებში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949, გვ. 119.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

[4] С. Г у л и ш а м б а р о в, Виноградное вино в России в XIX столетии, Одесса, 1896, გვ. 19.

[5] Кавказский календарь на 1899 г., გვ. 85.

რა შენიშნულ იქნა საფრანგეთში 1869 წელს, ყირიმში — 1880 წელს, კავკასიაში 1881 წელს და ბესარაბიაში — 1887 წელს[1].

ფართო გასაღებას პოულობდა ამიერკავკასიის მატყლი. XIX საუკ. 90-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიაში ითვლიდნენ 7¼ მილიონ სულ ცხვარს. თითო ცხვარი წელიწადში იძლეოდა დაახლოებით 4 გირვანქა მატყლს, რაც საერთო ჯამში შეადგენდა 7250000 ფუთს. ფუთი მატყლი 5 მანეთობაზე 3625000 მანეთს უდრიდა. არსებული მატყლის 2/5, ე. ი. 1½ მილიონი მანეთის ღირებულებისა, უცხოეთში გაჰქონდათ. „კავკასიურ მატყლს საზღვარგარეთელი ფაბრიკანტები დიდი ხალისით ყიდულობენო“ — ამბობს ხატისოეი. იგი აქებს ლეკური, თუშური და ოსური ცხვრის მატყლს[2].

ამიერკავკასიიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გარდა სოფლის მეურნეობის ნაწარმისა, დიდი რაოდენობით გააქვთ ნავთი და მარგანეცი. ამის გამო ამიერკავკასია მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილს იკავებს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასია და, კერძოდ, თბილისის გუბერნია მაინც ჯერ კიდევ აგრარულ მხარედ რჩებოდა. მაგალითად, 1884 წელს ქ. თბილისში შემოტანილ იქნა საზღვარგარეთის საქონელი 1063000 მანეთისა, ხოლო თბილისიდან სამრეწველო ნაწარმის გატანას სრულიად არ ჰქონია ადგილი[3].

მაინც, „რაკი სავაჭრო ბრუნვა მილიონობით გაიზომებოდა, განსაკუთრებით გატანილი საქონლის უმაგალითო ზრდა, ეს ნიშნავდა ახალ ურთიერთობათა მძლავრ განვითარებას. განვითარების ეს პროცესი სავსებით აშკარა გახდა 70-იანი წლებისათვის. გაზეთი „დროება“ შემდეგნაირად აგვიწერდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ზრდას: „დროება გამოიცვალა. ყველამ ფულის ძებნას, საქმის ძებნას შიჰყო ხელი. შეიქმნა ფაცა-ფუცი, მოძრაობა. ერთმა ღვინის სარდაფები გახსნა ქალაქში, — მეორემ ფურის ძუძუებიდან მოინდომა ოქროების გამოდენა, — მესამემ კაკლის კუნძებს მიმართა, — მეოთხემ დედა-მიწაში ჩახედა და მადნებისაგან განიზრახა თავის-თავის გამდიდრება“[4].

---

[1] Труды Кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1891, № 3 — 4, გვ. 52.

[2] К. Хатисов, Кустарные промыслы Закавказского края. Отчеты и исследования по кустарной промышленности в России, т. II, С-Петербург, 1894, გვ. 267.

[3] Кавказский календарь на 1887 г., გვ. 186.

[4] გაზ. „დროება“, 1874, № 444, გვ. 1.

* * *

ამიერკავკასიასა და მთელ რუსეთთან ერთად გორის მაზრაც ეკონომიური განვითარების ამ ფერხულში აღმოჩნდა ჩაბმული.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ქ. გორის მცხოვრებლებზე წელიწადში 40-დე პასპორტი იცემოდა, პასპორტის მქონე გორელები სავაჭრო მიზნით მიდიოდნენ საზღვარგარეთ, რუსეთში. ზოგი კი მუდმივად თბილისში ვაჭრობდა[1].

უკვე 1890 წელს სხვადასხვა სახის სავაჭრო მოწმობა იქნა გაცემული: ქ. გორში — 632, გორის მაზრაში — 840. გუბერნიაში ვაჭრობის განვითარებით თბილისის შემდეგ გორის მაზრას პირველი ადგილი ეკავა[2].

1894 წელს სამაზრო ხაზინის მიერ გაცემულ იქნა დოკუმენტები ვაჭრობასა და მრეწველობაზე: წლიური — 1307 კაცზე, ხოლო ნახევარწლიური — 177 კაცზე. გაცემული დოკუმენტებიდან შემოსავალმა შეადგინა 23665 მან. 64 კაპ.[3].

1897 წ. კი გაცემულ იქნა წლიური დოკუმენტი 1432 ცალი, ნახევარწლიური — 164, სულ — 1596, რაშიც გადახდილ იქნა 24648 მან. 75 კაპ[4].

ვაჭრობა ვითარდება სურამში, ცხინვალსა და სხვა ადგილებში. სურამში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთაგან 80-იან წლებში მეორე გილდიის ვაჭრის მოწმობა ჰქონდა 22 კომლს. ამათგან 18 სომეხი იყო, 4 ებრაელი, დანარჩენ მცხოვრებთა დიდ ნაწილს წვრილმანით მოვაჭრის მოწმობები ჰქონდა[5].

გორის მაზრის ვაჭრობაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ ბაზრობები, რომელიც ცალკეულ სოფლებში იმართებოდა, უმთავრესად, რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით. ასეთი ბაზრობები იმართებოდა: სურამში, ცხინვალში, სოფლებში: არბოში, მეჯვრისხევში, ახალქალაქში, საღოლაშენში, ალევში, ერთაწმინდაში, რუისში[6].

ბაზრობებზე თავს იყრიდნენ ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი, მოდიოდნენ ვაჭრები მაზრის სხვადასხვა სავაჭრო დაბებიდან, გორიდან და თბილისიდან. 1867 წელს აღნიშნულ ბაზრო-

---

[1] Кавказский календарь на 1866 г., გვ. 59.

[2] Кавказский календарь на 1893 г., გვ. 17.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2198, ფურც. 191, 1895 წ.

[4] იქვე, საქმე 2258, 1898 წ.

[5] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 239

[6] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 16, 1877 წ.

ბებზე გაყიდულ იქნა 40994 მანეთის საქონელი, ხოლო 1876 წელს 43127 მანეთისა[1].

ვაჭრობა წარმოებდა, აგრეთვე, ყოველკვირეულ ბაზრობებზე ქ. გორში (წლიურად საშუალოდ აქ იყიდებოდა ფქვილი 50000 ფუთამდე, ხორბალი 25000 ფუთამდე, ქერი 25000 ფუთამდე, სიმინდი 20000 ფუთამდე. ლობიო 12000 ფუთამდე, მსხვილფეხა პირუტყვი 1200 სულამდე, წვრილფეხა პირუტყვი 3000 სულამდე), ხაშურსა და სურამში (აქ იყიდებოდა პური და პირუტყვი). სადგ. გომში კვირაობით გამართულ ბაზრობაზე დაახლოებით 6000 ფუთი მარცვლეული იყიდებოდა[2].

ვაჭრობა მაზრაში ძირითადად არსებული სავაჭრო დაწესებულებებისა და წვრილ მოვაჭრეთა საშუალებით წარმოებდა. XIX საუკ. მეორე ნახევარში ძლიერ გაიზარდა სავაჭროების რიცხვი. იზრდება ვაჭართა რაოდენობა. დაბა სურამის სახაზინო გლეხები თითქმის მთლიანად გადადიან ვაჭართა კატეგორიაში.

ვაჭრობაში უპირატესი ადგილი ეკავათ მსხვილ ვაჭრებს, გილდიის ვაჭრებს. 1892 წელს გილდიის ვაჭრებს ჰქონდათ 193 სავაჭრო. ამათი საერთო წლიური ბრუნვა 1256522 მანეთს უდრიდა. 144060 მანეთის მოგებით. 1893 წელს გილდიის სავაჭროთა რიცხვი 189-ს შეადგენდა, წლიური 1457710 მანეთის საერთო ბრუნვითა და 163867 მან. მოგებით.

1897 წ. გორის მაზრაში გილდიის ვაჭართა რაოდენობა 169-ს შეადგენდა (მათგან ქ. გორში 42 კაცი), 1316338 მანეთის სავაჭრო ბრუნვითა და 146050 მანეთის მოგებით[3]. ვაჭრობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ფართლეულით ვაჭრობას ეჭირა.

გილდიის გარეშე მყოფ ვაჭართა დაწესებულება იყო: 1892 წელს — 556 სავაჭრო 713920 მან. საერთო ბრუნვითა და 156980 მან. მოგებით, ხოლო 1893 წელს — 530 სავაჭრო 665500 მან. ბრუნვითა და 153670 მან. მოგებით[4]. ვაჭრობა წარმოებდა უმთავრესად წვრილმანი საქონლითა და სასმელებით.

1903 წლისათვის გორის მაზრაში გამოსაღებთა გადამხდელ ვაჭართა რიცხვი 727-ს შეადგენდა (აქ არ ითვლებიან ხელზე მოვაჭ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 60, 1877 წ.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 28, 1902 წ.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 19958, ფურც. 15, 1897 წ.
[4] იქვე, საქმე 19917, ფურც. 69, 1893 წ.

რენი ე. წ. მეწვრილმანეები), მათი წლიური მოგება 424 883 მანეთის რაოდენობითაა ნაჩვენები[1].

გილდიის ვაჭართა კუთვნილი დაწესებულებები უფრო იშვიათად იხურებოდა, ასევე იშვიათად ემატებოდა ახლები; მაგალითად, 1892 წელს მაზრაში გაიხსნა 10 ასეთი სავაჭრო, 1893 წელს კი 7. ამ ხნის განმავლობაში დაიხურა 4. მართალია, გილდიის გარეშემდგომი სავაჭროები უფრო ხშირად იხურებოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი ახალიც იხსნებოდა: მაგალითად, 1892 წელს 70 ახალი სავაჭრო გაიხსნა, 1893 წ. — 88. 1892 წელს იყო 556 სავაჭრო, 1893 წლისათვის მათგან დახურულა 114.

ქ. გორში 1897 წელს შემდეგი სავაჭრო დაწესებულებები იყო:

საგალანტერიო მაღაზია	5,	182500	მანეთის	ბრუნვით წელიწადში
მზა ტანსაცმლის	2,	4500	„	„
წიგნის მაღაზია	1,	3000	„	„
ფართლეულის	24,	152500	„	„
ფეხსაცმლის	2,	20000	„	„
რძის ნაწარმის	1,	1000	„	„
კოსმეტიკური	3,	14500	„	„
სასურსათო დუქანი	3,	750	„	„
თამბაქოს	1,	10000	„	„
არაყისა და ღვინის	3,	21000	„	„
საღებავების საწყობი	1,	3000	„	„
სანთლებით სავაჭრო	2,	4000	„	„
მატყლის საწყობი	2,	4600	„	„
ხორბლისა და ფქვილის პროდუქტების საწყობი	3,	31000	„	„
საყასბო	8,	14000	„	„
საბაკალეიო დუქანი	27,	83500	„	„
ღვინის სარდაფი	3,	9000	„	„
დუქნები	34,	30000	„	„
სასმელების დაწესებულებები	1,	2000	„	„
ლუდხანა	1,	600	„	„
ტრაქტირი	14,	20000	„	„[3]

სავაჭრო დაწესებულებები იყო მაზრის ბევრ სოფელში; მაგალითად, ბორჯომის უბანში:

საგალანტერიო მაღაზია	3,	2000	მანეთის	ბრუნვით
ფართლეულის	4,	8000	„	„
ბოსტნეულის დუქანი	2,	500	„	„
რძის ნაწარმის დუქანი	1,	500	„	„
საკოლონიო და მოსკოვის	8,	5000	„	„
არაყისა და ღვინის	1,	500	„	„
ხე-ტყის საწყობი	2,	5000	„	„
საყასბო	4,	4000	„	„
საბაკალეიო დუქანი	6,	2000	„	„
ღვინის სარდაფი	1,	1000	„	„
დუქანი	5,	2500	„	„
საჩაიე	1,	100	„	„[3]

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 7999, ფურც. 2 — 24, 1903 წ.; საქმე 800, ფურც. 2 – 16, 1903 წ.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 116 — 117, 1898 წ.

[3] იქვე, ფურც. 93 — 94, 1898 წ.

სურამის უბანში:

ფართლეულის მაღაზია	. 12,	70000	მან. ბრუნვით
საყასბო . .	6,	40000	„ „
ღვინის სარდაფი .	21,	70000	„ „
დუქანი	. 20,	15600	„ „
ტრაქტირი . .	. 26,	39000	„ „[1]

არქივში დაცულია ცნობები იმის შესახებ, თუ მაზრის რომელ სოფელში ვის ჰქონდა გახსნილი სავაჭრო და რას უდრიდა ბრუნვა.

1900 წლისათვის მაზრაში სავაჭრო დაწესებულებების რიცხვი 518-ს უდრიდა. თითოეული მათგანის ბრუნვა მერყეობდა 100 მანეთიდან 50000 მანეთამდე. სულ იყო 4 მსხვილი სავაჭრო, რომელშიაც წლიური ბრუნვა 25—50 ათას მანეთამდე აღწევდა. საერთოდ კი აღნიშნული სავაჭროების შემოსავალი უდრიდა 1656000 მანეთს. სავაჭრო დაწესებულებებში ჩაბმული იყო 768 კაცი[2].

სავაჭრო დაწესებულებათა შორის ჩვენ ვხვდებით ისეთებსაც, რომლებშიც ორი და მეტი დაქირავებული მუშაა გამოყენებული. ასე მაგალითად, XIX საუკ. 90-იან წლებში ორ-ორი დაქირავებული მუშა ჰყავდათ ტრაქტირის მფლობელთ გიორგი ცერცვაძეს სოფ. ხიდისთავში და თევდორე სხირტლაძეს სურამში, ხოლო ესტატე ჩხარტიშვილს გორის რკინიგზის სადგურთან გახსნილ ბუფეტში გარდა დახლიდარისა 4 დაქირავებული მუშა ემსახურებოდა[3].

ბ) შინამრეწველობა და ხელოსნობა

XIX საუკუნეში თბილისის გუბერნიაში უფრო მეტად განვითარებული იყო შინამრეწველობისა და ხელოსნობის შემდეგი დარგები: მატყლის, ტყავის, ჭურჭლის, კრამიტის, ხის, ლითონის, რქის, ძვლის დამუშავების, მაუდსა და ხავერდზე ქარგვისა და სხვა დარგები[4].

XIX საუკ. მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი რეფორმის შემდეგ, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით, კონკურენციის შედეგად, შინამრეწველობისა[5] და ხე-

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 37—38, 1898 წ.

2 Сборник статистических сведений по Закавказскому краю. Под редакцией Е. Кондратенко, Часть I, Тифлис, 1902, გვ. 246.

3 საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 5007, ფურც. 907, 946, 1893 წ.

4 Отчеты и исследования по кустарной промышленности в России, т. II, 1894, გვ. 69.

5 შინამრეწველობა=домашняя промышленность.

ლოსნობის ზოგი დარგი მნიშვნელობას კარგავს და წყობილებიდან გამოდის, ზოგიც სრულიად ახალი დარგი ჩნდება.

ეცემა რქის ყანწებად დამუშავების წარმოება, საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო[1]. ჩნდება ხის კასრების წარმოება, რაც ფართო ბაზარს პოულობს ამიერკავკასიიდან ღვინის გატანის გაზრდასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რკინიგზების გაყვანის შემდეგ.

ფაბრიკა-ქარხნების იაფი ნაწარმის შემოტანისა თუ ადგილზე დამზადების ზრდის პროპორციულად აღინიშნება ხელოსნობის დაცემა.

გორის მაზრა განთქმული იყო თივთიკის შალის დამზადებით. ასეთი შალები მზადდებოდა თხის რბილი თივთიკისაგან (пух) და ძვირადაც ფასობდა. თივთიკის შალის დამზადების დროს არსებობდა ერთგვარი სტანდარტი. შალი ზომით იყო 15×5/8 არშინი. იგი 100 მანეთად და უფრო მეტადაც იყიდებოდა[2].

მთის მოსახლეობაში გავრცელებული იყო ხის დამუშავება. აკეთებდნენ ხის ჭურჭელსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და ბარის სოფლებში ჰყიდდნენ. შინამრეწველობის ეს დარგიც ეცემა. მართალია, ხის ჭურჭელი და სხვა ნაკეთობა იაფი იყო, მაგრამ ნაკლებად გამძლე, უხეში და ულაზათო. შემდგომში ხის იარაღთა და ჭურჭელთა ადგილს თანდათან ლითონის ნაკეთობები იკავებდა[3].

მაზრის ბევრ სოფელში ქვევრებს ამზადებდნენ. ქვევრების წარმოება იზრდება მევენახეობის განვითარებასთან დაკავშირებით. მევენახეობის განვითარება კი, თავის მხრივ, უმთავრესად ბაზარზე ღვინის მოთხოვნილების ზრდისაგან იყო გამოწვეული. ქვევრი ღვინის ადგილობრივი შენახვის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. გორის მაზრა ვერ კმაყოფილდებოდა ქვევრების საკუთარი წარმოებით და შემოჰქონდა ზემო იმერეთიდან[1].

მეღვინეები ღვინის გატანის გაზრდასთან დაკავშირებით ხის ჭურჭლის გამოყენებაზე გადადიან. გუბერნიაში დიდად იზრდება

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

[2] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1888, გვ. 69.

[3] И. И. Левашов, Кустарные промыслы Тифлисской губернии, Отчеты и исследования по кустарной промышленности в России, т. II, С.-Петербург, 1894, გვ. 74 — 75.

[4] П. Г. Кандураров, Очерк виноградарства и виноделия в Карталиньи, Сборник сведений по виноградарству и виноделию, Выпуск VIII, Тифлис, 1897, გვ. 82 — 83.

ხის კასრების წარმოება. ხის კასრებს მხოლოდ კახეთში აწარმოებდნენ საქარხნო წესით, ქართლში კი ეს წარმოება ჯერ კიდევ ხელოსანთა ხელში იყო[1]. 1885 წლისათვის ქ. გორში ხის კასრების 4 სახელოსნო ყოფილა[2].

შინამრეწველობა უფრო მეტად მაზრის ჩრდილო მთიანეთში იყო გავრცელებული, აქ ის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ეს ითქმის განსაკუთრებით მთის ისეთ სოფლებზე, როგორიც იყო ზღუდერი, ხოჯა, შუა ერმანი და სხვ.[3]. ბარში ამ მხრივ ცნობილი იყო ვანათი (მატყლის დამზადებით), კარალეთი, ქვახვრელი, უფლისციხე (ჭილობის დამზადებით) და სხვ.

90-იან წლებში შეინიშნება შინამრეწველობის ძლიერი დაცემა. ეს აიხსნებოდა სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებითა და საფაბრიკო ნაწარმთა უფრო ადვილი შემოზიდვით, კავკასიაში მნიშვნელოვანი სამრეწველოების გაჩენით.

გორის მაზრაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა სახის სარეწებსაც. ამ მხრით მნიშვნელოვანი ჩანს სამშენებლო მასალების წარმოება; კერძოდ, გაფართოებულა კირის წარმოება. კირს ამზადებენ გორიჯვარში, კავთისხევში, თელათგორში, წინარეხსა და სხვა სოფლებში. ამასთან, კირი იყიდებოდა არა მარტო გორის მაზრაში, არამედ ის იგზავნებოდა თბილისშიც. კირის წარმოების ზრდა დაკავშირებული იყო საბინაო მშენებლობის სწრაფ ზრდასთან. თუ ადრე გლეხები უმეტესად მიწურებში ცხოვრობდნენ, ახლა შეძლებული გლეხობა იშენებდა ქვისა და აგურის სახლებს.

გორის მაზრაში უძველესი დროიდან წარმოებდა ხე-ტყის დაცურება მდ. მტკვარზე ტივებით. ხე-ტყე გაჰქონდათ როგორც ბორჯომის სახაზინო ტყიდან, ისე გორის მემამულეთა კუთვნილი ტყეებიდან[4]. ხე-ტყისაგან ამზადებდნენ საშენ მასალას, შეშას, ყავარს, ნახშირს, ხოლო რკინიგზების გაყვანის შემდეგ შპალებსაც[5].

ტივების დაცურებას მდ. მტკვარზე აწარმოებდნენ უმთავრესად მის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებლები. ხე-ტყის

---

[1] К. Хатисов, Кустарные промыслы Закавказского края, Отчеты и исследования по кустарной промышленности в России, т. II, С.-Петербург, 1894, გვ. 317.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 3566, ფურც. 11, 1886 წ.

[3] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 236 — 237.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 146, ფურც. 14, 1868 წ.

[5] იქვე, საქმე 3975, ფურც. 15, 1877 წ.

დაცურების საქმეში ადგილი ჰქონდა შრომის გარკვეულ დანაწილებას; ზემო სოფლები ამზადებდნენ ხე-ტყეს და აწარმოებდნენ დაცურებას გარკვეულ მანძილზე. ქვემო სოფლელები უმეტესად ყიდულობდნენ მზა ტივებს და შემდეგ თვითონ ჩაჰქონდათ თბილისამდე.

თუ როგორ იყო მოსახლეობა ჩაბმული ხე-ტყის სარეწებში და რა რაოდენობით ხდებოდა ხე-ტყის გამოზიდვა, ნათელ სურათს იძლევა შემდეგი ცხრილი:

ცხრილი 3

გორის მაზრის მტკვრისპირა სატყეო სარეწები

წლები	სარეწებში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა	დაცურებული ტივების რაოდენობა	დაცურებული ტივების ღირებულება
1882	1450	—	—
1883	7600	—	—
1884	7300	—	—
1885	7350	—	—
1886	910	—	—
1887	4000	3970	595000
1888	1100	4222	634743
1889	738	4496	556500
1890	1460	4002	604300
1891	1500	4895	734250
1892	2984	4871	772350
1893	1523	4664	666700[1]
1899	2000	2150[2]	—

ხე-ტყის დამზადებასა და დაცურებას ეწეოდნენ უმთავრესად გლეხები. ამასთან, შეძლებულნი დამოუკიდებლად აწარმოებდნენ ამ საქმეს — ყიდულობდნენ ტყეს და ბაზარზე გამოდიოდნენ როგორც მესაკუთრეები, ღარიბები კი ჰყიდდნენ სამუშაო ძალას, იღებდნენ რა ამაში გარკვეულ გასამრჯელოს[3].

მეურნეობის ეს დარგი XIX საუკ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეცემა. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელებულია ტყეების განადგურება მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად[4].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 5, 1894 წ.
[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 396, 1900 წ.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 5, 1894 წ.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 396, 1900 წ.

ხე-ტყის დამზადებას ეწეოდნენ, ავრეთვე, მდ. დიდი ლიახვის აუზში მდებარე ტყეებიდან. XIX საუკ. უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკ. დასაწყისში ამ ტყეებში ყოველწლიურად 10000-დე მორს ამზადებდნენ. დაცურება ხდებოდა მდინარე ლიახვზე წყალდიდობის დროს. სოფ. გუფთასთან, დიდი ლიახვის პირა ვაკეს, ერთ ადგილას ხალხი დღესაც „სატივეს" უწოდებს[1].

ტივები გორში ან თბილისში იყიდებოდა. ტყის ექსპლოატაციას ეწეოდნენ როგორც მემამულეები, ისე ადგილობრივი მეწარმეები, ოომელთა რაოდენობა მარტო ჯავის სასოფლო საზოგადოებაში 15-ს უდრიდა[2].

მაზრაში ხელოსნობის ცენტრს ქ. გორი წარმოადგენდა. აქ 1865 წლისათვის იყო 279 ხელოსანი[3], ხოლო 1897 წელს 327 ხელოსანი-ოსტატი, 142 ქარგალი და 181 შეგირდი. ამათ გარდა მაზრაში იყო კიდევ 486 ოსტატი, 187 ქარგალი, 249 შეგირდი[4].

1894 წელს ხიდისთავის უბანში იყო: 12 მექუდე, 17 მეჩექმე და ხარაზი, 20 დურგალი, 25 ხურო, 4 ზეინკალი, 8 მეშუშე (შუშის ჩამსმელი), 21 მჭედელი, 28 ნალბანდი, 3 მღებავი, 12 მეჩუქურთმე, 4 მეტყავე, 10 მექვაბე, 12 ვერცხლის ოსტატი, 32 დალაქი[5].

იმ პერიოდში ბორჯომის უბანში იყო:

	ოსტატი	შეგირდი	მუშა	
პურის მცხობელი	9	6	10	
მეფუთუშე .	1	1	—	
მკერავი	5	6	3	
ხარაზი	3	1	—	
მექუდე .	1	—	1	
დურგალი	1	3	2	
ხურო . .	30	10	15	
ზეინკალი	2	—	1	
მეთუნუქე	1	1	2	
მჭედელი	1	—	1	
მღებავი	2	—	10	
მეღუმელე	2	—	2	
მეეტლე . . .	10	—	5	
ვერცხლის ოსტატი	1	1	2	
დალაქი .	2	—	1	და სხვ.[6]

[1] ცნობა მოგვაწოდა გუფთის მცხოვრებმა საველე ბიტიევმა (52 წლ.).

[2] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956, გვ. 309, 312.

[3] Сборник статистических сведений о Кавказе, Под редакцией Н. И. Воронова, Тифлис, 1869, გვ. 117.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 233—234, 1898 წ.

[5] იქვე, საქმე 2198, ფურც. 162, 1895 წ.

[6] იქვე, საქმე 2258, ფურც. 98—99, 1898 წ.

სურამის უბანში (1897 წ.) იყო: 25 მეპურე, 7 მეფუნთუშე, 4 მკერავი, 8 მღებავი და სხვა[1]. აღსანიშნავია, რომ XX საუკ. დასაწყისში ბორჯომში უკვე სახელოსნო სასწავლებელიც არსებობდა[2].

ამგვარად, ხელოსანთა იმ კატეგორიებთან ერთად, რომელნიც ადრეც არსებობდნენ (დურგლები, მჭედლები, ნალბანდები...), ვხვდებით მეპურეებს, მეფუნთუშეებს, მკერავებს, მღებავებს, მეშუშეებს, მეთუნუქეებს, მეკასრეებს და სხვ. ესეც მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რაც კაპიტალიზმმა მოიტანა. იცვლება თვითკმარი მეურნეობა, გლეხობაშიც ჩნდებიან ოჯახები, რომელთაც ფუფუნებით ცხოვრების მოთხოვნილება უჩნდებათ და სჭირიათ ხელოსანთა შრომის გამოყენება.

ბ) კაპიტალისტური წამოწყებები მრეწველობაში და მათი განვითარება

კაპიტალიზმის განვითარების ტემპი გამოხატულებას პოულობს მრეწველობის სწრაფ განვითარებაშიც XIX საუკ. მეორე ნახევარში. ამიერკავკასიის ეკონომიურ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნავთსა და მარგანეცს. ამიერკავკასიის ნავთმ. და მარგანეცმა ერთბაშად მოიპოვა დიდი ხვედრითი წონა მსოფლიო ბაზარზე. მათი მოპოვება-დამუშავებისათვის, ხოლო შემდეგ მომხმარებლამდე მიწოდებისათვის საჭირო გახდა მთელ რიგ სამრეწველო ნაგებობათა შექმნა. შეიქმნა სამრეწველო ცენტრები პროლეტარული მოსახლეობით.

ნავთისა და მარგანეცის მრეწველობის განვითარება სტიმულს აძლევდა მრეწველობის სხვა დარგების განვითარებასაც.

სამთო მრეწველობის სწრაფი განვითარების შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სამხრეთთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ კავკასიაც, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს სამთო მრეწველობის გასაოცარი ზრდა რეფორმის შემდგომ პერიოდში“[3].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს განსაკუთრებით ნავთის ამოღების სწრაფ ზრდას: 1865 წ. ამოღებულ იქნა 557 ათასი ფუთი, 1870

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 41—42, 1898 წ.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 9527, ფურც. 3, 1906 წ.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 581.

წელს — 1,7 მილიონი, 1875 წ. — 5,2 მილიონი, 1880 წ. — 21,5 მილიონი, 1885 წ. — 116 მილიონი, 1890 წ. — 242,9 მილიონი, 1895 წ. — 384, ხოლო 1902 წ. — 637,7 მილიონი ფუთი[1].

სწრაფად იზრდება მარგანეცის ამოღება. ჭიათურის მარგანეცი მსოფლიო მოთხოვნილების ნახევარზე მეტს ჰფარავდა[2].

1865 წლისათვის თბილისის გუბერნიაში 453 ფაბრიკა-ქარხანა ყოფილა. მათი წლიური პროდუქცია შეადგენდა 1203990 მანეთს, ხოლო მომუშავეთა რიცხვი 5804 კაცს აღწევდა[3]. ამასთან, ყველა ეს ფაბრიკა-ქარხანა ნამდვილი კაპიტალისტური საწარმო არ ყოფილა. მათი უმრავლესობა წვრილი სახელოსნოები იყო. ამაზე თვით სტატისტიკაც მიუთითებს და წარმოების მუშაკს გვიდგენს „ოსტატის“ სახელით. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის ეს მაჩვენებელი ხელოვნურად არის გაზრდილი და თვით მუშათა რიცხვიც ზუსტად არ არის ნაჩვენები, აქ მუშათა რიცხვში შედიან ხელოსნებიც და არ შედის ყველა მუშა.

სტატისტიკის მონაცემებით 1876 წ. გუბერნიაში იყო 565 ფაბრიკა-ქარხანა 3060 მუშით და 2088901 მან. პროდუქციით[4]; 1884 წ. — 868 ფაბრიკა-ქარხანა 4888 მუშით და 4572000 მან. პროდუქციით[5]; 1887 წ. — 1543 ფაბრიკა-ქარხანა 6107 მუშით, 4994737 მან. პროდუქციით; 1894 წ.—1500 ფაბრიკა-ქარხანა იყო 12500 მუშით[6].

როგორც ვხედავთ, სწრაფად იზრდება სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. XIX საუკ. ბოლოს მუშათა რაოდენობა საქართველოში უკვე 35000 აღემატებოდა[7].

გორის მაზრაშიც, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიასა და საქართველოში, ვითარდება მრეწველობა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 581.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954, გვ. 304

[3] Сборник статистических сведений о Кавказе, Под редакцией Н. Воронова, Тифлис, 1869, გვ. 115.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 7, 1877 წ.

[5] Кавказский календарь на 1886 г., გვ. 217.

[6] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. III, თბილისი, 1926, გვ. 19 — 20.

[7] გაზ „კომუნისტი“, 1955, № 291, (10377), 11/XII.

1887 წლისათვის შემდეგი სურათი გვაქვს:

ცხრილი 4

გორის მაზრის სამრეწველო საწარმოები (1887 წ.)

№№ რიგ.	ქარხნების დასახელება	ქარხნების რაოდენობა	მუშების რაოდენობა	წლიური პროდუქცია მან. თობით
1	ხე-ტყის სახერხი ქარხანა .	3	160	62000
2	აგურის „	7	31	2920
3	ეობო-კარაქის „ .	2	2	1200
4	ღვინის „	1	8	2000
5	ხის სახარში „	1	72	10000
	ს უ ლ .	14	273	78120[1]

1893 წელს მაზრაში იყო:

ხე-ტყის სახერხი — 4	650 მუშით,	120000 მან. პროდუქციით	
აგურის ქარხანა — 18	150	6110 „	
ერბო-კარაქის „ — 1	4 „	600 „	„ და სხვ.[2]
ს უ ლ — 23	804	126710	

1887-დან 1893 წლამდე, ე. ი. 6 წლის განმავლობაში, ხე-ტყის ქარხნების რიცხვი 3-დან 4-მდე გაიზარდა, მწარმოებლურობა კი ორჯერ გადიდდა. მუშათა რიცხვი ამ საწარმოებში გაზრდილა 160-დან 650-მდე, ე. ი. 4-ჯერ. სერიოზული ზრდა ემჩნევა საშენ მასალათა წარმოებას; აგურის ქარხნების რიცხვი 7-დან 18-მდე გაზრდილა, მუშებისა კი 31-დან 150-მდე, ე. ი. 5-ჯერ. საკირეებზე მომუშავეთა რიცხვი 290-დან 946-დე გაზრდილა.

მრეწველობის ზრდას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი დიდ გავლენას ახდენდა სოფელზე.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 1995, ფურც. 1, 1887 წ.

[2] იქვე, საქმე 2140, ფურც. 33, 1894 წ.

ცხრილი 5

გორის მაზრის სამრეწველო საწარმოები (1897 წ.)

საწარმოთა დასახელება	ქ. გორში			გორის მაზრაში			სულ		
	საწარმოთა რიცხვი	მწარმოებლურობა მან.	მუშათა რიცხვი	საწარმოთა რიცხვი	მწარმოებლურობა მან.	მუშათა რიცხვი	საწარმოთა რიცხვი	მწარმოებლურობა მან.	მუშათა რიცხვი
ხე-ტყის სახერხი	—	—	—	6	84800	228	6	84800	228
ხე-ტყის სახარში	—	—	—	1	28596	59	1	28596	59
აგურის	6	1500	18	7	2400	26	13	3900	44
მინერალური წყლების	1	2000	2	1	15000	35	2	17000	37
ჭურჭლეულის	10	1500	20	9	1900	28	19	3400	48
ერბო-კარაქის	1	150	2	—	—	—	1	150	2
კირის	—	—	—	54	21190	255	54	21190	255
მინის	—	—	—	1	65000	75	1	65000	75
წისქვილები	12	9000	15	670	13000	690	682	22000	705
სულ	30	14150	57	749	231886	1396	779	246036	1453

1901 წელს ქალაქ გორში 52 საწარმო იყო 205 მუშითა და 62062 მან. მწარმოებლურობით, გორის მაზრაში კი 820 საწარმო, 1677 მუშითა და 962235 მან. მწარმოებლურობით[2].

ამგვარად, თუ 1887 წელს მარტო გორის მაზრის საწარმოების მიერ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულება თითოეულ მცხოვრებზე საშუალოდ 51 კაპიკს შეადგენდა (78120 მანეთის პროდუქცია გაყოფილი 153499 სულზე), 1901 წელს თითოეულ მცხოვრებზე უკვე 5 მანეთის სამრეწველო პროდუქცია მოდიოდა (1024297 მანეთის პროდუქცია გაყოფილი 199000 სულზე), ე. ი. 15 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქცია სულზე დაახლოებით 10-ჯერ გაზრდილა.

ზემოთ მოტანილი ცხრილის განხილვისას თვალში გვეცემა რიგი საწარმოებისა, სადაც მუშათა რიცხვი შედარებით დიდია; ასეთებია: ხე-ტყის სახარში ქარხანა 59 მუშით, მინის ქარხანა 75 მუშით, მინერალური წყლების ქარხანა ბორჯომში 35 მუშით და ხე-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 235, 1898 წ.

[2] Сборник статистических сведений о Тифлисской губернии, Тифлис, 1903, გვ. 102 — 105.

ტყის 6 სახერხი ქარხანა 228 მუშით. აღნიშნული საწარმოები სავსებით კაპიტალისტური წესის მიხედვით არიან მოწყობილნი. მეორე მხრით, ვხედავთ, რომ საწარმოთა რიცხვში შესულია წყლის წისქვილები.

მაზრაში წისქვილების მნიშვნელოვანი ნაწილი მთის სოფლებზე მოდის. აქაური წისქვილები ჩვეულებრივად მეტად პატარა და ერთთვლიანი იყო. თითოეული ასეთი წისქვილი საშუალოდ 6—12 მანეთი ღირდა[1]. წისქვილის გამართვაში მონაწილეობდა სოფლის რამდენიმე კომლი, რომლებიც შემდეგ კოლექტიურადვე სარგებლობდნენ. ასეთ წისქვილს მეწისქვილე არა ჰყავდა და თითოეული მესაფქვავე საჭირო შემთხვევაში წისქვილს თითონვე ემსახურებოდა.

მეორე მხრით, უკვე XIX საუკ. 80-იან წლებში გვხვდება კარგად გამართული სამ და ოთხთვლიანი წისქვილები, რომელთა ღირებულება 1000-1900 მანეთს აღწევდა. ოთხთვლიანი წისქვილები გამართული იყო, მაგალითად, სოფ. კრისხევში, სოფ. თეზსა და სხვ[2]. ასეთი წისქვილები ეკუთვნოდა როგორც მემამულეებს, ისე შეძლებულ გლეხებსა და ვაჭრებს, რომლებიც ამ საწარმოების მეშვეობით ყველაფდნენ ღარიბ გლეხებს.

1899 წელს მაზრაში მსხვილი ქარხნებიდან აღსანიშნავი იყო: 1. მინის, ხე-ტყის სახერხი და მინერალური წყლების ქარხნები (მიხეილ რომანოვისა), 2. ხე-ტყის სახერხი ქარხანა ატენის ხეობაში (ინჟინერ ზაზემანისა), 3. ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სადურგლო სახელოსნო მდ. თეძამის ხეობაში (თავად პეტრე გრუზინსკისა), 4. შპალების დამამზადებელი ქარხანა სადგ. გომთან. ამ საწარმოთა მწარმოებლურობა დაახლოებით 400000 მანეთს აღწევდა, მუშების რიცხვი კი 1500 კაცს[3].

ამასთან, XX საუკ. დასაწყისში შეიქმნა „ფირალოვისა და ყარაბეგოვის ლიახვის სატყეო-სამრეწველო ამხანაგობა". ამხანაგობამ მემამულე მაჩაბლებიდან შიხანთურში შეიძინა ტყე ექსპლოატაციის მიზნით. ამხანაგობამვე მოაწყო ხე-ტყის სახერხი საწარმო, რომელშიც 80-მდე კაცი მუშაობდა[4].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 3740, 1887 — 1888 წწ.

[2] იქვე, ფურც. 349, 393.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 396, 1900 წ.

[4] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956, გვ. 312 — 313.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მაზრაში მოქმედებდა არაყის სახდელი სარეწები, რომელთა რიცხვი 1884 წელს იყო 238[1].

1891 — 1892	წლებში	იყო	277	სარეწი,	გამოიხადა	არაყი 233979 1/4°
1892 — 1893	„	„	341	„	„	204721 1/2°
1893 — 1894			231	„	„	329376 1/10
1894 — 1895	„	„	251	„	„	276216 3/4°[2].

1901 წელს მაზრაში 153 არაყის სახდელი სარეწი იყო 663 მუშით, გამოხდილ იქნა 211010 გრადუსი სპირტი[3].

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, არაყის სახდელ სარეწთა რიცხვი შედარებით შემცირებულა (251-დან 1894—1895 წლებში, 153-მდე 1901 წელს). ეს შემცირება აიხსნება, ერთი მხრით, ვენახის მოსავლიანობის მერყეობითა და, მეორე მხრით, სააქციზო ღონისძიებებით, რასაც მთავრობა ატარებდა. ამის შედეგად ბევრი გლეხური კომლი იძულებული იყო არაყის სახდელი სარეწი დაეხურა.

ამ სააქციზო წესების შესახებ ი. ჭავჭავაძე შემდეგს აღნიშნავდა: „ფრიად საჭიროა ეხლანდელი ბაჟი არაყის ხდისა შეიცვალოს ისე მაინც, როგორც უწინ იყო, თუ უკეთესად არა. ეხლანდელი ბაჟი ისეთია, რომ თუ მოკლე ხანში კაცმა ბევრი არ გამოხადა, არაყის ხდა საზარალოა. არც ერთ ქვაბს, რომელსაც აქამომდე გლეხკაცი ხმარობდა, მაგ სასწაულის ქმნა არ შეუძლია... საცა ვენახები ხშირია (და სად არ არის ჩვენში?), იქ გლეხკაცობა მარტო არაყის შემოსავლით ისტუმრებდა თითქმის მთელს სახელმწიფო და სასოფლო ხარჯსა. დღეს კი ამას მოკლებულია ეხლანდელი ბაჟის წყალობითა. ეხლა არაყის ხდა მარტო მდიდრისათვისღაა შესაძლებელი, ესე იგი იმისათვის, ვინც ორასს, სამასს თუმანს გამოიმეტებს და იმისთანა ქარხანას გამართავს, რომ ცოტა ხანში ბევრი გამოხადოს. ამ სახით, ისეც უღონო გლეხკაცი მტლად დაუდეს მდიდარსა და ფულიანსა“[4].

---

[1] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1888, გვ. 48.

[2] П. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Картлинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, 1897, გვ. 91.

[3] ერთი გრადუსი=1/10 ვედროს (Записки Кавказского Общества Сельского хозяйства, 1873, გვ 2).

[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 185.

არაყის სახდელი სარეწების საკმაოდ დიდი რიცხვი მოწმობს მევენახეობის განვითარების მაღალ დონეს. არაყს ხდიან არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ უფრო მეტად ბაზარზე გასატანად. ბაზარზე არაყის გატანა შედარებით დიდი რაოდენობით შეეძლოთ მხოლოდ დიდი ვენახებისა და არაყის სახდელი სარეწების მესაკუთრეებს — ესენი კი, როგორც წესი, მეშამულეები და მდიდარი გლეხები იყვნენ[1].

მაზრის მრეწველობაში ფეხს იკიდებს შედარებით მაღალი ტექნიკა. ჯერ კიდევ 1887 წელს მაზრის უფროსი თავის ანგარიშში აღნიშნავდა სამ საწარმოს, სადაც გამოყენებული ყოფილა ორთქლის ძრავი. ხე-ტყის სახერხ ქარხანაში (რკინიგზის სადგურ გომის ახლოს) საწვავ მასალად გამოყენებული იყო შეშა, გორის ხე-ტყის სახარშ ქარხანაში კი მაზუთი, სოფ. იკვნევის ხე-ტყის სახერხი ქარხანა მუშაობდა შეშაზე. აღნიშნულთაგან პირველი საწარმო ეკუთვნოდა მისეილ რომანოვს, ორი უკანასკნელი კი ინჟინერ ზაზემანს[2].

ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია აქ მოვიტანოთ XIX საუკ. 80-იანი წლების გორის მაზრის ზოგიერთი საწარმოს უფრო დეტალური აღწერა.

სოფ. ატენში თავად ზაქარია და ივანე ერისთავების მიწაზე ინჟინერ ავგუსტ ზაზემანს ჰქონია 3650 მან. ღირებული ხის სახერხი ქარხანა. ეს საწარმო იყო ხის ორსართულიანი შენობა, სიგრძით 14, სიგანით 6 და სიმაღლით 4 საჟენი. მაღლა სართულზე განლაგებული იყო მანქანები და წარმოებდა მუშაობა. დაბლა სართულზე იდგა 2 ტურბინა, თითოეული 12 ძალიანი. საწარმოში სამი ხერხი მოქმედებდა: ორი მრგვალი და ერთი გრძელი[3].

ინჟ. ზაზემანის მეორე ხის სახერხი ქარხანა, 3525 მანეთად ღირებული, სოფ. ხანდისის ახლოს, თავად ერისთავების მიწაზე იყო აშენებული. ერთსართულიან ხის შენობაში 8 ძალიანი ორთქლის მანქანა იდგა, მოქმედებდა 4 მრგვალი ხერხი. ქარხნიდან 1 ვერსის მანძილზე გაყვანილი იყო ცხენის რკინიგზა. ქარხანასთან აგებული იყო 8 ოთახიანი ორსართულიანი ხის შენობა მუშების საცხოვრებლად[4].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 22, 1902 წ.
[2] იქვე, საქმე 36, ფურც. 7, 1888 წ.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 3740, ფურც. 326 — 327, 1887 — 1888 წწ.
[4] იქვე, ფურც. 328.

სოფ. ხიდისთავის მიდამოებში (რკინიგზის გორის სადგურთან), თავად დავით ერისთავის მამულში ინჟ. ზაზემანსვე მოწყობილი ჰქონდა რკინიგზის შპალების გამქღენთავი ქარხანა, შეფასებული სახაზინო პალატის მიერ 70900 მანეთად. ქარხანა წარმოადგენდა ერთსართულიან ქვის შენობას, სიგრძით 18, სიგანით $5^1/_4$ და სიმაღლით $2^3/_4$ საჟენს. შენობა 5 განყოფილებისაგან შედგებოდა: ერთ განყოფილებაში იდგა ორი ქვაბი (ცილინდრი) შპალების გასაქღენთად, მეორეში — ორთქლის მანქანა, დანარჩენი სამი განყოფილება ეჭირა კანტორას, მემანქანესა და სხვა მომსახურე პერსონალს.

ამ შენობას მიდგმული ჰქონდა კიდევ რამდენიმე სხვა შენობა. ერთ მათგანში მოთავსებული იყო 25 ძალიანი ორთქლის ქვაბი. ხე-ტყის მოსაზიდად ქარხნიდან 20 ვერსის მანძილზე გაყვანილი იყო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, ერთი ვერსის მანძილის სათადარიგო გზებით. რკინიგზას 144 პატარა ვაგონი და 3 ორთქლმავალი ემსახურებოდა. ორთქლმავლები ერთი 20 ძალიანი, ხოლო ორი 40—40 ძალიანი ყოფილა[1]. რკინიგზა მდ. ტანას მიჰყვებოდა. XX საუკ. დასაწყისისათვის მისმა სიგრძემ 34—35 ვერსს მიაღწია[2].

სოფ. გომის ახლოს მიხეილ რომანოვს ჰქონდა ხის სახერხი ქარხანა 11220 მან. ღირებული. ქარხნის შენობა წარმოადგენდა 76 არშინის სიგრძის, 25 არშ. სიგანისა და $6^1/_2$ არშ. სიმაღლის ხის ფარდულს. აქ იდგა ორთქლის ქვაბი და ძრავი. ქარხანას ჰქონდა სამი სახერხი დაზგა: ორი მრგვალი და ერთი გრძელი ხერხით. აქვე იყო ბევრი სხვა შენობაც, მათ შორის მუშათა საცხოვრებელი 3 ოთახიანი სახლი (სიგრძე 20, სიგანე 7, სიმაღლე $3^1/_2$ არშინი), მოსამსახურეებისათვის 6 ოთახიანი შენობა (სიგრძე 30, სიგანე 11, სიმაღლე 5 არშინი)[3].

ანალოგიური იყო გენერალ ალექსანდრე პეტერსის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ბორჯომის ახლოს[4] და სხვ.

დ) საგზაო მშენებლობის განვითარება

XIX საუკ. 60-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში იწყება რკინიგზის ქსელის მშენებლობა. ეს მოვლენა, საერთოდ, კაპიტალიზმის

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 3740, ფურც. 325, 1887 — 1888 წწ.
[2] ცნობა მოგვაწოდა ატენის მცხოვრებმა სანდრო ჯიღლაძემ (101 წლ.).
[3] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 3740, ფურც. 344, 1887 — 1888 წწ.
[4] იქვე, ფურც. 358 — 359.

განვითარების შედეგი იყო. რკინიგზებმა დააჩქარეს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება.

1871 წელს გაყვანილ იქნა რკინიგზის თბილისი-ფოთის ხაზი, 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის უდიდესი სატრანსპორტო არტერიის, ბაქო-ბათუმის მაგისტრალის გაყვანა. 1894 წელს რკინიგზის სიგრძემ 969 ვერსს მიაღწია. იმავე წელს კავკასიაში გაყვანილ იქნა 27 ვერსი რკინიგზა. 1895 წ. — 38 ვერსი, 1899 წ. — 279, 1900 წ. — 6, 1901 წ. — 12, 1902 წ. — 167 ვერსი. 1914 წელს ამიერკავკასიაში რკინიგზების სიგრძე 1767 ვერსს უდრიდა[1]. 1890 წელს გაიხსნა სურამის გვირაბი[2], რამაც განაპირობა დაუბრკოლებელი სარკინიგზო კავშირი საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთ ნაწილებს შორის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან ამიერკავკასიის რკინიგზით დაკავშირებას.

რკინიგზამ აქამდე ეკონომიურად სუსტად დაკავშირებული მხარეები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა, გააადვილა მიმოსვლა, შესაძლებელი გახადა საქონლის მიწოდება იქ. სადაც მისი გასაღება იყო შესაძლებელი. საქართველოს ცალკეულ ოლქებს შორის შრომის დანაწილება მთელი სისრულით მხოლოდ რკინიგზის გაყვანის შემდეგ იქნა შესაძლებელი.

რკინიგზამ გორის მაზრაზე გაიარა და იგი ორ ნაწილად გაყო. მაზრაში რკინიგზის სიგრძე 94 ვერსს უდრიდა. გზას მაზრისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან კარები გაუხსნა სოფლის მეურნეობის პროდუქციას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მთავარ ბაზრებზე. რკინიგზამ მჭიდროდ დაუკავშირა გორის მაზრის მოსახლეობა საქართველოს სხვა ოლქებსა და რაიონებს, აგრეთვე ამიერკავკასიასა და რუსეთს.

რკინიგზით მიმოსვლა სწრაფად შედის ამიერკავკასიის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში.

---

[1] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, ტფილისი, 1927, გვ. 45.

[2] Кавказскій календарь на 1891 г., გვ. 8 — 14.

გადაყვანილი მგზავრებისა და გადატანილი ტვირთის რაოდენობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე შემდეგ სურათს გვაძლევს:

ცხრილი 6

ამიერკავკასიის რკინიგზით გადაყვანილი მგზავრებისა და გადატანილი ტვირთის რაოდენობა

წლები	გადაყვანილი მგზავრების რიცხვი	გადატანილი საქონლის რაოდენობა (ფუთობით)
1874	367798	9836759
1880	633983	28659241
1885	842349	76490902
1890	1134473	118516704
1896	2179459	152162303[1]

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 1874 წელთან შედარებით 1896 წელს გადაყვანილ იქნა მგზავრთა 6-ჯერ მეტი რაოდენობა, ხოლო ტვირთი გადატანილ იქნა 15.5-ჯერ მეტი.

მაზრის რკინიგზის სადგურების მიხედვით მგზავრთა გადაყვანა შემდეგნაირია:

ცხრილი 7

მგზავრთა გადაყვანა რკინიგზის გორის მაზრის სადგურების მიხედვით

სადგურების დასახელება	მოსულ მგზავრთა რიცხვი		გამგზავრებულთა რაოდენობა	
	1884 წ.	1902 წ.	1884 წ.	1902 წ.
სურამი	15684	—	12304	—
მიხაილოვო (ხაშური) .	22047	85597	22205	96646
გომი .	8987	17254	6695	14403
ქარელი	8273	21063	8756	18471
გორი . .	33051	74143	31664	72550
გრაკალი	6691	20664	7711	20013
კასპი . . .	7412	21603	5556	20371[2]
სულ	102145	240324	94891	242454

[1] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VIII, თბილისი, 1932, გვ. 15.

[2] Труды Тифлисского губернского статистического комитета, Тифлис, 1886, გვ. 66 — 67; Казенные дороги, Сводные статистические таблицы за 1902 г., გვ. 63 — 65.

რკინიგზა ქართლის ცხოვრებაში უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. განუწყვეტლივ მატულობს რკინიგზის მგზავრთა რიცხვი, რაც მოსახლეობის ფართო ფენების მოძრაობის დიდ ზრდაზე მიუთითებს. ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან, ახდენენ გარიგებებს, გადააქვთ ტვირთი უფრო დიდი რაოდენობით, უფრო შორს ჰყიდიან და ყიდულობენ საქონელს, აქტიურად ებმებიან ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ადამიანებს გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ ფული. საზოგადოების ერთი ნაწილი ფულის შოვნას ჭარბი სასაქონლო პროდუქტების გაყიდვით ახერხებს. საზოგადოების მეორე ნაწილი ფულს სამუშაო ძალის გაყიდვით შოულობს. რკინიგზა საშუალებას იძლევა, რომ ადამიანებმა სამუშაო ძალა იქ გააქირაონ, სადაც მასზე მეტი მოთხოვნილებაა.

XIX საუკ. უკანასკნელი მესამედისა და XX საუკ. პირველი მეხუთედის ქართლის სოფლის ძირითად მოსახლეობას მცირემიწიანი გლეხობა შეადგენდა. იგი იძულებული იყო ბაზარზე გაეტანა, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, ის პროდუქციაც, რომელიც მცირე ნაკვეთზე მოჰყავდა. რკინიგზამ მისაწვდომი გახადა ერთი ოლქის სიმდიდრე მეორესათვის. სოფელი დაუახლოვდა ქალაქს.

50-იანი წლების ბოლოს მემამულე ამილახვარმა, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების რჩევით, გორთან ახლოს ხელი მიჰყო ბოსტნეულის მოყვანას; კერძოდ, მან მოზრდილი ნაკვეთი დაუთმო ფერად კომბოსტოს. შესანიშნავი ბოსტნეული მოვიდა, მაგრამ იგი ადგილზე ვერ გაიყიდა, მისი გატანა შეიძლებოდა თბილისში, რომელიც იმ დროს ფაქტიურად ბოსტნეულის ერთადერთი ბაზარი იყო გუბერნიაში. რკინიგზა არ არსებობდა, ურმით გადატანა კი არახელსაყრელი იყო, გაყიდული პროდუქტები სატრანსპორტო ხარჯებსაც კი ვერ აანაზღაურებდა. მემამულის ბრძანებით ბოსტანში შეუშვეს კამეჩები. რომელთაც გაანადგურეს ჯიშიანი ბოსტნეული[1]. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ამის მსგავს მაგალითს, რა თქმა უნდა, აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი.

რკინიგზის სადგურები გორის მაზრაში მრავალი სახის ტვირთს იღებდნენ და აგზავნიდნენ. ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი[2], შედგენილი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ანგარიშის საფუძველზე.

[1] Обзор деятельности Кавказского общества сельского хозяйства за 50 лет, 1901, стр. 10 — 11.

[2] Труды Тифлисского губернского статистического комитета, Тифлис, 1886, Таблица I.

ცხრილი 8

ტკირთზიდვა სადგურების მიხედვით 1884 წ. (ფუთობით)

საქონლის დასახელება \ რკინიგზის სადგურები	სურამი		ხაშური		გომი		გორი		გრაკალი		კასპი		ქსანი		ქარელი	
	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
მაზუთი . .	—	—	—	35	67	—	—	72	—	67	—	—	—	—	—	—
ბოსტნეული . .	217	2007	2311	3755	61	30	2112	9350	19	86	306	120	—	13	102	185
მეკასრეობის ნაწარმი	140	119	2566	4119	133	53	403	1448	69	139	129	241	120	154	27	20
ღვინო ადგილობრივი	451	26767	141	16052	133	1326	11311	1675	2994	11	2304	40	2393	—	92	3999
არაყი და სპირტი .	—	802	33403	1555	34	87	1397	1833	—	9	—	20	—	—	—	—
ხე-ტყე და სადურგლო ნაკეთობანი	316	337	1512	8343	58	246	675	815	18	64	123	306	—	43	18	19
შეშა . . .	181200	—	4099	600	33600	—	76800	—	96600	—	8400	—	4200	—	178800	—
რკინის ნაწარმი . .	24	1053	3008	2811	—	262	—	1587	—	20	—	34	—	—	—	2
დაუმუშავებელი რკინა	—	770	—	13660	—	213	—	3492	—	20	—	47	—	—	—	—
სას-სამ. იარაღები	—	—	—	248	3	—	20	32	—	—	—	—	—	—	—	11
კირი და გაჯი .	7611	106	600	870	—	180	1236	7	—	—	—	—	—	—	600	—
ჩამიჩი . . .	—	—	—	—	—	—	—	66	—	—	—	—	—	—	—	—
სამშენებლო ქვა	2400	2400	—	73	600	—	73	1200	1200	20	10200	—	—	—	—	—
ნავთი . . .	10	1000	1561	39959	—	2147	1876	20967	—	979	—	664	—	59	—	284
ტყავ-ნედლეული	748	173	832	539	25	—	2465	89	93	28	21	21	—	14	380	10
უჩენრო ქერი, ღომი, ფეტვი	1575	2632	5224	3263	1561	815	3420	3636	10	86	—	63	—	20	253	9
ფართლეული	—	2901	108	15123	88	4503	59	9324	—	650	—	266	—	30	—	108
მანქანები	—	8	36	144	8	2995	22	222	—	3	1800	—	—	—	—	12
სამღებრო საქონელი	—	—	13	1774	—	—	—	209	—	—	—	—	—	—	—	—
ხორბლის ფქვილი	4784	3083	3481	13281	49351	458	63451	3995	2115	119	8716	168	523	226	12622	25
ტომრები	220	704	419	2004	226	2283	555	4298	8	52	236	258	—	—	6	747

საქონლის დასახელება \ რკინიგზის სადგურები	სურამი		ხაშური		გომი		გორი		გრაკალი		კასპი		ქსანი		ქარელი	
	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.	გაგზ.	მიღ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
კაკალი	577	8	71	782	942	—	—	123	—	—	—	—	—	—	481	4
მინისა და ფაიფურის ჭურჭელი .	371	252	2060	1903	—	6	296	1197	4	4	—	—	—	—	—	—
მავთული	—	228	—	381	—	10	—	131	—	—	—	—	—	—	—	—
ნართი .	—	376	225	3032	—	9	—	339	—	6	—	—	10	—	—	—
ხორბალი	6011	3290	12150	138	39994	1342	23676	8003	3474	789	6129	243	309	628	14811	100
ბრინჯი	—	32	—	—	—	—	—	56	—	—	—	—	—	—	—	—
თევზი	63	1536	353	2013	40	186	356	7375	—	86	—	117	9	40	—	—
შაქარი	—	1363	113	14738	—	55	—	5737	—	77	—	21	—	—	—	—
ფხვნილი შაქარი	—	19	—	420	—	—	—	613	—	—	—	—	—	—	—	—
მარილი .	1703	14040	794	6418	—	1274	5785	69014	—	1547	—	919	—	37	—	2545
სხვადასხვა საქონელი	239	3755	2139	12625	54	1152	858	11884	159	1380	330	407	44	132	288	425
ბზე, თივა, ჩალა	32448	13	2893	—	10957	498	5700	270	156	36	783	20	1263	—	2643	—
თამბაქო	—	46	335	3066	—	—	2	407	—	—	—	—	—	—	—	—
ლობიო .	2195	169	770	676	334	—	5215	262	22	13	57	32	—	—	2159	9
ხილი	—	1085	5772	3692	—	60	12110	663	163	26	392	6	—	4	281	96
ბამბა .	—	—	—	487	14	147	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ცემენტი	—	171	58	3087	—	92	—	217	—	65	—	—	—	10	—	—
თუჯი .	—	25	—	2651	—	—	155	16	—	—	—	—	—	—	—	—
ქერი . . .	13906	207	62259	2132	106028	—	77635	6507	1570	140	31348	—	—	15	47985	222
დამუშავებული ტყავი და მისი ნაკეთობა	92	769	342	3237	6	319	151	2254	12	4	—	—	—	—	59	—

იმის მიხედვით, თუ რომელი სადგურიდან რა სახის საქონელი გაჰქონდათ, შეიძლება წარმოვიდგინოთ სოფლის მეურნეობის რომელ დარგს ჰქონდა უპირატესი მნიშვნელობა სადგურის მომსახურების ზონის სოფლებში. მარცვლეული ყველაზე მეტი გაჰქონდათ სადგ. გომიდან, შემდეგ გორიდან და ქარელიდან. ბოსტნეული ყველაზე მეტი გადიოდა ხაშურიდან და გორიდან. შეშა უფრო მეტი გაჰქონდათ სურამიდან და გრაკალიდან, ხილი — გორიდან და ხაშურიდან.

თბილისთან, როგორც მთავარ გამსაღებელ ბაზართან, გორის მაზრის სიახლოვე (90—100კილომეტრი) და წვრილ გლეხურ მეურნეობათა სიჭარბე სოფლად განაპირობებდა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის მნიშვნელოვანი რაოდენობის ურმებითა და ცხენებით გადატანას. რკინიგზით ტვირთის გადატანა შეეძლოთ მსხვილ მეურნეებს, წვრილი მეურნე კი უმთავრესად კმაყოფილდებოდა ან გასაყიდი მცირე რაოდენობის პროდუქტების (ხელბარგის სახით) გატანით მატარებელზე, ან ურმისა და ცხენის საშუალებით — გზატკეცილებზე.

* * *

რკინიგზის გაყვანამდე გორის მაზრაში სამიმოსვლო მაგისტრალს საქართველო-იმერეთის სამხედრო გზა წარმოადგენდა[1]. ამ მაგისტრალით წარმოებდა საფოსტო მიმოსვლა, სავაჭრო ტვირთების გადატანა. ამ გზას იყენებდა მაზრის მოსახლეობა თბილისსა და ქუთაისის გუბერნიასთან დასაკავშირებლად. რკინიგზის გაყვანის შემდეგაც აღნიშნულ გზატკეცილს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, ისევე როგორც სხვა გზატკეცილებს. ასეთი გზებით მოსახლეობა უკავშირდებოდა რკინიგზის სადგურებს, ქ. გორს, თბილისს და სხვ. რეფორმის შემდეგ დიდი ყურადღება ექცეოდა გზების გაყვანა-შეკეთებას. XIX საუკ. 80-იან წლებში გამოირჩეოდნენ შემდეგი გზატკეცილები[2]: 1. ბორჯომ-ახალციხის საფოსტო გზა, რომელიც ხაშურიდან იწყებოდა(ის გადაჭიმული იყო 45 ვერსზე და ძალიან კარგად იყო მოვლილი), 2. ცხინვალის გზატკეცილი (გზა გორსა და ცხინვალს შორის სიგრძე 27 ვერსს უდრიდა, ამ გზის გაყვანა დამთავრდა 1885 წ.), 3. ბორჯომ-ახალქალაქის გზატკეცილი, ბაკურიანზე გავლით, 4. სადგურ გრაკალისა და სოფ. ახალქალაქის დამაკავშირებელი გზატკეცილი (8 ვერსის სიგრძისა), 5. სადგ. კასპიდან სოფ. ქვემო

[1] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 142.
[2] იქვე.

ჭალამდე, 12 ვერსის სიგრძისა (გზატკეცილის განშტოება მიდიოდა სოფ. ლამისყანამდე) და სხვ.

გზატკეცილების სიგრძე მაზრაში თანდათან იზრდებოდა. სადაც გზატკეცილები არ იყო, მაზრის სოფლები ერთმანეთთან სასოფლო (საურმე) გზებით იყო დაკავშირებული. მოსახლეობა ცდილობდა გაეუმჯობესებინა გზების მდგომარეობა. მაგალითად, გორის მაზრის უფროსის 1893 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხდებოდა შეკეთება შემდეგი გზებისა: გორი — ცხინვალი, გორი — მეჯვრისხევი. კასპი — ქვემო ჭალა, გრაკალი — ახალქალაქი და გომი — ალი[1].

ხდებოდა მნიშვნელოვანი გზების მოკირწყვლა. ასეთი წესით იქნა შეკეთებული ბორჯომ — ახალქალაქის გზატკეცილი 78 ვერსის სიგრძეზე. ამ საქმეზე მარტო 1899 წელს დახარჯულა 22650 მან. და 96 კაპ[2].

გზების შეკეთება წარმოებდა უმთავრესად გლეხების საშუალებითა და მათ ხარჯზე, რაც ზრდიდა მათ ექსპლოატაციას[3].

რეფორმის შემდეგ დიდი ყურადღება ექცეოდა ხიდების აგებას. ხიდები ჩვეულებრივად ხისა იყო და ნაკლებ გამძლე; ისინი ინგრეოდნენ წყალდიდობისა თუ წყალზე დაცურებული ტივების მიწოლის შედეგად. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქ. გორში მდ. მტკვარზე დაიწყეს რკინის ხიდის მშენებლობა[4].

უფრო ძნელი იყო გზების გაყვანა მაზრის მთიან ადგილებში. აქ რელიეფის თავისებურებათა გამო მიმოსვლა წარმოებდა უმთავრესად საცალფეხო გზებით, ხოლო ტვირთის გადატანა — ცხენებითა და ხის მარხილებით[5]. ზამთრობით უგზოობის გამო ბევრი სოფელი თითქმის მთლიანად იყო მოწყვეტილი გარე სამყაროს. მთის გზებიდან აღსანიშნავია: გზა მდ. ლიახვის ხეობაზე, რაც მთას ბართან აკავშირებდა; გზა, რომელიც გადიოდა შუა ერმანზე და ჩრდილო ოსეთს დუშეთის მაზრასთან აკავშირებდა, და გზა, რომელიც სოფ. კავთისხევს აერთებდა სოფ. მანგლისთან[6].

---

1 საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 7, 1894 წ.
2 Обзор Тифлисской губернии на 1899 г., Тифлис, 1900, გვ. 20.
3 საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 22, ფურც. 96, 1902 წ.
4 საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 1927, ფურც. 10, 1883 წ.
5 «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 210.
6 იქვე, გვ. 142.

რეფორმის შემდეგ ყურადღება მიექცა სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებას მაღალმთიან რაიონებშიც. არქივში დაცულია საქმე ჯავის ხეობაზე გზის შეკეთებისა და ასაფეთქებელი ნივთიერების გაცემის შესახებ[1]. მაშასადამე, ხდება საცალფეხო ბილიკების არა მხოლოდ შეკეთება, არამედ წარმოებს ასაფეთქებელი სამუშაოები ამ გზების გაფართოებისა და, საერთოდ, გაუმჯობესებისათვის.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მთიანი რაიონების ბართან დაახლოვება გზების გაყვანა-გაუმჯობესების საშუალებით ბოლომდე არსად არ მისულა; ცარიზმის დროს ამ ამოცანის სრული გადაჭრა არ შეიძლებოდა.

XIX საუკ. ბოლოსათვის სამიმოსვლო გზები აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდა, გაცხოველდა მოსახლეობის ურთიერთობა. ი. ჭავჭავაძე ამის შესახებ აღნიშნავდა: „რკინის გზამ შუა გასჭრა ქართლი, ესე იგი გორის მაზრა, და ზღვიდამ ზღვამდე გაუადვილა სიარული, ნაშრომ-ნაღვაწის ზიდვა-გადატანა, სამხედრო საქართველოს გზამ დუშეთს თავიდამ ბოლომდე გაუარა. გზატკეცილმა ბორჯომიდამ აბასთუმნამდე ახალქალაქის და ახალციხის მაზრა მიუახლოვა ბაზარს; სხვა აქეთ-იქითა გზები—კი ასეთი არის, რომ მათზე სიარული ერთი ჭირი და ბოროტია, ნამეტნავად გასასყიდად დანიშნულის საზიდავად და გადასატან-გადმოსატანად. რკინის გზებსა და გზატკეცილებზედ ახლო-მახლო მცხოვრებელთ, რა თქმა უნდა, ბედი გაეხსნათ: კარგი გზა ბაზარს თითქმის ხელში აძლევს. ამ გარემოებამ, იმოდენად გაუადვილა ჭირნახულის გატანა ბაზარში, იმოდენად გაუიეფა ჭირნახულის საზიდი ხარჯი, იმოდენად შეუმოკლა დრო და გარჯა მისვლა-მოსვლისათვის და გადატან-გადმოტანისათვის, რომ ამ კაი გზებზე მოშორებით მცხოვრებელმა ველარ გაუწია ცილობა და ძალაუნებურად პირში ჩალა გამოვლებული დარჩა და ბაზარს და ბაზრობას გამოეთხოვა"[2].

ბაზარზე იმარჯვებს ის, ვისაც შეუძლია უფრო იაფად გაყიდოს, ამისათვის საჭიროა საქონლის ფასი ნაკლები იყოს. ამ მხრივ საგზაო ხარჯები გარკვეულ როლს თამაშობს, კარგ გზებზე საქონლის გადასატანი ხარჯები და დრო ნაკლებია საჭირო. ამდენად, კარგი გზების პირას მცხოვრებნი უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 1836, 1881 წ.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. VIII, ტფილისი, 1828, გვ. 337 — 338.

2. ძალაძების ზრდა-განვითარება

ა) ქალაქი თბილისი

ჩვენ წინაშე დასმული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გაკვრით მაინც შევეხოთ საქალაქო ცხოვრების ზრდასა და იმ ცვლილებებს, რაც აქ რეფორმის შემდეგ ხდებოდა. საქალაქო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ისინი გავლენას ახდენენ სოფელზე და იწვევენ შესატყვისი სახის გარდაქმნებს, — კაპიტალიზმის დროს ქალაქს მიჰყავს სოფელი.

არ კმარა მხოლოდ მაზრის ქალაქებისა და დაბების მიმოხილვა. მაზრის გლეხობა დიდად იყო დაკავშირებული ქ. თბილისთან, საერთოდ კი ამიერკავკასიის საქალაქო-სამრეწველო ცხოვრება უდიდეს გავლენას ახდენდა ქართლის სოფელზე.

რეფორმის შემდგომ პერიოდში, პირველ ყოვლისა, თვალში გვეცემა სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა. ევროპულ რუსეთში 1863 წლიდან 1897 წლამდე მოსახლეობა 53,3%-ით გაიზარდა. აქედან სოფლის მოსახლეობა გაიზარდა 48,5%-ით, ქალაქისა— 97%[1]-ით. ქალაქების ზრდა უფრო სწრაფად ხდება კავკასიაში. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ქალაქის მოსახლეობა კავკასიაში გაიზარდა 350 ათასიდან 1863 წ. 900 ათასამდე 1897 წ. (კავკასიის მთელი მოსახლეობა 1851-დან 1897 წლამდე გაიზარდა 95%-ით)"[2].

ევროპულ რუსეთში ქალაქების მოსახლეობის ზრდის 97%-ის ნაცვლად კავკასიაში ჩვენ გვაქვს 250%-ზე მეტი. ასეთია ქალაქების ზრდის ტემპი. ამასთან, თბილისის გუბერნიის ქალაქებში 1865 წელს „ქალაქელთა ფენა" 23,5%-ს შეადგენდა, რუსეთის ქალაქებში კი ეს ფენა ორჯერ მეტი იყო[3]. თბილისსა და გორში მცხოვრებთა ერთი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევდა. ამასთან, განსხვავება „ქალაქელ" სოფლის მეურნეებსა და სოფლელებს შორის მაინც არსებითი იყო. ქალაქის მცხოვრებლები სულ უფრო და უფრო სწრაფად ეთიშებოდნენ სოფლის მეურნეობას ან მისდევდნენ მას წმინდა ვაჭრული ინტერესებით, ე. ი. პროდუქტებს ამზადებდნენ ბაზარზე გასატანად.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

[2] იქვე, გვ. 704.

[3] Сборник статистических сведений о Кавказе. Под редакцией Н. Воронова, т. I, Тифлис, 1869, გვ. 58.

თბილისში „ქალაქის მცხოვრებლებად“ (მოქალაქეებად) 1865 წ. ითვლებოდა 7635 მამაკაცი და 6602 ქალი, სულ 14137 სული, გორში კი 846 მამაკაცი და 907 ქალი, სულ 1753 მოქალაქე[1]. თბილისში მოქალაქეთა რიცხვი ქალაქის მთელ მოსახლეობასთან შეფარდებით უდრიდა 20%-ს, გორში კი 35%-ს (ქალაქში სხვა წოდების წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, მაგალითად, თავადაზნაურობა, სამღვდელოება და გლეხობა, მაგრამ ისინი მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ).

1865 წელს თბილისის გუბერნიის მცხოვრებთა 17% ქალაქებში ცხოვრობდა[2], 1897 წლისათვის კი 27%-ზე მეტი[3]. 1865 წელს თბილისის გუბერნიაში მოქალაქეთა წოდება მცხოვრებთა 4,21%-ს შეადგენდა, ხოლო 1886 წ. — 10,20%-ს[4].

თბილისში იმ მშენებლობათა განსახორციელებლად, რაც აქ წარმოებდა განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან, საჭირო იყო დიდძალი მუშახელი. ამ მუშახელის მნიშვნელოვანი რაოდენობა, სავარაუდებელია, მიიზიდებოდა ქართლის სოფლებიდან, ამას განაპირობებდა არა მარტო თბილისთან ქართლის სოფლების ტერიტორიული სიახლოვე, არამედ, უმთავრესად, ის დიდი ეკონომიური გაჭირვება, რასაც განიცდიდა გლეხობის ძირითადი მასა. მშენებლობებზე მომუშავე გლეხების აღრიცხვა არ წარმოებდა არც ქალაქის მმართველობისა და არც სოფლის ადმინისტრაციის მიერ. ფაქტიურად, ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი სტატისტიკის მიხედვით ნაჩვენებ რიცხვზე მეტი უნდა ყოფილიყო, მაშინ კი სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის უფრო დიდ პროცენტს მივიღებდით. კ. მარქსი აღნიშნავდა: „კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნებასთანაა დაკავშირებული ის მოვლენა, რომ იგი მუდამ ამცირებს მიწათმოქმედ მოსახლეობას არამიწათმოქმედ მოსახლეობასთან შედარებით“[5].

არამიწათმოქმედი მოსახლეობის სწრაფი ზრდა მიწათმოქმედი მოსახლეობის ზრდასთან შედარებით მიუთითებს განვითარების კაპიტალისტურ გზაზე. ქალაქების მოსახლეობის ზრდა ძირითადად

---

[1] Н. Воронов, Статистические этюды, «Кавказ», 1866, № 79, გვ. 369.

[2] Сборник статистических сведений о Кавказе, Под редакцией Н. Воронова, Тифлис, 1869, გვ. 45.

[3] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г., LXIX, Тифлисская губерния, 1905, გვ. 12 — 13.

[4] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 46.

[5] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 166.

სოფლის ხარჯზე ხდება. ფ. მახარაძე 1901 წელს წერდა: „ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში სოფლის ხალხს გამოეყო საკმარისად დიდი ნაწილი მისი წევრებისა, რომლებიც ქალაქებში და სხვა სამრეწველო და სააღებ-მიცემო ადგილებში დაესახლა და რომელიც ბურჟუა-კაპიტალისტის თუ დღიური მუშის სახით თითონ ხდება სამეურნეო ნაწარმოებთა მუდმივი მუშტარი"[1].

სოფელი ქალაქს აწვდის როგორც სამრეწველო, ისე სამშენებლო და სხვა სახის მუშახელს. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში, აგრეთვე ხაშურის დეპოსა და, საერთოდ, რკინიგზაზე ბევრი ქართველი გლეხი მიდიოდა სამუშაოდ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ რუსეთში სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა ქალაქები, მრავლდებოდა ფაბრიკები და ქარხნები, შენდებოდა რკინიგზები. ბატონყმური რუსეთის ადგილს კაპიტალისტური რუსეთი იქერდა"[2]. იგივე ითქმის თბილისის გუბერნიაზე, კერძოდ გორის მაზრაზე, სადაც ბატონყმური ურთიერთობების ადგილს იქერდა კაპიტალისტური ურთიერთობანი.

1902 წელს გაზ. „კვალი" აღნიშნავდა, რომ ჩვენთან ასი წლის წინათ კარჩაკეტილი მეურნეობა იყო გაბატონებული. რუსეთის მოსვლამ საქმე ძირფესვიანად შეცვალა: „გაძლიერდა აღებ-მიცემობა უცხოეთთან და რუსეთთან, თბილისი შეიქმნა მთავარი ქალაქი არა თუ საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისათვისაც... გარდა თბილისისა სხვა ქალაქებსაც დაეტყო გადიდება"[3].

ადვილი მისახვედრია რომ ქალაქის გადიდებამ, აქ მოსახლეობის შემომატებამ, ბაზარი გაუდიდა სოფლის მეურნეობის ნაწარმს. გადიდდა მოთხოვნილება პურზე, ღვინოზე, ხორცზე, შეშაზე, ხის მასალასა და სხვ. მაშასადამე, სოფლის ხალხისათვის უფრო ადვილი გახდა ნაწარმის გასაღება და ამით ფულის შოვნა.

საქონლის დამზადება დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორია მასზე მოთხოვნილება. არამიწათმოქმედი მოსახლეობა და მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტ სურსათსა და ნედლეულს მოითხოვდა. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეეძლო მხოლოდ კაპიტალისტურ ყაიდაზე მოწყობილ სოფლის მეურნეობას. ქალაქების ზრდას, მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრიული

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. VIII, გვ. 55 — 56.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 88.
[3] გაზ. „კვალი", 1902, № 49 — 50, გვ. 80.

წესით მოწყობას თან ახლდა განვითარებული სამიწათმოქმედო მეურნეობის მოწყობა.

XIX საუკ. ბოლოსათვის თბილისს ყოველწლიურად სჭირდებოდა 100000 კუბ. საჟენი შეშა (საჟენი შეშა თბილისში იყიდებოდა 25—35 მანეთად), 3 600 000 ფუთი ფქვილი (ფუთი საშუალოდ ღირდა 1 მან. 10 კაპ., ფქვილი თბილისში, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიიდან შემოჰქონდათ, რაც იყიდებოდა ფუთი 1 მანეთიდან 2 მანეთამდე). „თივა და ბზე (თბილისისათვის — ი. უ.) იყიდება და იგზავნება უმთავრესად გომიდან, ქარელიდან, გორიდან და გრაკალიდან“. ამ ადგილებში კერძო პირებს 30 პრესზე მეტი ედგათ. ხილი იყიდებოდა თბილისში სულ ცოტა 1 მილიონი მანეთისა. სოფლისაგან ვაჭრები ხილს 15—80 კაპიკად ყიდულობდნენ ფუთს, ხოლო გადარჩევის შემდეგ ჰყიდდნენ ამავე ხილს ფუთს 2—10 მანეთად; ქერი სჭირდებოდათ თბილისის მეეტლეებს, ლუდის ქარხნებს, ჯარის ნაწილებს — სულ ცოტა 500000 ფუთი; ღვინო თბილისსა და მის გუბერნიაში იყიდებოდა 2 მილიონი მანეთისა, საკლავი პირუტყვი — 2 მილიონი მანეთისა[1].

სწრაფად იზრდებოდა თბილისის მოსახლეობა. იგი 1867 წელს შეადგენდა 34290 მამაკაცსა და 27996 ქალს, სულ 62286 სულს[2]. 1886 წელს იყო 43822 მამაკაცი და 34623 ქალი, ანუ 78445 სული, ხოლო 1897 წლის აღწერით თბილისში უკვე 160 645 სული იყო[3].

ბ) ქ. გორი და გორის მაზრის სავაჭრო-სამრეწველო დაბები

ქართლის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქ. გორს. ის მდებარეობდა ფეოდალური საქართველოს დიდ სატრანზიტო გზაზე, რომელიც კავკასიას დასავლეთსა და აღმოსავლეთთან აკავშირებდა. გორში XIX ს. 30-იან წლებში მცხოვრებთა რიცხვი 3000 სულამდე იყო, აქ ყოფილა 69 სავაჭრო დუქანი[4]. იმავე საუკუნის 40-იან წლებში გორი ვაჭრობითა და მცხოვრებთა რაოდენობით თბილისის შემდეგ პირველ ადგილზეა[5]. გორში 1862 წელს ყოფილა 4482

---

[1] დ. მაჭავარიანი, პროექტი და საშუალება (გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატის მომავალი მოქმედების შესახებ), ტფილისი, 1900, გვ. 5 — 7.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 146, ფურ. 67, 1868 წ.

[3] Кавказский календарь на 1901 г., გვ. 22 — 23.

[4] Статистическое описание Закавказского края, Составил Орест Евецкий, С-Петербург, 1835, გვ. 148.

[5] Кавказский календарь на 1846 г., გვ. 49.

სული[1], 1867 წ. — 5199[2], 1886 წ. — 7243, ხოლო 1897 წ. — 10 274 სული[3].

ქალაქი გორი 60 წლის განმავლობაში 3,5-ჯერ, ხოლო 1867 წლიდან 1897 წლამდე, ე. ი. 30 წლის განმავლობაში, 2-ჯერ გაზრდილა. 1905 წლის ბოლოსათვის გორში უკვე 15323 სული იყო[4], ანუ რეფორმის შემდეგ 1905 წლამდე მოსახლეობა 3-ჯერ და მეტად გაზრდილა. ქ. გორი მნიშვნელოვან სავაჭრო და ხელოსნურ ცენტრს წარმოადგენდა.

ცხრილი 9

ქ. გორის შემოსავალ-გასავალი

წლები	შემოსავალი	გასავალი
1864	8382 მან. 40 1/2 კაპ.	7508 მან. 64 კაპ. [5]
1868	14729 „ 51 „ [6]	14623 „ 65 „ [6]
1873	10895 „ 60 „	5661 „ 23 „ [7]
1876	8845 „ 20 „	9207 „ 8 „ [8]
1899	16542 „ 70 „	16271 „ 98 „ [9]
1901	12882 „ 54 „	15871 „ 64 „ [10]

1903 წლისათვის ქ. გორში იმ მცხოვრებთა უძრავი ქონება, რომელსაც სახელმწიფო გადასახადი ეწერა, შეადგენდა 1481-ს (აქედან მცირე ღირებულების მქონე იყო 462). ხოლო მთელი უძრავი ქონების საერთო ღირებულება 1 768 912 მანეთს უდრიდა (აქედან მარტო მცირე ღირებულების მქონე ქონება 61 993 მანეთისა იყო)[11].

---

[1] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Составил проф. П. Гугушвили, Тбилиси, 1950, გვ. 283.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 146, ფურც. 67, 1868 წ.

[3] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г., LXIX, Тифлисская губерния, 1905, გვ. 4 — 5.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 65, ფურც. 22, 1906 წ.

[5] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 10, ფურც. 56, 1864 წ.

[6] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 1219, ფურც. 47, 1868 წ.

[7] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 2668, ფურც. 95, 1874 წ.

[8] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 51, 1877 წ.

[9] Обзор Тифлисской губернии за 1899 г., Тифлис, 1900 (ведомость).

[10] Сборник „статистических сведений о Тифлисской губернии", Тифлис, 1903, გვ. 111.

[11] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 7303, ფურც. 56 — 57, 1902 — 1903 წწ.

ქ. გორის მოსახლეობა 1886 წ. 4406 ნამაკაცისა და 2837 ქალისაგან შედგებოდა. მათგან

ეროვნების მიხედვით იყო:

	მამაკაცი	ქალი
ქართველი	2375	1499
რუსი	245	128
პოლონელი	12	6
გერმანელი	8	—
ბერძენი	6	1
ოსი .	28	19
სომეხი .	1720	1482
ებრაელი	8	10
ლეკი . . .	2	—
ახერბაიჯანელი	2	—

სოციალური მდგომარეობის მიხედვით:

	მამაკაცი	ქალი
თავად-აზნაური . .	177	164
სასულიერო წოდების	127	111
ვაჭარი .	28	20
მოქალაქე	2890	1802

გლეხები:

სახაზინო მიწაზე .	639	301
მემამულეთა მიწაზე	504	317
მესაკუთრეები	13	15[1]

1897 წლისათვის კი იყო:

ეროვნებით

	მამაკაცი	ქალი
ქართველი	2500	2000
რუსი	90	100
სომეხი	2000	1394
პოლონელი	80	70 და სხვ.

სოციალური მდგომარეობით:

თავად-აზნაური .	30
მოხელე	100
სასულიერო წოდების .	16
ვაჭარი . .	27
მოქალაქე	. 4413[2]

---

[1] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893, Отд. 1.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 117 — 118, 1898 წ.

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქ. გორში მცხოვრები გლეხები უკვე მოქალაქეებად არიან ჩარიცხულნი.

XIX საუკ. 80-იან წლებში კავკასიაში 44 ქალაქი იყო. გორი შედიოდა კავკასიის 7 მთავარი ქალაქის რიცხვში (თბილისი, ბაქო, ერევანი, ქუთაისი, ვლადიკავკაზი, სტავროპოლი, გორი)[1].

ყურადღება ექცეოდა გორის კეთილმოწყობას. XIX საუკ. 80-იან წლებში ბდ. მტკვარზე აგებულ იქნა ლითონის კონსტრუქციის ხიდი. ქალაქის დაცვის მიზნით მდ. ლიახვზე გაკეთდა ჯებირები. ხდებოდა გზებისა და ქუჩების შეკეთება. ამასთან, ყოველივე ეს მშრომელი ხალხის ხარჯზე კეთდებოდა. მაგალითად. გაზ. „დროება" გადმოგვცემს, რომ გორის ხიდი სოფლის მოსახლეობის ფულითა და შრომით აშენდა, ხიდზე გავლისათვის კი გლეხებს ფულს ახდევინებდნენ. „ლიახვის შემაგრებასაც შესდგომიან; შინაურ დამბას უკეთებენ—გგონიათ გორელები? — არა, ისევ სოფლელი გლეხკაცობა, თუმცა, ღვთის წინაშე, გორიც დახმარებია... ორმოცი თუმნით (!!) იქ, სადაც სამუშაო თითქმის ხუთას-ექვსას თუმნისაა. თუ არა მეტისა. გორის ხიდზე ათასში ერთხელ კიდევ გაივლის გლეხ-კაცი, მაგრამ. სეტა რა შეემატება იმით, რომ ლიახვი მირიმანოვებისა და ყაზა-კარა-პეტოვების სახლებს ააცილოს?"[2].

რა უჯდებოდა გლეხკაცობას ეს სამუშაოები, ამას ცხადად აღასტურებს შემდეგი ცნობა: „ქვიშხეთის საზოგადოებამ გორში ხიდთან უნდა წარადგინოს 13 ურემი 26 მუშით. გორში დარჩება 2 დღე. ამას ემატება გზა — 4 დღე, ე. ი. სულ ხარჯი იქნება 210 მანეთი" (ეს მოდიოდა ერთ სოფელზე. სადაც 109 კომლი ცხოვრობდა. ე. ი. თითო კომლზე თითქმის 2 მანეთი ხარჯი)[3].

ამ დროისათვის გორში მსხვილი ვაჭრები და მრეწველები ბატონობდნენ, ძველ მემამულეებთან ერთად ისინი ფლობდნენ მიწის ძირითად ფონდს. მოვიდა გაზაფხული.—წერდა კორესპონდენტი გორიდან,— მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი. საძოვარი არ გვაქვს საქონელი გავრეკოთ. „აღმოსავლეთით გაიხედამთ, ხუდადაშვილები არ გვიშვებენ —ჩვენიაო; დასავლეთით—რიყე გახლავს და მდინარე ლიახვი. რომელიც ბრაზით იყურება, სხვაც არა წაგვართვას-რა; ჩრდილოეთით, რომელიც საუკეთესო ადგილებია, კარალეთის მიდგმამდინ მეტი წილი ბ. გრიგოლ ამიროვს უჭირავს — სენატის განაჩენით ჩემიაო. და სამხრეთიდ ვინ რას გვაღირსებს, ცარიელ ადგილისთვისაც ათას თუმანს

[1] Кавказский календарь на 1887 г. გვ. 177.
[2] გაზ. „დროება", 1884, № 46, გვ 1—2.
[3] იქვე.

ედავებოდა გორს ბ. დავით ერისთავი"[1]. ნათქვამი ნათლად მიუთითებს იმ ღრმა ცვლილებებზე, რაც გორში მომხდარა: ერთი მხრივ, მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც ქალაქის გარშემო მდებარე საძოვარიც კი აღარ დარჩა, და, მეორე მხრივ, მსხვილი ვაჭრები, ამიროვები, ხუდადაშვილები და სხვანი, რომელთაც, საგულისხმებელია, ხელში უჭირავთ როგორც მაზრის სოფლის მოსახლეობა, ისე ქ. გორის მოსახლეობის დაბალი ფენა. გორის გარშემო მდებარე ადგილები საძოვრებად გამოყენებული შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თითო-ოროლა ძროხის მეპატრონეთა მიერ (მსხვილ მეურნეს, რომელსაც პირუტყვი დიდი რაოდენობით გააჩნდა, არ გამოადგებოდა ქალაქთან საერთო საძოვრები). საძოვრების უქონლობით სწორედ ქალაქის დაბალი ფენები იჩაგრებოდა.

ქალაქს ადრე არა მარტო საძოვარი, არამედ სახნავი მიწებიც და ბალაც ჰქონია. ამის შესახებ ნ. ლომოური „დროებაში" წერდა: „ერთ დროს ქალაქს საკმაო სახნავი მიწები, საძოვარი და ბალაც ჰქონდა; იმის მომსწრე ხალხი დღესაც ბევრია გორში, რომ ქალაქს უუფლია უდავოთ ზემო-ხსენებული ადგილები.

მაგრამ დღეს ამ ადგილებიდან გორს მეათედი ნაწილიც აღარ უჭირავს. სულ გორის მოსაზღვრეებმა სხვადასხვა გვარმა თავადმა და აზნაურებმა დაიჭირეს: „ჩვენიაო!" რაც მიწა დარჩა, სხვადასხვა პირებმა ეშმაკობით მიითვისეს. „გორში ხუდადაშვილები ორას დესეტინა ადგილსა ჰფლობენ: ჩვენიაო! არ ვიცით—ვინ მისცათ... იქნებ ბეგონოთ ნაყიდი აქვთო, მაგრამ ზედმიწევნით ვიცით, არაფერი დოკუმენტი არა აქვთ ამ მამულზედ"[2].

სამოიდე წლის შემდეგ „დროებაში" აღნიშნული იყო, რომ ხუდადაშვილებსა და ამიროვებს უკვე ათასობით დღიური მიწა უჭირავთ. „რატომ არ იკითხავენ, ვისიც ჯერია, ვინ მისცათ ხუდადაანი ათასობით დღის მიწა; მერმე ამ მტკიცე კანონებში საბუთი არ უნდათ? რატომ არ იკითხავთ, ვინ მისცა ბატონ ამიროვს ათასობით დღის მიწა სახნავ-სათესი და სავენახე? არავის გახსომთ, რომ ბატონ ამიროვის გარდაცვალებულს მამას მტკაველი ადგილი არა ჰქონია გორში მამაპაპეული. რადგანაც მამა ერთი საწყალთაგანი ყოფილა და თითონ მამამ რომ დავნიანთაგან ხუთი დღის მიწა შეიძინა, ეს ვიცით. დანარჩენი ცით იშვა თუ დედა-მიწით?"[3].

---

[1] გახ. „დროება", 1881, № 34, გვ. 2—3.
[2] გახ. „დროება", 1878, № 135, გვ. 3.
[3] გახ. „დროება", 1881, № 34, გვ. 2—3.

ქ. გორში მიწების რამდენიმე პირის ხელში თავმოყრის პროცესი, უეჭველია, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაზე მიუთითებს.

ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება თავს იჩენდა ქ. გორის კეთილმოწყობაშიაც. 900-იან წლებში აღნიშნული იყო, რომ იქ შენდება ქალაქის ახალი ბაღი, ლამაზი ნაგებობანი. „ქალაქსა და მის ეკონომია უბნებში წარმოებს გუბეებისა და ჭაობების დაშრობა; იქ. სადაც ორე ბაყაყების ხმა ისმოდა. უკვე ბალ-ბოსტნებია გაშენებული. მიუხედავად გორელების ცდისა, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა არასახარბიელოა. — წვიმის დროს ქუჩებში გაუვალი ტალახია, მშრალ ამინდში კი მტვერი"[1].

გორი მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. XIX-იან წლებში აქ იყო:

1) სამაზრო სამმართველო (მაზრის უფროსი, მისი ორი თანაშემწე, ბოქაული, მისი ორი თანაშემწე, არქიტექტორი, მდივანი, ხაქმის მწარმოებელი, არქივარიუსი).

2) მომრიგებელი სასამართლო (მომრიგებელი მოსამართლე და მისი თანაშემწე).

3) სამაზრო ხაზინა (ხაზინადარი, ბუღალტერი და მისი თანაშემწე).

4) ტელეფონის სადგური (სადგურის უფროსი, 3 სიგნალის. იფმკეტი).

5) საფოსტო კანტორა (ფოსტის უფროსი, მიმღები, 2 ფოსტალიონი).

6) სააქციზო მოხელეები (3 კაცი).

7) მეტყევე.

8) სამაზრო ექიმი და ორი ფერშალი.

9) სახელმწიფო ქონების სამმართველოს აგენტი[2].

ქ. გორში იმყოფებოდა სამხედრო დანაყოფები — ორი ბატალიონი და ორი ბატარეია. აქვე ჰქონდა სამყოფელი ფეხოსანთა დივიზიის მეთაურს.

1870 წლის 16 ივნისის საქალაქო დებულება საქართველოში 1876 წლიან გატარდა. ეს დებულება თბილისში 1875 წლიდან, გორში კი 1876 წლიდან შედის ძალაში. გორში ამ დებულების გატარებას კიდევ ის თავისებურება ჰქონდა, რომ ქალაქის თვითმმართველო-

[1] М. Джаншвили, Гори и его окрестности, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис. 1904, გვ. 164.

[2] А. Джавахов, Город Гори, 1882, გვ. 98 — 99.

ბა აირჩეოდა, ქალაქის თავი კი ინიშნებოდა მთავრობის მიერ[1].

1876 წლის 5 სექტემბერს გაიხსნა ქ. გორის სათათბირო[2], 18 ოქტომბერს კი ქალაქის მმართველობა[3]. სათათბირო 30 ხმოსნისაგან შედგებოდა, ისინი სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნოდნენ. ხმოსნებს ირჩევდნენ სათათბიროში ქონებრივი ცენზის მიხედვით, რაც განსაზღვრავდა მათ სოციალურ მდგომარეობასაც.

1877 წლის 27 დეკემბერს გაიხსნა ე. წ. мещанская управа. ეს მმართველობა შედგებოდა მაბასახლისისა და მისი თანაშემწისაგან.[4]

ქ. გორი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რჩებოდა ხელოსანთა და ვაჭართა ქალაქად. ეს გაპირობებული იყო მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკით და გამომდინარეობდა საწარმოო ძალების განლაგების კოლონიური პრინციპიდან. საწარმოები იქმნებოდა არა იქ, სადაც იყო ნედლეული, არამედ მხოლოდ მეტროპოლიაში. ეს დიდად აფერხებდა კაპიტალიზმის განვითარებას. ამის შედეგად ამიერკავკასია უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი[5]. ამიერკავკასია რუსეთის კაპიტალიზმისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად რჩებოდა.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ გორის მაზრის გლეხობისათვის სოფლის მეურნეობის ნაწარმის გასაღების ბაზარს გორზე უფრო მეტად თბილისი წარმოადგენდა[6].

გორი, როგორც სავაჭრო პუნქტი, თანდათანობით იზრდებოდა; 80-იანი წლების დასაწყისში აქ იყო 318 სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება[7]. ვაჭრობა აქ უმთავრესად სასმელებით, ფართლეულითა და წვრილმანით წარმოებდა.

თუ გორელი ვაჭრები XIX საუკ. I ნახევარში უფრო ხშირად უცხოეთის ბაზარს მიმართავდნენ, რეფორმის შემდეგ ისინი, უმთავრესად, რუსეთის ბაზრებზე დადიოდნენ. რუსეთის მრეწველობის საქონელი მათ ძირითადად აკმაყოფილებდა. რუსეთის უძველეს ბაზრებთან ერთად ვხედავთ შედარებით ახლებსაც, რომელთაც შეძლეს საიმპერიო მნიშვნელობის მოპოვება (ოდესა, როსტოვი, ვარშავა).

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 10, 1877 წ.
[2] იქვე.
[3] А. Джавахов, Город Гори, 1882, გვ. 98.
[4] იქვე.
[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32. გვ. 308.
[6] А. Джавахов, Город Гори, 1882, გვ. 90.
[7] იქვე

რეფორმის შემდგომ გორის მაზრაში გაჩნდა სავაჭრო-სამრეწველო დაბები. ასეთ დაბათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ბორჯომი, ცხინვალი, სურამი, ახალქალაქი, ახალგორი. ამათ გვერდით უდგას რკინიგზის ისეთი სადგურები. როგორიცაა კასპი, ქარელი. ხაშური, გომი. სავაჭრო-სამრეწველო დაბები , მაზრაში ხასიათდებოდნენ მოსახლეობის არამიწათმოქმედი ფენის ზრდით. აქაური მოსახლეობის ნაწილი დაკავებულია სამრეწველო საწარმოებში (აგურ-ხანა, საკირე. პურეულობის საწარმო, ხე-ტყის სახერხი წარმოება, მინერალური წყლების წარმოება, მინის ქარხანა, შპალების ქარხანა და სხვა). ნაწილი ეწევა ხელოსნობას. ნაწილი მუშაობს რკინიგზაზე და ზოგიც მისდევს ვაჭრობას[1].

ფეოდალურ საქართველოში იშვიათი არ იყო სოფლების გაჩენა-გება და მოსპობაც კი. წარმოებითი ურთიერთობანი და ბედუკულმართი საგარეო პირობები, რომელშიც საქართველო XIX საუკუნის დასაწყისამდე მრავალი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა. ვერ უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას.

ფეოდალიზმთან შედარებით კაპიტალიზმის. როგორც უფრო პროგრესული მოვლენის. ერთი თვისებაც საქართველოში საერთოდ მოსახლეობის სწრაფ ზრდაში გამოიხატა. კერძოდ. გორის მაზრაში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 116624 სულიდან 1864 წელს[2] 191274 სულამდე 1897 წელს[3].

გორის მაზრაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ. ეკარბობდა ისეთ სოფელთა რიცხვი, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 25 კომლს არ აღემატებოდა. რეფორმის შემდეგ მოსახლეობის ზრდა სწრაფად ხდებოდა. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ სოფელს აღვნიშნავთ. სადაც ზრდა უფრო თვალსაჩინო იყო. 1873 წლიდან 1887 წლამდე. ე. ი. 14 წლის განმავლობაში, გაიზარდა: სოფ. ალი — 58 კომლით. ატოცი—20. ახალდაბა — 34. ახალქალაქი — 88. ახალციხე — 39. ატენი — 33. ქვემო ბოლმი—25, დირბი—48. ძეგვი—51. დოესი—49. ერედვი—47. ზერტი — 63. კარალეთი — 45, კავლისხევი — 121. ქარელი — 65. ქვემო ხვედურეთი — 32. დიდი მეჯვრისხევი — 33. პატარა მეჯვრისხევი — 22, მოხისი — 42, მეტეხი — 48. ნადარბაზევი — 33. რუისი — 132. სურამი — 29. სკრა — 29. ტყვიავი — 34. უფლისწ

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 90, 1898 წ.; საქმე 2108, ფურც. 102, 1895 წ.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 414. საქმე 10. ფურც. 15, 1865 წ.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 246, 1898 წ.

ხე — 26. ურბნისი — 29. ხიდისთავი — 62. ხოვლე — 83. ცხინვალი — 107. შინდისი — 31 კომლით და სხვა[1]. სულ ამ ხნის განმავლობაში ზაზრას შემატებია 4871 კომლი.

3. სავაჭრო მიწათმოქმედება და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია

ა) სოფლის მეურნეობის ეკონომიური ზონები

ფეოდალიზმის ღროს მეურნეობა ნატურალურ. თვითკმარ ხასიათს ატარებდა. ყოველი მეურნეობა ძირითადად, თვითონ. საკუთარი ძალებით იკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით მეურნეობის თვითკმარი ხასიათი საკმარისი აღარ აღმოჩნდა. ნატურალური მეურნეობა ირღვეოდა, ჩნდებოდა ახალი ტიპის მეურნეობა — საქონლის მწარმოებელი მეურნეობა. მიწათმოქმეღება სავაჭრო ხასიათს ღებულობდა. კაპიტალიზმის განვითარებას მიწათმოქმედებაში. პირველ ყოვლისა. ნატურალური მიწათმოქმედების სავაჭრო მიწათმოქმედებაზე გადასვლა ახასიათებდა.

სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა-განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია რკინიგზების გაყვანამ ამიერკავკასიაში. რკინიგზებმა ჯრა მარტო ქვეყნის შიგნითა ეკონომიური რაიონები დააახლოეს ეოთმანეთთან. არამედ ამიერკავკასია რუსეთსა და ევროპას დაუკავშირეს. რკინიგზებთან ერთად ამიერკავკასიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზღვაო მიმოსვლას. ფოთი-თბილისის რკინიგზამ ბავი ზღვის ნავსადგურები სავსებით ახლო მდებარე და ადვილად ხელმისაწვდომი გახადა. ამიერკავკასიის ხვედრითი წონა მსოფლიო სავაჭრო სისტემაში კიდევ უფრო გაიზარდა.

გორის მაზრის გეოგრაფიული გარემო გარკვეულ გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის ხასიათზე: მთიანი ადგილები, საუკეთესო ალპური საძოვრებით, ხელს უწყობდა მეცხოველეობის განვითარებას; ბარში უფრო უკეთესი პირობები იყო ხვნა-თესვისა და თვითფასი სპეციალური კულტურების განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელების მიხედვით გორის მაზრა სამ ძირითად ზონად იყოფოდა: 1) მაღალმთიანი, ცივი ზონა (ჩრდილოეთი და სამხრეთ მთიანეთი), ალპური საძოვრებით: მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობა იყო, ამასთან მოჰ-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2012, ფურც. 158 — 180. 1888 წ.

ყავდათ ქერი და ჭვავი. 2) მთისძირა ზონა. აქ მეურნეობის ძირითადი ფარგი იყო როგორც მესაქონლეობა, ისე მიწათმოქმედება. 3) ბარი, სადაც წამყვანი იყო მიწათმოქმედება (ხვნა-თესვა, მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა).

მაზრაში სოფლის მეურნეობის დარგები მრავალფეროვანი იყო. ს. ზავაროვი აღნიშნავდა: „ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერეოლენ ჩვენს მთა-გორიან მაზრაში, სოფლის მეურნეობის ადგილსაზრისით, გეხვდება გაცილებით მეტი მრავალფეროვნება, ვიდრე ვაკე ადგილების მთელ რაიონებში. ესეც ცოტაა. მრავალი ჩვენი სოფელი თავისი ტოპოგრაფიული პირობებით უფრო რთული და სხვადასხვაგვარია, ვიდრე მთელი მაზრები, გავბედავ და ვიტყვი— რუსეთის ზოგიერთი გუბერნიაც კი"[1]. ავტორს ნიმუშად მოჰყავს გორის მაზრის სოფ. ხცისი და თელავის მაზრის სოფ. ყვარელი.

გეოგრაფიული გარემოს გავლენასთან შედარებით უფრო არსებითი, უფრო ძირეული იყო წარმოების იმ წესის გავლენა, რომელიც ყრფაში შემოდიოდა იმ დროს.

ამიერკავკასიაში სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, ამ ურთიერთობის უმაღლესი საფეხურის, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პირობებში, სოფლის მეურნეობა ღებულობს სავაჭრო ხასიათს. ეს ახდენს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას. ვ. ი. ლენინი წერდა: „სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა-მიწათმოქმედების სპეციალიზაციით გამოიხატება"[2] ეს ნიშნავს ცალკეული რაიონების დასპეციალებას ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოყვანის საქმეში. საქართველოში ძლიერდება მოყვანა სიმინდის, ჩაისა და ციტრუსების (დასავლეთ საქართველო), ხორბლის, ვაზისა და ხილის (აღმოსავლეთ საქართველო): როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ფართოვდება მეაბრეშუმეობა და მეთამბაქოეობა. გორის მაზრაში მეტ გასაქანს პოულობს ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ხეხილის, ბოსტნეულის მოყვანა და მეცხოველეობა. ადგილობრივი ნოყიერი ნიადაგი ხელს უწყობს ხორბლის მოყვანას. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა მდ. დიდი ლიახვის ხეობა სოფ. ქვემო ნიქოზიდან სოფ. ვარიანამდე. აქ მოჰყავდათ ბორბალი, რომელსაც „თავისი ხარისხით პირველი ადგილი უკავია არა მარტო გორის მაზრაში, არამედ მთელ საქართველოში"[3]. სიმინ-

[1] С. Заваров, Выводы из данных по урожаю хлебов в 1893 году и некоторые меры помощи населению неурожайных мест, Сборник Кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1894, გვ 630.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ 286.

[3] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ 138 — 139.

დი ძირითადად სარწყავ ადგილებში მოჰყავდათ. ფართო გავრცელებას პოულობდა ვაზი და ხეხილი, ხოლო მთიან ადგილებში უფრო მეტად ვითარდებოდა სავაკრო მეცხოველეობა უპირატესად მერძეული წარმოებით[1].

ყოველივე ეს იძლეოდა საშუალებას, რომ გაჩაღებულიყო ფართო ვაკრობა. გარდა რძის ნაწარმისა (ყველი, ერბო, კარაქი), იყიდებოდა შალეული, მატყლი და, აგრეთვე, პირუტყვი (როგორც მუშა საქონლად, ისე სახორცედ).

ამრიგად, ხდება მაზრის ცალკეული მხარეების დასპეციალება ამა თუ იმ კულტურაში. სოფლის მეურნეობაში ნელა. მაგრამ განუხრელად ინერგებოდა სასაქონლო კულტურები.

სოფლის მეურნეობის განვითარება შედარებით ნელა ხდებოდა, ქართლის ნაყოფიერი ველები თვით 60-70-იან წლებში ათვისებული მთლიანად არ ყოფილა. იმ ხანაში ეს შეუძლებელიც იყო. მოგზაური ვ. პფაფი, რომელიც 1871 წელს გორიდან მდ. დიდი ლიახვის ხეობით ცხინვალს გაემგზავრა. მოგვითხრობს: „მე გაკვირვებით შევამჩნიე უნაყოფიერესი მიწების უზარმაზარი სივრცეები, რომლებიც შამბნარით იყო დაფარული..."[2].

მიწათმოქმედების განვითარებას, კერძოდ, მიწების ათვისებას ხელს უშლიდა ბატონყმობის ძლიერი ნაშთები, სახელდობრ კი, მიწის მემამულეთა საკუთრებაში დატოვება. მემამულური მეურნეობა, რომელიც ჯერ კიდევ ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა, ნელა გადადიოდა მეურნეობის კაპიტალისტურ საწყისებზე, როცა ყველაფერი ემსახურება ბაზრისათვის საქონლის დამზადებას. როგორც წესი, მემამულეები (მათი უმრავლესობა) სამეურნეო საქმიანობას არ ეწეოდნენ. ისინი მხოლოდ მიწას ღალით აძლევდნენ გლეხებს. „თვით მიწისმფლობელნი მეტად იშვიათად ეწევიან მთელ წარმოებას თავიანთი სახსრებითა და ინიციატივით. მეტწილად საქმე გლეხთა განკარგუ-

---

[1] ქართლში ადგილი ჰქონდა მერძეული მეურნეობის კაპიტალისტური კოოპერირების საფუძველზე მოწყობის ცდებს. 70-იანი წლების დასაწყისში გორის მაზრის შვიდმა მემამულემ მოაწყო რძის პროდუქტების წარმოება არტელური წესით. აგებულ იქნა ყველისა და ერბო-კარაქის დამამზადებელი საწარმოები თრიალეთში (ზაფხულის სეზონისათვის) და ქარელის სადგურიდან 7 კილომეტრის დაშორებით (ზამთრის სეზონისათვის); შეიძინეს რამდენიმე ათეული ძროხა. მემამულეთა ამ არტელმა უკვე 1873 წლის ზაფხულში 40 ფუთი ყველი და 15 ფუთი ერბო-კარაქი დამზადა (Записки Кавказского общества сельского хозяйства, 1873, III, გვ. 36—46).

[2] В. Пфаф, Описание путешествия в южную Осетию, Рачу, Большую Кабарду и Дигорию. Сборник сведений о Кавказе, т. II, 1872, გვ. 151.

ლებაშია"[1]. ნ. ურბნელი აღნიშნავდა, რომ ტირძნისის მემამულე ი. დ. სულხანოვი (სულხანიშვილი) „ცხინვალის მაზრაში ერთად-ერთი მებატონეა, რომელიც ცდილობს ევროპიულად განაწყოს სასოფლო მეურნეობა, მისი ფერმა საუკეთესო ფერმად ითვლება და კიდეც აგრონომი-სტუდენტები მოდიან აქ პრაქტიკული მუშაობისათვის"[2]. სულხანიშვილი თავის მეურნეობაში უცხოური გუთნების გამოცდას აწარმოებდა.

მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას ხელს უშლიდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონე. გუბერნატორი თავის ანგარიშში აღნიშნავდა: „წარღვნის წინადროინდელი გუთნები, რომლებშიც შებმულია ხუთი და ექვსი უღელი ხარიც კი. პროცესი მოსავლის აღებისა, გალეწვისა და თვით გადაზიდვისაც კი — თვალში გეცემა როგორც ყოველგვარი სრულყოფის მუნჯი პროტესტი"[3].

მეურნეობაში „ევროპულობის" დანერგვასა და „აზიურობის" აღმოფხვრას მეტ-ნაკლებად მხარს უჭერდა რუსეთის მმართველობა. ეს გამოწვეული იყო ამ მმართველობის კოლონიური ხალხებისაღმი არა კაცთმოყვარეობით, არამედ იმით, რომ ის, გამოხატავდა რა რუსეთის სამხედრო ფეოდალურ-ვაჭრული ზედაფენის ინტერესებს[4], ობიექტურად იძულებული იყო წასულიყო მეურნეობის ერთგვარი გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობაზე განაპირა ქვეყნებში. ჯერ კიდევ მთავარმართებელი პ. ციციანოვი ღებულობდა საამისო ზომებს (თუმცა უშედეგოდ)[5].

მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ინიციატივით 1850 წელს დაარსდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. საზოგადოების მიზანს შეადგენდა: 1) ქვეყანაში ხორბლის, მინდვრის სხვა მცენარეებისა და ხეხილის გაუმჯობესება. ახლის შემოტანა. რაც კი სარგებლობას მოიტანდა; 2) მებაღეობის. ბებოსტნეობის. მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის გაუმჯობესება; 3) სოფლის მეურნეობაში უკეთესი იარაღების შემოღება; 4) მეცხოველეობაში ჯ-

---

[1] В. Геевский, Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887, გვ. 38 — 39.

[2] გაზ. „დროება", 1883, № 248, გვ. 3.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 146, ფურც. 18 — 19, 1862 წ.

[4] И. В. Сталин, О статье Энгельса «Внешняя политика русского царизма», Жур. «Большевик», 1947, № 9. გვ. 2.

[5] Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, т. II, გვ. 248.

შების გაუმჯობესება და გამრავლება[1]; გათვალისწინებული იყო, ავრეთვე, მორწყვის საქმის გაფართოება-გაუმჯობესება და როგორც ამ საზოგადოების, ისე საზღვარგარეთის უახლოესი მიღწევების გავრცელება-გაზიარება.

„საზოგადოება" მიზნად ისახავდა კავკასიის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობას ევროპის სოფლის მეურნეობის მოწინავე მეთოდების გამოყენებით. ამდენად, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ობიექტურად ხელი უნდა შეეწყო ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გახსნაზე რამდენიმე კვირით ადრე თბილისის გიმნაზიაში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამის შემდეგ გამოფენები გარკვეული შუალედებით ეწყობოდა (1852, 1857, 1860, 1861, 1862, 1863, 1869, 1889 წლები)[2]; 1901 წ. თბილისში მოეწყო კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საიუბილეო გამოფენა[3]. ეს გამოფენები ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, ახალი კულტურების დანერგვას, ტექნიკურ პროგრესს. „საზოგადოების" სხდომაზე 1872 წელს გიორგი წერეთელმა დააყენა ადგილობრივ ენებზე (ქართული, სომხური და აზერბაიჯანული) სასოფლო-სამეურნეო პრესის გამოცემისა და პროვინციული, საგუბერნიო და საერთო კავკასიის გამოფენების პერიოდულად მოწყობის საკითხები[4].

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ თბილისში 1897 წელს დაარსებულ იქნა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც, აგრეთვე, თუთის ხეების მოშენება-გაყიდვას აწარმოებდა. სადგური კვალიფიციურ მეაბრეშუმეებსაც ამზადებდა. 1888 წელს მეაბრეშუმეთა კურსები გაიარა 423 კაცმა, 1890 წ.—390 კაცმა. მეაბრეშუმეობის სადგურმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე მაღალი შეფასება და შესაფერისი ჯილდოები მიიღო: 1890 წელს პეტერბურგში სრულიად რუსეთის გამოფენაზე (მებაღეობის, მეთუთეობისა და სხვა) — ოქროს დიდი მედალი; 1893 წელს კოლუმბიის მსოფლიო გამოფენაზე, ჩიკაგოში — ბრინჯაოს მედალი; 1894 წელს მეხილეობის

---

1 Обзор деятельности Кавказского общества сельского хозяйства за 50 лет, 1901, ss. 3 — 4.

2 Кавказский календарь на 1890 г., ss. 1 — 2.

3 Кавказский календарь на 1902 г., ss. 160.

4 Обзор деятельности Кавказского общества сельского хозяйства за 50 лет, 1901, ss 19 — 20.

მსოფლიო გამოფენაზე პეტერბურგში—ოქროს მედალი; 1895 წელს სოფლის მეურნეობის მსოფლიო გამოფენაზე მოსკოვში — ოქროს მედალი[1].

თუ რამდენად წინ წასულა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. გვიჩვენებს ისიც, რომ 1910 წელს ქ. გორში მოეწყო მეფრინველეობის გამოფენა. ჯილდოები მიიღეს კაპიტანმა ენგელმანმა, მომრიგებელმა მოსამართლემ მ. ერისთავმა (ს. კარალეთი). მ. მაკავარიანმა, ტერ-სტეფანოვმა[2]. პრესამ აღნიშნა მეფრინველეობის განვითარების ხელსაყრელი პირობები; თბილისის სიახლოვე კი უზრუნველყოფდა მეფრინველეობის ნაწარმის გასაღებას.

ამგვარად, კაპიტალიზმის განვითარების გამო. საჭირო ხდება ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა, სპეციალური ცოდნის შეძენა. კაპიტალიზმმა ბაზრის საშუალებით აიძულა მწარმოებლები ანგარიში გაეწიათ საზოგადოების განვითარებისათვის. ყველა ეს წამოწყება, რომლებიც გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების. სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სადგურებისა და სკოლების. ჟურნალ-გაზეთებისა და სხვათა სახით, მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების შედეგია.

თბილისის გუბერნიასა და გორის მაზრაში სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბაზარს. ახლა მოჰყავთ ის. რაც უფრო გაიყიდება ბაზარზე. იმავე ბაზარზე მწარმოებელი იძენს მისთვის საჭირო სხვა სახის საქონელს. 1885—1887 წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ საზღვარგარეთ პური. რაზეც ფასები ძალზე გაიზარდა[3]. შემდგომში საზღვარგარეთ პურის გატანა შემცირდა და ფასები კვლავ დაეცა. ამის მიზეზი მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო კრიზისში (1875—1895 წწ.) უნდა ვეძიოთ[4].

თბილისის გუბერნიასა და. კერძოდ, გორის მაზრაში იზრდება სპეციალური კულტურებით დაკავებული მიწის ფართობი. „ამ ბოლო დროს ჩვენში ფეხს იკიდებს ერთი მხრით მებაღეობა და მებოსტნეობა. და მეორე მხრით სხვადასხვა სამრეწველო მცენარეთა მოშენება. როგორც მაგალითად თამბაქო. ბამბა და ჩაის ხე; ამას ერთვის მეაბრეშუმეობა და რაციონალური მერძევეობა. მაგრამ ის დარგი. რომელსაც პურის მოყვანის შემდეგ უპირველესი მნიშვნე-

[1] Труды Кавказской шелководственной станции, т. XIII. Выпуск 1, Тифлис, 1904, გვ. 33 — 34.

[2] Журн. «Кавказское хозяйство». 1910. № 10, გვ. 9.

[3] В. Гсевский. Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887, გვ. 25.

[4] П. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, Ленинград, 1950, გვ. 86 — 89.

ლობა აქვს სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში, არის მევენახეობა და მეღვინეობა"[1].

ქართლში იწყებენ შაქრის ჭარხლის მოშენებას. ეს მანამდე აქ უცნობი იყო. პრესაში აღნიშნულია აქაური შაქრის ჭარხლის მაღალი თვისებები. გაზ. „დროება" წერდა, რომ გორის ჭარხალი უკეთესია, ვიდრე ლენქორანისაო[2]. აღნიშნულია, რომ ქართლში საჭუძველი ეყრება შაქრის მრეწველობას. სოფ. სკრაში, თავად შალიკაშვილების მამულში, ფრანგულ საზოგადოებას გაუგზავნია ვინმე ტიბო, რათა „გამართოს ჭარხლისაგან შაქრის დამამზადებელი ქარხანა"[3]. სწორედ ერთი წლის შემდეგ „დროება" აღნიშნავდა, რომ თავად შალიკაშვილების მამულის ახლოს დაწყებული შაქრის ქარხნის მშენებლობა ჩქარა დამთავრდება, ქარხნის პატრონებად პეტერბურგისა და კიევის ვაჭრები არიანო[4].

ქართლის მდინარეების რეხულისა და ქსნის ხეობებში 90-იანი წლების მეორე ნახევარში უმთავრესად კომბოსტოს მოყვანა დაიწყეს. კომბოსტო ხელსაყრელ ფასებში იყიდებოდა[5].

თუ რამდენად წინ წავიდა სავაჭრო მიწათმოქმედება. ამას გვიჩვენებს, აგრეთვე, გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის დაარსება. სამეურნეო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ თავადი გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი ყოფილა, დირექტორ-გამგებლად კი თავადი ვ. გ. მაჩაბელი. ამხანაგობა არსებობდა 1897 წლიდან[6]. ამხანაგობის მმართველობა საბგურ გომში იმყოფებოდა[7].

ამხანაგობა ყიდულობდა და ყიდდა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ნაწარმს. ამას გვიჩვენებს მონაცემები (იხ. ცხრ. 10).

მარტო ერთი წლის განმავლობაში (1/I 1899 წლიდან 1/I 1900 წლამდე) ამხანაგობას შემოსავლის სახით მიუღია 206 768 მანეთი და 38 კაპ.

სამეურნეო ამხანაგობის ბალანსში აქტივი და პასივი შეადგენდა: 1903 წლის 1 იანვრისათვის — 39407 მან. 26 კაპ.[8]. 1904 წლისათვის—47810 მან. 41 კაპ.[9], 1906 წლისათვის—59921 მან. 08 კაპ.[10].

---

[1] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 55 — 56.
[2] გაზ. „დროება", 1885, № 196, გვ. 2.
[3] გაზ. „დროება", 1884, № 190, გვ. 1.
[4] გაზ. „დროება", 1885, № 196, გვ. 3.
[5] П. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Картали-ніи, Сборник сведений по виноградарству и виноделию, 1897, გვ. 20 — 21.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 6604, ფურც. 9 — 14, 1900 წ.
[7] იქვე, საქმე 7974, ფურც. 1, 1903 — 1904, წწ.
[8] იქვე, საქმე 7974, ფურც. 15, 1903 — 1904 წწ.
[9] იქვე, საქმე 8793, ფურც. 13 — 14, 1904 წ.
[10] იქვე, საქმე 10203, ფურც. 10, 1907 წ.

ცხრილი 10

გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის სავაჭრო ოპერაციები (1899 წ.)

საქონლის დასახელება	ანხანაგობამ გაყიდა				დარჩა გასაყიდი				სულ (გაყიდული და გასაყიდი საქონელი)			
	წონით		ღირებულებით		წონით		ღირებულებით		წონით		ღირებულებით	
	ფუთ.	გირ.	მან.	კაპ.	ფუთ.	გირ.	მან.	კაპ.	ფუთ.	გირ.	მან.	კაპ.
1. პური	33569	17	26928	7	29087	31	22397	59	62657	08	47286	79
2. ქერი	41705	14	27312	79	10343	29	6930	30	52049	03	32224	50
3. სიმინდი	19353	24	10784	57	3757	06	1878	57	23110	30	11922	74
4. ლობიო	450	38	272	79	421	36	232	05	872	34	487	15
5. თივა	—	—	17483	73	—	—	5185	80	—	—	18856	18
6. შვრია	194	20	145	90	—	—	—	—	194	20	145	90
7. ხე-ტყის მასალა	—	—	3078	45	—	—	1480	14	—	—	4558	59
8. ნავთი	6294	19	7628	16	459	—	619	65	6963	—	7969	70
9. სხვადასხვა საქონელი	—	—	29890	74	—	—	11529	17	—	—	37826	34[1]

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 6504, ფურც. 9 — 14, 1900 წ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველაზე მეტ წარმატებას მაინც მევენახეობა და მეხილეობა აღწევს. მაზრის ცალკეულ უბნებში შემდეგი მდგომარეობა გვაქვს:

ბორჯომის უბანში 1894 წლისათვის ყოფილა: 385 ხეხილის ბაღი 120 დესეტინა ფართობზე, 84 ვენახი 35 დესეტინაზე, ბოსტნები 120 დესეტინაზე. სურამის უბანში: 718 ბაღი 800 დესეტინაზე, ვენახი 800 დესეტინაზე. ბოსტნები 60 დესეტინაზე[1]. ცხინვალის უბანში: 30 ბაღი 120 დესეტინაზე, 1075 ვენახი 1 100 დესეტინაზე. ბოსტნები 18 დესეტინაზე[2]. მეჯვრისხევის უბანში (1897 წ.): 7 ხეხილის ბაღი 37 დესეტინაზე, 3167 ვენახი 791 დესეტინაზე. ხიდისთავის უბანში: 17 ხეხილის ბაღი 37 დესეტინაზე, 3 170 ვენახი 800 დესეტინაზე[3].

1897 წლისათვის მაზრაში ითვლებოდა 995 დესეტინა ხეხილის ბაღი, 5288 დესეტინა ვენახი, 635 დესეტინა ბოსტანი[4].

ბაღ-ვენახებისა და ბოსტნებიდან მიღებული ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე იყიდებოდა. 1897 წელს ცხინვალის უბანში ბოსტნეულის მოსავალი 12 020 ფუთს შეადგენდა, აქედან გაყიდულ იქნა 10 200 ფუთი, ღვინო დააყენეს 40 000 ვედრო, აქედან გაყიდეს 10 000 ვედრო[5]. მეჯვრისხევის უბანში 1894 წელს მიღებული იქნა ხილი 40 000 ფუთის რაოდენობით, აქედან გაიყიდა 32 000 ფუთი: მიღებულ იქნა 120 000 ვედრო ღვინო. გაიყიდა 30 000 ვედრო[6]. ამავე უბანში 1897 წელს ღვინიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 120 000 მანეთი[7]. სურამის უბანში 1897 წელს მიღებულ იქნა 10 468 ვედრო ღვინო, ამ რაოდენობიდან გაიყიდა 6 000 ვედრო[8].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღვინის გაყიდვის შესახებ მოტანილი ცნობები არ უნდა იყოს ზუსტი. ერთი ცნობით მოსავლის დაახლოვებით 2/3 მაინც ბაზარზე გადიოდა[9].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2198, ფურც. 49, 88, 1895 წ.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2198. ფურც. 124, 1895 წ., საქმე 2258, 1898 წ.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 15. 1898 წ.

[4] იქვე, ფურც. 238.

[5] იქვე.

[6] საქ. ცსსა, ფონდი 48. საქმე 2198. ფურც. 30, 1895 წ.

[7] იქვე, საქმე 2258, ფურც. 15, 1898 წ.

[8] იქვე, ფურც. 29.

[9] А. Джавахов, Город Горн, 1882, გვ. 85.

ამრიგად, გორის მაზრაში გარკვევით ჩანს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია: მთიან რაიონებში სავაჭრო მეცხოველეობა. ბარში კი ძირითადად პურის მოყვანა, ხოლო 80—90-იანი წლებიდან უპირატესობას ღებულობს ვენახი და ხეხილი. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მებოსტნეობასაც. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის რაოდენობა და სახეობანი განისაზღვრება ბაზრის მოთხოვნით. ამდენად მაზრის სოფლის მეურნეობა თანდათანობით უფრო და უფრო უმორჩილდება ბაზარს და ბურჟუაზიულ ხასიათს იძენს.

ბ) მორწყვის საქმე მაზრაში

გორის მაზრის სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განლაგებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სარწყავი წყლით მიწების უზრუნველყოფას. მაზრის ნაყოფიერი მიწების მორწყვის საქმე მოწესრიგებული არ ყოფილა[1].

მართალია, საქართველოში, როგორც კულტურული მიწათმოქმედების უძველეს ქვეყანაში, მიწების მორწყვის საკითხი ტრადიციით მოდიოდა და გორის მაზრაშიც გვხვდებოდა სარწყავი არხები. მაგრამ ეს არხები მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა. სარწყავი არხებიდან აღსანიშნავი იყო, მაგალითად, ე. წ. ძველი არხი, რომელიც მდ. დიდი ლიახვიდან გამოდიოდა და მთელ სამხრეთ დაბლობს რწყავდა სურამის უბანში. მდ. მტკვარი, თუმცა გორის მაზრაში 150 ვერსის სიგრძეზე მიმდინარეობდა, სარწყავად გამოუყენებელი იყო. სარწყავი არხები გაყვანილი იყო მდ. მტკვრის შენაკადებიდან, იქიდან გაყვანილი არხებით ირწყვებოდა გორისა და სურამის უბნების მინდორ-ველები. მტკვრის მარჯვენა შენაკადების-რუების საშუალებით რწყავდნენ ხიდისთავის უბანში შემავალი სოფლების ნათესებს და ნარგავებს[2]. გვალვის დროს სარწყავი წყალი არ იყო საკმაო მინდვრებისათვის. წყლის განაწილების განსაზღვრული წესები არ ყოფილა და არც ადმინისტრაცია ახდენდა რწყვის საკითხის მოწესრიგებას. წყლის განაწილების დროს სოფლებს შორის ხდებოდა დიდი შეჯახებანი, რადგან, ჩვეულებრივად, რამდენიმე სოფელს ერთი სარწყავი არხი ჰქონდა. სოფ. ახრისის საზოგადოება თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ 1882 წლის 6 აგვისტოს ახრისიდან 5 კაცი წავიდა წყლის გადმოსავ-

[1] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, С-Петербург, 1904, გვ. 105.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 9. ფურც. 6, 1864 წ.

ღებაღ. მაგრამ ახალუბნელებმა და პატარა მეჯვრისხეველებმა წასულებს სცემეს (მათში სამ კაცს თავები დაუმტვრიეს). ახრისელები თანასოფლელებს მიეშველნენ; „მოხდა შეტაკება და ამ შემთხვევაში ორივე მხრიდან ბევრი გაილახაო“ — წერენ ისინი. საზოგადოება თხოულობდა თავისი რუით თავისუფლად სარგებლობის უფლებას[1].

წყლის განაწილების საკითხი არ იყო მოწესრიგებული ცალკეულ მეურნეთა შორის: „ჩვენ აქ ვხედავთ უფრო მეტ უწესრიგობას და ცალკეულ მეურნეთა ინტერესების შეჯახებას, რასაც საზღვარს უდებს მხოლოდ ძლიერის უფლება“[2]. ძლიერი, ე. ი. შეძლებული მეურნე. იმარჯვებს წყლის სარგებლობის საქმეშიც, ხოლო სუსტი, ე. ი. ღარიბი. წყლით სარგებლობს მხოლოდ მაშინ, როცა ხშირად უკვე გვიან არის და ვერავითარი მორწყვა საკმაო მოსავალს ვეღარ მოიყვანს. მაშასადამე. მოსავლიანობა შეძლებულთა მამულებში. უეჭველია, გაცილებით მაღალია, ვიდრე ღარიბ თანასოფლელთა მიწებზე.

მორწყვის საკითხი თავის აქტუალობას ინარჩუნებს ჩვენ მიერ შესასწავლი პერიოდის მთელ მანძილზე. წყლით სარგებლობის უფლებას მოსახლეობისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით იქ, სადაც წარმოებდა ვაზისა და სხვა კულტურული მცენარეების მორწყვა. მამულის პატრონის ეკონომიური სიძლიერე განიზომებოდა მის განკარგულებაში მყოფი სარწყავი წყლის რაოდენობითაც.

სარწყავი წყლით სარგებლობისათვის რეფორმის შემდეგაც კი გლეხები მემამულეებს გარკვეულ გადასახადებს უხდიდნენ. მაგალითად. ახალსოფლისა და ზეღდულეთის მცხოვრებნი წელიწადში 50 მანეთს იხდიდნენ. სოფ. პატარა გარეჯვარს თავისი ყველა გუთანი წყლის მფლობელის სასარგებლოდ წელიწადში ერთი დღით გამოჰყავდა. სოფ. ზერტსა და პატარა მეჯვრისხევს, აგრეთვე, წელიწადში ერთ ღღეს გამოჰყავდათ თავისი გუთნები და, გარდა ამისა, დამატებით წელიწადში თითო კომლიდან თითო მუშა ერთი დღით. სოფ. სამთავისი ყოველ მოსარწყავ დღიურზე 50 კაპიკს იხდიდა. აღაიანის მცხოვრებლებმა, რომელთაც წყალს ართმევდა ადგილობრივი მემამულე, საჩივარი აღძრეს ამ უკანასკნელზე. სოფ. ბერბუკის მცხოვრებნი დავას აწარმოებდნენ თავად ერისთავებთან, ხოლო ქვახვრელის მცხოვრებნი დაობდნენ თბილისელ მოქალაქე ალიბეგოვთან[3].

---

[1] ისაქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 1868, ფურც. 1 — 3, 1882 წ.

[2] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 212 — 213.

[3] იქვე, გვ. 201.

მემამულეთა უფლება სარწყავ წყალზე რეფორმის შემდგომ პერიოდში ბატონყმობის ძლიერ ნაშთს წარმოადგენდა. ეს იყო, კერძოდ, გარე-ეკონომიური იძულების ნაშთი, რაც კარგა ხანს შემორჩა რეფორმის შემდგომ ხანას. გაზ. „გუთნის დედას“ კორესპონდენტი იტყობინებოდა, რომ ჯერ იყო და გრიგოლ ერისთავმა დააგუბა მდ. ტანა, რითაც ირწყვება ატენის ხეობა. ამან მცხოვრებნი ძლიერ შეაწუხა. ისინი ამ უწყლობას ლეკიანობაზე უარესად სთვლიდნენ: „ლეკს ვაეკაცობით, თოფით, იარაღით მაინც შევიკავებდი“. ახლა კი „დაგვაჯდეს უწყლოთო“. სასამართლომ სოფლების სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე, რადგან დაზარალებულებში გორელები ერივნენ (ე. ი. მიწათმოქმედი ბურჟუაზია). წყლის შეწყვეტით ერისთავს წყალზე გადასახადების შემოღება უნდოდა. შემდეგ კორესპონდენტი მიუთითებს, რომ მაზრაში „ზოგიერთა ისეთი მებატონეებისა ადევთ გლეხებს რუების გადასახადი, რომელთა მიწას ეს რუები სრულიად არა ხვდებიან“. შემდეგ „ყველაზედ მეტს ხარჯს რუებზედ იღებენ ერისთვიანი, რომელთა მამულებს ხვდება ეს წყალი მხოლოდ იმათთავე მამულების სარწყავათ. თუ არა და არც ერთგან ეს გაბეგრული რუები არ გამოდიან ამათს მამულში... ახლა უნდა იკითხოს კაცმა: რაში იღებენ მებატონენი წყლის ბეგარას? იმაში, რომ ამავე წყლით ირწყვის ამითავე მამული და აძლევს ერთი ორათ მოსავალს? უამწყლოთ წახდება მებატონის მამული, რომელიც გლეხკაცს აქვს მიცემული სამეოთხედოდ თუ ნადელში. მაშასადამე ეძლევა ზარალი თვით მებატონესაც. და იმის გამო რომ, გლეხკაცი უკეთებს ამას მიწას და ურწყავს. რომ უფრო მეტი მოიცეს მამულმა და ჰმატებს ამითი თავის მებატონეს. ამ სიკეთეში იხდის ის გადასახადსა“[1]!

მაშასადამე, გორის მაზრაში გარდა საადგილმამულო დავისა არსებობდა დავა სარწყავი წყლის გამოც. დავა წარმოებდა, ერთი მხრით, თავადაზნაურობასა და მთელ გლეხობას შორის, მეორე მხრით, თვით გლეხობაში ცალკეულ ფენებს შორის.

გ) მეცხოველეობის განვითარება

მეცხოველეობას მაზრის მოსახლეობის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმის შემდეგ მეცხოველეობა ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები, სავაჭრო ხასიათს იღებს — ყველს, ერბოს, მატყლს, ცოცხალ პირუტყვს სა-

[1] გაზ. „გუთნის დედა“, 1873, № 7, გვ. 1 — 3.

ხორცე და მუშა საქონლის სახით ახლა ბაზრისათვის აწარმოებენ. მაზრაში მეცხოველეობა ეკონომიური ზონების მიხედვით სხვადასხვა სახით ვითარდება. ბარში პირუტყვი გამოყენებულია უმთავრესად გამწევ ძალად. აქ მეცხოველეობა დამხმარე როლს თამაშობს, მთიან ადგილებში კი იგი მეურნეობის წამყვანი დარგია. სამაზრო ადმინისტრაცია სთვლიდა, რომ 1864 წლისათვის თითოეულ გლეხურ კომლზე (5 სული თითოეულ კომლში) მოდიოდა 1 ცხენი, 2 სული რქოსანი და 5 წვრილფეხა საქონელი.[1] ეს საშუალო და, ამასთანავე, ფრიად მიახლოებითი ციფრებია. უფრო ზუსტი მონაცემები გვაქვს 80-იანი წლებისათვის. ეს ცნობები ეხება მხოლოდ სახელმწიფო გლეხებს.

ცხრილი 11

გორის მაზრაში ეკონომიური ზონების მიხედვით სახაზინო გლეხთა სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობა (თითოეულ კომლზე)

გეოგრაფიულ-ეკონომიური რაიონები	მუშა საქონელი	რძის მომცემი პირუტყვი	წვრილ-ფეხა საქონელი	ცხენი	ღორი
I რაიონი (მთიანი მხარე)	2,8	5,6	25,4	0,9	2,8
II „ (მთის ძირა)	3,1	3,9	8,3	0,5	3,5
III „ (ბარი)	2,4	2,0	3,9	0,2	2,1
საშუალოდ მთელ მაზრაში . .	2,4	2,5	6,1	0,3	2,2

ამ ცნობებით მერძეული მეცხოველეობა მთის ზონაში მეტად ყოფილა განვითარებული. აქვე, თითოეულ კომლს ყველაზე მეტი ჰყავდა წვრილფეხა საქონელი (25,4), რაც ბართან შედარებით 6—7-ჯერ მეტია. აქვე ცხენები ბართან შედარებით 4—5-ჯერ მეტი ჰყავთ. მთიან ადგილებში ცხენების მეტი რაოდენობით ყოლა აიხსნება მათი, ძირითადად, სატრანსპორტო საშუალებად გამოყენებით. მუშა საქონელი ყველაზე მეტი ჰყავთ მთისძირა სოფლებში. აქ ის გამოყენებულია როგორც გამწევ ძალად, ისე სატრანსპორტო საშუალებად. მუშა პირუტყვის რაოდენობით მთა აღემატება ბარს. ეს აიხსნება არა მარტო მუშა საქონლის გამოყენებით (რადგან მთი-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 10, ფურც. 257, 1864 წ.
[2] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 227.

ან ადგილებში სახნავ-სათესი მცირე რაოდენობით ჰქონდათ), არა-ბედ უფრო მეტად ამ საქონლის გაყიდვისათვის მოშენებით; აღნიშ-ნულის გარდა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ I და II რაიონის ის სოფლები, რომლებიც მაზრის სამხრეთ ნაწილ-ში და ლიახვის ზემო წელზე მდებარეობდნენ, ეწეოდნენ მორების ამოზიდვას ტყიდან მდინარის ნაპირებამდე, ამისათვის კი მათ ბევრი მუშა პირუტყვი სჭირდებოდათ. ბაკურიანსა და ვარდგინეთში კომლ-ზე საშუალოდ 6 სული მუშა პირუტყვი მოდიოდა, გომანსა და დიდ ბიტარბაში 5 სული, ციხიჯვარში — 4,6, ახალდაბაში — 3,3.

ბარის სოფლებში მეცხოველეობის განვითარებას ხელს უშ-ლიდა საძოვრების, სათიბებისა და, საერთოდ, საკვებ საშუალებათა სიმცირე. გლეხები საძოვრების მხრივ ძირითადად მემამულეებზე იყენენ დამოკიდებულნი.

ვეტექიმი ტ. ბოლოტოვი თავის 1878 წლის ანგარიშში აღნი-შნავდა: „მესაქონლეობა გორის მაზრაში, განსაკუთრებით მის მთიან ადგილებში, პირველხარისხოვან ეკონომიურ როლს თამაშობს. საგალითად, ოსეთში საქონელს იბაბავენ არა მარტო იმ მიზნით, რომ ჰყავდეთ სამუშაო ძალა, არამედ, აგრეთვე, რძის პროდუქტების (ერბო და ყველი) მისაღებად. ეს პროდუქტები წარმოადგენდა გა-ყიდვის ერთ მთავარ საგანთაგანს და ოჯახის გამოკვების დიდ სა-შუალებას. მაზრის მთიანი ადგილების მიწათმოქმედებაში სასუქის, როგორც მინდვრის გამანაყოფიერებელი საშუალების, მიღება უკა-ნასკნელ როლს როდი თამაშობს. ბარში მესაქონლეობას მისდევენ უპირატესად მინდვრების დამამუშავებელი სამუშაო ძალის მიღების მიზნით. ამ ადგილებში რძის პროდუქტების მიღება მეორეხარისხო-ვან როლს თამაშობს, სასუქს კი ფასი აქვს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც გავრცელებულია მებაღეობა, იქ, სადაც საკმარისია წყალი მინდვრების მოსარწყავად. ამიტომ ბარისა და მთის სოფლებში სა-ქონლის რაოდენობა დიდად განსხვავებულია"[1].

მთის მოსახლეობისათვის მეცხოველეობა ყოველთვის წარმოა-დგენდა შემოსავლის ძირითად წყაროს. ამასთან რეფორმამდე, რაკი სოფელი ძირითადად ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა, მთის მო-სახლეობას მცირედი გაცვლა-გამოცვლითი ოპერაციებით დაკმა-ყოფილება უხდებოდა უმთავრესად ნეზობელი ბარის სოფლის მო-

---

[1] Т. Болотов, Горийский уезд и его ветеринарно-санитарныя условия, Сборник Кавказского общества сельского хозяйства, Выпуск IV, Тифлис, 1882, зз. 11.

სახლეობასთან. არამიწათმოქმედი მოსახლეობის სიმცირის გამო ბაზარი მეცხოველეობისათვის უმნიშვნელო იყო. რეფორმის შემდეგ საქალაქო ცხოვრების განვითარებასა და რკინიგზების გაყვანასთან დაკავშირებით მეცხოველეობა ქართლის მთაში უფრო და უფრო მეტად სავაჭრო ხასიათს ღებულობს. ოჯახზე იქ საშუალოდ 25,4 სული წვრილფეხა პირუტყვი მოდიოდა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ოჯახის პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული. პირუტყვის საგრძნობ ნაწილს ქალაქები ან სავაჭრო-სამრეწველო დაბები მოიხმარდნენ. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ბაზარი სავაჭრო მესაქონლეობისათვის იქმნება უმთავრესად ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდით"[1].

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ქართლის მთის ყველზე. მთის თითოეული ოჯახი იმის მიხედვით, თუ რამდენი ძროხა ჰყავდა (3-დან 20 სულამდე), აკეთებდა ყველს 5-დან 50 ფუთამდე. XIX საუკ. ბოლოსათვის ადგილზე ყველი ღირდა გირვანქა 15—20 კაპ. (ფუთი 6—8 მანეთი), ხოლო ქ. გორში და დაბა ცხინვალსა და სურამში გირვანქა 20—30 კაპ. (ფუთი 8—12 მანეთი)[2]. ფასები მეცხოველეობის პროდუქტებზე XIX საუკ. ბოლო მეოთხედში საკმაოდ მაღალი იყო. ცხვრის ქონი ფუთი ღირდა 8 მანეთი, ღორისა— 9 მან., ძროხის ხორცი — 4 მანეთი[3].

XIX საუკ. დასაწყისისათვის ცხვრის ხორცი ლიტრა (10 გირვანქა) ღირდა 60 კაპ., ძროხისა — 45 კაპ., ძროხის ქონი— 1 მან. 87 კაპ.[4]

ამ ორი მონაცემიდან მეტ-ნაკლები სიცხადით ჩანს ფასების ზრდა მეცხოველეობის პროდუქტებზე. მაგალითად, ძროხის ხორცზე ფასი 2-ჯერ და უფრო მეტად გაზრდილა.

XIX საუკ. II ნახევარში მაზრაში მატულობს პირუტყვის რაოდენობა. ამ მხრივ შემდეგი მონაცემები გვაქვს (იხ. ცხრილი 12).

აქ მოტანილი ციფრები ცხადყოფენ იმდროინდელი სტატისტიკის არასიზუსტეს. რასაკვირველია, ბევრი მონაცემი აშკარად არასწორია, მაგრამ მაინც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მონაცემთა დიდი ნაწილი უახლოვდება სინამდვილეს და ამის მიხედვით შესაძლებელია ზოგიერთი შედეგი გავითვალისწინოთ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 306.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 390, 1900 წ.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 26, საქმე 2091, ფურც. 2 — 3, 1880 წ.

[4] Акты собранные Кавказскою Археографическою Комиссиею, т. II, გვ. 1061.

ცხრილი 12

მეცხოველეობის მდგომარეობა გორის მაზრაში

წლები	ცხენების რაოდენობა	მსხვილი რქოსანი პირუტყვი		წვრილფეხა პირუტყვი	
1838	5000	30000		25 00	
1848	2794	42945		21709	
1858	7250[1]	45810		37911	
1864	5660[2]	52315		ცხვარი	61036
				ღორი	51701
1865	5691	52417		ცხვარი	61274
				ღორი	50909
1867	5783	55075		ცხვარი	63567
				ღორი	51887
1868	5989[3]	55400		ცხვარი	61292
				ღორი .	51987
1884	6989[4]	72309		ცხვარი	75124
				ღორი	33202
1893	6248[5]	ხარი	43056	ცხვარი	83059
		კამეჩი .	14944	თხა .	46200
		ფურკამეჩი	9000	ღორი	59120
		ძროხა	35869		
1894	6275[6]	ხარი	43095	ცხვარი	83059
		კამეჩი . .	15030	თხა .	46200
		ფურკამეჩი	9242	ღორი	59120
		ძროხა .	35987		
1897	6141[7]	ხარი	39872	ცხვარი	75065
		კამეჩი . .	19021	თხა	37500
		ფურკამეჩი	7570	ღორი	55015
		ძროხა	32898		
1899	6113[8]	ხარი და ძროხა .	120000[9]	ცხვარი	. 100000
		კამეჩი .	30000	თხა .	40000
1901	7900[10]	ხარი, ძროხა, კამეჩ.	165284	ცხვარი	180300
				თხა	48550
				ღორი	22609
1909	5084[11]	ხარი	37878	ცხვარი .	54207
		კამეჩი	. 10607	თხა	18954
		ფურკამეჩი	3126	ღორი	22744
		ძროხა	23436		

[1] Сборник материалов для описания Тифлисской губернии, Под редакцией К. Зиссермана, Тифлис, 1870, გვ. 69 — 71.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 10, ფურც. 272, 1864 წ.

[3] Сельское хозяйство и аграрные отношения т. II, составил проф. П. Гугушвили, Тбилиси, 1950, გვ. 288 — 293.

[4] Труды Тифлисского губернского статистического комитета, Под редакцией Игнатовского, Выпуск 1, Тифлис, 1886, გვ. 246.

[5] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 62, 1894 წ.

[6] იქვე, საქმე 2198, ფურც. 261, 1895 წ.

[7] იქვე, საქმე 2258, ფურც. 243, 1898 წ.

[8] საქ. ცსსა, ფონდი 41 . საქმე 3. ფურც. 426, 1900 წ.

[9] Кавказский календарь на 1903 г., გვ. 70.

[10] საქ. ცსსა. ფონდი 414, საქმე 22, ფურც. 219, 1902 წ.

[11] იქვე, საქმე 89, ფურც. 15, 1910 წ.

გორის მაზრაში ცხენი ძირითად გამწეე ძალას არ წარმოადგენდა. იგი უმთავრესად სატრანსპორტო საშუალებად იყო გამოყენებული. ამიტომ მხოლოდ ცხენების რაოდენობით გლეხური კომლის ეკონომიური სიძლიერის განსაზღვრა შეუძლებელია. მაინც ცხენს ქართლში საპატიო ადგილი ეკავა. მუშაკაცს, როცა იგი თავისი ცხენით მუშაობდა, აძლევდნენ იმდენსავე, რამდენიც ეძლეოდა მას ეთი ურმით მუშაობისას.

მაზრაში ცხენების უდიდესი რაოდენობა მთიან ადგილებზე მოდიოდა. მიმოსვლა მთის ბილიკებზე ცხენით უფრო მოსახერხებელი იყო. ასე იყო არა მარტო მთელს მაზრაში, არამედ მთელს გუბერნიაში. 1899 წელს, თუ გორის მაზრაში 6 113 ცხენი ითვლებოდა, თიანეთის მაზრაში, რომელიც მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიის სიერცით დიდად ჩამორჩებოდა გორის მაზრას, იყო 9 408 ცხენი[1].

ყოველ ას მცხოვრებზე 1883 წელს მოდიოდა ცხენების შემდეგი რაოდენობა:

ევროპელ რუსეთში .	25,5
კავკასიაში .	13,5
ჩრდილო კავკასიაში	24,5
ამიერკავკასიაში	7,4
გორის მაზრაში .	5,2[2]

ცხენების რაოდენობა 1897 წლისათვის გორის მაზრაში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ხიდისთავის უბანში. სადაც 7 ათას კომლზე მეტი იყო, ჰყოლიათ 893 ცხენი. ცხინვალისაში (8 300 კომლი) — 2 380 ცხენი, სურამის უბანში (5 ათასი კომლი) — 720. ბორჯომისაში (1 200 კომლი) — 460, მეჯვრისხევისაში (4 700 კომლი) — 970[3]. ცხენების ყველაზე დიდი რაოდენობა ცხინვალის უბანში ჰყავდათ. ეს უბანი ძირითადად მთის სოფლებისაგან შედგებოდა.

ცხენების რაოდენობის მნიშვნელოვანი ნაწილი მემამულეებს ჰყავდათ. მაგალითად, 1883 წელს გლეხებს ჰყავდა 3 464 ცხენი, მემამულეებს კი 2 946[4]. იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად მეტი ჰყავდათ ცხენები მემამულეებს, უნდა გავითვალისწინოთ გლეხური მოსახლეობის დიდი სიჭარბე მემამულეთა რიცხვთან შედარებით.

---

[1] Кавказский календарь на 1903 г., зд. 70.
[2] Кавказский календарь на 1885 г, зд. 277.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 19—101, 1898 წ.
[4] Кавказский календарь на 1885 г., зд. 277.

გორის მაზრის, ისევე როგორც მთელი გუბერნიის, მოსახლეობისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილფეხა რქოსან მუშა პირუტყვს. ამის თაობაზე ი. ვერეტენიკოვი აღნიშნავდა: „ადგილობრივ მოსახლეობას მუშა საქონლად მხოლოდ კამეჩები და ხარები მიაჩნია"[1]. განხილულ პერიოდში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა ყველაზე მეტია 1901 წელს; სახელდობრ, ამ წელს 165 284 სულია. ეს კი რეფორმის გატარების წელთან შედარებით (იყო 52417) სამჯერ მეტია, ხოლო 1838 წელთან შედარებით 4.5-ჯერ მეტი.

უბნების მიხედვით 1894 წლისათვის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რიცხვი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი. ხიდისთავის უბანში: ხარები და ძროხები — 10 700, კამეჩები — 2 400; ცხინვალის უბანში: ხარი — 1500, კამეჩი — 990, ფურკამეჩი — 100, ძროხა — 1 900, ცხვარი — 5 100, თხა — 2 400, ღორი — 2 600: სურამის უბანში: ხარი — 5002, კამეჩი — 1800, ფურკამეჩი — 512, ძროხა — 2 018, ცხვარი — 4 500, თხა — 2 300, ღორი — 8 000: ბორჯომის უბანში: ხარი — 2091, კამეჩი — 700, ფურკამეჩი — 153, ძროხა — 2 037, ცხვარი — 9 297, თხა — 1 500, ღორი — 1 315; მეჯვრისხევის უბანში: ხარი — 7100, კამეჩი — 1700, ფურკამეჩი — 300, ძროხა — 3 800, ცხვარი — 3 000, თხა — 500[2].

1897 წლისათვის კი შემდეგი მდგომარეობაა:

ხიდისთავის უბანში: ხარი — 11168, კამეჩი — 5985, ძროხა — 11 635, თხა და ცხვარი — 6 814; ცხინვალის უბანში: ხარი — 12 200, კამეჩი — 8 320, ფურკამეჩი — 2 400, ძროხა — 11 820, ცხვარი — 16 100, თხა — 2 300, ღორი — 7 600: სურამის უბანში: ხარი — 5 620, კამეჩი — 2 210, ფურკამეჩი — 620, ძროხა — 2 630, ცხვარი — 6 200, თხა — 3 200, ღორი — 9 700; ბორჯომის უბანში: ხარი — 736, კამეჩი — 1 100, ფურკამეჩი — 100, ძროხა — 664, ცხვარი — 2 500, თხა — 150, ღორი — 460; მეჯვრისხევის უბანში: ხარი — 5 500, კამეჩი — 1 906, ფურკამეჩი — 300, ძროხა — 3 120, ცხვარი — 3 200, თხა — 570, ღორი — 900[3].

1894 წელს გამწევი ძალის ყველაზე დიდი რაოდენობა მეჯვრისხევისა და ხიდისთავის უბნებზე მოდის. 1897 წლისათვის კი მსხვილ-

---

[1] И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе, журн. «Русская мысль», книга VII, 1902, стр. 124.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2198, ფურც. 34 — 160, 1895 წ.

[3] იქვე, საქმე 2258, ფურც. 19 — 101, 1898 წ.

ფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობით პირველი ადგილი ცხინვა-ლის უბანს უკავია (34 740 სული), მას მიჰყვება ხიდისთავის უბანი (28 766), სურამის უბანი (11 080), მეჯვრისხევისა (10 826) და ბორჯომის უბანი (2600).

მუშა პირუტყვის რაოდენობაზე დიდად იყო დამოკიდებული გლეხის ეკონომიური სიძლიერე. ვ. ი. ლენინი ბევრ შემთხვევაში გლეხურ კომლებს მუშა პირუტყვის რაოდენობის მიხედვით აჯგუ-ფებდა. გორის მაზრის გლეხთა დაჯგუფება ამის მიხედვით ცნელ-დება ცნობების არასაკმარისობის გამო.

ახალი საგადასახადო კანონის შემოღების წინ. 1900 წელს. ამიერკავკასიაში ჩატარდა მეურნეობების გამოკვლევა. ეს გამოკვ-ლევა თბილისის გუბერნიაში იმ გლეხურ კომლთა ნაწილს (1739) შეეხო, რომელთაც მიწა უკვე გამოსყიდული ჰქონდა. აღმოჩნდა. რომ მუშა საქონელი არ ჰყავდა მეურნეობათა 44,2%-ს, ერთი უღე-ლი ჰყავდა 21,8%-ს, დანარჩენ 34%-ს ორი უღელი ან მეტი გააჩს-და[1]. თუკი ასეთი მდგომარეობა გვაქვს იმ გლეხურ კომლებში, რო-მელთაც უკვე გამოისყიდეს მიწები და რომელნიც, საგულისხმებ-ლია, ეკონომიურად სხვა კომლებთან შედარებით უფრო ხელსაკ-რელ მდგომარეობაში არიან, ცხადია, უარესი მდგომარეობა ექნება გლეხთა დანარჩენ მასას. საერთოდ კი, — ამბობს მიმომხილველი, — „მუშა პირუტყვის განაწილება ცალკეულ მეურნეობათა მიხედვით უფრო მეტად არადამაკმაყოფილებელი. აღმოჩნდება"[2].

უმცირესობის ხელშია მუშა პირუტყვის დიდი რაოდენობა, უმრავლესობის ხელში კი პირუტყვის მცირე რაოდენობა.

ისეთ კომლთა რიცხვი, რომელსაც შეეძლო გუთნეული დამოუ-კიდებლად გამოეყვანა, დაახლოებით 4%-ს უდრიდა[3]. ცხადია. გლეხთა ეს ნაწილი მოსახლეობის კულაკურ ფენას წარმოადგენდა.

ზემოთ მოტანილი მონაცემები უფლებას გვაძლევენ ვამტკი-ცოთ, რომ უსაქონლო ანუ ღარიბ გლეხთა რაოდენობა 45%-მდე აღწევს. გარდა ამისა, ჩვენ ერთი უღლის მფლობელ გლეხსაც ღა-რიბებში ვთვლით იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გლეხურ კომლს შედა-რებით მცირე რაოდენობით აქვს ნათესი, ვენახი და ბაღი.

---

[1] И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе, Журн. «Русская мысль», Книга VII, 1902, გვ. 124.

[2] იქვე.

[3]. იქვე. გვ. 125.

მსხვილფეხა პირუტყვის მნიშვნელობა. აგრეთვე, სასუქის მომცემიანობით განისაზღვრებოდა. XIX საუკ. ბოლოსათვის მაზრის სახნავ და ბაღ-ვენახების თითოეულ დესეტინაზე მოდიოდა მსხვილფეხა საქონლის 1,88 სული. ეს ციფრი თიანეთის მაზრის მიმართ 7.74-მდე იზრდებოდა, ხოლო თბილისის მაზრის მიმართ 1,09-მდე მცირდებოდა, საშუალოდ კი გუბერნიაში 1.79-ს უდრიდა[1]. ესაა ე. წ. საშუალო ციფრები. ნამდვილად კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლეხობის თითქმის ნახევარს საქონელი სრულიად არ ჰყავდა, ხოლო თითო უღელი ჰყავდა დაახლოებით 22%-ს. უსაქონლო გლეხები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას გაენაყოფიერებინათ მიწა. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენდა მოსავლიანობაზე. გლეხთა იმ ჯგუფებს. რომელთაც საქონელი გააჩნდათ 2 უღელი და მეტი, საშუალება ჰქონდათ ბაღ-ვენახები და სახნავი სასუქით გაეპატივებინათ და უფრო მაღალი მოსავალი მიეღოთ.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ განსხვავება გლეხთა უკიდურეს ჯგუფებს შორის პირუტყვის რაოდენობის მიხედვით ათჯერ მეტია, ვიდრე განსხვავება სანადელო (საკომლო) მიწების მიხედვით. აქვე დგება საკითხი პირუტყვის ჯიშიანობაზე. ღარიბს საშუალება არა აქვს შეიძინოს ჯიშიანი საქონელი, ხოლო რაც ჰყავს. ისიც მოუვლელია: „შიმშილობს პატრონი (ვაგლახი პატრონი), შიმშილობს პირუტყვიც, სხვანაირად არც შეიძლება იყოს"[2], ხოლო საქონლის რაოდენობასა და ჯიშიანობაზე დამოკიდებულია მიწის მოვლა, კერძოდ, მიწის გაპოხიერება.

დ) ხვნა-თესვა რეფორმის შემდეგდროინდელი ქართლის სოფელში

ჩვენი საკითხის გასარკვევად აუცილებელია თვალი გავადევნოთ ხვნა-თესვის საქმეს მაზრაში. არსებული ცნობებით სურათი, დაახლოებით, შემდეგნაირად გვესახება (ცხრილი 13).

სხვა წლების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი. 1905 წელს მაზრაში მიუღიათ მოსავალი: ხორბლისა — 3 165 834 ფუთი, ქერის — 1 113 539 ფუთი, სიმინდის — 668 143, შვრიისა — 17 631, კარტოფილის — 128 400 ფუთი[3].

---

[1] «ССДЗСХПГЗК», გვ. 37.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 120.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 58, ფურც. 31, 1905 წ.

ცხრილი 13

მარცვლეულის მოსავალი გორის მაზრაში XIX საუკ. II ნახევარში (ფუთობით)

წლები	ვისია ნახნავი	აღებულია (ფუთობით)			
		ხორ-ბალი	ქერი	სიმინდი	კარტო-ფილი
1	2	3	4	5	6
1856	თავადაზნაურობის	244150	40890	3885	—
	გლეხების	492855	14616	4370	—
	სახელმწიფო გლეხების	301140	15577,5	22750	—
	საეკლესიო გლეხების	182965	127310	5320	—
	სულ	1221310	470388	37425[1]	
1862	თავადაზნაურობის	169450	—	—	2075
	საბატონო გლეხების	229760	—	—	1653
	სახელმწიფო გლეხების	119280	—	—	1387
	საეკლესიო გლეხების	151088	—	—	1287
	სულ	669578			6412[2]
1864	თავადაზნაურობის	646090	—	—	1900
	სახელმწიფო გლეხების	941716	—	—	1566
	გლეხების	1364869	—	—	1889
	საეკლესიო გლეხების	429333	—	—	1070
	სულ	3382298			6425[3]
1868	სულ	2776016			62340[4]
1873	თავადაზნაურობის	570190	190240	—	13865
	გლეხების	1785145	206625	—	30965
	სულ	2355335	396865		73130[5]
1876	თავადაზნაურობის	557460	159200	—	12050
	გლეხების	1473640	264625	—	81685
	სულ	2031100	423825		93735[6]
1884	თავადაზნაურობის	665000	111750	—	45400
	გლეხების	1705150	699625	742425	65550
	სულ	2370150	1011375	742425	110950[7]

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 781, ფურც. 72, 1857 წ.
[2] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Составил проф. П. Гугушвили, Тбилиси, 1950, გვ. 286.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 10, ფურც. 272, 1865 წ.
[4] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Составил проф. П. Гугушвили, გვ. 297.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 2668, ფურც. 80, 1874 წ.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 34, 1877 წ.
[7] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 92, ფურც. 2, 1885 წ.

1	2	3	4	5	6
1890	დრ. ვალდ. გლეხების (საანადელო მიწებზე) .	851447	323350	—	5025
	მესაკუთრე გლეხების .	264000	87725	—	1045
	სახაზინო გლეხების (სახელმწიფო მიწაზე) .	228200	197925	—	475
	სახაზინო გლეხების (საეკლესიო მიწაზე) .	291650	141375	65822	380[1]
	თავადაზნაურობის მიწები:				
	ა) პირად სარგებლობაში	321000	84825	68300	950
	ბ) გაცემულია იჯარით .	362700	150790	78550	2175
	გ) გაცემულია ღალით . .	724678	246355	218500	4750[2]
	სულ .	3113675	1232345	431172	14800
1893	თავადაზნაურობის მიწები	562737	253162	190475	10469
	სახაზინო მიწები . .	497357	232725	145801	—
	გლეხთა მიწები . . .	907181	186180	343520	6732
	მოიჯარადრეების მიწები	673920	195025	641829	8640
	სულ .	2641195	867092	1321625	25891[3]
1897	თავადაზნაურობის .	535700	236350	218500	15100
	სახაზინო მიწები . .	500540	229452	201300	4270
	გლეხების	910570	181250	332500	14250
	მოიჯარადრეების .	901450	217500	610500	6650
	სულ .	2848760	864552	1369800	40470[4]
1899	თავადაზნაურობის მიწაზე	440737	283968	290076	104210
	სახაზინო მიწებზე .	436515	156572	141450	47500
	გლეხების	817950	273325	350892	71150
	მოიჯარადრეების .	85400	36250	19000	—
	მესაკუთრეების .	128250	17390	28500	—
	სულ .	1908852	767505	829918	222860[5]
1901	თავადაზნაურობის მიწებზე.	1148593	250632	292033	105773
	სახელმწიფო მიწებზე .	558552	167569	114864	44550
	გლეხთა მიწებზე . . .	1152242	228386	206415	22025
	მოიჯარადრეთა მიწებზე .	568703	94052	61408	67032
	სულ .	3428469	740540	675231	239780[6]

[1] Кавказскій календарь на 1893 г., გვ. 5 — 8.
[2] Кавказскій календарь на 1892 г., გვ. 44 — 45.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 12, 1894 წ.
[4] იქვე, საქმე 2258, ფურც. 236, 1898 წ.
[5] საქ. ცსსა. ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 412, 1900 წ.
[6] იქვე, საქმე 22, ფურც. 105, 1902 წ.

ზემოთ მოტანილი მონაცემებით ირკვევა:

1) გაზრდილია მაზრაში საერთო მოსავალი: ხორბლისა, ნაცელად 1 221 310 ფუთისა 1856 წელს მიღებულია 3 165 834 ფუთი 1905 წელს (ე. ი. მოსავალი ორჯერ მეტია მიღებული), ქერისა — 470 388 ფუთიდან 1 113 539 ფუთამდე (ე. ი. 2-ჯერ მეტი), სიმინდისა 37 425 ფუთიდან 668 143 ფუთამდე (ე. ი. 18-ჯერ), კარტოფილისა 6115 ფუთიდან 1862 წ., 128400 ფუთამდე 1905 წ. (ე. ი. 21-ჯერ).

მოსავლის ზრდაზე დაკვირვების წარმოების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მოსახლეობის ზრდაც. მოსახლეობის რაოდენობა მაზრაში გაზრდილია 116624 სულიდან 1864 წელს, დაახლოებით 200 ათას სულამდე 1905 წელს. ერთი შეხედვით, მოსავლისა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თანაბარი პროპორციით წარმოებს, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მოსახლეობა იზრდება მთელს მაზრაში, ხოლო პურეულის მოსავალი — ძირითადად ბარსა და, ნაწილობრივ, მთისძირა ზონაში. აქაური მეურნეობები მარცვლეულის საგრძნობ რაოდენობას სასაქონლო მიზნით ამზადებდნენ.

როგორც ჩანს, ძალზე გაზრდილია სიმინდისა და კარტოფილის მოყვანა. საერთო მოსავალში კი სიმინდისა და კარტოფილის რაოდენობის ზრდა ნიშნავდა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ამაღლებას". „სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური დამუშავების ზრდას". „მეორე მხრით, ის წარმოადგენს, სოფლის მეწარმეთა კლასის თვალსაზრისით, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებას (მუშა-ძალის შენახვის გაიაფება, ხალხის კვების გაუარესება)"[1]. მართლაც, მჭადნარევი პურის ჭამა ქართლში სიღარიბის ნიშნად ითვლებოდა.

2) მარცვლეულს თავადაზნაურობა ახლა უფრო მეტს ღებულობს, ვიდრე წინათ. ეს. რა თქმა უნდა, მემამულური მეურნეობების საერთო ზრდის ხარჯზე როდი ხდება. ეს ზრდა ძირითადად გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგია, ხოლო მიღებული მარცვლეული თავადაზნაურობას უმთავრესად რენტის სახით შემოსდის. ამ დროისათვის მემამულეთა მეურნეობების უმრავლესობა კაპიტალისტურ მეურნეობებად ვერ ჩაითვლება, რადგან მათში ბატონობს არა დაქირავებული შრომა, არამედ შრომამიგება. რენტის საფუძველზე გლეხები თავისი ინვენტარითა და საქონლით ძველებურად ამუშავებენ საბატონო მიწას. ამავე დროს მემამულის მე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 285 — 286.

ურნეობაში თვისობრივი განსხვავება რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში მემამულური მეურნეობა თვითკმარ ხასიათს ატარებს და ბაზრისათვის არ აწარმოებს, ახლა კი მემამულე ცდილობს მეტი მარცვლეულის მიღებას (რა საშუალებითაც არ იქნება ეს), რათა ბაზარზე გაიტანოს იგი. ამასთან, მემამულეებს არ შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ მეურნეობის წარმოების ძველი წესებით და ისინი მიმართავენ დაქირავებული შრომისა და მანქანა-იარაღების გამოყენებას, ცდილობენ მეურნეობა აწარმოონ მოწინავე აგროტექნიკის საფუძველზე.

საერთოდ კი მაზრაში მემამულურ მეურნეობათა უმრავლესობაში ერთმანეთზე გადაჯაჭვული იყო შრომამიგებითი და კაპიტალისტური სისტემა. მიწის უდიდესი ნაწილი გლეხებს იჯარით ეძლეოდათ, ხოლო მცირე ნაწილს კი მემამულე თავისი ინვენტარითა და დაქირავებული მუშახელით ამუშავებდა.

3) მოსავალს უფრო მეტს ღებულობს გლეხობაც. გლეხები მოსავალს იღებენ როგორც საკომლო (სანადელო) და საკუთარ, ისე იჯარითა და ღალით აღებული მიწებიდან. როგორც წესი, მიწას ღალით (რენტა პროდუქტებით) იღებდნენ ღარიბი ან საშუალო გლეხები, იჯარას (ამ შემთხვევაში ფულადი რენტა) კი უმთავრესად შეძლებული გლეხები მიმართავდნენ. მიწის ღალით აღება ნატურალურ რენტაზე მიუთითებს, ხოლო იჯარა ამ შემთხვევაში უმთავრესად ფულად გადასახადს გულისხმობდა. 90-იან წლებში ღალაზე გაცემულ მიწებზე მიღებული მოსავალი ორჯერ აღემატებოდა იჯარით გაცემულ მიწებზე აღებულ მოსავალს. ამგვარად. 90-იან წლებში ნატურალური რენტა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

80—90-იან წლებში მთავრობის ოფიციალური სტატისტიკა უკვე უჩვენებს მოიჯარადრეთა და მესაკუთრეთა კატეგორიას, მემინდვრეობიდან მემამულეები და გლეხები შემდეგი რაოდენობის მოსავალს (პური, სიმინდი. კარტოფილი) ღებულობდნენ (იხ. ცხრილი 14).

ამ მონაცემებიდან ჩანს. რომ მოსავლიანობა არამყარია. ეს მოწმობს სოფლის მეურნეობაში აგროტექნიკისა და მოწინავე ტექნიკის ნაკლებად დანერგვას, რწყვის მოუგვარებლობას.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა. გორის მაზრის სოფლის მეურნეობა, აგრეთვე, ხშირად ზარალდებოდა სტიქიურ უბედურებათაგან: სეტყვისა, გვალვისა, თაგვისა, კალიისა და სხვ.[1]

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 6604, ფურც. 11, 1900 წ.; ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 63, 1894 წ.; ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 7, 243, 1898 წ.

ცხრილი 14

მარცვლეულის მოსავალი თავადაზნაურთა და გლეხთა ნათესებიდან (ჩეტვერტობით)

წლები	საერთო მოსავალი მემამულეთა ნათესებიდან		საერთო მოსავალი გლეხთა ნათესებიდან	
1882	108500	ჩეტვერტი [1]	303600	ჩეტვერტი
1883	140000	„	375000	„
1884	138000	„	360000	„
1885	160000	„	320000	„
1886	180000	„	435000	„
1887	148992	„	440977 [2]	„
1888	155900	„	447000	„
1889	99142	„	209428	„
1890	154500	„	453634	„
1891	140535	„	399856	„
1892	211415	„	502405	„
1893	152032	„	393295 [3]	„

სოფლის მეურნეს, მით უმეტეს საშუალო და ღარიბ გლეხს, არავინ აუნაზღაურებდა მიყენებულ ზარალს, ხშირი იყო შიმშილობა; ეს აჩქარებდა ღარიბთა ფენის ზრდას.

მაზრაში ხშირი იყო მოუსავლიანი წლები. სასელმწიფო-სამიწათმოქმედო ბანკის ანგარიშში მოუსავლიანობის მიზეზებად შემდეგი გარემოებანია დასახელებული:

1) სწორი თესლბრუნვის უქონლობა, 2) რომ გლეხობას არასაკმარისი რაოდენობით აქვს მიწები, 3) რომ თესლად იყენებენ უვარგის მარცვალს, 4) მიწის დამუშავება ხდება მძიმე და უხეში იარაღებით, რაც მოითხოვს ადამიანის დიდ ჯაფასა და გამწევი ძალის დიდ რაოდენობას, 5) ნიადაგების გამოფიტულობა და 6) სასოფლო-სამეურნეო განათლების დაბალი დონე[4].

მიწათმოქმედების პრიმიტიული ხერხებით წარმოებასა და სასოფლო-სამეურნეო განათლების დაბალ დონეზე მიუთითებს ი. წინამძღვრიშვილიც[5].

მიწათმოქმედებაში გაბატონებული იყო ერთმინდვრიანი (ერთსა და იმავე მინდორს იმდენ ხანს ხნავდნენ, სანამ ნიადაგი სრუ-

[1] ჩეტვერტი უდრის: ხორბალი $9^1/_2$ ფუთს, ქერი $7^1/_4$ ფუთს (Кавказский календарь на 1865 г., IV, გვ. 13).
[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 36, ფურც. 3, 1888 წ.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 2, 1894 წ.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 387, 1900 წ.
[5] Труды местных комитетов о нуждах сельскохозяйственной промышленности, LII, Кавказский край, С - Петербург, 1903, გვ. 453.

ლიად არ გამოიფიტებოდა) და ორმინდვრიანი სისტემა (ე. ი. ნაკვეთს ერთწლიანი დამუშავების შემდეგ ასვენებდნენ)[1].

რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით. ქართლში მეტად დაბალ დონეზე იდგა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. თბილისის გუბერნატორის 1873 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პურის მოყვანის ხერხები და საშუალებანი უპირატესად კვლავ იგივეა, რითაც მიწათმოქმედნი დიდი ხნის წინათ სარგებლობდნენ"[2].

ხუთ წლიდ ოცი წლის შემდეგ გორის მაზრის უფროსის მოხსენებაში აღნიშნულია: „ხვნა-თესვა მაზრაში გლეხების მიერ მიწის დამუშავების პირველყოფილი საშუალებებით წარმოებს". იმავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „უკანასკნელ დროს უფრო მსხვილი მემამულეების მიერ შემოღებულია ხმარებაში უაბლესი, გაუმჯობესებული ნიმუშების გუთნები და მიწათმოქმედების სხვა იარაღები"[3]. ეს იმ დროს, როცა თვით 80-იან წლებში ასეთ „მოწინავე" მემამულეებად თავადაზნაურობის წინამძღოლი ივანე დავითის-ძე სულხანიშვილი და ორიოდე სხვა მემამულე ითელებოდა[4].

ხორბლის მოყვანა მნიშვნელოვნად კვლავ პრიმიტიული წესით წარმოებდა. 90-იან წლებში აქაური პური ფართო გასაქანს ვეღარ პოულობდა. რუსეთის იაფი პური აზრს უკარგავს ხორბლის სპეციალურ მეურნეობათა დიდი მასშტაბით შექმნას. უეჭველია. ამითვე აიხსნება ხორბლის არამყარი და, საერთოდ, დაბალი მოსავალი. აქ კაპიტალიზმმა სოფლის მეურნეობა უფრო ცალკეული ძვირფასი სპეციალური კულტურების განვითარებისაკენ წარმართა. „კლებულობს იმ მეურნეთა რიცხვი. რასაკვირველია შედარებით, რომლებიც განსაკუთრებით ხორბლის მოყვანას მისდევენ და იმავე დროს... მატულობს მეურნეობის სხვა დარგში მომუშავეთა რიცხვი"[5].

მარცვლეულის მოყვანა ნაკლებ მოგებას იძლეოდა. მოგების ეს სიმცირე უფრო შესამჩნევი იყო მიწის პატარა ნაკვეთზე. 1887 წელს დესეტინა მიწის დამუშავება ჯდებოდა 38 მან. და 8 კაპ-დან 45 მან. და 70 კაპ-მდე[6]. 1893 წელს 40 მან. და 70 კაპ-დან 45 მანე-

---

[1] В. Геевский, Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887, გვ. 17 — 18.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 2668, ფურც. 3 — 4, 1874 წ.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 3, 1891 წ.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 36, ფურც 3, 1888 წ.

[5] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 55 — 56.

[6] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 36, ფურც. 5, 1888 წ.

თამდე[1]. 1898 წელს ერთ დესეტინა მიწაზე შემოსავალ-გასავალი შეადგენდა:

	გასავალი	შემოსავალი
ხორბალზე .	31 მან 89 კაპ.	46 მან. 60 კაპ.
ქერზე .	. 39 „ 60	35 „
სიმინდზე	. 28 „ 75 „	30 . 2

შემოსავალი გასავალს უმნიშვნელოდ აღემატება. ამასთან, აქ არ არის შესული რენტა, რომელსაც გლეხი უხდის მემამულეს მიწის იჯარით სარგებლობისათვის. ფაქტიურად ღარიბს (და ბევრ საშუალო გლეხსაც) მოგება არ რჩება. იგი მაინც იძულებულია შეასრულოს მთელი ეს სამუშაო, რათა შიმშილით არ მოკვდეს; ხოლო მცირედიც რომ დარჩეს, იძულებულია ამით დაკმაყოფილდეს,—იგი თავის შრომას ხშირად ანგარიშში არც კი აგდებს.

გორის მაზრის გლეხობა უმთავრესად წვრილმწარმოებელთა მასას წარმოადგენდა. ძირითადად ეს მასა ჰქმნიდა სასაქონლო მარცვლეულს როგორც საკუთარ, ისე მემამულეთა მეურნეობებში.

ღარიბი და საშუალო გლეხები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ჩატარების დროს მიმართავენ ურთიერთდახმარებას. ხვნის დროს რამდენიმე გლეხის ოჯახი ერთ გუთანს აბამს. მხოლოდ შეძლებული გლეხები ახერხებენ საკუთარი გუთნეულის შებმას. მოსავლის აღების დროს გლეხები მიმართავდნენ ე. წ. ნაცვალხელობას: 9—10 კაცი მორიგეობით გადადიოდა ერთი ნაკვეთიდან მეორეზე. ხარჯი იმისი იყო, ვისთანაც მუშაობდნენ[3].

ე) მევენახეობის განვითარება

სპეციალური კულტურები (ვაზი, ხეხილი და სხვ.) გაცილებით მეტი ღირებულების შემოსავალს იძლეოდა, ვიდრე, ვთქვათ, მარცვლეული კულტურები. ხოლო რაკი გეოგრაფიული გარემოც შესაფერისი იყო, გორის მაზრის ბარსა და მთისძირა სოფლებში ფართო გასაქანს პოულობს ვენახისა და ხეხილის მოშენება, ბოსტნეულის მოყვანა.

სპეციალურ კულტურებში საპატიო ადგილი ვაზს ეჭირა. XIX საუკ. 30-იან წლებში მაზრაში ვენახების რიცხვი 4500 არ აღემატებოდა, 657 დესეტინამდე საერთო ფართობით. 70-იან წლებში ვე-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 4, 1894 წ.
[2] «ССДЗСХПГЗК», გვ. 39.
[3] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 216 — 217.

ნახების ფართობი უკვე 1800 დესეტინას უდრიდა, ხოლო 1891—1896 წლებში იყო 17995 ვენახი 5086 დესეტინა ფართობით[1].

მაზრის მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარ წყაროს ვენახი შეადგენდა. ასეთ ადგილთა რიცხვს ეკუთვნოდა: ატენის ხეობა, სოფლები — ხიდისთავი, ახალქალაქი, მეტეხი, მეჯვრისხევი, ჭალა, ლამისყანა, ძეგვი და მრავალი სხვა სოფელი — უმთავრესად აღმოსავლეთ ქართლში[2].

ვენახების ფართობი წარსული საუკუნის ბოლოსათვის შემდეგნაირად იყო განაწილებული:

ბორჯომის უბანში	— 50,13	დესეტინა, მაზრის ვენახების	0,18%
სურამის	— 797,25	„	16%
ცხინვალის	— 771.44		15%
მეჯვრისხევის	— 1680.06		34%
ხიდისთავის	— 1700.54	„	35%[3]

ვენახების დიდი ნაწილი ხიდისთავისა და მეჯვრისხევის უბნებში შემავალ სოფლებზე მოდიოდა.

ვენახები და ხეხილი უმეტესად შერეული წესით იყო გაშენებული. რაც ენებდა ვაზს. ამიტომ იმ სოფლებში, სადაც მეურნეობის ძირითად დარგს მევენახეობა შეადგენდა, მოსახლეობა ცდილობდა ხეხილი ვენახებისაგან გაეცალკევებინა[4].

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას გორის მაზრაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ. ამ გზის გაყვანამდე ადგილობრივი ღვინოები იშვიათად სცილდებოდნენ მაზრის ფარგლებს. ღვინო ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა. ღვინოების გატანის ხარჯები რკინიგზამ საგრძნობლად შეამცირა და გორული ღვინო მრავალგვარად გადაკეთებული იყიდებოდა თბილისსა და რუსეთის შიდა გუბერნიებში[5]. მაზრაში მიღებული ღვინის 2/3 ბაზარზე გადიოდა[6].

---

[1] П. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Карталинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, 1897, გვ. 22—23.

[2] იქვე, გვ. 21.

[3] იქვე, გვ. 27.

[4] «МДИ=БГКЗК», т. VI, გვ. 224.

[5] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 2, 1894 წ.

[6] А. Джавахов, Город Гори, 1882, გვ. 85.

ღვინის ყველაზე დიდი მომხმარებელი თბილისი იყო. თბილისში ღვინოები უმთავრესად რკინიგზით გადაჰქონდათ[1]. 1887 წელს გორის სადგურიდან რკინიგზით 28000 ფუთი ღვინო გაუგზავნიათ[2].

ცხრილი 15

ღვინის გატანა რკინიგზის გორის მაზრის სადგურებიდან (ფუთობით)

სადგურები \ წლები	1890	1891	1892	1893	1894
ხაშური	427	1400	640	1470	220
სურამი	649	317	72	286	—
გომი	101	674	428	2241	646
ქარელი	176	403	2846	3073	252
გორი	6089	14806	34866	53104	12519
გრაკალი	762	5530	12164	22773	2249
კასპი	1169	10616	26097	19363	2739
სკრა	—	450	78	21	18

გორის მაზრის ღვინოები გადიოდა ურმებით, აგრეთვე, გორისა და დუშეთის მაზრების მთიან ადგილებში, იქ, სადაც მოსახლეობა მევენახეობას არ მისდევდა. ხოლო ცხინვალიდან და მის ახლო მდებარე სოფლებიდან ღვინო ცხენებით რაჭის მაზრაში გადაჰქონდათ[3].

ღვინის მოსავალი მაზრაში შეადგენდა:

1887 წ. — 158400 ვედროს[4]
1888 წ. — 160000 „
1889 წ. — 43600 „
1890 წ. — 133500 „
1891 წ. — 465110 „
1892 წ. — 625362 „
1893 წ. — 416670 „[5]
1894 წ. — 350000
1895 წ. — 150000
1896 წ. — 145000
1897 წ. — 243500

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 2, 1894 წ.
[2] Кавказский календарь на 1888 г., გვ. 33.
[3] П. Кандурадлов, Очерк виноградства и виноделия в Карталинии, Сборник сведений по виноградству и виноделию, 1897, გვ. 103.
[4] Кавказский календарь на 1890 г., გვ. 38.
[5] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 3 — 4, 1894 წ.
[6] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 256, 1898 წ.
[7] Кавказский календарь на 1899 г., გვ. 84.

1900 წ. — 411670 ვედროს[1]
1901 წ. — 233000 „ [2]

მაზრაში ღვინის საშუალო მოსავალი დესეტინაზე შეადგენდა:

1876 წ. — 70 ვედროს[3]
1887 წ. — 34 5 „ [4]
1897 წ. — 61,5 „ [5]
1899 წ. — 121 „ [6]
1900 წ. — 105,5 „ [7]
1907 წ. — 108,8 „ [8]

მიუხედავად ცნობების ნაკლებობისა, მაინც შეიმჩნევა მოსავლიანობის ზრდა ვენახების თითოეულ დესეტინაზე.

ვენახების ფართობით გორის მაზრას გუბერნიაში მესამე ადგილი ეკავა თელავისა და სიღნაღის მაზრების შემდეგ.

ვენახის გაშენება დიდ ხარჯებს მოითხოვდა. 90-იან წლებში ვენახის გასაშენებლად უნდა დაბანდებულიყო: I წელს—335 მან., II წელს — 103 მან. 50 კაპ., III წელს — 131 მან. და IV წელს—263 მან. 50 კაპ., ე. ი. სულ 833 მანეთი[9]. საშუალოდ ერთი დესეტინა ვენახის გასაშენებლად საჭირო იყო დაახლოებით 800 მანეთის ხარჯი[10].

შემუშავებული ერთი დესეტინა ვენახის გასაყიდი ფასი მაზრაში 90-იან წლებში ასეთი იყო:

. დესეტინა ვენახი ღირდა

	უმაღლესი ფასი	უმცირესი	საშუალო
ქ. გორში	2500 მან.	1000 მან.	1750 მან.
მეჯვრისხევში .	2500 „	900 „	1700 „
ატენში	4000 „	1400 „	2000 „
ციდისთავში	3000 „	900 „	1600 „
ლამისყანაში	2500 „	1000 „	1200 „
მეტეხში	2000 „	800 „	1300 „
ქვიშხეთში	900 „	400 „	600 „
სურამში .	1000	500 „	600 „ [11]

[1] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, Под редакцией Е. Кондратенко, Часть I, Тифлис, 1902, გვ. 221.
[2] Кавказский календарь на 1903 г., გვ 66 — 67.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 5. საქმე 3975. ფურც. 6, 1877 წ.
[4] Кавказский календарь на 1890 г., გვ. 84.
[5] Кавказский календарь на 1899 г., გვ. 5.
[6] Обзор Тифлисской губернии за 1899 г., Тифлис, 1900, გვ, 5.
[7] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, Под редакцией Е. Кондратенко, Часть I, Тифлис, 1902, გვ. 221.
[8] Кавказский календарь на 1909 г., გვ. 529.
[9] Ш. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Картлинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, 1897, გვ. 69 — 71.
[10] «ССДЗСХПГЗК», გვ. 41.
[11] П. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Картлинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, Тифлис, 1897, გვ. 76.

ატენის ღვინო ცნობილი იყო თავისი მაღალი თვისებებით, ეს კი განსაზღვრავდა აქაური ვენახების მაღალ გასაყიდ ფასებს, რაც რამდენიმეჯერ აღემატებოდა ქვიშხეთისა და სურამის ვენახების ფასს.

შემუშავებული ვენახის წმინდა შემოსავალი ჰფარავდა მასზე გაწეულ წლიურ ხარჯებს და მოგება უდრიდა გაწეული ხარჯების 40%-ს, 900-იან წლებში დესეტინა ვენახიდან წმინდა მოგება 120 მანეთამდე აღწევდა, ხოლო ხარჯი 180 მანეთს უდრიდა[1] (ე. ი. შემოსავალი მთლიანად უდრიდა 300 მანეთს).

ვენახების მფლობელთა შორის ჭარბობდნენ წვრილი მევენახეები, რომლებიც ამიერკავკასიაში მთელ მევენახეთა 85, ზოგან კი 90-95%-ს შეადგენდნენ. 1908 წლის ცნობით, თბილისის გუბერნიაში 42810 მევენახე იყო. თითოეულ მევენახეზე საშუალოდ 0,5 დესეტინა მოდიოდა[2]. აქ ვენახები უმეტესად გაფანტული იყო 200—300 კვ. საჟ. ნაკვეთების სახით. იყო მოზრდილი ნაკვეთებიც, 1000—1500 კვ. საჟენი ფართობით. შედარებით დიდი ვენახები, ე. ი. ისეთები, რომელთა სიდიდე 5—6 დესეტინას აღემატებოდა, ძალიან ცოტა იყო[3]. დიდი ვენახები (ზვრები) უმთავრესად მემამულეებსა ჰქონდათ. გორის მაზრაში თავად შ. ერისთავს ატენში 40 დესეტინა ვენახი ჰქონდა[4]. დ. ერისთავს სოფ. თეზში ჰქონდა ვენახი, რომელიც 50 დესეტინაზე იყო გადაჭიმული, ვენახის ასეთივე მსხვილი მფლობელი იყო თავადი ამილახვარი სოფ. ქვემო ჭალაში[5].

მაზრაში ვენახების რაოდენობა კომლზე საშუალოდ შეადგენდა: მოქალაქეთა ოჯახზე — 0,57 დესეტინას და გლეხისაზე — 0,23. ვენახების რაოდენობა გლეხურ კომლზე მერყეობდა 0,70 დესეტინიდან 0.04-მდე. უბნების მიხედვით გლეხთა კომლზე მოდიოდა: ხიდისთავის უბანში—0,26 დესეტინა, მეჯვრისხევის — 0,29 დესეტ. ცხინვალის — 0,09 დ., სურამის — 0,11 დ., ბორჯომის — 0,03 დ[6].

---

[1] Об обязательном выкупе помещичьих, владельческих и церковных крестьян в Закавказском крае, Канцелярия Наместника, Общия соображения, Тифлис, 1909. გვ. 21.

[2] Журн. «Кавказское хозяйство», 1910, № 3. გვ. 2.

[3] С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1888. გვ. 12.

[4] ცნობა მოგვაწოდა ატენის მცხოვრებმა ესტატე ქერდიყოშვილმა (77 წლ.).

[5] П. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Карталинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, Тифлис, 1897, გვ. 27.

[6] იქვე, გვ. 26.

მევენახე-მესაკუთრეთა შორის თავადაზნაურთა შემდეგ პირველ ადგილზე იდგნენ მოქალაქენი (თბილისელი, გორელი და სხვ.), რომლებიც ვენახების საგრძნობ ნაწილს ჰფლობდნენ. მაგალითად, ქ. გორის მცხოვრებთაგან ეპირათ სოფ. ხიდისთავში დიმიტრი ქიტიაშვილს 8,5 დესეტინა ბაღ-ვენახი, ნიკოლოზ სტეფანოვს — 3 დესეტინა, ივანე და ლევან ოქოაშვილებს სოფ. ხიდისთავსა და სოფ. რუისში — 1.75 დესეტინა და სხვ.[1]

900-იან წლებში ვენახების ფართობი მაზრაში შემცირებული ჩანს და უდრის დაახლოებით 4000 დესეტინას[2]. ამ შემცირების მთავარი მიზეზი იყო ვაზის დაავადება ფილოქსერით. რომლის წინააღმდეგაც ბრძოლა მაშინ ძალიან სუსტად წარმოებდა. ვენახის სენი საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკ. 50-იან წლებში ანადგურებდა ვენახია საუკეთესო ჯიშებს. სათავადაზნაურო ბახჩის პატაკში გუბერნატორისადმი პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ფილოქსერა ვრცელდება. ხოლო „ფილოქსერის კომიტეტი" ამ დაავადებასთან სერიოზულ ბრძოლას არ ეწევაო"[3].

ვენახებს ანადგურებდა როგორც ფილოქსერა. ისე ვაზის სხვა დაავადებანი. 1897 წელს გაზ. „კავალში" კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ცხინვალის ხეობაში ფილოქსერა ვენახებს ანადგურებს. ხოლო ვაზის ავადმყოფობამ — მილდიუ და ნაცარმა დედამიწასთან გაასწორა აქაური ვენახები[4]. მეტად ძნელი საშოვნელი იყო შაბიამანი. რაც ყვირილიდან მოჰქონდათ. ცხადია, რომ განადგურება და მოუსავლიანობა პირველ რიგში ღარიბთა ვენახებს ეწვეოდა.

მართალია ფილოქსერამ და ვაზის სხვა დაავადებებმა მევენახეობა-მეღვინეობას დიდად შეუშალეს ხელი, მაგრამ ამასთან ამ გარემოებამვე გამოაღვიძა მევენახეები და ეს დარგი გაუმჯობესების გზას დაადგა. დაიწყო მევენახეობა-მეღვინეობის ახლებურად მოწყობა. ამას ფული სჭირდებოდა. იწყება კაპიტალის ფართო დაბანდება. „კაპიტალის დაბანდვამ—წერს ფ. მახარაძე — მევენახეობა-მეღვინეობაში ღრმა ცვლილება მოახდინა მეურნეობის ამ დარგში. ვენახის მოვლის და ღვინის კეთების საქმე დღეს გაუმჯობესებულია ჩვენში იმდენად, რამდენადაც მასში კაპიტალისტურ წარ-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 20822, ფურც. 212 — 215, გვ. 1894 წ.

[2] Кавказский календарь на 1904 г., გვ. 87.; Кавказский календарь 1909 г., გვ. 529.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 414. საქმე 3, ფურც. 389, 1900 წ.

[4] გაზ. „კავალი", 1897, № 40, გვ. 724.

ნოებას აქვს ადგილი... აშკარაა, რომ ასეთ წესწყობილებაში გაბატონებული, როგორც ყოველგან, მსხვილი და შეძლებული მეურნეა... ნელრე მხრით ვინ არ იცის ჩვენ წვრილ მესაკუთრეთა უკიდურესი გაჭირვება და იმათი პაწაწკინა ვენახების საბრალო მდგომარეობა დღევანდელ პირობებში. ასეთ მესაკუთრეთ არავითარი სახსარი არა აქვთ ვენახს უწამლონ ან მეურნეობაში რაიმე გაუმჯობესება შეიტანონ... ამნაირად ჩვენი მეურნეობა წარმატებაში შ-დის დღეს იმდენათ, რამდენათაც იგი წმინდა კაპიტალისტური წარმოების ხასიათს ატარებს"[1].

თუ 90-იანი წლების პირველ ნახევარში მევენახეთა რიცხვი 17995 კომლს უდრიდა, უკვე 1900 წლის 1 იანვრისათვის 12562 კომლი ითვლებოდა.[2] ამგვარად, ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხობიდან 5.5 ათასამდე კომლი გლეხი იძულებული იყო დაეტოვებინა ვენახი, გაეყიდა, ანდა მოუელელობის გამო ვენახი მთლიანად უნადგურდება.

კაბალური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ ღარიბი გლეხობის ფართო ფენები და საშუალო გლეხობის ნაწილი, ავრეთვე ჩარჩ-ვაჭრების ვალი, რომელიც გლეხთა საშუალო და დაბალ ფენებს მუდმივად ედოთ, მევენახეთა დიდ ნაწილს სირაჯთა ხელში აგდებდა. სირაჯთა კორპორაციები აიძულებდნენ ამ გლეხებს იაფად გაეყიდათ ღვინო. თავის მხრივ, სირაჯები ამ ღვინოს ძვირად ყიდდნენ. ასე იყო მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლის მეღვინეობის რაიონებშიც სირაჯები ბატონობდნენ.

ბორის მაზრაში ფართოდ იყო გაშლილი ღვინითა და, საერთოდ, მაგარი სასმელებით ვაჭრობა. 1901 წელს აქ მაგარი სასმელებით მოვაჭრე 329 დაწესებულება იყო[3].

ღვინის დაყენებასთან ერთად მაზრაში საკმაოდ მისდევდნენ არაყის გამოხდას. მაგალითად, აქ 1896 წელს გამოხდილ იქნა 95804 ვედრო არაყი[4]. არაყის გამოხდა მრავალ წვრილ სარეწში წარმოებდა. არაყს ხდიდნენ უმთავრესად მარტივი ხელსაწყოებით — ქვაბების მეშვეობით. არაყის სახდელი სარეწის აშენება მოითხოვდა გარკვეულ ხარჯებს მოწყობილობის შესაძენად, შენობის გასაკეთებ-

---

[1] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 56.

[2] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, Под Редакцией Е. Кондратенко, Часть I, Тифлис. 1902, გვ. 221.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 22, ფურც. 229, 1902 წ.

[4] Сборник статистических сведений по Закавказскому краю, Под редакцией Е. Кондратенко, часть I, Тифлис, 1902, გვ. 194.

ლად. საჭირო იყო ტრანსპორტი — ჭაჭისა და სხვა მასალის მისატანად. ასეთი წამოწყების ორგანიზაცია კი მხოლოდ გარკვეული შეძლების მქონე პირებს შეეძლოთ. არაყის სახდელი მოწყობილობა საჭიროებდა მუშა ხელს 2—3 კაცის რაოდენობით მაინც.

3) მეხილეობა და მებოსტნეობა

ბორის მაზრის შესახებ 1863 წ. ერთ საბუთში ნათქვამია: „მეხილეობა ველურ მდგომარეობაშია; ხეხილი არ ისხვლება, ხილი კარგი არაა"[1]. რეფორმის მომდევნო წლებში მდგომარეობა შედარებით ნელა, ბაგრამ მაინც იცვლება. მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მეხილეობა და მებოსტნეობა. მეხილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაზრის მთისძირა სოფლებში; აქ მეხილეობა, ხვნა-თესვის შემდეგ, წამყვან როლს ასრულებდა[2]. მეხილეობაში ყველაზე გავრცელებული იყო ვაშლი, მსხალი და კაკალი. მათი ნაყოფი კარგად უძლებდა გადატანას და დიდხანს ინახებოდა[3]. გარდა ვაშლისა, ბსლისა და კაკლისა, ბაზარზე გადიოდა კიდევ მრავალი სხვა სახის ხილი, მათ შორის ალუბალი, ბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი და სხვა.

მაზრაში 90-იან წლებში ხილის წლიური საშუალო მოსავალი განისაზღვრებოდა დაახლოებით 70 ათასი ფუთით. აქედან 4/7—5/7 ბაზარზე გადიოდა, რაც 22—30 ათას მანეთად იყიდებოდა.

ხილის მოსავლის ძირითად რაოდენობას გლეხებისაგან ადგილზევე ყიდულობდნენ შემსყიდველები, რაც მათ საგრძნობ მოგებას აძლევდა. შემსყიდველი (ხილით მოვაჭრეს ბაყალი ეწოდებოდა), ისევე როგორც XIX საუკ. პირველ ნახევარში, რეფორმის შემდგომ ხანაშიაც ინარჩუნებდა თავის ძალას და კვლავაც იდგა მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა.

ხილი თბილისში გადაჰქონდათ რკინიგზით, ნაწილობრივ ურმებით, ცხენებითა და ტივებით[4].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 9, ფურც. 6, 1864 წ.

[2] «МДНЭБГКЗК», т. VI, გვ. 222 — 223.

[3] იქვე, გვ. 225.

[4] Н. Снешнев, Очерк плодоводства Горийского уезда Тифлисской губернии, Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, Выпуск 1, Тифлис, 1895, გვ. 7 — 8.

ხილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი შეადგენდა: 1882 წელს—20000 მან., 1883 წ.—25000, 1884 წ. —25000, 1885წ.—24000 მან. 1886 წ.—32000, 1887 წ.—20772[1], 1888 წ.—29793, 1889 წ. — 7860, 1890 წ. — 30448, 1891 წ. — 27376, 1892 წ. — 26975, 1893 წ. — 18975 მანეთს[2].

მეხილეობა, ისევე როგორც მევენახეობა, წინ მიდის იმდენად, რამდენადაც იგი კაპიტალისტური წესით წარიმართება.

მაზრის მეხილეობაში შესამჩნევ კაპიტალისტურ წამოწყებას წარმოადგენდა სკრის ხეხილის სანერგეები და ბაღები, რომლებიც ძმებს გ. და მ. ფრიდონოვებს ეკუთვნოდა. თავისი დროის სამიწათმოქმედო მეცნიერების სრულ შესაბამისად ფერმას გამოჰყავდა ნერგები და ჰყიდდა როგორც მას, ისე ხილსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით. ფერმა რამდენიმეჯერ იქნა დაჯილდოებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიპლომებითა და ოქროს მედლებით[3].

მაზრაში გაუმჯობესებული წესით მოწყობილი ხილის ბაღებიდან აღსანიშნავი იყო დამსახურებული პედაგოგის კარლ ივანეს ძე გაუსმანის ბაღი, მდ. მეჯუდის ნაპირზე, გორიდან 3 კილომეტრის დაშორებით. ბაღს ეკავა 6 დესეტინა, აქედან ხეხილს — 5 დესეტინა. ბაღი გაშენებული ყოფილა 1871 — 1872 წლებში. გაუსმანი ხეებს განსაკუთრებულ ფორმას აძლევდა: მაღლითა გვერდით ტოტებს აჭრიდა, დანარჩენებს კი ტოვებდა, ხე პირამიდის მსგავს ფორმას იღებდა. ეს კი ქარისაგან დასაცავად საუკეთესო საშუალება იყო, როცა სხვაგან ქარი ხეებსაც კი ამტვრევდა, აქ ხეებს ხილიც კი არა სცვივოდა[4].

1900-იანი წლების დასაწყისიდან აღსანიშნავია ბევრი შესანიშნავი ხეხილის სანერგე და ბაღი, მათ შორის სანდრო მაჩაბლისა (სოფ. ქურთაში) 6—7 დესეტ. ფართობზე, სიმონ ხეთაგურის (ცხინვალსა და ქვემო ნიქოზს შორის) 5 დესეტ. ფართობზე, ისაია ფურცელაძისა (სოფ. მერეთში)—9 დესეტ. ფართობზე და ნიკო კეცხოველისა (სოფ. ტყვიავში). მათ სანერგეებში დიდძალი ნერგი მზად-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 36, ფურც. 4, 1888 წ.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 3, 1894 წ.

[3] ხეხილების სანერგეები და ბაღები ძმები გ. და მ. ფრიდონოვებისა სადგურ სკრას მახლობლად, თბილისი, 1905.

[4] Н. Спешнев, Очерк плодоводства Горийского уезда, Тифлисской губернии, Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, Выпуск 1, Тифлис, 1895, зз. 87.

დებოდა, რაც ქართლის სოფლებში იყიდებოდა. ბაღებისა და სანერგეების დამუშავების დროს იყენებდნენ უცხოეთიდან გამოწერილ რკინის გუთნებს, კულტივატორებსა და სხვა მანქანა-იარაღებს. ფურცელაძე, ხეთაგური და მაჩაბელი იყენებდნენ დაქირავებულ შრომას.[1]

კეთილმოწყობილი ბაღები ჰქონდათ. აგრეთვე, ატენის ხეობაში თავად ა. ერისთავს, ხიდისთაველებს ქ. გორის ახლოს, თავად თარხნიშვილებს სოფ. ახალქალაქში და სხვ. ხილის ბაღების ხიდისთაველი მფლობელები ხშირად დაქირავებული შრომის გამოყენებას მიმართავდნენ. ერთ-ერთი ხიდისთაველი ბაღის მფლობელი წარმატებით აწარმოებდა ცდებს ხილის კონსერვების დამზადების საქმეში[2]. ქართლის მეხილეებს კავშირი ჰქონდათ ყირიმის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სანერგეებთან, საიდანაც იწერდნენ სარგავ მასალას[3]. როგორც პროფ. გ. ხაჭაპურიძე აღნიშნავს, „ქართლში მეხილეობა სამრეწველო მნიშვნელობას იძენდა“[4]. სარწყავი წყალიც მაზრაში უმთავრესად სპეციალური კულტურების მოსარწყავად გამოიყენებოდა[5].

მაზრაში ვითარდება მებოსტნეობა (განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კომბოსტო), რომლის ნაწარმი იყიდებოდა როგორც ქ. გორში, მაზრის სავაჭრო-სამრეწველო დაბებსა და რკინიგზის სადგურებში, ისე თბილისში.

ზ) გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენება

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ამიერკავკასიაში რეფორმამდე ძლიერ იყო ჩამორჩენილი[6]. „XIX საუკ. კავკასიაში ყველაზე სრულქმნილ ადგილობრივ სახვნელ იარაღს წარმოადგენდა ქართუ-

---

[1] ცნობა მოგვაწოდა სტალინირის მცხოვრებმა ხაქარია კუმარიტოვმა (71 წლ.).

[2] Н. Спешнев, დასახ. შრომა. გვ. 90.

[3] ალ. ბუჩუკური, ხილის მაღალი მოსავლის ოსტატები, თბილისი. 1955, გვ. 4 — 9.

[4] Г. Хачапуридзе, Грузия во второй половине XIX века, Журн. «Историк Марксист» № 8, 1940, გვ. 50.

[5] И. Сегаль, Крестьянское землевладение в Закавказье, Тифлис, 1912, გვ 17 — 18.

[6] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, გვ. 177 — 178.

ლი გუთანი"[1]. ამასთან, ეს გუთანი მეტად მძიმე და ტლანქი იყო და ხვნის დროს მასში 7—9 უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ[2]. ქართული გუთანი ყველგან ერთი სიდიდისა არ ყოფილა. გორის მაზრის ბარის ქართული გუთანი თბილისის მაზრაში ხმარებულ გუთანზე უფრო მცირე ზომისა ყოფილა, მასში 6—8 უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ[3]. გლეხთა შორის მხოლოდ ძალიან შეძლებულებს გააჩნდათ საკუთარი, ყოველმხრივ გამართული გუთანი[4]. ამიტომ ჩვეულებრივად გლეხები ხვნის დროს ამხანაგობებს ადგენდნენ. გუთნეულით ვარკვეულ დროში ჩატარებული სამუშაო („ალო") შედგებოდა იმ დღეებისაგან, რომლებსაც უხნავდნენ გუთნეულის მონაწილეებს. გორის მაზრაში ალო ჩვეულებრივად 20—40 სამუშაო დღეს მოიცავდა[5]. ალოს დროს გუთნეული უხნავდა: უღელი ხარის პატრონს — ერთ დღიურ მიწას, ღამის მეხრეს—2 დღიურს, დღის მეხრეს—1 დღიურს, გუთნის დედას—2 დღიურს, სახნისის მფლობელს—2 დღიურს, ჯამბარის პატრონს— 1 დღიურს, ხის ნაწილების პატრონს —1 დღიურს და ა. შ[6].

მთისძირა სოფლებში გუთანი უფრო მცირე ზომისა იყო, ვიდრე ბარში. აქ ეს გუთანი უმთავრესად ყამირი მიწების გასატეხად და ნასვენი მიწების გადასაბრუნებლად იხმარებოდა.

მაზრის სოფლის მეურნეობაში გვხვდება პრიმიტიული სახვნელი იარაღებიც. აღსანიშნავია მისი სამი სახეობა: ორხელი, ოქოქა და კავი (ჩუთი). ორხელი იხმარებოდა როგორც ბარში სიმინდის აღების შემდეგ ნიადაგის გასაფხვიერებლად, ისე უმთავრესად მთა ადგილებში ხვნის საწარმოებლად. ორხელს ჰქონდა ხის ნაწილი—კოკოშა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ღრმად ან ზერელედ ხვნის მოწესრიგება. ჩრდილოეთის მთიან სოფლებში გუთანი თითქმის სრულიად არ იყო ხმარებაში. აქ იხმარებოდა ორხელი და ოქოქა (ანუ ძიბირი). ორხელსა და ოქოქას შორის ძირითადი განსხვავება ის იყო, რომ 1) უკანასკნელი პირველზე მცირე ზომისა იყო, 2) არ ჰქონდა კოკოშა, რის გამოც ხვნა ყოველთვის ერთსა და იმავე

---

[1] ჯ. გუგუშვილი, მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 1.

[2] В. Геевский, Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887, გვ. 19.

[3] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 207 — 208.

[4] В. Геевский, Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887, გვ. 19.

[5] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 207 — 208.

[6] იქვე, т. I, გვ. 461.

სიღრმეზე წარმოებდა, 3) ოქოქას არ ჰქონდა საკვეთი და მისი სახნისიც მნიშვნელოვნად მცირე ზომისა იყო, 4) ოქოქა 2 გოჯზე (ვერშოკზე) უფრო ღრმად ვერ ხნავდა და ხარვეზებსაც ბლომად სტოვებდა. ოქოქაში აბამდნენ 1 უღელ ხარს, კავში (ჩუთში) — 1—2 უღელს, ხოლო ორხელში 2—4 უღელ ხარს[1].

რეფორმის შემდგომ გლეხობის დაშლის პროცესმა თანდათან გაზარდა ზღვარი გლეხთა ცალკეულ ჯგუფებს შორის. გუთნეულშიც კარგად გამოჩნდა მასში მონაწილე ცალხარიანებისა და უხარო მეხრეების ექსპლოატაციის ზრდა მათგან, ვისაც ეკუთვნოდა გუთნეულის ძირითადი ნაწილი. გუთნეულის ორგანიზაციას კარგად იყენებდნენ შეძლებული გლეხები. ღარიბი გლეხი მიწის მოსახნავად მთელ გუთნეულს ადვილად ვერ დაიქირავებდა, მასში მონაწილეობის დროს კი შეეძლო თავისი მცირე ნაკვეთის მოხვნა. შეძლებული გლეხი კი ხვნის მთელი დროის განმავლობაში ნახევრად მუქთად იყენებდა მიკედლებული გლეხის შრომას, მისი შრომის ზედმეტი ნაწილის მითვისებით შეძლებული გლეხი უფრო ძლიერდებოდა, რაც ხელს უწყობდა მის კულაკთა რიგებში გადასვლას.

კულაკები და მემამულეები გუთნეულის ორგანიზაციის საფუძველზე აწარმოებდნენ შრომის საშუალებებს მოკლებული გლეხობის შენიღბულ ექსპლოატაციას.

XIX საუკ. შუა ხანებიდან ამიერკავკასიაში შემოდის გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1850—1851 წლებში მოაწყო სხვადასხვა ტიპის გუთნების გამოცდა. გამოცდილ იქნა: ქართული, დობალის, ინგლისური, შტიუსის, პოლკოვნიკოვისა და კოლონისტების გუთნები.

ქართულმა გუთანმა შეუდარებელი თვისებები გამოაჩინა მძიმე, მშრალ და ბალახმორეულ ადგილებში; იგი ნახევარ არშინზე უფრო ღრმად ხნავდა. დობალის გუთანმა რეკომენდაცია მიიღო მაღალ ადგილებში ხვნისათვის. მაგრამ ძალიან ძვირი და რთული იყო. ამასთან, შესაკეთებლად მაღალკვალიფიციური ხელოსანი სჭირდებოდა. ასეთები კი ჩვენში ნაკლებად იყვნენ. კომისიამ თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა გუთანი სჯობიაო[2].

---

[1] ცნობა მოგვაწოდეს ქურთას მცხოვრებმა პეტრე მინდიაშვილმა (83 წლ.), მოხისის მცხოვრებმა იასე ქელეხსაშვილმა (75 წლ.) და სხვ. იხ. აგრეთვე «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 208 — 209.

[2] Обзор деятельности Кавказского Общества сельского хозяйства за 50 лет, 1901, გვ. 7 — 8.

იმ დროისათვის ევროპულმა გუთნებმა გამოყენება მაინც ვერ ჰპოვეს.

ამის მთავარი მიზეზი მაშინ ის იყო, რომ ბატონყმური სამეურნეო სისტემის პირობებში მანქანა-იარაღების დანერგვა, საერთოდ, შეუძლებელი ხდებოდა. საჭირო იყო ახალ სამეურნეო სისტემაზე გადასვლა, ბატონყმობის ლიკვიდაცია.

60-იანი წლების დასაწყისში გუთნებისადმი ინტერესი ძლიერდება. ი. მუხრანბატონი დიღომსა და მუხრანში აწარმოებდა ცდებს. ორუღელშებმული შუმანის სისტემის ამერიკული გუთანი 6 ვერშოკზე იმდენსავე ფართობს ხნავდა, რასაც ქართული რვა უღლით. უცხოური გუთნები გავრცელებას მაინც ვერ პოულობდნენ და მათზე ზრუნვა თითქმის სრულიად შეწყდა.

1883 წელს კასპში ჩატარდა გუთნების გამოცდა. მოწონება ჰპოვა გენესა (№ 3) და რანსომის გუთნებმა. გამოცდა იმავე წელს სოფელ ტირძნისშიც ჩატარდა. ეს გუთნები ძვირი ჯდებოდა, შეკეთებაც მხოლოდ სპეციალისტს შეეძლო, ამიტომ გლეხობის მოწონება ვერ დაიმსახურა. „ევროპული სისტემის გუთნები 1880-იანი წლებიდან, თუმცა ძლიერ მცირე ზომით მაინც ვრცელდებოდა ამიერკავკასიის სოფლებში"[1]. ამავე დროიდან „მაინც სოფლებში გაჩნდნენ ისეთი ოსტატები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ ქარხნული გუთნებისა და მიწათმოქმედების სხვა იარაღ-მანქანათა რემონტს". 90-იან წლებიდან დაბა-ქალაქებსა და დიდ სოფლებში ისეთი სამჭედლოებიც გაჩნდნენ, რომლებშიც ქარხნული იარაღ-მანქანების შეკეთება წარმოებდა[2].

გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შემოტანა ამიერკავკასიაში იზრდება განსაკუთრებით 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა სას.-სამეურნეო იარაღები: 1897 წელს — 29 914 ფუთი, 1901 წ. — 59 856, 1902 წ. — 69 991, 1903 წ. — 107 270, 1906 წ. — 57 082, 1907 წ. — 70 201, 1908 წ.— 70577 ფუთი[3].

---

[1] პ. გუგუშვილი, მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 6 — 7.

[2] იქვე, გვ. 35.

[3] Е. Канчер, Ввоз и распространение сельскохозяйственных машин, Журн. «Кавказское хозяйство», 1910, № 2, გვ. 2.

საკუთრივ თბილისის გუბერნიაში შემოტანილ იქნა: 1901 წ. — 15 507 ფუთი. 1902 წ. — 11 384, 1903 წ. — 34 316, 1906 წ. — 15601, 1907 წ. — 12928, 1908 წ. — 15136 ფუთი[1].

1908 წელს შემოტანილი იარაღებიდან: წვრილი იარაღებია (წერაქვი, ნიჩაბი, ცელი და სხვა) — 70%, გუთნები — 25% და სხვა მანქანა-იარაღები — 5%.

მანქანა-იარაღების შემოზიდვა 1903 წლის შემდეგ კლებულობს. ეს მოვლენა, ჟურნალ „Кавказское хозяйство"-ს დასკვნით, გამოწვეული იყო 1905 წლის რევოლუციით, იაპონიასთან დამარცხების გამო შემოღებული მძიმე გადასახადებით, მანქანა-იარაღებზე ფასების გადიდებით, ღვინის ფასის შემცირებით და სხვა[2]. პროფ. ბუგუშვილი ამ მოვლენას რუსეთ-იაპონიის ომითა და 1905—1907 წლების რევოლუციის დროს შავრაზმელთა თარეშით ხსნის[3]. უეჭველია, რევოლუციის დროს მემამულეები და კულაკები ნაკლებ ფიქრობდნენ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შეძენაზე.

ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში უფრო და უფრო აქტიურ როლს თამაშობს რუსეთის მრეწველობა. „თუ 1890-იან წლებამდე გაუმჯობესებული გუთნები უპირატესად დასავლეთ ევროპიდან შემოჰქონდათ, ამ დროიდან და განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან სწრაფად იზრდება მათი შემოტანა რუსეთიდან. 1908 წელს შემოტანილ სახვნელ იარაღთა თითქმის 70 პროცენტი უკვე რუსული წარმოებისაა"[4].

გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შეძენით გორის მაზრას გუბერნიაში ერთ-ერთი პირველთაგანი (თუ პირველი არა) ადგილი ეკავა. „სამაზრო და სარაიონო პუნქტებს შორის, სადაც უფრო მეტად ვრცელდებოდა შემოტანილი იარაღ-მანქანები. აღსანიშნავია თბილისის გუბერნიაში—გორი და ბორჯომი"[5].

ქართლის სოფლის მოწინავე ტექნიკით აღჭურვის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თბილისი როგორც სასოფლო-სა-

---

[1] Е. Канчер, Ввоз и распространение сельскохозяйственных машин, Журн. „Кавказское хозяйство", 1910, № 2, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 3 — 5.

[3] პ. ბუგუშვილი, მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 32.

[4] იქვე, გვ. 38.

[5] იქვე, გვ. 42.

მეურნეო მანქანა-იარაღების მიწოდებით, ისე დაზიანებული იარაღების შეკეთებით. მაგალითად, თბილისში ინქ. იარალოვის სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღების ქარხანას 1904 წელს მარტო შეკეთებით 209 237 მან. პროდუქცია დაუმზადებია[1]. აქედან გარკვეული ნაწილი, უეჭველია, ქართლის სოფელში გაიგზავნებოდა.

ჩვენ არ მოგვეპოვება სტატისტიკური ცნობები, თუ როგორ ნაწილდებოდა მანქანა-იარაღები მიწათმფლობელთა ცალკეულ ჯგუფებსა და, მით უმეტეს, გლეხთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ მანქანების შეძენა მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალს და ამიტომ ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილ მეურნეთათვის, ცხადი გახდება, რომ გორის მაზრაშიც ისე, როგორც ყველგან სხვაგან, მანქანა-იარაღების შეძენა ხდებოდა უმთავრესად მემამულეებისა და კულაკების მიერ. არათუ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, არამედ გაუმჯობესებული სახის ევროპული გუთნები ყველა გლეხისათვის არ იყო ხელმისაწვდომი.

მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესებული გუთნები 900-იანი წლებიდან უკვე მაღლობსა და მთაგორიან რაიონებშიც გაჩნდნენ, ქართული გუთანი მაინც ძლიერ გავრცელებული რჩება. ის ფაქტი, რომ გორის მაზრაში თვით 90-იანი წლების მიწურულშიც კი ძირითად სახვნელ იარაღს ძველებური, მამაპაპური გუთანი წარმოადგენდა, იმაზე კი არ მიუთითებდა, რომ გლეხობის უმრავლესობას სურვილი არ ჰქონდა გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შეძენისა. არამედ იმაზე, რომ ტექნიკა კვლავაც დაბალ დონეზეა და გლეხთა ძირითადი მასა — გაღატაკებული. კაპიტალისტური ბაზარი აუცილებელ პირობად აყენებს ნაწარმოებზე თვითღირებულების განუწყვეტელ შემცირებას, რათა ნაწარმის გასაღება კაპიტალისტისათვის ხელსაყრელი იყოს; თვითღირებულების შემცირება კი შეიძლება მხოლოდ გაუმჯობესებული, უფრო მაღალი ტექნიკის გამოყენებით. ღარიბი გლეხი იძულებულია ძირითადად დაკმაყოფილდეს ძველებური იარაღებით, ამ იარაღებს კი უფრო მეტი ჯაფა სჭირდებათ. ასეთი იარაღების გამოყენებით გლეხი სიღატაკიდან ვერ გამოვა, ხოლო საშუალო გლეხი სიღატაკეს ვერ ასცდება.

გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შედარებით ნაკლები გავრცელება, აგრეთვე, მიუთითებს მაზრასა და გუბერნიაში საბატონო მეურნეობის სიჭარბეზე, იმაზე რომ გლეხობაში ნაკლები რაოდენობითაა მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები, რომელთაც შეეძ-

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 9353, ფურც. 5, 1905 — 1907 წწ.

ლებათ წარმატებით გამოიყენონ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები.

გლეხების ზედაფენაში ჭარბობს წვრილკაპიტალისტური ელემენტები.

ერთი მხრით, სოფლის შეძლებული ფენები მემამულეთა და კულაკთა სახით, ნაწილობრივ კი საშუალო გლეხობის ყველაზე უფრო შეძლებული ფენის სახით—გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების სულ უფრო და უფრო მზარდი გამოყენებით, მეორე მხრით კი გლეხობის ძირითადი მასა — ღატაკთა, სოფლის პროლეტართა და ნახევრად პროლეტართა მასა საშუალო საუკუნეების სახვნელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებით—ასეთია ის ორი პოლუსი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ქართლის სოფელში 90-იან და 900-იან წლებში. „სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და გაუმჯობესებული იარაღების გავრცელება და გლეხობის ექსპროპრიაცია ერთიმეორესთან განუყრელად დაკავშირებული მოვლენებია"[1].

რუსეთის გუბერნიებთან შედარებით თბილისის გუბერნიასა და, კერძოდ, გორის მაზრაში ტექნიკური პროგრესი უფრო ნელი ტემპით მიდის წინ. ამისი მთავარი მიზეზი ბატონყმობის ძლიერ ნაშთებში მდგომარეობდა. ეს ნაშთები აფერხებდნენ საერთო განვითარებას კაპიტალისტური გზით, აფერხებდნენ სოფლის მეურნეობის ტექნიკურ წინსვლასაც.

გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შემოღებით მემამულეებს საშუალება ეძლევათ შეცვალონ გლეხის ინვენტარი. რომლითაც იგი მემამულის მიწაზე მუშაობდა, საკუთარი ინვენტარით და, ამგვარად, მეურნეობის წარმოების შრომამიგებითი სისტემიდან კაპიტალისტურზე გადავიდნენ, თუმცა ჯერ კიდევ შრომამიგებითი სისტემა საგრძნობლად ჭარბობდა. მემამულეთა მიერ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების შეძენა ლახვარს წარმოადგენდა საშუალო გლეხის მეურნეობისათვის. საშუალო გლეხი არსებობის საშუალებათა უმნიშვნელოვანეს წილს მემამულეთა მიწების დამუშავებით პოულობდა. მიწით სარგებლობისათვის იგი შრომამიგებით რენტას იხდიდა. ეს კი ნიშნავდა გლეხის მიერ საკუთარი ინვენტარით მემამულის მიწის დამუშავებას უშუალოდ მიწის მფლობელის სასარგებლოდ. მანქანა-იარაღების შეძენით მემამულე თავისუფლდება საშუალო გლეხის პრიმიტიული ინვენტარის საჭიროებისაგან. საშუალო გლეხები იძულებული არიან მოახდინონ ცვლილებები თავიანთ მე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 256.

ურნეობაში. ამას კი საბოლოო ანგარიშში გაღატაკებისაკენ მიჰყავს, ლენინი (მათი უმრავლესობა...), ივსება ღარიბი გლეხობის ძირითადი ნასა. მანქანების გამოყენება სოფლის მეურნეობაში ისევე შეუბრალებლად გამოდევნის „საშუალო“ გლეხს, როგორც ორთქლის საქსოვი დაზგა გამოდევნის ხელით მქსოველ ფეიქარ-შინამრეწველს[1].

მანქანების გამოყენება იწვევს წარმოების კონცენტრაციასა და კაპიტალისტური კოოპერაციის გამოყენებას. გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობის შექმნა ქართლში ამავე პროცესის გამოხატულებას წარმოადგენდა.

მანქანების გამოყენება, ერთი მხრით, ქმნის სამუშაო ძალის ეამყიდველთა ბაზარს. მეორე მხრით, მანქანები იწვევენ მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობის შემცირებას. ძლიერდება ქალისა და ბავშვის შრომის გამოყენება. მანქანები ადიდებენ მუშის შრომის ნაყოფიერებას.

მანქანების გავრცელების მაჩვენებლები სოფლის მეურნეობაში წარმოადგენენ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ტემპის დამახასიათებელ ნიშანს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 256.

თავი მეხუთე

გლეხობის დაშლა

ვეხებით რა გლეხობის დაშლის საკითხს, უნდა ამოვიდეთ ვ. ი. ლენინის შემდეგი მითითებიდან: „საზრიანად რომ შევხედოთ გლეხობის დაშლას, უნდა ავიღოთ ყველაფერი მთლიანად: იჯარაც, მიწის ყიდვაც, მანქანებიც, საშოვრებიც, სავაჭრო მიწათმოქმედების ბრდაც და დაქირავებული შრომაც"[1].

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების საკითხი ჩვენ წინა თავში განვიხილეთ. მიგვაჩნია რა, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის ეკონომიურ საფუძველს საწარმოო საშუალებათა საკუთრების მფლობელობის ესა თუ ის ფორმა წარმოადგენს, ჩვენ ამ თავს ვიწყებთ მაზრაში მიწათმფლობელობის საკითხის განხილვით.

1. მიწათმფლობელობა მაზრაში

XX საუკუნის დასაწყისისათვის თბილისის გუბერნიას ეჭირა 224 253 დესეტინა მიწა. აქედან გორის მაზრაზე მოდიოდა 639026 დესეტინა. ამ რაოდენობიდან იმ დროისათვის, საერთოდ, სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგად ითვლებოდა 459184 დესეტინა, ხოლო აქედან მიწათმოქმედებისათვის — 190 000 დესეტინა მაინც. XIX საუკ. 80-იან წლებში სახნავ-სათესად გამოყენებული იყო გუბერნიაში მიწის მთელი ფონდის 23,5%, გორის მაზრაში კი 30%.[2] მაზრის უფროსის 1887 წლის ანგარიშში სახნავ მიწებად ნაჩვენებია 180000 დესეტინა, ბაღ-ვენახებად 4600 დეს.[3] 1888 წლისათვის: სახნავად 180000 დესეტ., სათიბად — 9810, საძოვრებად — 8490, საკარმიდამო ნაკვეთებად — 4087 დესეტინა[4].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 157.

[2] «ССДЗСХПГЗК», გვ. 34.

[3] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 36, ფურც. 2, 1888 წ.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2033, ფურც. 3, 1888 წ.

თბილისის გუბერნიაში მიწის მთელი ფონდი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ხაზინასა და მემამულეებს ეჭირათ 73,1%, გლეხებს — 26,9%[1]. გორის მაზრაში (1893 წ.): ხაზინისა იყო 155982 დეს., თავადაზნაურული წარმოშობის მემამულეებისა — 376048 დესეტ., არათავადაზნაურული წარმოშობის მემამულეებისა 12586 დესეტინა, გლეხების უშუალო განკარგულებაში—34921 დესეტინა. მთელი მაზრის ფართობი ნაანგარიშევი იყო სულ 605 458 დესეტინა[2].

გლეხობას ეჭირა მაზრაში სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის მხოლოდ 7,7%.

მაზრაში მემამულეთა, გლეხთა და ვაჭართა 12 503 მამული 389246 დესეტინის საერთო ფართობით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

ცხრილი 16

გორის მაზრის მამულების განაწილება ფართობის სიდიდის მიხედვით

მამულების სიდიდე (დესეტინობით)	მამულთა რაოდენობა	მამულთა საერთო რაოდენობაში რამდენ პროცენტს შეადგენს	საერთო ფართობი (დესეტინ.)	მამულთა საერთო ფართობის რამდენ პროც. შეადგენს
0—1-მდე	6188	49,49	2637	0,68
1—3 „	2525	20.20	4942,24	1,26
3—5 „	1097	8,77	4365,52	1,12
5—10 „	883	7,06	6337,71	1.62
10—15 „	363	2,90	4524,88	1,16
15—25 „	368	2,94	7158,68	1,83
25—35 „	228	1,82	6928,61	1,87
35—50 „	195	1,56	8336,04	2,13
50—75 „	160	1.28	10003,68	2,56
75—100 „	107	0,86	9338.76	2,49
100—250 „	211	1,69	32486,39	8,34
250—500 „	84	0,67	31269,58	8,02
500—750 „	41	0,33	25429,21	6,52
750 დესეტ. მეტი	53	0,43	235487,51	60.40[3]

3 დესეტინიან „მამულთა“ რაოდენობა მთელი მამულების 70%-ს უდრიდა. მათ განკარგულებაში იყო გამოსადეგი მიწის საერთო ფონდის 2%. ეს იყო დიდი უმრავლესობის, უღარიბესი, ღარიბი და, ნაწილობრივ, საშუალო გლეხების საკუთრება.

---

[1] პ. გუგუშვილი, ბატონყმობის გაუქმება საქართველოში, ჟურნ. „ბოლშევიკი“, 1939, № 9—10, გვ. 96.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2140, ფურც. 58, 1894 წ.

[3] «СССОЧЗІКГ», გვ. LXX, LXXIV — LXXV.

მეორე მხრით, თვალში გვეცემა 750-დესეტინიანი მამულები. ასეთი მამულების 53 მფლობელის ხელში იყო ვარგისი მიწის ფონდის 60,40%. ეს იყო ერთ მუჭა მესაკუთრეთა მფლობელობა.

გორის თავადაზნაურობას, რომელიც 727 კომლისაგან შედგებოდა (1890 წ.), ეკავა გუბერნიის კერძო-მესაკუთრული მიწების 34.64%[1].

თავადაზნაურობა მამულის ფართობის მფლობელობის მიხედვით სამ ჯგუფად ნაწილდებოდა: წვრილი, საშუალო და მსხვილი. წვრილ მემამულედ ითვლებოდა ის, ვინც 25 დესეტინამდე მიწას ფლობდა, საშუალოდ — 25—100 დესეტინის მფლობელი, მსხვილად კი 100—500 და კიდევ მეტი დესეტინის მფლობელი. თბილისის გუბერნიის წვრილ მამულთა ყველაზე დიდი რაოდენობა გორის მაზრაზე მოდიოდა (57,59%). ამავე მაზრაში იყო მთელი გუბერნიის საშუალო სიდიდის მამულების 43,70% და მსხვილ მამულთა უდიდესი ნაწილიც (25,93%). ძალიან მსხვილი (500 დეს. მეტი) მამულების რაოდენობით გორის მაზრას გუბერნიაში მეორე ადგილი ეკავა (23,27%), პირველ ადგილზე ბორჩალოს მაზრა იყო.

გუბერნიაში იყო თავადაზნაურთა 5 884 მამული, აქედან გორის მაზრაზე მოდიოდა 2 758. ანუ 46,87%[2].

მაზრის თავადაზნაურთა 722 მფლობელიდან 77 მფლობელს 380 დესეტინაზე მეტი ეკავა თითოეულს:

380 — 1000	დესეტინა	ფართობის	მამული	იყო	36
1000 — 2000	„	„	„	„	29
2000 — 3000	„	„	„	„	2
3000 — 4000	„	„	„		1
4000 — 5000	„	„	„		2
5000 — 6000	„	„	„		1
10000 დესეტ. მეტი	„	„	„		6

ამ 10 000 დესეტინაზე მეტი ფართობის 6 მამულიდან 1 მამული იყო 11768 დესეტინა (ეკუთვნოდა ზ. ერისთავს).

მე-2	მამული	იყო	13133	(„ ი. კ. მუხრან-ბატონს)
მე-3	„	„	13214	(„ მაჩაბლებს)
მე-4	„	„	19000	(„ ფალავანდიშვილებს)
მე-5	„	„	41740	(„ ციციშვილებს)
მე-6	„	„	68661	(„[3] ამ. რომანოვს).

[1] «СССОЧЗТКГ», გვ. XI.
[2] იქვე, გვ. XVIII.
[3] «ССДЗСХПГЗК», გვ. 3.

აღნიშნული 77 მემამულის საკუთრებაში მთლიანად იყო 215996 დესეტინა მიწა, მათი საადგილმამულო გადასახადი კი 4 833 მანეთს უდრიდა[1].

თბილისის გუბერნიაში კერძო-მესაკუთრული მიწების 22,83% (1285747,77 დესეტინიდან 293531,66 დესეტინა) ეკუთვნოდა არათავადაზნაურულ მოსახლეობას. ეს პროცენტი გორის მაზრაში უფრო ნაკლები იყო. ის 11,71% შეადგენდა[2].

გამოსაღებ-გადასახადთა მთელი სიმძიმე ძირითადად წვრილ მწარმოებლებს აწვათ. მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ცნობით საადგილმამულო გადასახადების 66%-ს გლეხობა იხდიდა. 1901 წლამდე საერობო გადასახადს (земские сборы) თითქმის მხოლოდ გლეხები იხდიდნენ, მემამულეებზე მთელი გადასახადის მხოლოდ 0,8% მოდიოდა[3]. ეს იმ დროს, როცა მაზრაში 13065 ოჯახის მფლობელობაში იყო მხოლოდ 45 594,96 დესეტინა მიწა. მემამულეებს კი ეკავათ 343651,53 დესეტინა, ე. ი. დანარჩენ მოსახლეობაზე 7—8 ჯერ მეტი.

თავადაზნაურობა, როგორც პრივილეგიური კლასი, გადასახადებიდან თითქმის მთლიანად იყო განთავისუფლებული. დანარჩენ მოსახლეობასაც გადასახადი ეკონომიური სიძლიერის მიხედვით კი არ უნაწილდებოდა, არამედ გადასახადებით გამოწვეული სიმძიმე ყველაზე მეტად დაბალ ფენებს აწვათ. გუბერნიის სახაზინო პალატაში შემოსული გადასახადი მოსახლეობიდან (თავადაზნაურობის გამოკლებით) მამულების მიხედვით შეადგენდა:

წვრილი მამულებიდან (რაც შეადგენდა მფლობელობის 13,65%-ს) შემოდიოდა	
შემოსავლის .	60,29 %
საშუალოდან (მფლობელობის 10,22 %) . .	6,96 %,
მსხვილიდან (მფლობელობის 31,44%) .	14,42 %,
ძალიან მსხვილიდან (მფლობ. 44,69%) .	17,49 % [4].

900-იანი წლების დასაწყისში გორის მაზრის 26 სოფელში გლეხთა თითოეულ კომლზე ყველა სახის მიწა საშუალოდ მოდიოდა: სახაზინო გლეხებზე — 2,14 დესეტ., დროებითვალდებულ გლე-

---

[1] Кавказский календарь на 1891 г., გვ. 72—74.

[2] «СССОЧЗГКГ», გვ. XL — XLI.

[3] Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем, 1907, გვ. 95.

[4] «СССОЧЗГКГ», გვ. LV.

ხებზე — 2,32 დესეტ., ხიზნებზე — 3.40, მესაკუთრეებზე — 1.41 დესეტინა[1].

მონაცემები მოწმობენ გლეხურ კატეგორიებს შორის არსებულ განსხვავებას.

ცხრილი 17

მიწის ფონდის განაწილება გლეხთა ცალკეულ კატეგორიებს შორის ფართობის სიდიდის მიხედვით (პროცენტებში)

გლეხთა კატეგორიები	1 დესეტინამდე	1—2 დეს-დე	2—3 დეს-დე	3—5 დეს.	5 დეს. მეტი	ყველა კატეგ.
სახაზინო გლეხები . .	34,72	26,37	18,54	12,53	7,84	100
დრ. ვალდ. „ .	35,81	24,27	16,18	12.47	11,27	100
მესაკუთრე „ .	64,19	14,36	9.93	7.09	4,43	100
ხიზნები	9,09	19,48	19.48	29,87	22,08	100
ყველა კატეგორიის გლეხები ფლობდნენ .	43,42	21,37	14,85	11,53	8,83	100

ჩანს, რომ თვით 900-იანი წლების დასაწყისში გლეხთა შორის მსხვილი მფლობელები შედარებით ნაკლები რაოდენობით არიან. გლეხთა რაოდენობის დაახლოებით 9%-ს უკავია მიწა 5 დესეტინაზე მეტი. მაზრაში მიწების ძირითადი ფონდი მემამულეთა ხელშია, ხოლო მემამულეთა უხვმიწიანობა ნიშნავს გლეხობის მცირემიწიანობას.

ახლა შევეხებით მიწით სარგებლობის საკითხს. XIX საუკუნის ბოლოსათვის. მაზრაში უბნების მიხედვით სტატისტიკა შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 18).

მეჯვრისხევის უბანში შენავალი სოფლების გლეხები ყველა სხვა უბნის გლეხებს უსწრებენ მიწის შედარებითი და აბსოლუტური რაოდენობით. მეორე ადგილზეა სურამის უბანი. სულ მაზრის გლეხთა სარგებლობაში იყო 51 992 დესეტინა მიწა.

მეორე ცნობით დროებითვალდებულ გლეხთა 8 700 კომლს ეჭირა: საკარმიდამო ნაკვეთების სახით — 604.5 დესეტინა, ვენახები — 1 270,5 დესეტ., ხილის ბაღები — 22,5 დესეტ., სახნავი

---

[1] ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, 1903, зз. 18.

ცხრილი 18

გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწის ფონდის განაწილება გლეხთა ცალკეულ კატეგორიებს შორის უბნების მიხედვით (დესეტინებსა და პროცენტებში)

უბნები	მიწის მთელი ფართობი დესეტ.	გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწის რაოდენობა დესეტინობით								ხაზინისა და კერძო მფლობ. საოგებ. იმყოფებ.	
		სახაზინო		დრ. ვალდებ.		ხიზნები		სულ			
		დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%	დესეტ.	%
ბორჯომის	85644	567	0,7	100	0,1	2080	2,4	2747	3,2	82897	96,7
მეჯვეოისხევის	106010	7183	6,8	6611	6,2	1706	1,6	15500	14,6	90510	85,4
სუოამის	123320	3063	2,5	3861	3.1	5016	4,1	11940	9,7	111380	90,3
ხიდისთავის	151068	5492	3,6	3230	2,1	1533	1,01	10255	6.71	140813	93,2
ცხინვალის	453019	5424	1,2	4502	0,9	1624	0.4	11550	2,3	441469	97,7
სულ	919061	21729	2,4	18304	1,9	11959	1,3	51992	5,6	867069	94,4[1]

(საკომლო მიწები): სარწყავი — 8 964 დესეტ., ურწყავი — 5 906 დესეტ., სულ 16756,5 დესეტინა.

სახაზინო გლეხობას (5044 კომლი) ეჭირა: საკარმიდამო ნაკვეთების სახით — 406 დესეტინა, ბაღ-ვენახები—705 დესეტ., ტყე—15 დესეტ., სახნავი: სარწყავი — 5869 დეს., ურწყავი — 8645 დეს., საძოვრები — 4272, სათიბი — 511, სულ 20423 დესეტინა.

ხიზნებს (5794 კომლი) ეჭირათ: საკარმიდამო—489.99 დესეტ., ბაღ-ვენახები — 29,10 დესეტ., სახნავი — 10493,33 დესეტ., სულ 11012.42 დესეტინა[2].

900-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისის გუბერნიაში „თითო კომლ სახაზინო გლეხს უწევს 10 დესეტინა, დროებით-ვალდებულს 2 დესეტინა და ხიზანს $3^1/_2$ დესეტინა“[3].

როგორც ვხედავთ, სტატისტიკა მეტად განსხვავებულ ციფრებს იძლევა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ციფრები მაინც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გლეხობის დაშლის შედეგად შეძლებუ-

[1] «ССДЗСХПГЗК», გვ. III.

[2] П. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Карталинии. Сборник сведений по виноградарству и виноделию, Тифлис, 1897, გვ. 30—32.

[3] გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 1, გვ. 65.

ლი გლეხები უმთავრესად სახაზინო თანრიგიდან არიან გამოსულნი. ქართლის 27 სოფელში გლეხთა 43%-ს ჰქონდა 1 დესეტინაზე ნაკლები მიწა, 21%—1—2 დესეტ., 15%—2—3 დესეტინა, 12%-ს 3—5 დესეტ., დანარჩენ 2%-ს 5 დესეტ. მეტი[1]. ამგვარად, გლეხთა 9/10-ს კომლზე 5 დესეტინაზე ნაკლები ჰქონდა. ეს ფაქტი მიუთითებს გლეხობის მცირემიწიანობაზე, მიუთითებს მემამულეებთან გლეხთა დიდი მასის კაბალურ ურთიერთობაზე.

900-იან წლებში გორის მაზრაში გლეხთა და ვაჭართა 13065 კომლს შორის მამულები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 0—1 დესეტინამდე მფლობელი კომლი იყო 7183, 1—3 დეს-მდე — 3030, 3—5 დეს-მდე — 1306, 5—10 დეს-მდე — 815, 10—15 დეს-მდე —271, 15—25 დეს-მდე—147, 25—35 დეს-მდე—50, 35—50 დეს-მდე—66, 50—75 დეს-მდე—37, 75—100 დეს-მდე—14, 100—250 დეს-მდე — 50, 250—500 დეს-მდე — 47, 500—750 დეს-მდე—40 და 750 დესეტინაზე მეტის მფლობელი 9 კომლი[2].

რასაკვირველია, ეს მამულები ძირითადად ვარგისი იყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

უბნების მიხედვით შემდეგი მონაცემები გვაქვს:

I. ბორჯომის უბანში მიწები საუფლისწულო საკუთრებას შეადგენდა და 0—1 დესეტინამდე მფლობელი ოჯახი იყო მხოლოდ 115. სულ მათ განკარგულებაში იმყოფებოდა 19,46 დესეტინა.

II. მეჯვრისხევის უბანში: 0—1 დეს-მდე მფლობელი კომლი იყო 1619, 1—3 დეს-მდე — 987, 3—5 დეს-მდე — 456, 5—10 დეს-მდე—225, 10—15 დეს-მდე—75, 15—25 დეს-მდე—37, 25—35 დეს-მდე—15, 35—50 დეს-მდე—9, 50—75 დეს-მდე—11, 75—100 დეს-მდე—2, 100—250 დეს-მდე—31, 250—500 დეს-მდე—1 და 500—750 დეს-მდე მფლობელი — 2 კომლი. ამ უბანში 3470 კომლს 7629,91 დესეტინა მიწა ეჭირა. ამათგან, 15 დესეტინაზე მეტი მიწის მფლობელი კომლი იყო 108 (3,11%), ხოლო 25 დეს-ზე მეტის—71 კომლი, ანუ 2,04%.

III. სურამის უბანში 0—1 დეს-მდე მიწის მფლობელი იყო 1403 კომლი, 1—3 დეს-მდე—586, 3—5 დეს-მდე—204, 5—10 დეს-მდე—186, 10—15 დეს-მდე—82, 15—25 დეს-მდე—14, 25—35 დეს-მდე—13, 35—50 დეს-მდე—15, 50—75 დეს-მდე—10, 75—100 დეს-მდე—2, 100—250 დეს-მდე—4, 250—500 დეს-მდე—1, 500—

---

[1] გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „მოამბე", 1904, გვ. 65.
[2] «СССОЧЗГКГ», გვ. 178 — 207.

750 დეს-მდე—38 და 750 დეს-ზე მეტის მფლობელი—1 კომლი. უბანში 2572 ოჯახს 8008,5 დესეტ. მიწა ეპირა. ამათგან 15 დესეტინაზე მეტი მიწის მფლობელი კომლი იყო 98 (3,79%), ხოლო 25 დესეტინაზე მეტის—84 კომლი (3,26%).

IV. ხიდისთავის უბანში: 0—1 დეს-მდე მიწის მფლობელი კომლი იყო 2240, 1—3 დეს-მდე—692, 3—5 დეს-მდე—290, 5—10 დეს-მდე—179, 10—15 დეს-მდე—43, 15—25 დეს-მდე—41, 25—35 დეს-მდე—15, 35—50 დეს-მდე—32, 50—75 დეს-მდე—16, 75—100 დეს-მდე—8, 100—250 დეს-მდე—11, 250—500 დეს-მდე—33 და 700 დეს. მეტის მქონე—4 კომლი.

ამგვარად, უბანში 3604 კომლს 21049,64 დესეტ. მიწა ჰქონდა. ამათგან 15 დესეტინაზე მეტი მიწის მფლობელი კომლი იყო 160 (4,44%), 25 დეს-ზე მეტის მფლობელი—119 კომლი (3,30%).

V. ცხინვალის უბანში: 0—1 დეს. მიწის მფლობელი კომლი იყო 1806, 1—3 დეს-მდე—765, 3—5 დეს-მდე—356, 5—10 დეს-მდე—225, 10—15 დეს-მდე—71, 15—25 დეს-მდე—43, 25—35 დეს-მდე—7, 35—50 დეს-მდე—10, 75—100 დეს-მდე—1, 100—250 დეს-მდე—4, 250—500 დეს-მდე—11 და 750 დეს-ზე მეტის მფლობელი—4 კომლი. უბანში 3303 კომლს ჰქონდა 8496,58 დესეტინა მიწა. ამათგან 15 დესეტინაზე მეტი მიწის მფლობელი კომლი იყო 80 (2,42%), ხოლო 25 დესეტინაზე მეტის მფლობელი—37 კომლი (1,12%).

ზემოთ მოტანილი მონაცემები უბნებისდა მიხედვით პროცენტებში შემდეგნაირად შეიძლება გამოვხატოთ:

ცხრილი 19

მიწის ფონდის განაწილება ფართობისა და უბნების მიხედვით (პროცენტებში)

უბნები	0—1 დეს-დე	1—3 დეს-დე	15 დეს. მეტი	25 დეს. მეტი
I. ბორჯომის უბანი	—	—	—	—
II. მეჯერისხევის „	46,66	28,44	3,11	2,04
III. სურამის „	54,51	22,78	3,79	3,26
IV. ხიდისთავის „	62,11	19,11	4,44	3,30
V. ცხინვალის „	54,67	23,11	2,42	1,12

ამგვარად, უმიწოთა (ღატაკთა) ყველაზე დიდი რაოდენობა ხიდისთავის უბანზე მოდიოდა. შემდეგ მას მისდევდა ცხინვალისა და სურამის უბნები. შეძლებულ გლეხთა რაოდენობით (25 დეს. და

მეტი) პირველი ადგილი უკავია ხიდისთავის უბანს (3,30%), შემდეგ სურამის (3,26%), მეჯვრისხევის (2,04%) და ცხინვალის უბნებს (1,12%).

იმ გლეხურ კომლთა რაოდენობა, რომელთაც 15 დესეტინაზე მეტი ეჭირათ, შეადგენდა: ხიდისთავის უბანში — 4,4%-ს, სურამის უბანში — 3,79%-ს, მეჯვრისხევის უბანში — 3,11%-ს, ცხინვალის უბანში — 2,42%-ს.

რა თქმა უნდა, ამ მფლობელებში, რომელთა შესახებაც აქ ცნობები მოვიტანეთ, მხოლოდ „წმინდა" გლეხები არ არიან, მაგრამ ეს მათ უფრო მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გორის მაზრაში შეძლებულ გლეხთა რაოდენობა შედარებით მცირეა. ისეთ გლეხურ კომლთა რიცხვი, რომელთა მფლობელობაში 15 დესეტინა მიწა მაინც იყო, დაახლოებით 4—5%-ს არ აღემატებოდა.

ამასთან, მოტანილი ციფრები საფუძველს გვაძლევს მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ გლეხთა დაშლის ფაქტი. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი გლეხობის მიწით უზრუნველყოფას, მათი ეკონომიური ცხოვრების დონეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის დაშლის დაჩქარების საქმეში. გლეხებს შორის მიწების არათანაბარი განაწილება ადრეც იყო, მაგრამ რეფორმის შემდეგ ხანაში უკვე გლეხთა გარკვეული მასა მემამულეთაგან დამოუკიდებელ მეურნეებად იქცა. მათ მოიპოვეს მიწაზე კერძო საკუთრების უფლება. ახლა გლეხს ფართო საშუალება მიეცა ზედმეტი პროდუქციის წარმოებისათვის. დიდი რაოდენობის მიწიამფლობელი გლეხური კომლები თანდათანობით უფრო მჭიდროდ ებმებიან საბაზრო-სასაქონლო ურთიერთობაში, ადიდებენ სათეს ფართობებს, ამზადებენ პროდუქტებს გასაყიდად და ამ მიზნით მიმართავენ დაქირავებული შრომის გამოყენებას.

რეფორმის შემდგომ ქართლის სოფელში გვაქვს, ერთი მხრით, ბატონყმური ხასიათის მქონე მიწათმფლობელობა, მეორე მხრით კი მიწის კაპიტალისტური მფლობელობა. სოფლად ბატონყმური ხასიათის მატარებელია მემამულეთა მიწათმფლობელობა და ასევე გლეხთა საკომლო (სანადელო) მიწათმფლობელობა. წინააღმდეგობა მიწათმფლობელობის ბატონყმურ ხასიათსა და კაპიტალიზმს შორის წარმოადგენდა ძირეულ წინააღმდეგობას[1], რომელიც სოფლად კაპიტალიზმის განვითარების პერიოდს თან სდევდა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 75, 161.

2. მიწის გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა

საგლეხო რეფორმამ გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწები მემამულეთა საკუთრებად სცნო და გლეხებს „სახელმწიფოსა და მემამულეთა წინაშე სათანადო ვალდებულებათა შესასრულებლად"[1] გამოუყო საკომლო (სანადელო) მიწების განსაზღვრული რაოდენობა. ამ მიწებით სარგებლობის საზღაურად გლეხს გარკვეული ვალდებულება-გადასახადები ეკისრებოდა. ასეთ ურთიერთობაში მყოფ გლეხს (დროებითვალდებულ გლეხს) შეეძლო ეზრუნა მის სარგებლობაში მყოფი საკომლო მიწების გამოსყიდვაზე. მეფისდროინდელი აგრარული გარდაქმნები მემამულეთა სასარგებლოდ იყო გათვალისწინებული. ამ გარდაქმნებს გლეხობისათვის ერთგვარი სარგებლობის მოტანა შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიწას ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე მიიღებდა[2]. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ პარტიის პროგრამას დამატებოდა. მოთხოვნა მიწის გამოსყიდვის გაუქმების შესახებ[3].

მიწის გამოსყიდვა თბილისის გუბერნიაში უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე შიდა რუსეთის გუბერნიებში. მეფის მთავრობამ და მემამულეებმა მრავალი დაბრკოლება შეუქმნეს თბილისის გუბერნიის გლეხს მიწის გამოსყიდვის საქმეში. ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლება იყო კავკასიის მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებული 1868 წლის 14 აგვისტოს კანონი, რომლის მიხედვითაც გლეხების სარგებლობაში მყოფი მიწების გამოსყიდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ მებატონის თანხმობით. კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „რადგანაც თბილისელი მემამულეები სრულიადაც არ ისწრაფოდნენ გაეწყვიტათ მათთვის სასარგებლო სავალდებულო ურთიერთობანი ადგილობრივ გლეხებთან, ხოლო მათ კი არ გააჩნდათ ზედმეტი ფული, ამიტომ საკომლო მიწების გამოსყიდვა თბილისის გუბერნიაში ჩატარდა სოფლების ძალზე განსაზღვრულ რაოდენობაში და მასთან მხოლოდ ხაზინის დახმარებით"[4].

მიწების გამოსყიდვა რუსეთის გუბერნიებში გაცილებით სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. ჯერ კიდევ 1863 წელს, ალექსანდრე II-ის მი-

---

[1] Местное положение о поземельном устройстве крестьян, подворенных на помещичьих землях в Тифлисской губернии, 1864, 13/X, § 3.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 353.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 81.

[4] Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка, გვ. 36—37.

თითებით, რუსეთისა და უკრაინის გუბერნიებში შემცირებულ იქნა გამოსასყიდი გადასახდელები[1]; ხოლო 1883 წლის იანვრიდან დროებითვალდებულ გლეხთა კატეგორიის ლიკვიდაციამ გამოსყიდვის საქმე ძირითადად გადაჭრა. დროებითვალდებულთა ინსტიტუტის არსებობა ბატონყმობის ძლიერ ნაშთს წარმოადგენდა. დროებითვალდებულ გლეხთა კატეგორია თბილისის გუბერნიაში თვით 1921 წლამდე დარჩა. ამიერკავკასიაში არ იქნა გატარებული ის ღონისძიებანი, რომლებიც შიდა გუბერნიებში ტარდებოდა. ამის თაობაზე გ. თუმანიშვილი აღნიშნავდა: „თითქოს ისე ჩანდა, რომ არ უნდა გადადებულიყო შორი დროისათვის ამიერკავკასიაში გამოსყიდვის საერთო ზომების გამოყენება. მართალია, ამ ღონისძიების განხორციელებას ხელს უშლიან სხვადასხვა „ადგილობრივი თავისებურებანი“ (ასეთი გამოთქმის ხმარებაა მიღებული კავკასიის ბიუროკრატიულ ენაზე), მაგრამ ეს თავისებურებანი სრულიადაც არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ რამედ, რომლის არიდებაც არ შეიძლებოდეს“[2].

სოფლად დროებით სავალდებულო ურთიერთობათა არსებობა ძლიერ აფერხებდა სოფლის მეურნეობის წინსვლის საქმეს. თუ გლეხი თავისი შრომით გააუმჯობესებდა და მაღლა ასწევდა მიწის ნაყოფიერებას, ამით მემამულე მიწას ფასს მოუმატებდა და გამოსყიდვაც „ნორმალური“ ფასით შეუძლებელი ხდებოდა[3]. ამგვარად, დროებითვალდებული დამოკიდებულება წარმოადგენდა ბოროტებას, რომელიც მიმართული იყო მიწის გამოსყიდვის წინააღმდეგ ან, საბოლოო ჯამში, საერთო ეკონომიური პროგრესის წინააღმდეგ.

თბილისის გუბერნიაში, რეფორმის გატარების დროს, საწესდებო სიგლებით გლეხთა 14230 კომლს საკომლო მიწების სახით გადაეცა 52483 დესეტინა. აქედან, 1901 წლისათვის 3475 კომლის (კომლთა $^1/_4$-ზე ნაკლები) მიერ გამოსყიდული იყო 15125 დესეტინა მიწა. ეს შეადგენდა გამოსასყიდი მიწის $^2/_7$-ზე ნაკლებს[4]. რაც შეეხება გორის მაზრას, აქ მიწების გამოსყიდვის უფრო სწრაფი ტემპი ჩანს. 1888 წლისათვის უკვე გამოსყიდული ყოფილა 8 090 დესე-

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 766. ფურც. 2, 1882 — 1883 წწ.

[2] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, С-Петербург, 1900, გვ. 13.

[3] И. Иоселиани, Сельское хозяйство и правовыя отношения сельского населения, Труды Кавказского общества сельского хозяйства, № 7—8, 1887, გვ. 375.

[4] Журн. «Кавказский вестник», 1901, № 6, გვ. 52—53.

ტინა, გამოსასყიდი რჩებოდა 13667 დესეტინა. ამავე წლისათვის თელავის მაზრის გლეხობას გამოუსყიდია 2244 დესეტინა, გამოსასყიდი კი დარჩენილა 6895 დესეტინა. თბილისის მაზრაში გამოსყიდული ყოფილა 687 დესეტინა, გამოსასყიდი დარჩენილა 5498 დესეტინა[1].

ბევრ შემთხვევაში გლეხური კომლი გამოისყიდიდა არა მთელ საკომლო მიწას, არამედ მხოლოდ ნაწილს. მიუხედავად ამისა. 1904 წელს გუბერნიაში მაინც დროებითვალდებულთა 17467 კომლი ითვლებოდა[2], ე. ი. გლეხობის ძირითადი მასა მემამულეებთან კაბალური ურთიერთობისაგან განთავისუფლებული არ იყო.

მიწის გამოსასყიდი თანხა განისაზღვრებოდა მიწის ღალის 6% კაპიტალიზაციით. ერთი წლის ღალა მიღებული იყო როგორც 6%, მიწის ფასი კი უდრიდა 100%, ე. ი. მიწის გამოსასყიდი ფასი უდრიდა გლეხის მიერ 16—17 წლის განმავლობაში გადასახდელი მიწის ღალის ჯამს. შიდა გუბერნიებში მთავრობა იძლეოდა სესხს გამოსასყიდი თანხის 80% რაოდენობით, გლეხს კი 20% უნდა დაედო[3]. თბილისის გუბერნიაში მთავრობის სესხი მიწის გამოსასყიდი თანხის 60% უდრიდა[4].

დროის გასვლასთან ერთად მიწის ფასი მატულობდა, რაც გლეხისაგან მეტ თანხას მოითხოვდა. თუ გლეხს 1889 წელს მიწის გამოსასყიდი თანხისათვის 21% უნდა დაემატებინა, 1899 წელს უმატებდა 32%, ხოლო 1905 წელს 57%-ს მაინც. ეს გამომდინარეობდა მიწის ფასის ზრდისაგან. 1899 წ. დესეტინა მიწა ღირდა 210 მანეთი, მთავრობა კი ეხმარებოდა სესხით 112 მანეთის რაოდენობით, 1905 წელს დესეტინა ღირდა 475 მანეთი, მთავრობა კი 165 მანეთს იძლეოდა[5].

მთავრობა სესხს იძლეოდა 49 წლის ვადით. ეს დიდ სიძნელეს წარმოადგენდა გლეხისათვის, რადგან იგი მხოლოდ მაშინ გადაწყვეტდა ეყიდა საკომლო მიწა, როცა დარწმუნდებოდა, რომ შვილებს ნაყიდ მიწას ყოველგვარი ვალების გარეშე დაუტოვებდა[6].

გლეხს სახელმწიფო სესხი ეძლეოდა სრული საკომლო მიწის

---

[1] «ССДЗСХПГЗК», გვ. 12.

[2] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, გვ. 427.

[3] საკ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 39, ფურც. 38, 1867 წ.

[4] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900, გვ. 14—15.

[5] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, გვ. 10—15.

[6] საკ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 39, ფურც. 38, 1867 წ.

5.5 დესეტ. სარწყავი) შესაძენად 350 მანეთის რაოდენობით. ვალის დასაფარავად პროცენტიანად საჭირო იყო გადაეხადა წელიწადში 21 მანეთი. ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე მოსავლის 1/4-ის ღირებულება. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა მოუსავლიან წლებში — ამ დროს გლეხი მიწიდან თითქმის არაფერს ღებულობდა, ოვითონ კი ხაზინისათვის დაწესებული თანხა მაინც უნდა გადაეხადა[1].

თუ რამდენად მძიმე ტვირთს შეადგენდა გლეხობისათვის გამოსასყიდი თანხის გადახდა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1900 წლისათვის გამოსასყიდი გადასახადის დავალიანება 5-ჯერ აღემატებოდა წლიურ გადასახადს; სახელდობრ, წლიური გადასახადი ამ დროს შეადგენდა 46780 მან. 76 კაპ., წარსული წლების დავალიანება კი 272158 მან. 19 კაპ., „რის შედეგადაც თბილისის გუბერნიას.... გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობაში მთელ იმპერიაში პირველი ადგილი ეკავა"[2]. ეს დავალიანება მოდიოდა იმ 3475 კომლზე, რომელთაც შეიძინეს 15125 დესეტინა მიწა. დავალიანებათა რაოდენობა კომლზე საშუალოდ 78 მან. 26 კაპ. უდრიდა, ანუ დეესეტინა გამოსყიდულ მიწაზე — 18 მანეთს[3].

გორის მაზრაში მიწის გამოსასყიდი თანხა წლიურად 7346 მან. 42 კაპ. უდრიდა. 1906 წლისათვის გამოსასყიდი თანხის მარტო ნარჩენები 29160 მან. 09 კაპ. შეადგენდა[4].

თუ რამდენად ძნელი იყო მიწის გამოსყიდვა, გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი მაგალითი: ბობნევის სასოფლო საზოგადოების ხიზნები და დროებითვალდებული გლეხები (30 კომლი) მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილ თხოვნაში 1880 წლის 4 თებერვალს აღნიშნავდნენ, რომ 60 წლის წინათ გენერალმა გიორგი იასეს ძე ერისთავმა დაგვასახლა ატენის ხეობის სხვადასხვა ადგილას თავის ჭამულში. ჩვენ აქ დიდი შრომა გავწიეთ და უსარგებლო ადგილებიდან სახნავი მიწები მოვაწყეთ. გენერლის გარდაცვალების შემდეგ გადასახადს ვუხდიდით მის ქალს — ქეთევან ორბელიანს. ქეთევან ორბელიანმა ჩვენთვის შეუტყობინებლად აღნიშნული მამული ვალებში გაყიდა. მამული შეიძინა პეტრე თედორეს ძე სემი-

[1] А. Кипшидзе, Исторический очерк деятельности Тифлисского губернского по крестьянским делам Присутствия, Журн. «Кавказский вестник», 1901, № 9, გვ. 104.

[2] Журнал «Кавказский вестник», 1901, № 6, გვ. 52—53.

[3] А. Кипшидзе, Очерк крестьянского права и крестьянская реформа, Журн. „Кавказский вестник", 1902, № 6, გვ. 28.

[4] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 10165, ფურც. 9, 1907 წ.

ონოვმა. ჩვენ რადგან მთიან ადგილებში ვცხოვრობთ, უმთავრესად, ტყეში მუშაობითა და მესაქონლეობით ვირჩენთ თავს. სემიონოვმ. კი ტყეში შესვლა და საქონლის შერეკა აგვიკრძალაო. ამავე მიმართვაში გლეხები თხოულობენ, რომ მამული გამოსყიდულ იქნეს მთავრობის დახმარებით. ამაზე გუბერნატორი თავისი დასკვნით აცნობებს მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსს, რომ სემიონოვის ხელში მამულის გადასვლით გლეხთა მდგომარეობა არ შეცვლილა, თვით სემიონოვი მამულს არავის არ უთმობს, არავის არ მიჰყიდის და, ამგვარად, გლეხებს თხოვნაზე უარი უნდა ვუთხრათო[1].

გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვა ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული. სოფ. კარალეთელი გლეხები აღნიშნავდნენ: ბატონისაგან მიწა შევისყიდეთ, მაგრამ მან ცალკე და მისმა მოურავმა კიდევ ცალკე გაგვაძრეს ტყავიო. უკანასკნელად კი დამატებით კომლზე თუმნიდან ხუთ თუმნამდის შემოგვაწერეს, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ეს მიწები დაგირავებული ყოფილა და არ ვიცით, რა გვეშველებაო[2].

ქართლის თავადაზნაურობა ცდილობდა დაეტოვებინა თავისი უფლება უკვე გამოსყიდულ მიწაზე. თავადი ერისთავები აღნიშნავდნენ: თანახმანი ვართ მთაში მცხოვრებ გლეხებს მივცეთ მიწა გამოსასყიდად, მაგრამ თუკი მომავალში იქ აღმოჩნდება მინერალი ან სხვა სიმდიდრე, ეს მხოლოდ ჩვენ უნდა გამოვიყენოთო[3].

ევროპულ რუსეთში ფასი იმ მიწისა, რომელიც გლეხებს შეხვდათ, 648 მილიონ მანეთს შეადგენდა, გლეხებს კი 867 მილიონი მანეთი, ანუ 219 მილ. მანეთით მეტი გადაახდევინეს[4]. ეს მეტად მძიმე იყო გლეხებისათვის, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იყო მიწის გამოსყიდვა საქართველოში. 45 წლის განმავლობაში დროებითვალდებულ გლეხებს ღალა-გამოსაღებთა სახით გადახდილი ჰქონდათ 10-ჯერ მეტი თანხა მემამულეების სასარგებლოდ, ვიდრე სინამდვილეში ღირდა მათი სანადელო მიწები.

როგორც წესი, გლეხობაში მიწას ყიდდა ღარიბი გლეხი, ყიდულობდა კი მდიდარი. გლეხი სავსებით ებმებოდა ფულად ურთიერთობაში, იგი ცდილობდა მეტი მიწის შეძენას, ამ მიმართულებით

---

[1] საჭ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 993, ფურც. 4 — 5, 10, 1880 წ.

[2] გაზ. „დროება". 1881, № 250.

[3] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II. Составил проф. П. Гугушвили, Тбилиси, 1950, გვ. 203 — 204.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 350.

მიწების ყიდვა-გაყიდვა ხელს უწყობდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას, ბაზართან გლეხის დამოკიდებულების ზრდას.

სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების განსაზღვრის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის ყიდვა-გაყიდვის გათვალისწინებას, რადგან გლეხობის მიერ მიწის კერძო საკუთრებაში ყიდვა წმინდა ბურჟუაზიულ მოვლენას წარმოადგენს[1].

მიწის ყიდვა-გაყიდვას გლეხთა შორის რეფორმამდეც ჰქონდა ადგილი, რეფორმის შემდეგ კი მისი ძლიერი ტენდენცია ჩნდება, მაღლა იწევს მიწის ფასი.

გორის მაზრაში 1879—1888 წლებში, ე. ი. 10 წლის განმავლობაში, მიწის ნასყიდობათა რაოდენობა 887-ს უდრიდა. შესყიდულ იქნა 2088 დესეტინა, რომლის საერთო ფასი უდრიდა 174754 მან. და 28 კაპ., ე. ი. დესეტინისა—83 მან. და 06 კაპ. იყო[2].

1895—1897 წლებში გორის მაზრაში ნასყიდობათა რაოდენობა 92-ს უდრიდა. შეისყიდეს 1449 დესეტინა მიწა. 1899—1901 წლებში (1901 წლის 1 ოქტომბრამდე) ნასყიდობათა რაოდენობა 16-ს უდრიდა (შეისყიდეს სულ 12 დესეტინა მიწა)[3]. ამგვარად, XIX საუკ. ბოლოსა და XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ოფიციალური სტატისტიკა უჩვენებს მიწის ნასყიდობათა მკვეთრ შემცირებას. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელებულია სახაზინო მიწების გადანაწილების დაწყება. გადანაწილებაში ხვდებოდა ის მიწაც, რაც უკვე გაყიდული იყო. ამ ნასყიდობათა თაობაზე საბუთები დამოწმებული იყო უმეტესად სოფლის თანამდებობის პირთა მიერ. ამას კი სასამართლოში ძალა არ ჰქონდა. მაშინ სახაზინო მიწის შეძენის მსურველებმა სხვა ხერხს მიმართეს: ისინი ფორმალურად კი არ ყიდულობდნენ, არამედ ვირაოდ ადებდნენ და ვალის გადახდამდე მიწა მათ მფლობელობაში რჩებოდა. დაგირავების საბუთში თანხა ნამდვილზე რამდენიმეჯერ მეტი აღინიშნებოდა. ეს თანხა მიწის ფასს ბევრად აღემატებოდა. მიწის ყიდვა-გაყიდვის ეს ფორმა (დაგირავება) უფრო მეტად იყო გავრცელებული სურამის, ცხინვალისა და გორის ახლოს მდებარე სოფლებში. ამდენად, მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებისა, სრული უფლება გვაქვს

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 111.

[2] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, С-Петербург, 1904. გვ. 282.

[3] იქვე.

ვამტკიცოთ. რომ 90-იანი წლების ბოლოსა და 900-იანი წლების დასაწყისში მიწის ყიდვა-გაყიდვა კი არ შემცირებულა, არამედ იზრდებოდა კიდეც. მხოლოდ მიწის ყიდვა-გაყიდვა დაგირავების აქტით ფორმდებოდა.

რეფორმის შემდეგ მიწის ფასი განუხრელად მატულობდა. რეფორმის გატარების დროს დესეტინა მიწა საშუალოდ ღირდა 30—80 მან.[1] 80-იან წლებში კი სარწყავი მიწის ერთი დესეტინის ფასი 300 მანეთამდე გაიზარდა, ნაფუძარისა — 400 მანეთამდე, ურწყავი მიწის — 120 მან-მდე, ბაღისა — 500 მან-მდე. მთის სოფლებში, სადაც სახნავი მიწა ცოტა იყო, დესეტინა ურწყავი მიწის ფასი 60—200 მან. იყო[2].

ს. ავალიანის მონაცემებით გორის მაზრაში დესეტინა მიწის საშუალო ფასი შეადგენდა: 1891 წელს—58 მან. და 17 კაპ., 1901 წელს —81 მან და 09 კაპ., 1911 წელს—128 მან. და 50 კაპ[3]. სხვა ცნობების მიხედვით, 1879—1888 წლებში მიწის ფასი 83 მან. 60 კაპ. უდრიდა, 1895—1897 წწ. —72 მან. 90 კაპ., 1899—1901 წლებში — 640 მანეთს.[4] 90-იანი წლების ბოლოსათვის დესეტინა სახნავი მიწის საშუალო ფასი შეადგენდა 220 მანეთს. საერთოდ კი მიწის საშუალო ფასი გორის მაზრაში, სხვა მაზრებთან შედარებით, ოთხმის ყოველთვის უფრო მაღალი იყო[5].

მაზრაში მიწის ფასი განსხვავებული იყო არა მარტო მიწის სხვადასხვა სახეობების მიხედვით (სარწყავი და ურწყავი, ნაფუძარი, ბაღი და სხვ.), არამედ მიწების ადგილმდებარეობის მიხედვითაც (სხვადასხვა ადგილას მიწას სხვადასხვა ფასი ჰქონდა). ყველაზე ძვირად ფასობდა მდ. მტკვრის ნაპირზე მდებარე სარწყავი სახნავი მინდვრები. ეს იყო გორის მაზრის დასავლეთ ნაწილში; ასეთი სარწყავი მიწები 25—50%-ით მეტად ფასობდა.

მთელს გუბერნიაში მიწის ყველაზე მაღალი ფასი გორის მაზრის დასავლეთ ნაწილში იყო. 900-იანი წლების დასაწყისში აქ კარგი შემოსავლიანი ერთი დესეტინა ბაღი 3 000 მანეთამდე ფასობდა. ეს, ზოგი მიმომხილველის აზრით, აიხსნებოდა მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვითა და კლიმატური პირობებით[6].

---

[1] სამ. ცსკ. ფონდი 126. საქმე 1066, ფურც. 2—3, 1867 წ.

[2] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 251.

[3] ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი, 1920, გვ. 30.

[4] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, С-Петербург, 1904, გვ. 285.

[5] «ССДЗСХПГЗК», გვ. 20—26.

[6] А. Кофод, Сельскохозяйственные очерки Закавказья, С-Петербург, 1904, გვ. 80.

მიწის ფასის ზრდა აიხსნება სავაჭრო მიწათმოქმედების გაძლიერებითა და მეურნეობის ინტენსიფიკაციით, მიწის სიახლოვით სავაჭრო ცენტრებთან.

მაზრაში პერიოდულად ადგილი ჰქონდა მიწის ფასის დაცემასაც. ეს დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების შემცირებასთან, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო კრიზისებთან, რაც კაპიტალისტურ სამყაროში ხშირი მოვლენა იყო. ეს კრიზისები, ცხადია, გავლენას ახდენდნენ რუსეთისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაზე.

მიწის მყიდველებად ჩანან უმთავრესად გლეხები, გამყიდველებად კი თავადაზნაურობა[1].

ცნობების უქონლობა, საბუთებარად, საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ აბსოლუტური ან შედარებითი რაოდენობა გლეხთა იმ სოციალური ჯგუფებისა, რომელნიც მიწას იძენდნენ.

3. მიწის დაგირავება

მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწების დაგირავების საკითხის გარკვევას.

თბილისის გუბერნიაში 1875—1889 წლებში, ე. ი. 15 წლის განმავლობაში, დაგირავებული იყო 285 მამული 197 432 დესეტინის რაოდენობით[2]. 1896 წ. 1 იანვრისათვის დაგირავებული იყო 635645 დესეტინა, რაზედაც გაცემული იყო სესხი 5 477 399 მან. 1906 წლის 1 იანვრისათვის დაგირავებული მიწების რაოდენობა 632 683 დესეტინას შეადგენდა, სესხი გაცემული იყო 9 352 700 მანეთის რაოდენობით.[3]

გორის მაზრის მემამულეებს ბანკებში დიდი რაოდენობით ჰქონდათ დაგირავებული მიწები. ეს რაოდენობა დროის გასვლასთან ერთად იზრდებოდა. ამას კარგად მიუთითებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი (გვ. 164).

---

[1] Кавказский календарь на 1890 г., გვ. 32—33.

[2] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზ., ტ. III, გვ. 79.

[3] ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, მიწისმფლობელობა საქართველოში, 1920, გვ. 13—14.

ცხრილი 20

ბორის მაზრის მემამულეთა მიერ ბანკებში მიწის დაგირავება

წლები	დაგირავებულ მამულთა რაოდენობა	დაგირავებულ მამულთა ფასი (დესეტინობით)	რამდენად იყო შეფასებული დაგირავებული მამულები (მანეთებით)
1875—1879	11	964,68	47800
1880—1884	5	148,35	10800
1885—1889	11	676,62	36500
1890—1894	77	11579,66	638454
1895—1899	239	56446,53	2148139
1900—1902	88	20037,12	777973[1]

1903 წლისათვის მაზრის თავადაზნაურობის მიერ ბანკებში სულ დაგირავებული იყო 431 მამული, 89 852,96 დესეტინის ფართობით, აქედან:

საკარმიდამო ნაკვეთები . . .	327,45 დესეტინა,
ბაღ-ვენახები . . .	448,01
სახნავ-სათესი . . .	24396,79
სათიბები	2009,13
ტყე	41655,99
საძოვრები .	18164,31

აღნიშნული 431 მამული შეფასებული იყო 3 659 666 მანეთად. სესხად მიღებული იყო 1961725,75 მან. რჩებოდა 1903 წლის 1 იანვრისათვის 1 916258,07 მანეთი[2].

მიწების დაგირავება ხდებოდა ბანკების გარეშეც. 1904 წლისათვის მაზრის თავადაზნაურობისა და სხვა დანარჩენი მოსახლეობის მიერ მიწების დაგირავება ბანკების გარეშე შეადგენდა:

[1] «СССОЧЗТКГ», გვ. 541—546.

[2] იქვე, გვ. 503.

ცხრილი 21

ბანკებს გარეშე მიწების დაგირავება

უბნები	წოდებები	მამულების რაოდენობა	სეკვესტრირებული (დესეტ.)	ბალ-ეფნახები (დესეტ.)	სახნავი (დესეტ.)	სულ (დესეტ.)	ვალის რაოდენობა (მან.)
I. ბორჯომის	თავადაზნაურობა	1	0,07	—	—	0,07	800
	დანარჩენი						
	მოსახლეობა	32	5,38	—	—	5,38	78031
	ს უ ლ	33	5,45	—	—	5,45	78831
II. მეჯვრისხევის	თავადაზნაურობა	36	6.50	117,21	10128,05	13400.33	86138
	დანარჩენი	24	1,24	10,70	99.74	111,68	37074
	ს უ ლ	60	7,74	127,91	10227,79	13512,01	123212
III. სურამის	თავადაზნაურობა	46	20.24	9,09	1644,55	2258,83	108177
	დანარჩენი	65	8,45	204,06	114,41	326,92	69878
	ს უ ლ	111	28,69	213,15	1758,96	2585,75	178055
IV. ხიდისთავის	თავადაზნაურობა	36	8,73	64,47	11430,87	12900	100161
	დანარჩენი	49	2,43	43,99	1692,62	1762,37	95403
	ს უ ლ	85	11,16	108,46	13123,55	14662,51	195564
V. ცხინვალის	თავადაზნაურობა	13	4,09	6,62	342,47	4675,94	42254
	დანარჩენი	52	23,14	44,11	475,03	542,28	92056
	ს უ ლ	65	27,23	50,73	817,50	5218,22	134310
გორის მაზრაში	თავადაზნაურობა	152	40,13	197,39	27331,22	57401,95	582040
	დანარჩენი	227	41,03	303,38	3974.46	3442,14	401204
	ს უ ლ	379	81,16	500,77	30405,68	60844,09	983244[1]

ბანკების გარეშე დაგირავებული მიწის დიდი რაოდენობა თავადაზნაურობაზე მოდის, სახელდობრ 57401,95 დესეტინა, დანარჩენ ფენებზე მოდის 3442,14 დესეტინა; სულ დაგირავებული იყო 60844,09 დესეტინა. მიწა ყველაზე მეტი რაოდენობით დაგირავებული ყოფილა ხიდისთავისა და მეჯვრისხევის უბნებში.

მიწების დაგირავება მამულების სიდიდისდა მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: 1903 წლის 1 იანვრისათვის ბანკებში დაგირავებული იყო თავადაზნაურობის 0-25 დესეტინიანი მამულები —

[1] «СССОЧЗТКГ», გვ. 614 — 625, 652.

1346,30 დესეტინა, 25—100 დ.—8668,09 დესეტინა, 100—500 დ. — 26 406,22 დესეტინა, 500 დ. და მეტი — 50 581,07 დესეტინა[1].

1904 წლისათვის არათავადაზნაურულ მოსახლეობას ბანკებში დაგირავებული ჰქონდა 0 — 10 დესეტინიანი 211 მამული, 873,59 დესეტ. საერთო ფართობით, 10—25 დ. — 8 მამული 149,45 დესეტ. ფართობით, 25—50 დ. —4 მამული 177,15 დესეტ. ფართობით, 250—500 დ. 2 მამული, 588,75 დესეტ. ფართობით, 500—750 დესეტინიანი 1 მამული და 1000—1500 დესეტინიანი —1 მამული[2].

ამგვარად, ჯერ ერთი, გარდა თავადაზნაურობისა სხვა ფენებსაც აქვს დიდი მამულები, მაგრამ დაგირავება ეხება უმთავრესად წვრილ მამულებს (0—10 დესეტინამდე), რაც თავის მხრივ დამატებით მიუთითებს წვრილგლეხურ მეურნეობათა მძიმე კაბალურ მდგომარეობაზე; მეორეც, თავადაზნაურული (ბატონყმურ-მემამულური) მეურნეობა ეცემა და მიწის მესაკუთრეები მიწების გაყიდვა-დაგირავებაში ეძებენ გამოსავალს; გლეხი კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჰყიდის ან აგირავებს მიწას. ეს ყველაფერი მხოლოდ კლასობრივი დიფერენციაციის დროს შეიძლება მოხდეს.

4. მიწის იჯარა

რეფორმის შემდგომ გორის მაზრაში საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა მიწის იჯარით სარგებლობა. რა მასშტაბით წარმოებს იგი? ვინ აწარმოებს მას? რა შედეგები მოსდევს საიჯარო ურთიერთობას? — აი, რა საკითხები დგება ჩვენ წინაშე.

მაზრაში მიწის იჯარით აღებას უმთავრესად გლეხები აწარმოებენ, თავადაზნაურობა კი თვითონ იძლევა მიწას იჯარით. გასარჩევია ორგვარი იჯარა: ერთი, როცა ღარიბი გლეხი მიმართავს მას, და მეორე, როცა მიწას იჯარით იღებს შეძლებული გლეხი. მეორე შემთხვევაში მიწის იჯარით აღების დანიშნულება არის პროდუქტების შექმნა ბაზრისათვის. ასეთ შემთხვევაში „მიწა იქცევა საქონლად, „ფულის მოსაგებ მანქანად“[3].

მიწის იჯარით აღების დროს მოიჯარადრე იხდის საიჯარო გადასახადს. ეს გადასახადი უფრო დიდია, ვიდრე მიწის რენტა. მიწის საიჯარო გადასახადი შეიცავს, გარდა მიწის რენტისა, სხვა ელემენტებსაც (სამეურნეო ნაგებობებისათვის, სარწყავი სისტემისა და

---

[1] «ССССОЧЗТКГ», გვ. 614 — 625.

[2] იქვე, გვ. 658.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 3, გვ. 69.

სხვ). ფეოდალური რენტა მიწაზე პროდუქტებით, შრომამიგებითი ან ფულადი იყო. იჯარა პროდუქტებით მოიჯარეს უფრო მეტი უჯდებოდა, ვიდრე იჯარა ფულით. იჯარის აღების პირველი სახე (პროდუქტებით) უფრო მეტად გავრცელებული იყო გლეხთა უღარიბეს ფენებში (რადგან ფულადი რენტა მოუსავლიან წლებში უფრო დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ვიდრე მოსავლის ნაწილის გადახდა), შრომამიგებითი — საშუალო ფენებში, ხოლო შეძლებული გლეხები ცდილობდნენ მიწა უმთავრესად ფულადი იჯარით აეღოთ.

მიწის იჯარით აღება ფართოდ იყო გავრცელებული თბილისის გუბერნიაში. ამას, ერთი მხრით, გლეხთა ძირითადი მასის მცირემიწიანობა განაპირობებდა, მეორე მხრით კი ბაზრის მოთხოვნილებები (შეძლებული გლეხი მიმართავდა იჯარას მოგების მიღების მიზნით).

რეფორმის შემდეგ პერიოდში დიდად გაიზარდა მოიჯარადრე გლეხთა რაოდენობა. მაგალითად, 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო გლეხთა 37% მიწას იჯარით იღებდა. ხოლო XX საუკუნის დასაწყისისათვის მათი რიცხვი გაორკეცდა[1].

თბილისის გუბერნიაში 1895—1900 წლებში ჩატარდა გამოკვლევა 1732 კომლისა იმათგან, ვისაც მიწა ჰქონდა გამოსყიდული. მათგან 31% მიწას თვითონ არ ამუშავებდა, არამედ იჯარით იძლეოდა. იჯარის გამცემთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გლეხთა დაბალი ფენებიდან იყო (მათ რიცხვშია ქალაქში მომუშავე გლეხებიც)[2]. გამოკვლეულ კომლთაგან 658 კომლი, ანუ 37% მიწას თვითონ იღებდა იჯარით.

ზემოთ აღნიშნული გამოკვლევა შეეხო გორის მაზრის 654 გლეხურ კომლს. მათგან მიწას იჯარით იღებდა 352 კომლი, ანუ 54%, იჯარით აღებული მიწის რაოდენობა 1163 დესეტინას უდრიდა, რაც კომლზე საშუალოდ 3,44 დესეტინას შეადგენდა. იჯარით აღებული მიწებიდან ძირითადი რაოდენობა სახნავ-სათესზე მოდის. ბაღ-ვენახები მხოლოდ 27 დესეტინის რაოდენობით იყო მოიჯარადრეთა ხელში[3].

მიწის იჯარით აღებას მიმართავდნენ ქალაქებისა და მაზრის სავაჭრო-სამრეწველო დაბების მცხოვრებნიც. მაგალითად, XIX

---

[1] С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, зг. 9.

[2] Н. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе, Журн. «Русская мысль», книга VII, 1902, зг. 124.

[3] იქვე, зг. 129 — 130.

საუკ. 70-იანი წლების შუახანებში სოფ. ზემო ნიქოზში 30 დესეტინა მიწა იჯარით ჰქონია აღებული ცხინვალის მცხოვრებ პეტრე პეტუევს[1]. ცხადია, პეტუევს 30 დესეტინა მიწა მხოლოდ საკუთარი ოჯახის პირდაპირი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ ექნებოდა აღებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მიწა, უეჭველია, დაქირავებული მუშახელის გამოყენებით იქნებოდა დამუშავებული და მეურნეობა კაპიტალისტური წესით მოწყობილი. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს მიწის კაპიტალისტურ რენტასთან.

მიწის იჯარით აღებას მიმართავდა სახაზინო გლეხების უმრავლესობა. ისინი მიწას მემამულეებისაგან იღებდნენ. სოფ. ქერეში სახელმწიფო გლეხთა 17 კომლს აღებული ჰქონია 27 დესეტინა მიწა, რისთვისაც ისინი წელიწადში 75 მანეთს იხდიდნენ. სოფ. მოხისში 14 კომლს აღებული ჰქონდა 55,5 დესეტინა 130 მანეთად. აქ მიწა კომლებს შორის თანასწორად ჰქონიათ გაყოფილი. ფულად-საიჯარო გადასახადსაც თანაბრად იხდიდნენ. აღნიშნული 14 კომლი უმიწაწყლო გლეხები იყვნენ[2]. ბაკურიანის სახელმწიფო გლეხებს იჯარით აღებული ჰქონიათ 196,15 დესეტინა მიწა, რისთვისაც იხდიდნენ 764,43 მანეთს; სოფ. ვარდგინეთს — 53,52 დესეტ. 102 მანეთად: სოფ. კორტანეთს — 23,15 დესეტინა 66,27 მანეთად.

იმავე პერიოდში სოფ. კობის მცხოვრებნი გადასახლებულნი ყოფილან სხვა ადგილებში, თავისი მიწა კი იჯარით გაუცია მეზობელი სოფლების გლეხებზე[3].

მიწას იჯარით იძლეოდა ბორჯომის საუფლისწულო მამულიც. მას 30 სოფლის 500 კომლზე გაცემული ჰქონია იჯარით 1650 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა და ამდენივე სათიბი[4]. ამგვარად, მაზრაში ყოფილა ბევრი სოფელი, რომლებიც მთლიანად მიწის იჯარას მიმართავდა.

ბორჯომის მამულის მთელ გლეხურ მოსახლეობას 3000 ხარ-კამეჩი ჰყავდა. მუშა საქონელი კომლთა შორის არათანაბრად იყო განაწილებული. კომლები ჰფლობდნენ 1-დან 8 უღელ ხარ-კამეჩამდე. გლეხი მიწას იჯარით, მუშა საქონლის რაოდენობის შესატყვისად. იღებდა. მეტი საქონლის პატრონს მეტი მიწის აღება შეეძლო და პირიქით. უმთავრესად კი 80—90-იან წლებში მოიჯარადრეებად

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 19267, ფურც. 13, 1873 წ.
[2] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 193.
[3] იქვე, გვ. 156, 197.
[4] Кавказский календарь на 1890 г., გვ. 45.

მცირემიწიანი გლეხებია (მათ შორის მოჯამაგირეებიც)[1]. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ღარიბი გლეხები თვითონ იძლეოდნენ მიწას იჯარით[2].

მიწას იჯარით იღებდნენ სხვა მაზრებიდან მოსული გლეხებიც. გორის მაზრის დასავლეთ ნაწილში, უმთავრესად, შორაპნის მაზრიდან მოდიოდნენ გლეხები მუდმივ ან დროებით საცხოვრებლად და მიწას იჯარით იღებდნენ.

ღარიბ და საშუალო გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილიც მემამულეებისაგან აღებულ საიჯარო მიწაზე გადასახადს უმთავრესად ნატურით იხდიდა. ხშირად გლეხი მიწას „სანახევროდ“ ამუშავებდა. გაზ. „გუთნის დედას“ კორესპონდენტი 1875 წელს ანგარიშობდა, თუ რას შეადგენდა გლეხის შემოსავალ-გასავალი საიჯარო ქირის სანახევროდ გადახდისას:

ერთი დღის ანეულის ნახნავზე (ხორბალი) გასავალი უდრიდა: მოხვნა — 2 მან. 40 კაპ., აოშვა — 1 მან. 80 კაპ., თესლი — 4 მან. 80 კაპ., დაფარცხვა — 1 მან., მორწყვა — 30 კაპ., მომკა — 1 მან. 60 კაპ., გალეწვა—1 მან. 60 კაპ., მუშების სმა-ჭამა (ხვნიდან გალეწვამდე) — 3 მან., ერთი მარხილი შეშა და ერთი მუშა უნდა შეაწიოს გლეხმა მიწის პატრონს — 1 მანეთი, სულ 17 მანეთი და 50 კაპიკი. ამავე მიწიდან შემოსავალი კი იყო: რვა კოდი პური, კოდი 12 აბაზობაზე — 19 მან. 20 კაპ., ერთი ურემი ბზე — 2 მანეთი, სულ 21 მან. 20 კაპ. „ამ შემოსავლიდან ოთხი კოდის ფასი 9 მან. და 60 კაპ. უნდა მამულის პატრონს მისცეს. მაშასადამე, თვითონ დარჩება 12 მან. და 40 კაპ. ცხადად ვხედავთ. რომ გლეხი დღიურზე 5 მან. და 10 კაპეიკს ზარალობს“[3].

ერთ დღიურ ნათეს სიმინდზე გასავალი უდრიდა: მოხვნა და დაფარცხვა — 2 მან. 40 კაპ., სამი ჩანახი თესლი — 60 კაპ., 1 ჩანახი ლობიო — 40 კაპ., რვა მუშა სამჯერ გასათოხნად—2 მან. 40 კაპ., მორწყვა სამჯერ — 90 კაპ., ლობიოს მოგლეჯა და დაბეგვა, სიმინდის მოჭრა, გარჩევა და დაცეხვა — 1 მან. და 70 კაპიკი, პურის ჭამა მუშებისა, დაწყებული მოხვნიდან ვიდრე სიმინდის გარჩევამდე — 3 მან. სულ —11 მან. და 40 კაპიკი.

---

[1] «СМПИЭБГКЗК», т. II, გვ. 403, И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе. Журн. «Русская мысль», книга VII. 1902, გვ. 130.

[2] И. Сегаль, Крестьянское землевладение в Закавказье, Тифлис, 1912, გვ. 24.

[3] გაზ. „გუთნის დედა“, 1875, № 21.

შემოსავალი: რვა კოდი სიმინდი — 12 მან. 80 კაპ., კოდი ლობიო—3 მან., ასი კონა ჩალა — 4 მან. სულ 16 მან. 80 კაპ[1]. „აქედან ნახევარი ე. ი. 8 მან. და 40 კაპ. მამულის პატრონს უნდა მიეცეს, მაშასადამე თვითონ დარჩება 8 მან. და 40 კაპ. როგორც მკითხველი ხედავს, გლეხი სიმინდიდანაც დღიურზე 3 მან. მეტს ზარალობს... ნახევარი ლიტრის გლეხი, ე. ი. შუათანა შეძლებისა, ათ დღიურსა ხნავს. ორ დღისაში სთესავს პურს, დანარჩენში სიმინდს... სულ ათი დღის ნახნავიდან ზარალობს 46 მანეთს". შემდეგ კორესპონდენტი განაგრძობს... „თუ გლეხი ხვნა-თესვით ამდენს ზარალობსო, მაშ როგორღა იხდის გადასახადებს და ან როგორღა ცხოვრობსო? მკითხავს ჩემის ანგარიშით გაკვირვებული მკითხველი.

იხდის ხარჯს, მაგრამ ვაი ამ გადახდას! ყელამდის ვალში და ვახშში არის ჩაფლული, ცხოვრობს მაგრამ ვაი ამ ცხოვრებასაც! იმათი სადგომები სადგომებს არა ჰგავს, ჭამა-სმა ჭამა-სმას და ჩაცმა-დახურვა ჩაცმა-დახურვას...

თუ გლეხკაცი დღევანდლამდის როგორც არის ცხოვრობს და შიმშილით არ ამოსდის სული, — ეს იმიტომ რომ ის თავის შრომას არ აფასებს და ჩვენ კი ყველა იმის შრომა ფულათ ვიანგარიშეთ. თორემ გლეხკაცი რომ მართლა ფულს ხარჯავდეს, მაშინ არამც თუ იზარალებს, არამედ მართლაც შიმშილით ამოსძვრება სული"[2].

გორის მაზრაში ჩამონაჭრების დიდი რაოდენობის გამო საიჯარო ფასები მეტად მაღალი იყო. მემამულეთა მიწით სარგებლობისათვის რენტა პროდუქტებით ჩვეულებრივად მერყეობდა მოსავლის $^1/_4$-დან $^1/_2$-მდე, ე. ი. შეადგენდა შემოსავლის 25—50%-ს.

XX საუკ. დასაწყისისათვის საიჯარო ფასები საგრძნობლად გაიზარდა, რაც განსაკუთრებით მძიმე იყო ღარიბი გლეხებისათვის. „საიჯარო ფასმა ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად აიწია და ეკონომიურად დაძაბუნებულ გლეხებისათვის ძნელი გადასახდელი შეიქმნა. მაგალითად, ს. ქვიშხეთში (ქართლში)გლეხები აძლევენ მემამულეს დღიურ მიწაში 3 კოდ პურს ან 2 $^1/_2$ კოდს და 1 მუშას (ერთ დღეს). დესეტინაზე ეს შეადგენს 6 კოდს ან 5 კოდს და 2 მუშას. კოდის minimum-ი არის 5 ფუთი, თუმცა ხშირად ექვს ფუთსაც გადააჭარბებს: ჩანახს, რომლითაც რწყავენ ღალას მემამულენი. თანდათან ადიდებენ. ამ სახით დესეტინაზე მოდის (5 კოდის ანგა-

[1] კორესპონდენტი შემოსავალს არასწორად აჯამებს (ნაცვლად 19 მან. 80 კაპ. ჯამში 16 მან. 80 კაპ. ღებულობს).
[2] გაზ. „გუთნის დედა", 1875, № 22.

რიშით) 25 ფუთი პური და 2 მუშა. ფუთი პურის საშუალო ფასად შეიძლება ჩავაგდოთ 75 კაპ. და მუშის ქირად 50 კაპ. დესეტინაზე ყველა ეს ადგენს 19 მან. და 75 კაპ. გარდა ამისა, თუ მემამულემ მოსთხოვა, გლეხმა უნდა წაუღოს მას ღალა თავისი ხარ-ურემით უსასყიდლოდ 60 ვერსის მანძილზე.

სოფ. ქარელში მემამულე იღებს დღიურ მიწაში მოსავლის მესამედს, 2 მუშას და 1 ურემ შეშას. ეს შეადგენს სულ 25 მან. 50 კაპ. დესეტინაზე, — სოფ. თიღვაში მემამულე იღებს დესეტინაზე 4 კოდ პურს და 2 მან. ფულს, — სოფ. ქვემო აჩაბეთში გლეხები იხდიან ღალად მოსავლის მესამედს, ხშირად ნახევარსაც"[1].

მაზრაში ყველაზე მაღალი შრომამიგებითი რენტა და რენტა პროდუქტებით იყო სურამისა და ცხინვალის ახლო მდებარე სოფლებში[2].

ამიერკავკასიაში მიწის იჯარით გაცემის ორი სახე გვხვდება: წვრილი, მოკლევადიანი და მსხვილი, გრძელვადიანი[3]. წვრილი, მოკლევადიანი იჯარით მიწას უმთავრესად ღარიბი გლეხები, სოფლის პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები იღებდნენ. მსხვილი. გრძელვადიანი იჯარით კი, როგორც წესი, მდიდარი გლეხები სარგებლობდნენ. პირველ შემთხვევაში გლეხი უმთავრესად შრომამიგებითსა და პროდუქტებით რენტას იხდიდა, მეორე შემთხვევაში კი უმთავრესად ფულად რენტასთან გვაქვს საქმე. შრომამიგებითი და პროდუქტებით რენტის დროს ექსპლოატაციის ხარისხი უფრო მაღალი იყო — გლეხი თავისი შრომის უფრო დიდ ნაწილს უხდიდა მიწის მესაკუთრეს.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკ. II ნახევარში ქართლის სოფელში უპირატესად შრომამიგებითი და პროდუქტებით რენტა იყო ძალაში[4], თუმცა ფულადი რენტაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მაგალითად, 80-იანი წლების შუა ხანებში გორის მაზრის ხიზანთა 717 კომლი ფულად იხდიდა იმ გადასახადებს, რაც მიწით სარგებლობასთან იყო დაკავშირებული[5]. უკვე 900-იანი წლების დასა-

---

[1] ფ. გოგიჩაიშვილი, შინაური მიმოხილვა. ჟურნ. „მოამბე", 1904. № 1. გვ. 78 — 79.

[2] «МДИЭБГКЗК», т. VI. გვ. 198.

[3] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, 1904, გვ. 255.

[4] «СМПЭБГКЗК», т. II, გვ. 406.

[5] «МДИЭБГКЗК», т. I, 1893, გვ. 447.

წყისში გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი არჩევდა იჯარა გადაეხადა ფულად, ნაცვლად ნატურისა[1].

გორის მაზრაში 80-იან წლებში ფულადი რენტა დესეტინა სახნავ მიწაზე საშუალოდ შეადგენდა: დაბალი ხარისხის მიწაზე —3 მანეთს, საშუალო ხარისხისაზე — 5 მანეთს და მაღალი ხარისხის მიწაზე — 8 მანეთს[2].

900-იანი წლების დასაწყისში ამიერკავკასიაში სოფლად საიჯარო გადასახადი[3] ძირითადად ნატურალური იყო[4]. შემდეგაც, მიწის საიჯარო ქირის პროდუქტის სახით გადახდა გაბატონებულ ფორმას წარმოდგენდა თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე[5].

მდიდარი გლეხები მიმართავდნენ იჯარას ხანგრძლივი ვადით. თვით ხიზნების ზედა ფენა ხშირად მიწას 6 წლის ვადით იღებდა, რისთვისაც ფულად რენტას იხდიდა დესეტინა სარწყავ მიწაზე დაახლოებით 5 მანეთს, ურწყავზე — 3—4 მანეთს.

1903 წელს სახნავ მიწებზე ფულადი რენტა შეადგენდა:

ბორჯომის უბანში დესეტინაზე—3 მან. და 50 კაპიკიდან	4 მ. 50 კაპ.-მდე
სურამის	10 მანეთამდე,
ხიდისთავის	6 მანეთამდე,
ცხინვალის	6 მანეთამდე.

ხიდისთავის უბანში დესეტინა ვენახზე რენტა 50—80 მანეთს უდრიდა, ხეხილის ბაღზე კი 60—100 მანეთს. ეს აიხსნება ხეხილის ბაღების მეტი შემოსავლიანობით.

---

[1] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, 1904, გვ. 247.

[2] В. Геевский, Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887, გვ. 40

[3] როცა მივუთითებთ, რომ თვით XX საუკ. დასაწყისშიც კი სოფლად მიწის საიჯარო ქირის პროდუქტებით ან შრომამიგებით ფორმას უპირატესი ადგილი ეკავა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ შემთხვევაში საიჯარო ურთიერთობანი, ერთი მხრით, გლეხებსა და მემამულეებს შორის და, მეორე მხრით, ღარიბსა და მდიდარ გლეხებს შორის; რაც შეეხება სახაზინო მიწების რენტას, ეს უკვე XIX საუკ. შეახანებიდან ფულადი სახით იყო გაბატონებული.

[4] Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, 1904, გვ. 266.

[5] პ. გუგუშვილი, აგრარული ურთიერთობანი ამიერკავკასიაში XIX—XX სს. მიჯნაზე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 42-

მაზრაში ფულადი რენტის ზრდა, განსაკუთრებით გადასახადების ახალი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, შეიმჩნევა 1901 წლიდან. მაგალითად, ხიდისთავის უბანში ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებამდე სპეჯარო ფასი უდრიდა: ერთ დესეტინა სარწყავ მიწაზე — 3 მანეთს, ვენახზე 30—60 მანეთს, ხილის ბაღზე — 40—90 მანეთს; შემოღების შემდეგ (1903წ.): სარწყავზე — 6 მანეთს, ვენახზე 50—80 მანეთს, ხილის ბაღზე 60—100 მანეთს[1].

საერთოდ კი საიჯარო ნატურალური გადასახადი მერყეობდა მოსავლის $1/2$-მდე, ხოლო ფულადი — დესეტინაზე 10 მანეთამდე[2].

იჯარით იღებდნენ არა მარტო სახნავ-სათეს მიწებსა და ბაღ-ვენახებს, არამედ საძოვრებსაც. საძოვრების რენტა უმთავრესად ფულადი სახისა იყო. ამ ფულად რენტას „საბალახო“ ეწოდებოდა. საგადასახადო ერთეულად მიღებული იყო პირუტყვის სულადობა. მსხვილფეხა საქონლის თითოეულ სულზე გადასახადი საზაფხულო საძოვრებზე უდრიდა 5—60 კაპ., საზამთროზე კი 5 კაპ-დან 2 მანეთამდე. წვრილფეხა საქონლის ერთ სულზე საძოვრის გადასახადი აღწევდა 2 კაპიკიდან 20 კაპიკამდე. საძოვრებს იჯარით იღებდნენ ცალკეული მეურნეები[3]. ასეთები იყვნენ მდიდარი გლეხები, რომელთაც მრავალი სული პირუტყვი ჰყავდათ. ამ დროს მეცხოველეობა სავაჭრო ხასიათს იღებდა და უკავშირდებოდა ბაზარს. ამის მაჩვენებელი იყო ფულადი რენტა საძოვრებისათვის, რაც გულისხმობდა სასაქონლო წარმოებისა და, მასთან ერთად, ფულის მიმოქცევის მაღალ განვითარებას.

ქართლში იჯარის ორი ძირითადი სახე გვხვდებოდა: გლეხური (სასურსათო) და კაპიტალისტური.

გლეხური იჯარა შრომამიგებითი სისტემის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენდა და გულისხმობდა გლეხთა ძირითადი მასის კაბალას მემამულეთა მიერ. გლეხური იჯარა ძირითადად ნატურალურ ხასიათს ატარებდა და ვლინდებოდა მიწის სანახევრო გაცემასა („მონახევრეობა“) და შრომამიგებაში.

კაპიტალისტური ხასიათის იჯარა ვითარდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებასთან დაკავშირებით. ამ დროს გლეხო-

---

[1] Г. Зерцалов, Юбилей крестьянской реформы в Тифлисской губернии, Тифлис, 1914, გვ. 11 — 12.

[2] Свод трудов местных комитетов по Кавказу, области Войска Донского, Сибири, Степному краю и Туркестану, Составил А. А. Кауфман, С-Петербург, 1904, გვ. 432.

[3] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, გვ. 10.

ბის ზედა ფენები მიმართავენ მიწის იჯარით აღებას, აგრეთვე, ღარიბი თანასოფლელებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი იჯარით იძლევიან მიწას, თვითონ კი უმეტეს შემთხვევაში საშოვარზე წასვლით ირჩენენ თავს (მოჯამაგირეები, სეზონური მუშები, ქალაქად წასული გლეხები და სხვ.).

მიწაზე კაპიტალისტურ საიჯარო ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განმტკიცებისა და გლეხობის დაშლის საქმეში. „მიწის იჯარა უფრო მარჯვეც არის წმინდა კაპიტალიზმისათვის, ბაზართან ყველაზე სრული, თავისუფალი, „იდეალური“ შეგუებისათვის, ვიდრე მიწის საკუთრება“[1].

მიწის იჯარას მიმართავს ღარიბი გლეხი, რათა თავისი ფიზიკური არსებობა გადაირჩინოს. მიწის იჯარას მიმართავს შეძლებული გლეხობა საწარმოო მიზნით, მიწის ყიდვისა და პროდუქტების გაყიდვის მიზნით. სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა უფრო და უფრო დამკვიდრებასთან ერთად მიწას იჯარით იღებს უმთავრესად სოფლის ბურჟუაზია, იჯარით აძლევენ მემამულეები და, ნაწილობრივ, ღარიბი გლეხები — გლეხური პროლეტარიატი. იგი თავისი სამუშაო ძალის გაყიდვასთან ერთად შემოსავალს იღებს თავისი საკომლო (სანადელო) მიწის იჯარით გაცემის გზით.

რეფორმის შემდეგ სოფლის მეურნეობა, აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ, გორის მაზრაში კერძოდ, შედარებით ნელი ტემპით ვითარდება, ის ე. წ. პრუსიული გზით მიდის. კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას ხელს უშლის ბატონყმობის ძლიერი ნაშთები, რომელთა ხანგრძლივ შენარჩუნებასაც ხელს უწყობენ პრივილეგიური კლასები და სახელმწიფო ხელისუფლება.

კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად ორი გზა ჰქონდა. ერთი გზა გულისხმობდა ძველ, საბატონო-მემამულურ მეურნეობათა თანდათანობით გარდაქმნას კაპიტალისტურ მეურნეობებად. მეორე გზა — ძველი, საბატონო-მემამულური მეურნეობების დამსხვრევა რევოლუციური საშუალებით. ეს გზა გულისხმობდა საწარმოო ძალთა სწრაფ განვითარებას. ამ გზით წავიდნენ, მაგალითად, საფრანგეთი და აშშ. პირველი გზა კი განვითარების მტანჯველი სიძნელეებით აღსავსე გზა იყო. ამ გზით დაიწყო კაპიტალიზმის განმტკიცება ისეთ ქვეყნებში, როგორიც იყო რუსეთი, გერმანია, იტალია, იაპონია და სხვა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 164.

საქართველომაც მთელ რუსეთთან ერთად სოფლად კაპიტალიზმის განვითარება რეფორმის გზით დაიწყო. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოში და, კერძოდ, გორის მაზრაში განვითარება მიმდინარეობდა მეტი შეფერხებებით, უდიდესი ზიგზაგებით, უაღრესად ნელი სვლით. ყოველივე ეს გაპირობებული იყო ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობით, ბატონყმობის ძლიერი ნაშთებით, კოლონიური მდგომარეობით. პირველი გზა აფერხებდა განვითარებას, მეორე გზა აჩქარებდა განვითარების მსვლელობას.

საგლეხო რეფორმამ თბილისის გუბერნიაში კი არ შეცვალა მეურნეობის ძველი ბატონყმური სისტემა უკეთესით, არამედ გააძლიერა ყოფილ ყმა გლეხთა ეკონომიური კაბალა.[1]

გლეხთა ძველი იურიდიული კატეგორიების ძალაში დატოვება, მიწის გამოსყიდვის განსაკუთრებული პირობები, უდიდესი გადასახადები სახელმწიფოსა და მემამულეთა სასარგებლოდ, კოლონიური რეჟიმი—აი, ის პირობები, რომელნიც წარმოსახავდნენ კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის ყველაზე უარეს ვარიანტს.

რეფორმის შემდეგ სოფლად ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდება ფულადი რენტის როლი. XIX საუკუნის ბოლოს გლეხთა შორის ჯერ კიდევ უპირატესობა ნატურალურ რენტას ჰქონდა. 900-იანი წლებიდან კი ფულადი რენტა (მიწის იჯარა ფულზე) თანდათან მეტ მნიშვნელობას იძენს. ამავე დროს რენტის ამ ისტორიულად წარმავალი ფორმების ადგილს კაპიტალისტური რენტა იჭერს. ფულადი მეურნეობის განვითარება, ბაზრის როლის ზრდა ჰქმნის პირობებს გლეხობის არა უბრალო დიფერენციაციისთვის, არამედ მისი კლასობრივი დაშლისთვის. სასაქონლო მეურნეობის ზრდა ნიადაგს აცლის შრომამიგებით სისტემას, რომელიც დამოკიდებულია ნატურალურ მეურნეობაზე, ტექნიკის ჩამორჩენილობაზე, მემამულისა და გლეხის განუწყვეტელ კავშირზე.

5. მიწების კონცენტრაცია გლეხობის უვიცრესობის ხელში

რეფორმის შემდეგ სოფლად უფრო სწრაფად მიდის ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება. მიწა საქონლად იქცევა და ყველა ცდილობს ხელში ჩაიგდოს იგი, რათა მიწათმოქმედებიდან მიღებული პროდუქტები ფულად აქციოს. მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ მიწას ხელში ვინ ჩაიგდებს. გორის მაზრაში თავადაზნაურობამ რამდენიმე მამული მოაწყო კაპიტალისტური წე-

[1] Орест Семин, Великая годовщина, Киев, 1911, ss 32—33.

სით (ივანე სულხანიშვილისა ტირძნისში, კონსტანტინე (კოსტა) ამირეჯიბისა — ავლევში, სანდრო მაჩაბლისა — ქურთაში, ისაია ფურცელაძისა — მერეთში და სხვ.); დანარჩენი მამულები უმთავრესად ძველებური წესით, გლეხთა ინვენტარითა და მუშა საქონლით იწარმოებოდა. თავადაზნაურობის უმრავლესობას არც უნარი და არც სურვილი არ აღმოაჩნდა მამულების გაძღოლისა. იგი დაადგა თავისი მიწების დაგირავებისა და გაყიდვის გზას. ამ მიწების დიდ ნაწილს შეძლებული გლეხები იგდებდნენ ხელში. დიდი მნიშვნელობისაა გლეხთა ახალი კატეგორიის, მესაკუთრე გლეხების კატეგორიის შექმნა. რა თქმა უნდა, ყველა მესაკუთრე გლეხი შეძლებულ, მდიდარ გლეხად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ მაინც ეს კატეგორია წარმოადგენდა უმთავრესად იმ ფენას, რომელიც საფუძველს უქმნიდა კულაკურ მეურნეობებს. მაგრამ შეძლებული გლეხები მხოლოდ ამ ფენას როდი ეკუთვნოდნენ. ახალი სოციალურ-ეკონომიური კავშირ-ურთიერთობები წარმოადგენდა ისეთ გარემოს, როცა კულაკური მეურნეობა შესაძლებელი იყო შექმნილიყო სხვა ფენებიდანაც, პირველ რიგში მიწის იჯარით აღებაზე დაყრდნობით.

თბილისის გუბერნიაში უკვე 1876 წლის 1 იანვრისათვის დროებითვალდებულთაგან მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასული იყო 1220 კომლი. მათ ჰქონდათ 5467 დესეტინაზე მეტი მიწა. 1877 წლის 1 იანვრისათვის მესაკუთრე გლეხთა რიცხვი 1287 კომლს აღწევდა, მათ ხელში იყო 5684 დესეტინა მიწა[1].

XX საუკუნის დასაწყისისათვის გორის მაზრაში დაახლოებით 480 კომლ სხვადასხვა კატეგორიის გლეხს (რაც მთელი რაოდენობის თითქმის 2,5%-ს უდრის) სარგებლობაში ან საკუთრებაში ჰქონდა თითქმის 12000 დესეტინა მიწა. ეს შეადგენდა გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწის მთელი რაოდენობის 23%-ს (მთელი მიწის რაოდენობა შეადგენდა 51992 დესეტინას).

1873 წლის კამერალური აღწერით მესაკუთრე გლეხებს უმთავრესად ბარის სოფლებში ეხვდებით. მესაკუთრე გლეხთა შორის სახელმწიფო გლეხებიც არიან. მაგალითად, სოფ. აღაიანში მცხოვრებ 66 კომლიდან 11 კომლი მესაკუთრე იყო. მათ საკუთრებაში მყოფი მიწიდან 0,25 დესეტინიანი მიწის ნაკვეთები ჰქონდა —7 კომლს, 0,5 დესეტ. —1 კომლს, 2—3 დესეტ. —1 კომლს, 3—4 დესეტ. — 1 კომლს, 9—10 დესეტ.—1 კომლს. სოფ. ახალსოფელში 55

[1] საქ. ცსსა, ფონდი 5, საქმე 3975, ფურც. 11, 1877 წ.

კომლიდან საკუთარი მიწა ჰქონდა 8 კომლს. მათგან 0,50 დესეტინიანი მიწის ნაკვეთი — 2 კომლს, 1 დესეტ. — 1კომლს, 4—5 დესეტ. — 2 კომლს, 9—10 დესეტ. — 3 კომლს. 5—6 დესეტ. მიწა ჰქონდათ ზემო ხანდაკში 2 კომლს, მარანაში — 1, სასირეთში —3, ხიდისთავში — 2, შინდისში — 3 კომლს.

6—7 დესეტინიანი მიწა ჰქონდათ: ზერტში — 1 კომლს, მეტეხში — 1, სვენეთში — 4, თელათგორში — 1, ხელთუბანში —1, წინარეხში — 2, შინდისში — 2 კომლს.

7—8 დესეტინიანი მიწა ჰქონდათ: პატარა გარეჯვარში —1 კომლს, მეტეხში — 2 კომლს.

8—9 დესეტ.: არაშენდაში — 1, პატარა გარეჯვარში — 1, კეტვში — 1, ხიდისთავში — 1, წინარეხში — 1 კომლს.

9—10 დესეტ.: აღაიანში — 1, ახალსოფელში — 3, ზერტში — 1, კოდის წყაროში — 1, კავთისხევში — 1 კომლს.

10—20 დესეტ.: ახალუბანში — 1, დვანში —1. ზემო ნიქოზში — 3, კოდისწყაროში — 1, სასირეთში — 1 კომლს.

20 დესეტინაზე მეტი თითოეულს — კოდისწყაროში 2 კომლს.

38 სოფელში, სადაც 1606 კომლი ცხოვრობდა. საკუთარი მიწა ჰქონდა 547 კომლს, ე. ი. დაახლოებით 1/3, მათგან მიწათმფლობელობის მიხედვით: 0,25 დესეტინიანი მიწის ნაკვეთების მქონე იყო 94 კომლი; 0,50 დესეტ.—90; 1 დესეტ.—88; 1—2 დესეტ.—105; 2—3 დესეტ. — 73; 3—4 დესეტ. —34; 4—5 დესეტ.—13: 5—6 დესეტ.—11; 6—7 დესეტ. — 15; 7—8 დესეტ. — 3; 8—9 დესეტ. — 5; 9—10 დესეტ. — 7; 10—20 დესეტ. — 7; 20 დესეტინაზე მეტის მქონე 2 კომლი.[1]

მაზრის 19 სოფელში (აბისი, ატენი. ახალქალაქი, ბეღლეთი. ბრეთი, ბულბულისციხე, დგვრისი, ქარელი, ქვიშხეთი. დიდი მეჯვრისხევი, პატარა მეჯვრისხევი, მერეთი, მეტეხი, რუისი. თამარაშენი. ტაშისკარი, თიღვა, ტირძნისი, ერედვი) 900-იანი წლების დასაწყისში მესაკუთრე გლეხთა 564 კომლი იყო, მათგან საკუთარი მიწა ჰქონდათ: თითო დეს-მდე 362 კომლს, 1—2 დესეტ. — 81-ს, 2—3 დესეტ.—56 კომლს, 3—5 დესეტ.—40-ს, 5—7,5 დესეტ.—15-ს, 7,5—10 დესეტ. — 3 კომლს. 10—15 დესეტ. — 3-ს, 20—30 დესეტ. — 4 კომლს. ვენახები ჰქონდა 452 კომლს, აქედან: 1/16 დესეტინიანი ვენახების მეპატრონე იყო 77 კომლი, 1/16—1/8 დესეტ. — 109. 1/8—1/4

[1] «МДИЭБГКЗК». т. VI. ss. 157 — 158.

დესეტ.—125, 1/4—1/2 დესეტ.—99, 1/2—3/4 დესეტ. — 28, 3/4—1 დესეტ. — 8, 1—1 1/2 დესეტ. — 6 კომლი[1].

მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრე გლეხთა უმეტესობას მცირე ნაკვეთები ჰქონდა, მაინც გლეხთა ამ ფენის გამოყოფა ნიშნავს ბურჟუაზიული საკუთრების განმტკიცებას სოფლად. მესაკუთრე გლეხთა ფენა შედარებით სწრაფად იზრდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 900-იან წლებში მარტო 19 სოფელში 564 კომლი მესაკუთრე გლეხი იყო (სულ მაზრაში 2000 კომლამდე) მაშინ, როცა 1860 წელს ერთადერთი მესაკუთრე კომლი იყო.[2]

კაპიტალისტური მეურნეობის ბატონობის პირობებში წვრილი საკუთრება საწარმოო ძალების განვითარებას აფერხებს, რადგან ეს საკუთრება წარმოების მუშაკის მიწის წვრილ ნაკვეთზე მიჯაჭვას ახდენს. ეს აძნელებს სავაკრო ბრუნვაში მიწის ჩაბმას, ტექნიკა კვლავ ჩამორჩენილი რჩება.

სოფლად, შრომამიგების ბატონობის პირობებში, წვრილი საადგილმამულო საკუთრება პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. ის თავისუფლდება შრომამიგებისაგან, რითაც წინ მიჰყავს საწარმოო ძალების განვითარება, ათავისუფლებს გლეხს მემამულის კაბალისაგან. მეორე მხრით, მიწის გლეხთა საკუთრებაში გადასვლა მემამულეებს აიძულებს, იზრუნონ მოწინავე ტექნიკის გამოყენებაზე. ადვილდება მიწის სავაკრო ბრუნვაში ჩაბმა.

მესაკუთრე გლეხობა ცდილობს საკუთარ მიწაზე მოაწყოს ინტენსიური მეურნეობა, პირველ რიგში, ძვირფასი სპეციალური კულტურების გაშენების ხარჯზე. მაგალითად, თბილისის გუბერნიაში 1895—1900 წლებში გამოკვლეული იმ კომლებიდან, ვისაც მიწა ჰქონდა გამოსყიდული, 165 კომლს გორის მაზრაში საკუთარ მიწაზე ხილის ბაღები ჰქონდა გაშენებული. ამის შესახებ მიმომხილველი აღნიშნავდა: „საკუთარი მიწის ექსპლოატაციის ყველაზე გავრცელებულ სახეს მეხილეობა წარმოადგენს“[3].

საკომლო (სანადელო) მიწათმფლობელობა გლეხების ცალკეულ ჯგუფებს მკვეთრად არ განასხვავებდა. შემდგომში გლეხთა ერთი ნაწილის მიერ მიწის დიდი ფართობების ხელში ჩაგდება, მისი ყიდვისა თუ სხვა საშუალებით, სურათს მკვეთრად ცვლის. თანდათან გლეხ-

---

[1] «ССССОЧЗТКГ», გვ. 446 — 447.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 2313, ფურც. 138, 1873 წ.

[3] И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе, Журн. „Русская мысль“, книга VII, 1902, გვ. 131 — 132.

თა მიწების ძირითადი ფონდი მდიდარ გლეხობას უვარდება ხელში, ე. ი. ხდება მიწების კონცენტრაცია გლეხური ბურჟუაზიის ხელში; აუცილებლივ საჭირო ხდება დაქირავებული შრომის გამოყენება მეურნეობის საწარმოებლად. მიღებულ პროდუქტთა რაოდენობა კი გაცილებით აღემატება ოჯახის უშუალო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო რაოდენობას და ეს პროდუქტები ბაზარზე გადის. ცალკეული გლეხები მიწის დიდ რაოდენობას უყრიან თავს. 90-იან წლებში მაზრაში 20 დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდათ. მაგალითად: თეიმურაზ მედოშვილს (სოფ. ნიგოზა) 61 1/2 დესეტინა მიწა, გიორგი მურაზაშვილს (სოფ. დირბი) — 25, ზაქარია ნოზაძეს (სოფ. ახალუბანი)— 20 1/2, გიგო ფალელაშვილს (სოფ. ხელთუბანი) — 25 1/2, სოსო პატარაშვილს (სოფ. ფხვენისი) — 25 1/4, პეტრე სამუკაშვილს (სოფ. დიდი მეჯვრისხევი) —55, იოსებ თანდიაშვილს (სოფ. ხელთუბანი) — 50, მიხეილ ტატიშვილს (სოფ. ახალდაბა) — 25, დათო წრიალაშვილს (სოფ. შამბიეთი) — 50, ბეწინა, გიორგი და გაბრიელ ბექაურებს (სოფ. შუბათი) — 86, ზაქარია ბერიაშვილს (სოფ. ყარაღაჯი) — 30, გედევან გაგლოშვილს (სოფ. კოშკა) — 100, სოლომონ გოგიჩაშვილს (სოფ. ქარელი) — 163, გიგო ყიყილაშვილს (სოფ. კავთისხევი)—25 1/4, ალექსი ზაზიკაშვილს (სოფ. წრომი) — 200, პავლე კიკნაძეს (სოფ. ტეზერი)—26, იორდანე კობახიძეს (სოფ. დვანი) — 45, ზაქარია გუგუტიშვილს (სოფ. კულბითი) — 51, აბრამ ბეგიაშვილს (სოფ. დიდი მეჯვრისხევი) — 700 დესეტინა (აქედან 200 დესეტინა სახნავი და 500 დესეტინა ტყე) და სხვ.[1]

ბატონყმობის ძლიერი ნაშთები, საგლეხო საქმეთა მემამულური დაწესებულებანი ხელს უშლიდნენ სოფლად გლეხთა საკუთრებაში მიწის გადასვლის საქმეს. ნაბატონარმა გიორგი ჯავახიშვილმა სოფ. ყარაღაჯის მცხოვრებთ, დროებითვალდებულ გლეხებს ზაქარია, ივანე, ანდრია, სოლომონ, დავით, რამაზ, მიხეილ და ალექსი პაპინაშვილებს 1871 წ. წაართვა მათი საკუთარი მიწის რამდენიმე ნაკვეთი. მიუხედავად ამისა, რომ მიწის ნასყიდობაზე შესატყვისი საბუთები არსებობდა, მაინც საგუბერნიო საკრებულომ მიწა მემამულის განკარგულებაში დატოვა. საქმე რამდენჯერმე იქნა განხილული. დავა 1871 წლიდან 1884 წლამდე გრძელდებოდა და გლეხების დამარცხებით დამთავრდა[2].

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 20822, ფურც, 428 — 646, 1894 წ.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 220. საქმე 945, 1871 — 1884 წწ.

გორის მაზრის სოფ. ყანჩავეთის მცხოვრები გლეხები გრიგოლი, გიორგი, ელიოზა და სოსია ტატუნაშვილები მეფისნაცვალს 1871 წელს სწერდნენ: დებულებაში ნათქვამია, რომ „გლეხები მთელი თავიანთი მოძრავი ქონების, აგრეთვე მათ მიერ ნამდვილი შესყიდვით ან სხვა კანონიერი საშუალებებით შეძენილი უძრავი ქონების სრულ მესაკუთრეებად ხდებიან“[1], ამიტომ ჩვენ მიერ ნასყიდი პატარ-პატარა მიწის ნაკვეთები და პატარა ბაღი, რომლებსაც მემამულე რატიშვილები გვართმევენ, გთხოვთ საკუთრებაში დაგვიტოვოთო. გლეხთა მოწყობის კომიტეტმა, განიხილა რა ეს საკითხი, აღნიშნა, რომ ტატუნაშვილებმა ჯერ კიდევ 1867 წელს მიმართეს საკრებულოს რატიშვილების მიერ მათი შევიწროვების თაობაზე. საგუბერნიო საკრებულომ გლეხებს თხოვნაზე უარი უთხრა 1876 წელს. იმავე წელს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო თბილისის გუბერნატორს ატყობინებდა — გლეხებმა აქ კიდევ შემოიტანეს საჩივარი — ან საკრებულოს დადგენილება გააუქმეთ, ან ჩვენი საკუთარი მიწები ნადელში მაინც მოგვეციოთო. გთხოვთ განუმარტოთ გლეხებს, რომ ჩვენ არავითარი განკარგულების გაცემა არ შეგვიძლიაო — წერდა სამმართველოს უფროსის მოადგილე გენერალი სტაროსელსკი[2].

გორის მაზრის სოფ. ტეზრის დროებითვალდებულმა გლეხებმა 16 კომლის რაოდენობით (200 სული „ორივე სქესისა) გვარად ჩიტიაშვილებმა და ბეროზაშვილებმა წერილობით მიმართეს მეფისნაცვალს 1878 წლის 13 მარტს: „ხელმწიფეე, ჩვენ მოტყუებული და კვლავ დამონებული ვართ“[3]. 1876 წლის ნოემბერში სურამის სამომრიგებლო განყოფილებაში ჩვენი ნაბატონარის ივანე აბაშიძის ვალის გამო (თვითონ აბაშიძე დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა) საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა ყველა ჩვენი საკარმიდამო ნაკვეთები, სახნავი მიწები, ვენახები, ხეხილის ბაღები და სხვ. ეს რომ გავიგეთ, მივედით ჩვენც, რათა ჩვენივე ქონება გვეყიდნა და მესაკუთრე გლეხებად გავმხდარიყავით. იქ დაგვხვდნენ თავადი დიმიტრი აბაშიძე (მომრიგებელი შუამავლის თანამდებობის კანდიდატი) და აზნაური გიგო ყიფიანი (რომელიც იყო კრედიტორ ზუბალოვის რწმუნებული). აბაშიძემ და ყიფიანმა გლეხებს ურჩიეს ვაჭრობაში არ ჩაბმულიყვნენ, რადგან „მამულებს ისე ძვირად დააფასებენ —

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 112, ფურც. 8 — 9, 1871 — 1876 წწ.
[2] იქვე, ფურც. 43, 1871 — 1876 წწ.
[3] იქვე, საქმე 499, ფურც. 5, 1878 წ.

თქვენ ვერ შესწვდებით, ეს საქმე ჩვენ მოგვანდეთ — თქვენთვის ჩვენ შევისყიდითო". გლეხებმა ნდობა არ გამოუცხადეს ყიფიანს როგორც კრედიტორის რწმუნებულს, ხოლო აბაშიძეს, როგორც მომრიგებელი შუამავლის თანამდებობის კანდიდატს. ენდნენ და გასამრჯელოსაც შეპირდნენ 800 მანეთის რაოდენობით. აბაშიძის რჩევით გლეხები ეაჭრობას არ დასწრებიან. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ გლეხების ადგილ-მამული აბაშიძის შვილისა და ყიფიანის ძმის სახელზე იყო შეძენილი.

გლეხები მეფისნაცვალთან ჩიოდნენ: „უბრძანე, ხელმწიფევ, ეამოიკვლიონ ეს გარემოება განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით და დაგვიხსენი მუდმივი ტანჯვისაგან. ჩვენი მამულ-დედული გაყიდულია მოტყუებით! ჩვენ ყველაფერს მოკლებული ვართ! დაგვეხმარე, ხელმწიფევ — ბრწყინვალე ზეო ჩვენო, რადგან შენა ხარ სიმართლისა და მართლმსაჯულების მფარველი"[1].

საგუბერნიო საკრებულომ განიხილა საქმე და დაასკვნა: „თავადი დიმიტრი აბაშიძე არ ითვლება მომრიგებელი შუამავლის კანდიდატად"[2]. რაც ეცნობოს მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსსო. უკანასკნელმა კი (გენერალმა სტაროსელსკიმ) აცნობა გუბერნატორს. რადგან საჩივარი ეხებოდა კერძო პირებს, თითქოს ამიტომ „მათი (ე. ი. გლეხების. ი. უ.) საჩივრის გამო მთავარი სამმართველოს ხაზით არავითარი განკარგულების გაცემა არ შეიძლებაო"[3].

სოფ. ქსუისის მცხოვრები დროებითვალდებული გლეხი ანდრია ჯავახი მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ თხოვნაში 1871 წლის 15 ოქტომბერს წერდა: „მე მივმართე და შევაწუხე თქვენი იმპერატორებითი დიდებულება 27 ნოემბერსა 1867 წელში. რომელიც მე ბაქვს კეთილშეძინებული შინაურულის წერილით ვენახი, სახლკარი და წისქვილი სოფელს ქსუისში მდებარე რომელსა მედავებიან ჩემი ნაბატონარის აზნაურის რევაზ უთნელიშვილის ობლები". თქვენ ეს ჩემი თხოვნა გადაგიციათ საგუბერნიო საკრებულოსათვის, იმას კი I განყოფილების მომრიგებელი შუანავლისათვის. „და დამიფასეს მოხსენებული ჩემს კეთილშეძინებულს მამულში დადებულნი ამაგნი ათს თუმნათა არა ჩემის მოყვანილის კაცითა, არამედ თავიანთის

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 499, ფურც. 6, 1878 წ.
[2] იქვე, ფურც. 7.
[3] იქვე.

აშორჩეულის კაცებითა. რომელიც ამაგნი ჩემნი არიან არა ათის თუმნის ღირებულნი არამედ ხუთის იმტენის ზომისა". შემდეგ გლეხი ჩივის: „მე ვიყავი მქონებელი ორმოცის დღისაზედ უმეტესის სახნავის მამულის და არც მაძლევს ნადელში იმ ჩემს კეთილ შეძინებულს მამულსა და არც მე მასყიდინებენ". ბოლოს ეს გლეხი თხოულობს აღნიშნული მიწების ან „ნადელის" სახით მიღებას, ან შესყიდვის ნებართვას[1].

საგუბერნიო საკრებულომ გლეხს თხოვნაზე უარი უთხრა, მაგრამ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი თბილისის გუბერნატორს მაინც სწერდა — რადგან ობლების მეურვეები თანახმა არიან, შეიძლება გლეხს ნება დაერთოს, რომ მიწა საკუთრებაში შეისყიდოს ან „ნადელში" ჩაითვალოსო[2].

გორის მაზრაში იყო შემთხვევები, როცა გლეხთა საკუთრებაში არსებულ მიწებს დამატებით ბეგრავდნენ. მეჯვრისხევის უბნის სოფ. ჯარიაშენის მცხოვრები დროებითვალდებული გლეხები დავით, ბესარიონ, მიხეილ და ისაკ გოგიაშვილები, ალექსი ფარნიაშვილი, მიხეილ და ვლადიმერ კაპანაძეები, ივანე დემეტრაშვილი და გრიგოლ ნატრიაშვილი ჩივიან, ჩვენ გვაქვს არა სანადელო, არამედ საკუთარი მიწები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენს მამებს ჰქონდათ შეძენილი. ახლა კი შემოგვაწერეს საადგილმამულო გადასახადი 4 მან. და 95 კაპ., აგრეთვე საგუბერნიო და სახელმწიფო საეროო ბეგარა, რაც ერთად 43 მან. და 57 კაპ. შეადგენს. თუმცა იმ ვალდებულებებს, რაც ჩვენ გვაკისრია, ვიხდით ხაზინაში, რასაც ხაზინის ქვითრები მოწმობსო[3].

ზოგჯერ ქართლში. გლეხის უფლებას მიწის საკუთრებაზე არ სცნობდნენ. ასე იყო, მაგალითად, სოფ. წინარეხში, სადაც მესაკუთრე გლეხები სოსიკა და გაბრიელ მკედლიშვილების საკუთარი მიწები შეტანილ იქნა საწესდებო სიგელში, როგორც მემამულე ესტატე თარხანმოურავის საკუთრება[4].

მაზრაში გლეხებმა 1864 წლიდან 1888 წლამდე გამოისყიდეს 8090 დესეტინა მიწა. გარდა ამისა, მათ მიერ 1879—1888 წლებში ნაყიდი იყო 2088 დესეტინა მიწა, ხოლო 3 წლის განმავლობაში (1895—1897 წწ.) — 1449 დესეტინა.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 111, ფურც. 1ᲒᲐ, 1871 — 1872 წწ.
[2] იქვე, ფურც. 19 — 20.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 9900, ფურც. 1 — 2, 1906 წ.
[4] საქ. ცსსა, ფონდი 220, საქმე 375, ფურც. 1 — 2, 1875 წ.

მასალების უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ გლეხთა კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის რაოდენობა. ამასთან, სავარაუდებელია, რომ XIX საუკ. ბოლოსათვის ასეთი 11700 დესეტინა მაინც იქნებოდა. ამ დროს მაზრაში მესაკუთრე გლეხთა 1934 კომლი იყო. ამათგან 1237 კომლი მხოლოდ თითო დესეტინამდე მიწას ჰფლობდა, ე. ი. გამოსყიდული და ნასყიდი მიწის დიდი ნაწილი მხოლოდ მესაკუთრეთა უმცირესობას ეპირა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დაბრკოლებებისა, მდიდარი გლეხები მაინც ასერხებენ მიწის მნიშვნელოვანი ფონდის ხელში ჩაგდებას.

შეძლებულ გლეხს მეტი რაოდენობით გააჩნდა არა მარტო მიწა, არამედ ინვენტარი და მუშა პირუტყვი. ეს მას საშუალებას აძლევდა დაემუშავებინა თავისი კუთვნილი მიწები და აგრეთვე იჯარით. „ჩალის ფასად" აეღო მიწა სოფლის მცირემიწიანი გლეხებიდან, რომელნიც მოჯამაგირეობას ეწეოდნენ, ან მუშაობდნენ ქალაქში და რკინიგზაზე.

მიწების დიდი რაოდენობით დაგროვება ცალკეულ გლეხთა ხელში გლეხური ბურჟუაზიის გაჩენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

6. საგადასახლებო მოძრაობა

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „საგადასახლებო მოძრაობის განვითარება დიდად უწყობს ხელს გლეხობის. განსაკუთრებით კი მიწათმოქმედი გლეხობის დაშლას"[1].

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკ. II ნახევარში, განსაკუთრებით კი რეფორმის შემდგომ, ამიერკავკასიაში დიდად გაიზარდა არამიწათმოქმედი მოსახლეობის რაოდენობა. ქალაქებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაბების მოსახლეობა, შედარებით სოფლის მოსახლეობასთან, სწრაფად იზრდება. ეს ხდება უმთავრესად მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის შედეგად. სოფლის მცხოვრებნი, განსაკუთრებით მისი ეკონომიურად დაბალი ფენები. გადადიან ქალაქში. მაგრამ გარდა ქალაქებში გადასახლებისაკენ ძისწრაფებისა, გლეხებს შორის შეიმჩნევა ლტოლვა სხვა სამიწათმოქმედო რაიონებისაკენ. ახალ მიწებზე დასახლებისაკენ. ამასთან, ეს ლტოლვა უმეტეს შემთხვევაში განხორციელებას ვერ პოულობდა, რადგან ამიერკავკასიაში ნაკლებად იყო აუთვისებელი მიწები, თუმ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 198.

ცა. ესეც რომ არ ყოფილიყო, თავისუფალ სახაზინო მიწებზე დასახლების უფლება ქართველ გლეხებს არ ჰქონდათ; შავი ზღვის სანაპიროები კი მეფის დიდმა მოხელეებმა გაიყვეს[1]. როგორც ჩანს, შემდგომ ქართველ გლეხებს ყარაიას ველზე დასახლების უფლება მაუღლიათ, მაგრამ იქაური კლიმატური პირობების გამო გორელი გლეხებიდან იშვიათად თუ ვინმე სარგებლობდა ამ უფლებით[2].

გლეხების ერთი ნაწილი იძულებული იყო ჩრდილო კავკასიაში გადასულიყო, სადაც 900-იანი წლების დასაწყისში ქართველ გლეხთა 1600-მდე კომლი იყო. ეს გლეხები ძალიან ვიწროდ ცხოვრობდნენ. ერთი ცნობით, მათგან 14 კომლი ციმბირს მიემგზავრება, იქნებ იქ მაინც ბედმა გაგვიღიმოსო[3].

გლეხთა საგადასახლებო მოძრაობას მეორე მხარეც ჰქონდა. ეს იყო მოძრაობა მთიდან ბარში დასახლებისათვის. ბარისაკენ ისწრაფიან მთიელები, როგორც ქართველები, ისე ოსები[4]. XIX საუკ. დასაწყისიდან იქმნება ოსთა სოფლები ჩრდილო კავკასიის დაბლობზე[5]. ხოლო გორის მაზრის ბარში და მთისპირა ზონაში დასახლების გაძლიერება გარკვევით შეიმჩნევა XIX საუკ. 50-იანი წლებიდან[6], რაც რეფორმის შემდეგ ფართო ხასიათს ატარებს.

კავკასიის მთიელები სახლდებიან უმთავრესად თავადების: ჯავახიშვილების, ციციშვილების, ერისთავების, ფალავანდიშვილების, ამირეჯიბთა მამულებში. სახლდებიან მაზრის სამხრეთ მთიანეთში. XIX საუკ. II ნახევარში მაზრაში შეიქმნა 100-მდე სოფელი[7].

გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები მთიელები, ოსები და ქართველები, ქართლელი თავადების ყმებს წარმოადგენ-

---

[1] И. Джавахов (Джавахишвили), Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., 1906, გვ. 42; გაზ. „ცვალი", 1895, № 25.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 31, საქმე 259, ფურც. 4, 15. 1868 — 1871 წ.; ნ. ლომ ო ურ ი, მოთხრობები, თბილისი, 1951, გვ. 32.

[3] ფ. გ ო გ ი ხ ა ი შ ვ ი ლ ი, შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „მოამბე", 1904, № 1, გვ. 73 — 74.

[4] Свод трудов местных комитетов по Кавказу, области Войска Донского, Сибири, Степному краю и Туркестану, Составил А. Кауфман, С-Петербург, 1904, გვ. 459.

[5] Материалы по истории осетинского народа, т. II. Сборник документов подготовлен В. С. Гальцевым, Орджоникидзе, 1942, გვ. 33; К. Д в о к а е в, Экономическое развитие осетинского крестьянства в пореформенный период (1870 — 1900 гг.). Известия Северо-Осетинского научно-исследовательского Института, т. XI. Выпуск 1. Дзауджикау, 1948, გვ. 3.

[6] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 624, ფურც. 2, 1851 წ.

[7] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 384 — 385, 1900 წ.

დნენ. ერეკლე II-მ თავადებს წაართვა ქსნის ხეობა და იქ მცხოვრები გლეხები სახელმწიფო გლეხებად გამოაცხადა. 1803 წელს მთავარმმართველ პ. ციციანოვის დროს თავად ერისთავების უფლებები ამ მაშულებზე აღდგენილ იქნა და იქ მცხოვრებნი ხელახლა მემამულეთა ბატონყმურ უღელში მოხვდნენ. მაზრის მთიანეთში მცხოვრები ოსების ბატონები იყვნენ, აგრეთვე, თავადი მაჩაბლები და ამილახვრები[1]. სენატის 1851 წლის დადგენილებით მაჩაბლების ოსებმა პირადი თავისუფლება მიიღეს. ამისათვის მაჩაბლებს დაენიშნათ პენსია წლიურად 6000 მან. რაოდენობით; ამასთან, მთელი მიწა მცირედი გამონაკლისით (სახაზინო მიწები) აღიარებულ იქნა მემამულეთა საკუთრებად, რისთვისაც მაჩაბლები მოსავლის 1/10-ს იღებდნენ[2].

მთის მცხოვრებნი საგლეხო რეფორმამ კიდევ უფრო დახლართულ მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე ბარისა. მიწით სარგებლობისათვის მაჩაბლებს, ერისთავებს და სხვა თავადებს მთიელი გლეხები ორმხრივ გადასახადს უხდიდნენ მთელი საკომლოდან და თითოეული ოჯახიდან. 1905 წლის შემდეგ მაჩაბელთაგან ზოგმა გაყიდა თავისი უფლება მთის მცხოვრებლებში გადასახადის აკრეფისა. ეს უფლება იყიდეს ყარაბეგოვმა, ჟირნოვმა, ღამბაროვმა[3]. ამით, რა თქმა უნდა, მთიელების ხვედრი არ გაუმჯობესებულა.

მთის მცხოვრებლები იძულებულნი არიან ეძებონ დასასახლებლად ახალი ადგილები, უმთავრესად ბარსა და მთისძირა ადგილებში. გადასახლების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო როგორც მიწის სიმცირითა და მიწის ნაკლები ნაყოფიერებით, აგრეთვე სათანადო სამიმოსვლო გზების უვარგისობით და, რაც მთავარია, ახალი საზოგადოებრივი პირობებით, რომლებიც ახალ მოთხოვნებს უყენებდა მთიელ გლეხებს. საჭირო იყო გადასახადის გადახდა, მიწის გამოსყიდვა, იაფი საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმის შეძენა. ყოველივე ამას კი ფული სჭირდებოდა. სწორედ ფულადი მეურნეობის განვითარებამ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ გამოიწ-

---

[1] გ. ნაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, ტფილისი, 1932, გვ. 62.

[2] Материалы по истории осетинского народа, Сборник документов подготовлен В. Гальцевым, т. III, 1950, გვ. 12 — 14.

[3] З. Ванети, Социально-экономическое положение крестьян Юго-Осетии накануне революции, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского Института, Выпуск III, Сталинир, 1936, გვ. 223 — 226.

ვია მთის მცხოვრებთა მისწრაფება ბარისაკენ. კავკასიის მთის მცხოვრებთა შორის, XIX საუკუნეში ფეოდალური ურთიერთობების არსებობასთან ერთად, ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემურ-გვაროვნული წყობილების ნაშთები. XIX საუკ. მეორე ნახევრიდან კაპიტალიზმი აშკარად არღვევს მთის კარჩაკეტილობას. მთიელი თავისი ნებისყოფის გარეშე იძულებულია ყველაფერი ბაზრის მოთხოვნილებას დაუქვემდებაროს და ზოგჯერ თავისი ცოლის რძეც კი ბაზარზე გაყიდოს[1].

ხიზანთა რიცხვის ძალზე სწრაფი ზრდა მაზრაში, აგრეთვე, მიუთითებს მთის მცხოვრებთა ბარში ან მთისძირა ადგილებში დასახლების უძლიერეს ნაკადზე.

საგადასახლებო მოძრაობა, რასაც რეფორმისშემდგომ პერიოდში ჰქონდა ადგილი გორის მაზრაში და რომლის ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო სწრაფვა მთიდან ბარისაკენ, იმ დროისათვის პროგრესულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

ბართან შედარებით მთა უფრო მეტად იყო ჩამორჩენილი როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად[2]. ჩამოსახლებამდე მთიელები ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ, ჩამოსახლების შემდეგ კი ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ხვნა-თესვას.

გორის მაზრის ბარში თუ მთისძირა ზონაში სახლდებიან არა მარტო ქართლის კავკასიონის მთიელები — ოსები და ქართველები, არამედ აქ მოდიან სხვა მაზრებიდანაც (მაგალითად, შორაპნის მაზრიდან). ჩამოსახლებულთა უმრავლესობა მემამულეთა მიწებზე ხიზნის უფლებით სახლდება[3].

ჩამოსული მოსახლეობა უახლოვდებოდა ქალაქებსა და დაბებს და აქტიურად ებმებოდა ბურჟუაზიულ ურთიერთობაში, რაც იწვევდა მათ გათვითცნობიერებას. ჩამოსულთა ერთი ნაწილი ეკონომიურად ძლიერ დაწინაურდა; იგი თავის სარგებლობაში მრავალ ათეულ დესეტინა მიწასა და პირუტყვის დიდ რაოდენობას იგდებს ხელში. ჩამოსულთა მეორე და უფრო დიდი ნაწილი უერთდება სოფლის ღარიბთა ფენას. შეძლებული და ღარიბი ფენების გამოყოფის პროცესი თანდათან ძლიერდება.

---

[1] თბილისში ძიძათა $^3/_5$-ს მთიელი ქალები შეადგენდნენ, მათი უმრავლესობა გორისა და დუშეთის მაზრებიდან იყო მოსული („МДИЭБГКЗК", т. VI, გვ. 237 — 238).

[2] Журн. «Юридическое обозрение», № 202, 1885, გვ. 162; Сборник сведений о Кавказе, Под редакцией Н. Зейдлица, т. II, გვ. 146.

[3] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 143.

რეფორმის შემდგომ პერიოდში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება გლეხთა შრომის გამოყენებას ე. წ. გარესარეწებზე (საშოვარზე გასვლა).

გარესარეწები XX საუკუნის დასაწყისისათვის მოსახლეობის შემოსავლის მეტად სერიოზულ დარგად იყო მიჩნეული. გორის საბაზრო კრებამ, რომელსაც მაზრის უფროსი, საგადასახადო ინსპექტორები, მომრიგებელი შუამავლები და უბნის ბოქაულები ესწრებოდნენ, აღნიშნა, რომ წელს ცუდი მოსავალი იყო ხორბლისა, მაგრამ კარგი მოსავალი იყო ღვინისა და ხილის. გარდა ამისა, მაზრის მოსახლეობას შეუძლია „ხელი მიჰყოს აგრეთვე სხვა ხელსაყრელ სარეწებს, სახელდობრ: სატყეო საქმეს, ქირაზე სიარულს, და სხვა-გვარ კერძო სამუშაოს რკინიგზაზე და სხვა“[1].

მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მიხედვით გორის მაზრის მცხოვრებთაგან გარესარეწებში უშუალოდ ჩაბმული იყო 6 221 მამაკაცი და 218 ქალი, რომელთა ოჯახებში, მათ გარდა, 2330 მამაკაცი და 3078 ქალი იყო[2]. მარტო რკინიგზაზე ჩაბმული იყო გორის მაზრის (ქ. გორის გამოკლებით) 1099 მამაკაცი და 8 ქალი, რომელთა ოჯახებში კიდევ 565 მამაკაცი და 1166 ქალი იყო[3].

გორის მაზრის სოფლებიდან, 900-იანი წლების დასაწყისში, სამუშაოდ მიდიოდნენ როგორც ქალაქებსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში, ისე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში (გარე კახეთი, ქვემო ქართლი, ქართლის მთა), დასავლეთ საქართველოში (იმერეთი) და საქართველოს ფარგლებს გარეთაც (აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასია და სხვ.). მაგალითად, ს. ქვემო ჭალიდან ჩრდილო კავკასიაში (კავკავის მიდამოები) მიდიოდნენ სიმინდის საჭრელად და კარტოფილის ამოსაღებად. კავკავში მიდიოდნენ ფეხით, ჯგუფებად, 10—12 კაცი ერთად[4]. სოფ. ტირძნისის გლეხებიდან დაახლოებით 15 კაცი განჯის ვენახებში მუშაობდა[5].

კავთისხევიდან, კასპიდან, ქვემო ჭალიდან, მეჯვრისხევისა და ბევრი სხვა სოფლიდან გლეხები ყანის სამკალად ჯერ ყარაიის ველზე, ბორჩალოში, კუმისისა და კოდის მიდამოებში მიდიოდნენ,

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 10163, ფურც. 130, 1907 წ.

[2] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897, г., LXIX, Тифлисская губерния, зз. 254.

[3] იქვე, зз. 156 — 157.

[4] ცნობა მოგვაწოდეს ქვემო ჭალის მცხოვრებლებმა იოსებ წიკლაურმა (75 წლ.) და სოსე პაპუაშვილმა (80 წლ.).

[5] ცნობა მოგვაწოდა ტირძნისის მცხოვრებმა გაბრიელ ბუჩუკურმა (68 წლ.).

ბოლო შემდეგ, როცა თავის სამკალს მორჩებოდნენ, მთის სოფლებისაკენ გასწევდნენ სამუშაოდ. ქვემო მხარეში (ასე უწოდებდნენ აქაური გლეხები ბორჩალოს, კუმისსა და ა. შ.) სამუშაოს ნარდად იღებდნენ და დღეში 1—2 და ხან 3 მანეთზეც გამოდიოდნენ, მთის სოფლებში კი დღიურად მუშაობდნენ, გასამრჯელოდ ფულის გარდა მატყლს, ყველს, ერბოსა და სხვა პროდუქტებს იღებდნენ. დღეში აქ მუშა 40—50 კაპ. იღებდა.

გარესარეწების სახით, გარდა მაზრაში და მაზრის გარეთ არსებული სამრეწველო საწარმოებებისა, აღსანიშნავია ხე-ტყის დამუშავება ბორჯომის ხეობაში. 80-იანი წლების ბოლოსათვის აქაური მოსახლეობის შემოსავალი სატყეო სარეწებიდან თითოეულ კომლზე საშუალოდ 480 მანეთს შეადგენდა[1]. გარესარეწებზე ძალიან დიდი რაოდენობით მიდიოდნენ მთის მცხოვრებნიც. ისინი მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზებზე, ჭიათურის მარგანეცის ამოღებაზე, მიდიან ისეთ „სარეწში", როგორიც პოლიციაში სამსახური იყო, და, ბოლოს, ამაყი მთიელი არ უკადრისობდა მზარეულისა და ლაქიის პროფესიას[2].

7. გლეხური ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობა

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რა გზით წარიმართა ეკონომიური განვითარება რეფორმის შემდეგ პერიოდში. როგორც დავინახეთ, რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო სოფლად თანდათან მკვეთრად ისახებოდა ორი ახალი კლასი — გლეხური ბურჟუაზია და სოფლის პროლეტარიატი. ახლა ჩვენ ჯერ გასარკვევი გვაქვს საკითხი, კერძოდ, იმ მოქმედი ფაქტორებისა, რომელნიც აფერხებდნენ გლეხობის დაშლას ქართლის სოფელში.

რეფორმის შემდეგ გლეხობის სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი სრულიად ახალ პირობებში მიმდინარეობდა. ყველგან, რუსეთის მთელს უზარმაზარ იმპერიასა და, მაშასადამე, საქართველოშიც ხდება გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია. მაგრამ ეს დიფერენციაცია არსებითად განსხვავდებოდა ქონებრივი დიფერენციაციისაგან. გლეხთა გარკვეულ ქონებრივ უთანა-

[1] Кавказский календарь на 1890 г., გვ. 45.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 396, 1900 წ.

სწორობას, მის ქონებრივ დიფერენციაციას ადრეც ჰქონდა ადგილი. რეფორმის შემდეგ შექმნილ სრულიად ახალ ურთიერთობებთან დაკავშირებით ხდება გლეხობის არა უბრალო დიფერენციაცია, არამედ მისი კლასობრივი დაშლა. გლეხობის ეს დაშლა კი სრულიად თავისებური მოვლენა იყო, მისი თვისობრივობა მისივე კაპიტალისტურ ხასიათში მდგომარეობდა.

ბატონყმობის დროს გლეხობა ძირითადად ერთგვაროვან მასას წარმოადგენდა; მემამულეთა კლასთან მიმართებაში მაინც ის მთლიანი, ექსპლოატირებული კლასი იყო.

რეფორმის შემდეგ კი ძველი პატრიარქალური გლეხობა ძირფესვიანად იშლება და ჩვენ თვალწინ ყალიბდება ორი კლასი: გლეხური ბურჟუაზია და სოფლის პროლეტარიატი. პირველი მათგანი ექსპლოატატორულ, სოფლად გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასს წარმოადგენს, მეორე კი დაჩაგრულსა და ექსპლოატირებულს. მათ შორის ისეთივე სხვაობა არსებობს, როგორც ქალაქად კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის.

გლეხობის ბურჟუაზიული დაშლა დაიწყო რეფორმის შემდეგ. ბაზრის განვითარება არღვევდა სოფლის მეურნეობის კარჩაკეტილ ხასიათს. საგლეხო რეფორმამ, რომელიც არსით ბურჟუაზიული იყო, დასაწყისი მისცა უმიწო და მცირემიწიან გლეხთა ფენის არსებობას. ესენი იყვნენ პირველი წვეულნი, რომელნიც ცხოვრებამ სოფლის პროლეტართა და ნახევრად პროლეტართა არმიის რიგებში ჩააყენა. შემდგომში ძლიერდება პროცესი საშუალო გლეხობის დაშლისა. მათი უდიდესი ნაწილი ღარიბთა ფენაში გადადიოდა.

კაპიტალიზმის განვითარება მხოლოდ აღმავალი ხაზით არ მიდიოდა. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, გორის მაზრაში მოქმედებდნენ რიგი ფაქტორები, რომელნიც ხელს უშლიდნენ გლეხობის კლასობრივ დაშლას, მეურნეობის კაპიტალისტურ საწყისებზე მოწყობას. დაშლის შემაფერხებელ გარემოებათაგან აღსანიშნავია, პირველ რიგში, ბატონყმობის ძლიერი ნაშთები — გლეხთა თავდახსნის შემაფერხებელი გარემოებანი, დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობათა წარმოქმნის დაბრკოლება, შრომამიგების არსებობა, ნატურალური, კაბალური იჯარის უპირატესი როლი დიდი ხნის განმავლობაში; სავახშო და ნაწილობრივ სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება; საერთოდ ეკონომიური ჩამორჩენილობა; ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და სხვ.

ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ საგლეხო რეფორმა, რომელიც არსებითად ბურჟუაზიული იყო, ძლიერ ბატონყმურ ხასიათს ატარებდა. ეს ბატონყმური ხასიათი განაპირა მხარეებში უფრო ძლიერად ვლინდებოდა. ცარიზმი ყველა მასზე დამოკიდებულ ზომას ხმარობდა, რათა განაპირა მხარეების მემამულეები, რომელნიც მის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ნაკლებ დაზარალებული გამოსულიყვნენ ამ რეფორმიდან. ცნობილია, რომ საკომლო მიწებით გლეხთა უზრუნველყოფა საქართველოში არადამაკმაყოფილებელი იყო თითქმის უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან მთელს იმპერიაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფორმამ მაზრაში სრულიად უმიწოდ დატოვა საბატონო გლეხთა რამდენიმე ასეული კომლი. გლეხთა საგრძნობ ნაწილს ძალზე მცირე საკომლო მიწა ერგო — სულზე 0,5—0,3 დესეტინა. გლეხთა დანარჩენ ნაწილს კი მიწები მიეცა არა საკუთრებაში, არამედ მხოლოდ სარგებლობაში — ძველთან შედარებით გადიდებული ბეგარა-გადასახადების საფასურად. გლეხთა უმიწოდ განთავისუფლება ამ დროს უფრო მეტად უწყობდა ხელს ძველი კაბალური ურთიერთობის შენარჩუნებას, ვიდრე კაპიტალიზმის განვითარებას.

აღმოსავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, გორის მაზრაში განსხვავება გლეხობაში საკომლო მიწების მიხედვით, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლები მნიშვნელობისა იყო, ვიდრე განსხვავება კაპიტალისტური ხასიათისა, რაც გლეხობას ორ ძირითად ნაწილად ჰყოფდა: მაღალ და დაბალ ფენებად. გლეხთა ცალკეულ თანრიგებს შორის განსხვავება ბევრნაირი სახით გვხვდება. ეს ვლინდება, პირველ' ყოვლისა, მიწის განაწილებაში. მაგრამ ისინი განსხვავდებიან არა მარტო მიწის რაოდენობით, არამედ გადასახდელთა რაოდენობით, გამოსყიდვის პირობებით, მიწათმფლობელობის ხასიათით და ა. შ.[1]

XIX საუკ. დასასრულისათვის გორის მაზრაში გლეხთა ოთხ ძირითად თანრიგს ვხვდებით: დროებითვალდებულნი, სახელმწიფო გლეხები, ხიზნები და მესაკუთრე გლეხები. ისინი უბნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ:

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 77—78.

ცხრილი 22

გორის მაზრის გლეხური კომლების რაოდენობა კატეგორიებისა და უბნების მიხედვით (XIX საუკ. დასასრული)

უბნები	მესაკუთრეები	სახაზინო გლეხები	ხიზნები	დროებით ვალდებულ/ ებენ	სულ
1. ცხინვალის	505 კომლი	1284 კომლი	2700 კომლ	2548 კომლ.	7037
2. ხიდისთავის	927 „	1540 „	854 „	2094 „	5385
3. სურამის . .	224 „	1213 „	1157 „	1617 „	4211
4. ნეჯვრისხევის	278 „	878 „	710 „	2556 „	4422
5. ბორჯომის .	—	129 „	373 „	—	502
სულ . .	1934	5044	5794	8785	21557[1]

ქართლის სოფელში ძლიერად იყო გავრცელებული შრომამიგება — საბატონო მეურნეობის ეს ძლიერი ნაშთი. შრომამიგების სისტემა ქართლში მეტად დიდხანს ბატონობდა. იგი სოფლის მეურნეობაში შრომის დაბალ ნაყოფიერებას იძლეოდა და, ამდენად, მასზე მხოლოდ უარყოფითი გავლენის მოხდენა შეეძლო, რადგან პროგრესის ხელისშემშლელად გამოდიოდა.

გლეხობის დაშლის სერიოზული შემაფერხებელი მოვლენა იყო რეფორმის შემდეგ საქართველოსა და, კერძოდ, გორის მაზრაში ნატურალური იჯარის ბატონობა. ქართველი ფეოდალების დიდმა ნაწილმა, როგორც ვიცით, ვერ შეძლო სასაქონლო მეურნეობაში ჩაბმა და საკუთარი მეურნეობის ახლებურად მოწყობა. საბატონო სახნავ-სათესს ძველთაგანვე უმნიშვნელო როლი ჰქონდა ფეოდალთა ეკონომიკაში. ახლა, რეფორმის შემდეგ ხანაში, როდესაც მიწის ფონდი კვლავაც ფეოდალების ხელში დარჩა, ხოლო დროებითვალდებულებსა და ახალგაჩენილ მესაკუთრე გლეხებს საკმაო მიწა არ გააჩნდათ, ეს გლეხები კვლავ ძველ მიწისმფლობელებს მიმართავდნენ და იჯარით იღებდნენ მიწებს. საიჯარო მიწისათვის მემამულე მოსავლის გარკვეულ რაოდენობას (1/5-დან 1/2-მდე) იღებდა. იჯარათა გზით მემამულე გარე-ეკონომიურ ზემოქმედებასაც ახდენდა გლეხზე, რომელიც მას თავს ვერ აღწევდა. ეს გარემოება ათეული წლების განმავლობაში უნარჩუნებდა

[1] საქ. ცსსა, ფონდი 48, საქმე 2258, ფურც. 250; 1898 წ.

ბალას ფეოდალებს და აფერხებდა გლეხობის დაშლის შემდგომ გაღრმავებასაც.

გლეხობის დაშლის შემაფერხებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა. ეს პოლიტიკა განსაკუთრებით ვლინდებოდა თვით რეფორმის კოლონიურ ხასიათში, როცა გლეხის მიერ მიწის გამოსყიდვა მემამულის სურვილისაგან დამოუკიდებლად ვერ ხდებოდა, ასე იყო დიდხანს რეფორმის შემდეგ ხანაში. მემამულე არ იყო დაინტერესებული იმაში, რომ მისგან გლეხს მიწა გამოესყიდა. მემამულეს ამაში ხელს უწყობდა სარეფორმო ღონისძიებათა გამტარებელი ბიუროკრატია.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „სადაც გლეხებს ყველაზე ნაკლებად აწუხებთ მიწის სიმცირე, შრომამიგება, გამოსაღებთა სიმძიმე, — იქ ყველაზე უფრო მეტად განვითარდა კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაში“[1]. ლენინის ამ სიტყვების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ თვით ქართლის სოფელში კაპიტალიზმის სუსტი განვითარების მიზეზებზეც. აღნიშნული მიზეზები, განვითარების სხვა შემაფერხებელ ფაქტორებთან ერთად, განაპირობებდნენ რა კაპიტალიზმის სუსტ განვითარებას, ამით, მაშასადამე, განაპირობებდნენ გლეხობის დაშლის შედარებით ნელ ტემპსაც.

მეფის მთავრობა ცდილობდა საქართველოში შეენარჩუნებინა პატრიარქალურ-ფეოდალური ჩაგვრა, რაც თავის მხრივ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას აფერხებდა. მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის საფუძველი იყო რუსეთის ბურჟუაზიის თვალსაზრისი, რომლითაც საქართველო განიხილებოდა, როგორც კოლონია და რუსეთის ნაწარმის გამსაღებელი ბაზარი. ეს თვალსაზრისი პირდაპირ უკარნახებდა მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიის ბლოკს, რომ საქართველო დარჩენილიყო აგრარულ ქვეყნად და აქ შემონახულიყო ფეოდალურ-მემამულური პრივილეგიები. აქვე უნდა გავიხსენოთ ი. სტალინის სიტყვები, რომ „ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა“[2].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 741.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 388.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ, კერძოდ, ქართლის გლეხობა მიისწრაფოდა ნაკლებად ათვისებულ მიწებზე დასახლებისაკენ. მაგრამ მათ თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე დასახლების უფლება არა ჰქონდათ. საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. „თავისუფალი“ მიწები ადგილობრივი გლეხებისათვის მიუწვდომელი იყო. აქ ასახლებდნენ კოლონისტებს, რომელთაც მიწები გაცილებით მეტი რაოდენობით ეძლეოდათ, ვიდრე ადგილობრივ გლეხებს ჰქონდათ.

მეფის მთავრობის პოლიტიკას, რომელსაც განაპირა მხარეების მშრომელი მასების კიდევ უფრო მეტი გაღატაკება და დაბეჩავება მოსდევდა, არ შეეძლო ხელი შეეწყო გლეხობის დაშლისათვის.

ვ. ი. ლენინის აზრით „რაც უფრო თავისუფალია გლეხობა, რაც უფრო ნაკლებად აწვება მას ბატონყმობის ნაშთები... ბოლოს, რაც უფრო უკეთ არის გლეხობა მიწით უზრუნველყოფილი საერთოდ და მთლიანად, მით უფრო ძლიერია გლეხობის რღვევა, მით უფრო სწრაფად ჩნდება სოფლის მეწარმე-ფერმერთა კლასი“[1].

მეორე მხრით, აღსანიშნავია მეფის მთავრობის ფისკალური პოლიტიკის, როგორც გლეხური მეურნეობის საერთო დონის ამაღლების, ხელის შემშლელი ფაქტორის როლი. მოსაზრება იმ მკვლევრებისა, რომლებიც გადასახადებს მხოლოდ ოფიციალურად დაწესებული ფულადი რაოდენობით განსაზღვრავდნენ და რომელთაც მიაჩნდათ, რომ გლეხი ამიერკავკასიაში უფრო ნაკლებად იყო დაბეგრილი, ვიდრე რუსეთის გუბერნიებში — სინამდვილეში არასწორი აღმოჩნდა[2]. ამიერკავკასიის გლეხობა უფრო მძიმე გადასახადებით იყო დატვირთული, ვიდრე რუსეთის ცენტრალური გუბერნიების გლეხობა. ქართველი ეკონომისტების გაანგარიშებით ამ მხრივ შემდეგი მდგომარეობა გვაქვს:

„80-იან წლებში ამიერკავკასიაში სახელმწიფო გლეხთა ნადელის 1 დესეტინა საშუალოდ იბეგრებოდა 78 კაპიკით. შიდა რუსეთში კი — 10,5 კაპიკით. 900-იან წლებიდან ჩვენში იბეგრებოდა 1 დესეტინა მიწა: სახაზინო—3 კაპ., თავადაზნაურთა —20,4 კაპ. ხოლო გლეხთა 45,5 კაპიკით. საერთოდ ამიერ-კავკასიაში მოსახლეობის მთელი დაბეგვრის ტვირთი ბევრად უფრო მძიმე იყო.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 154.

[2] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе. 1900, გვ. 27 — 28.

კენემ რუსეთში. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ 900-იან წლებში კაკეთებული გამოანგარიშებით ხაზინის წმინდა შემოსავალი მოსახლეობიდან ყოველ ერთ კაცზე უდრიდა: **ამიერ-კავკასიაში—2,69 მანეთს, ხოლო შიდა რუსეთის შესაბამ გუბერნიებში — 1,35 მანეთს. ე. ი. ამიერ-კავკასიის (კოლონიის) მოსახლეობა ორჯერ უფრო მეტად იყო დაბეგრილი"**[1]. იმ დროისათვის ეს იყო დიდი თანხა, რომლის გადახდაც უმძიმეს ტვირთად აწვა გლეხობას და ბატონყმობის ნაშთებთან ერთად ხელს უშლიდა სოფლის სწრაფ კაპიტალისტურ განვითარებას.

1907 წლის დასაწყისისათვის გორის მაზრის II საგადასახადო უბანში (მაზრაში სულ ორი ასეთი უბანი იყო) სახელმწიფო გამოსაღებთა მარტო ნარჩენები 457 355 მანეთს შეადგენდა. სახელმწიფო გამოსაღებთა აკრეფის საქმე არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. გორის მაზრის იმავე უბნის საგადასახადო ინსპექტორი მდივანი პირდაპირ აღნიშნავდა: „გამოსაღებების აკრეფა, საერთოდ, დაყენებულია მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლად. სახელდობრ: გამოსაღებების აკრეფა უმთავრესად წარმოებს სოფლის თანამდებობრივი პირების მიერ, რომლებიც ძალიან იშვიათად აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას განათლებითა და ზნეობრივი დონით"[2].

ბოლშევიკურ პროკლამაციაში, რომელიც მიძღვნილი იყო 1861 წლის რეფორმის 45 წლისთავისადმი, ნათქვამი იყო, რომ რეფორმის შემდეგ მეფემ გლეხობას თავს მოახვია „უფრო მძიმე სახელმწიფო გადასახადები და, ამგვარად, საბოლოოდ დაარღვია გლეხური მეურნეობის საფუძვლები"[3].

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „კავკასიის გლეხობისათვის შეუძლებელი გახდა მიწის დამუშავების საქმეში რაიმე ისეთი გაუმჯობესების შეტანა, რაც ხარჯებთან იყო დაკავშირებული"[4].

ამგვარად, მეფის მთავრობის ფისკალური პოლიტიკა, ხელს უწყობდა რა მეურნეობის საერთო დაცემა-გაჩანაგებას, გლეხური

---

[1] პ. გუგუშვილი, ბატონყმობის გაუქმება საქართველოში. ჟურნ. „ბოლშევიკი", 1939, № 9 — 10, გვ. 98.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 10163, ფურც. 31 — 32, 1907 წ.

[3] Прокламации большевистских организации Закавказья 1904—1906 гг., 1940, Тбилиси, გვ. 208.

[4] Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Кавказским Краем, Тифлис, 1907, გვ. 86.

მეურნეობის საერთო დონის დაქვეითებას, ამით ხელს უშლიდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლად, საერთოდ, გლეხობის დაშლას, კერძოდ.

გადასახადების სიმძიმე არათანაბრად ნაწილდებოდა იმპერიის არა მარტო სხვადასხვა მხარეში, არამედ მოსახლეობის სხვადასხვა კლასებშიც. გადასახადებს სოფლად ფაქტიურად მხოლოდ გლეხობა იხდიდა. ამასთან, გლეხობის დაბეგვრა გადასახადებით ეკონომიური შეძლებულობის მიხედვით არ ხდებოდა. „სახაზინო გადასახადებს მიწის შემოსავლის მიხედვით კი არ ახდევინებდნენ, არამედ კომლზე აწერდნენ. ამიტომ შეძლებული გლეხი, შემოსავლის პროპორციულობის მიხედვით, ორჯერ და სამჯერ ნაკლებს იხდიდა, ვიდრე ღარიბი"[1]. საინტერესოა დაბა სურამის მაგალითი, აქ ყველა გადასახადი ჯერ სამ თანასწორ ნაწილად იყოფოდა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით (ქართველები, სომხები, ებრაელები). ამის შემდეგ თითოეული ჯგუფი ირჩევდა ორ წარმომადგენელს გადასახადის გასანაწილებლად. რადგანაც მთელი სახაზინო მიწები სომხებისა (ვაჭრები) და მდიდარი ებრაელების ხელში იყო, ამიტომ ისინი ყველაზე ნაკლებს იხდიდნენ. გადასახადების ასეთი წესით განაწილების წინააღმდეგი იყვნენ ქართველი გლეხები და ებრაელთა უმრავლესობა. გადასახადების აღნიშნული წესით განაწილება შემოღებული იყო 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან და მიმართული იყო ღარიბი ფენების წინააღმდეგ. მხოლოდ ეს ფენები ეწეოდნენ ნატურალურ ბეგარა-გადასახადების ჭაპანსაც[2].

გლეხობის დაშლის შემაფერხებელ ფაქტორთაგან აღსანიშნავია სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება. სავაჭრო და მევახშური კაპიტალი ისტორიულად კაპიტალის პირველი ფორმები იყო. ისე, რომ კაპიტალის ეს ფორმები არსებობდნენ რეფორმამდე მრავალი საუკუნით ადრე.

საერთოდ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და, ამასთან, სავაჭრო და სავახშო კაპიტალი ისტორიულად ხელს უწყობდნენ ფეოდალური წარმოების წესის დაშლას, მაგრამ კაპიტალის ეს პრიმიტიული ფორმები არ ქმნიდნენ წარმოების ახალ წესს. კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში სავაჭრო კაპიტალი მიმოქცევის სფეროში ფართო გასაქანს პოულობდა და დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ამდენად, იგი სამრეწველო კაპი-

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, 1932, გვ. 100.

[2] «МДИЭБГКЗК», т. VI. გვ. 247.

ტალის განვითარებას აფერხებდა. ამავე დროს ფეოდალური მიწისმფლობელობისა და ნატურალური იჯარის ბატონობის პირობებში სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელ განვითარებას გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესიც უნდა შეეფერხებინა.

სოფლად შუასაუკუნეების ძლიერი ნაშთების არსებობა დიდ სიძნელეს ჰქმნიდა კაპიტალის წარმოებაში მოსათავსებლად, ხოლო. ჩვეულებრივად, „ამის ბუნებრივი შედეგია კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა ბ ა ლ ი და უ ცუ დ ე ს ი ფ ო რ მ ე ბ ი ს, სავაჭრო და სავახშო კაპიტალის უდიდესი გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა“[1] თვით XIX საუკ. მთელ პერიოდში.

სავაჭრო კაპიტალი თუ საქონლის გაცვლის სფეროში მოქმედებდა, სავახშო კაპიტალი სესხის სახით გვეელინებოდა. ამასთან. ეს სესხი გაიცემოდა ფულის, წარმოების საშუალებათა თუ მოხმარების საგანთა სახით—გლეხთა და ხელოსანთა ზედმეტი შრომის მითვისების მიზნით.

რეფორმის შემდეგ, ერთი მხრით. ფულადი გადასახადები. მეორე მხრით კი, იაფი საფაბრიკო-საქარხნო საქონელი, მიწის გამოსყიდვისა და ყიდვის გარდაუვალი სურვილი, რასაც ეკონომიური აუცილებლობა კარნახობდა, ათასგვარი სხვა გაჭირვება აიძულებდა გლეხს მიემართა მევახშეებისა და ვაჭრებისათვის. მევახშე და ვაჭარი ხშირად შერწყმული სახით გვხვდება.

ქართლის მთელი გლეხობა, მისი ღარიბი და საშუალო ფენების სახით, გაბმული იყო ვაჭარ-მევახშეთა ქსელში. ისინი, ეს ვაჭარ-მევახშეები, სწოვდნენ გლეხობას სისხლს და მემამულეებსა და კულაკებთან ერთად წარმოადგენდნენ ძალას, რომელიც ითვისებდა გლეხის ზედმეტ შრომას.

გაზ. „სასოფლო გაზეთის“ კორესპონდენტი 1875 წელს შეშდეგნაირად აგვიწერდა ჩარჩ-ვაჭართა პარპაშს სოფლად: „ამ თვეებში შემთხვევა მქონდა გორის უეზდის ორ-სამ სოფელში დავსწრებოდი პურის ლეწვის დროს;... დაიწყება თუ არა მკა, აიღებენ თავს ქალაქის ვაჭრები (უფრო ურიები და სომხები) და პურის გალეწვამდი ასობით და ათასობით დაეხეტებიან სოფელ-სოფელ, მიადგებიან მოსახლეს კარზედ და ძალაუნებურად აჩეჩებენ ხელში დამპალს და დავარდნილს საქონელს ერთი ორათ და სამ ფასადა.

სოფლის ხალხს, რასაკვირველია, ფული ისე არ ეხერხება ხელად, როგორც ჭირნახული, ამისათვის ის აიღებს და აძლევს ვა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 72.

ჭარს ნახევარის ფასად მდუღარე ოფლით და სიმწარით მოწეულ ბარგალიტივით პურსა. ამნაირად, სოფლის ხალხის მოსავალი სხვისი ხდება და ესენი, როცა შემოაკლდებათ პური, პირს აღებენ და ისევ ამ ვაჭრებისაგან ბამა-სისხლად უნდა იყიდონ თავიანთი პური"[1].

მეორე კორესპონდენტი გადმოგვცემს: „ვაჭარი აძლევს გლეხს სესხად ხუთ მანეთს, და ამაში ოთხი კოდი პურის ვექსილს უწერს; მოხდება, რომ მეორე წელიწადს ისეთი ცუდი მოსავალი მოვა, რომ კოდი პური სამ მანეთად ეღირება და გლეხკაცს კი არ მოუვა მოსავალი, რომ გადაიხადოს ვალი. ამითი სარგებლობს ვაჭარი, კოდს სამ მანეთად უანგარიშებს და დაუწერს თამასუქს. აი ამისთანა შემთხვევებიდან მოხდება ხოლმე, რომ ხუთი მანეთი ათი წლის განმავლობაში ორმოც და სამოც თუმნად იქცევა ხოლმე".[2]

გლეხს ძალიან ხშირად უხდებოდა მიემართა მევახშისათვის. კ. მარქსი მიუთითებდა: „საკმარისია წვრილ გლეხს ძროხა მოუკვდეს, და მას უკვე აღარ შეუძლია თავისი რეპროდუქცია კვლავ გაბაგრძოს ძველი მასშტაბით. მაშასადამე, იგი მევახშეს უვარდება ხელში და, რაკი ერთხელ ჩაუვარდა, მერე ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს იქიდან"[3].

ფ. ენგელსი ამბობდა: «Налоги, неурожай, разделы между наследниками, судебные процессы гонят одного крестьянина за другим к ростовщику, задолженность распространяется все шире и становится для каждого в отдельности все тяжелее»[4].

ნიკო ლომოური მოთხრობაში „ალი" შემდეგნაირად აგვიწერდა მევახშეთა მოქმედებას: „ჩვენს მხარეში ყველამ კარგად იცის ხანამ გაბრიელას სახელი. აქამომდე მისი თამასუქები, რკინის ბადესავით არის გადაშლილი მთელი ჩვენი მხრის გლეხობის შრომასა და ოფლზე, თვისის ეშმაკობით, უღმერთო სარგებლის ართმევით, მოხელეების მოსყიდვით და მათის შემწეობით გლეხთა ტვინის წოვით, ის, უწინ ერთი ღატაკი მეწვრილმანე, რავდენიმე წლის განმავლობაში გამოჩენილ მდიდარ კაცად გადაიქცა. ყველამ კარგად ვიცოდით მისი უღმერთობა; ყველას გაგვეგონა, თუ სამი ლიტრა მარილის ფასი ხუთ წელიწადს როგორ გარდუქცია ოცდაათ

---

[1] გახ. „სასოფლო გაზეთი", 1875, № 9.
[2] გახ. „გუთნის დედა", 1875, № 23, გვ. 2.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, 1934, გვ. 130.
[4] Маркс, Энгельс, Соч., т. XVI, ч. II, გვ. 444.

თუმნად ერთ გლეხსა! შემდეგ უჩივლა, წაართვა ვენახი, ნაფუზარი და ღვთის ამარა გაუშვა მათი საცოდავი პატრონი.

ვიცოდით ყველა ესენი და კიდევ ბევრი სხვა რამე, მაგრამ რა გვექნა?... გაპირვების დროს მაინც ისევ მას მივმართავდით ხოლმე, რადგანაც კარგად ვხედავდით, რომ მისი მეტი გზა ჩვენს ბედობაზე სხვა არ იყო გაჩენილი. მივმართეთ კიდეც, როდესაც გაპირვება დაგვადგა! ათი თუმანი თავნი ვალი ხუთი წლის განმავლობაში სამოც თუმნად გაგვიხადა"[1]. ჩარჩმა გაბრიელამ ვალის დასაფარავად გლეხ დათუას ვენახი გაუყიდა. ამ შემთხვევაში ვაპარ-მევახშე ხელს უწყობდა გლეხის მოწყვეტას შრომის საშუალებებისაგან და დაქირავებულ მუშათა ბაზრის ზრდას, მაგრამ ასეთი შემთხვევები შედარებით მცირე იყო. ფაქტების დიდი უმრავლესობა იმაზე მიუთითებს, რომ ვაპარ-მევახშეები დავალიანებულ წვრილმწარმოებელს კაბალურ მდგომარეობაში აქცევდნენ და „სარგებლის" სახით მათ ზედმეტ პროდუქტებს ითვისებდნენ, შრომის საშუალებისაგან, ამ შემთხვევაში მიწისაგან, მოუწყვეტლად.

გლეხობის ძირითადი მასა მემამულეებისა და ჩარჩ-ვაპრების კაბალაში იმყოფებოდა. როგორც წესი, გლეხთა მეურნეობის პროდუქტებს ვაპარ-შემსყიდველები ადგილზევე იძენდნენ. შორეული სოფლებიდან მხოლოდ შეძლებულ გლეხებს მიჰქონდათ თავისი ნაწარმი გორში ან თბილისში.

შემსყიდველთა დიდი უმრავლესობა გორის, სურამის, ცხინვალის, ქარელის, ახალქალაქის და ახალგორის მცხოვრები ჩარჩ-ვაპრები იყვნენ:

„ამ შემსყიდველებმა მაზრაში ერთიანი ორგანიზაცია შექმნეს და ისე მარჯვედ გაშალეს მთელს მაზრაში ქსელი, რომ თავიანთ კაბალაში მოაქციეს გლეხობა და ჩალის ფასად ყიდულობენ მათ ნაწარმს"[2]. ასე იყო 70—80-იან წლებში, ასევე იყო 90-იან წლებში[3] და შემდეგაც. კითხვაზე, რატომ თვითონ გლეხებს არ მიაქვთ თავისი ნაწარმი ქალაქებში, გლეხს მზად ჰქონდა პასუხი: სულ-ერთია, მყიდველამდე არც იქ მიმიშვებენ, ხოლო იქაური ჩარჩი

---

[1] ნ. ლომოური, მოთხრობები, 1951, გვ. 15.

[2] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 218—219.

[3] П. Кандураловъ, Очеркъ виноградарства и виноделия в Карталиніи, Сборникъ свѣдѣній по виноградарству и виноделію, Выпускъ VIII, Тифлисъ, 1897, გვ. 78.

უფრო უსირცხვილოდ მომატყუებს, ვიდრე სოფლის ვაჭარიო[1]. მართლაც, გლეხთა ეს შეხედულება საფუძველს მოკლებული არ იყო. კაპიტალისტურ ხანაში ქალაქი და სოფელი ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ქალაქი სოფელს ჩაგრავდა.

ქართლში არსებობდა სირაჯების — ღვინის ვაჭართა — მთელი კორპორაციები. ისინი გლეხებს აიძულებდნენ სწორედ იმ ფასად მიეყიდნათ ღვინო, რა ფასსაც სირაჯები თვითონ დააწესებდნენ. ღვინის „ამორწყვის შემდეგ, სირაჯი პატრონს უთავაზებს საჩუქარს და შეეხვეწება მას, რომ გაყიდულ ღვინის გარდა მან რაღდენიმე ჩაფი კიდე დაუმატოს. შესახებ ამ დამატებისა დიდი ლაპარაკი ასტყდება ხოლმე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს პატრონი იძულებულია, ორიოდ-სამიოდ ჩაფი კიდე მეტი მისცეს თავის მოვაჭრეს, თუ არა და იგი წინააღმდეგ შემთხვევაში, აწყულ ღვინოს ისევ ქვევრში უშვებს და სამუდამოდაც ესალმება მას. ნასყიდი ღვინო ვაჭარს ქალაქს ჩამოაქვს და აქ თითქმის ერთიორად ჰყიდის"[2].

მაზრის გლეხობის პური, ღვინო და პირუტყვი, რაც კი გასაყიდად იყო გამიზნული, თითქმის მთლიანად ჩარჩ-ვაჭართა ხელში იყო.

ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ცხინვალელ მევაჭრეთა ვალებში იყო ჩაფლული. მეცხოველეობის პროდუქტების გაყიდვისას ისინი მთლიანად იყენენ დამოკიდებულნი ცხინვალელ ვაჭრებზე. ვაჭრები ცხინვალში იაფად იძენდნენ პროდუქტებს, რათა გაცილებით მეტ ფასებში გაეყიდათ თბილისში. მაგალითად, 80-იან წლებში ფუთი ყველი მათ მიერ 3—5 მანეთად შეისყიდებოდა, ხოლო ყიდდნენ 6—10 მანეთად. ფუთ ერბოს ყიდულობდნენ 6—9 მანეთად, ყიდდნენ 9—12 მანეთად[3].

„სადაც მიიხედამ, სულთა-მხუთავივით ჩაგვდგომია მოვალე კარებში და ლუკმა-პურს გვართმევს. ცოლშვილის ტანისამოსს გვასყიდვინებს. სუყველა ოჯახში „ვისა და უის" მეტს კი ვერას გაიგონებს კაცი" — წერდა კორესპონდენტი ხაშურიდან[4].

---

[1] П. Кандураловъ. Очерк виноградарства и виноделия в Карталинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, Выпуск VII!, Тифлис, 1897, გვ. 218 — 219.

[2] გაზ. „იმედი", 1881, № 1.

[3] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 230.

[4] გაზ. „დროება", 1882, № 124.

ჩარჩ-ვაჭრებისა და მევახშეების საძულველობაზე, აგრეთვე, კარგად მიუთითებს ხალხური ლექსი.

ერთი გლეხი ვარ საწყალი,
სხვა სოფელ მივალ დასთანა,
იქ პური უნდა ვიყიდო,
გამოვიკვებო ზამთარა.
შუა გზაზე დამიღამდა,
მიველი მიკიტანთანა;
იმ ღამეს ისე დამიხვდნენ,
როგორც ძმა მიეა ძმასთანა.
მეორე დილა გათენდა,
ფირცხლავ წამოხტა ვართანა,
ასატურას ხელი წაჰკრა,
სომხურად სიტყვა გათალა[1].
ხუთი მანეთი წამართო,
ერთი აბაზი დამრჩა-ღა,
ისიც მიკიტანს გადუგდე.
—მაგის წამღები გამქრალა.
ჩოთქო, მოგიკვდა გამთლელი,
რომელმა ხელმა გაგთალა.
აგასხა წინდის ჩხირზედა,
მიკიტნის დახლში გაგგზავნა.
დავწყევლი, აღარ გავივლი
ჩემს დღეში მიკიტანთანა.
ყოველი ჩვენი ცხოვრება
სულ მიდის ვაჭარ-კაცთანა[2].

ჩარჩ-ვაჭრები უდარაჯებდნენ გლეხს არა მარტო სოფელში, არამედ გზებზედაც, რათა სისხლი ამოეწოვათ მათთვის.

გაზ. „მეურნეს" კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ „ჩარჩები საშინლად სჩაგრავენ და ხელს უშლიან სოფლის მაწარმოებ-

---

[1] აქ აღსანიშნავია, რომ, თუ ვიმსჯელებთ გვარების მიხედვით, გორის მახრაში XIX საუკ. 60 — 70-იან წლებში ვაჭრები ძირითადად სომხები და იბრაელები ჩანან. ხოლო 80-იანი, განსაკუთრებით კი 90-იანი და 900-იანი წლებიდან უკვე ბევრია ვაჭარი ქართული გვარით (ჩაჩანიძე, ტკუსელი, ბერიაშვილი, ბუჯიაშვილი, დარსაველიძე, ყანჩაველი, მოწონელიძე, სხირტლაძე, სანდაძე და სხვ.). საჭ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 6655. 6656, 6901, 6902, 6903 და სხვ.

[2] ხალხური პოეზია. 1934, გვ. 155.

ლებს მათი ნაწარმოების გასყიდვაში და ისე აცლიან ხელიდან ნაწარმოებსა, რომ გაცარცვის თანასწორია მათი მოქმედება"[1].

მიმომხილველი უკვე 80-იან წლებში შემდეგნაირად ახასიათებდა მევახშეთა და ჩარჩ-ვაჭართა ტიპს:

„ყოველ საზოგადოებას, თითქმის ყოველ მათგანს, ჰყავს თავისი „სისხლისმსმელი", რომელიც, მოხერხებულად სარგებლობს ოა ფულზე გლეხების გასაჭირით. უმთავრესად ბეგარის გადასახდელად, ითრევს მათ თავის ქსელში, ბოჭავს სხვადასხვა ვალდებულებათა და უპირობის ჯარიმებით, ერთი სიტყვით, „ატყუებს ბათ თაღლითური გზით", ხოლო ზოგჯერ „კანონიერი საფუძვლითაც", შემდეგ კი რაიონში მბრძანებლობს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ის არის „ბატონი," რომლის სურვილი კანონია, „მებატონე", რომლისათვისაც მუშაობს იმ მიდამოების ყმადქცეული მოსახლეობა, „გავლენიანი პირი", რომელიც წამდაუწუმ გადააყენებს და დასვამს სოფლის ხელისუფალთ, „პატივცემული კაცი", რომლის წინაშე ენის ბორძიკით ლაპარაკობენ მაზრის ხელისუფალნი"[2].

სავახშო კაპიტალის სარგებლის ღონე მაზრაში ძალზე მაღალი იყო. სარგებელი 80-იან, განსაკუთრებით კი 90-იან, 900-იან წლებში საშუალოდ 30%-ს უდრიდა[3]. თუმცა ზოგჯერ 100-დან 200%-დე ადიოდა წელიწადში. ესეხის გაცემა ხდებოდა უმეტესად გირავნობის ქვეშ ან ნაწარმისა და შრომის დაკვეთით. ქართლში 150—200 მანეთის ვალში, ხან კი 60-100 მანეთად შეიძლებოდა 1/2 ჰექტარი ვენახის დაგირავება. ვენახის პატრონი ვალდებული იყო თავისი ხარჯით შეენუშავებინა ვენახი და მოსავლის ნახევარი მიეცა ვალის

---

[1] გახ. „მეურნე". 1888, № 11.

ვლეხობის დაშლა უბრალოდ ღატაკთა რაოდენობის გამრავლებით არ ამოიწურება. გლეხობის დაშლა რთული მოვლენაა ან მთელ რიგ რთულ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა ერთობლიობა. ის. პირველყოფილისა. ახალ წარმოებით ურთიერთობათა შექმნა-განმტკიცებას ნიშნავს. სავახშო და ნაწილობრივ სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება კი ხელს უწყობდა გლეხური მეურნეობის საერთო დონის დაქვეითებასა და საერთო დაბეჩავების გაძლიერებას და ორა პროგრესულ წარმოებით ურთიერთობათა შექმნას.

[2] «СМПИЭБГКЗК», т. I, გვ. 257 — 259.

[3] ცნობა მოგვაწოდეს: კასპის მცხოვრებმა მიხა დალაქიშვილმა (89 წლ.), ბეჯვრისხევის მცხოვრებმა ესტატე მღებრიშვილმა (90 წლ.), ტირძნისის მცხოვრებმა ჩიტა ხმიადაშვილმა (98 წლ.), ავლევის მცხოვრებმა არჩილ ჯახველაძემ (91 წლ.) და სხვ.

სარგებელში. ზოგჯერ გლეხი ვალიდან ვეღარ ამოდიოდა და მევახშის მიერ მისი ექსპლოატაცია უფრო ხანგრძლივ ხასიათს ატარებდა, რაც იწვევდა გლეხის მეურნეობის დაქვეითებას[1].

ამგვარად, ჩარჩ-ვაჭრები სოფლად გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ, ხოლო სოფლის მდიდარი გლეხობა (კულაკობა) თავის მხრივ აგრეთვე ეწევა მევახშეობასა და გლეხობის სხვა ფენებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას მათი გაყიდვის მიზნით, ე. ი. მოგების მისაღებად. მაშასადამე, კულაკად, მდიდარ მეურნე გლეხად ითვლებოდა არა მარტო ისეთი დამოუკიდებელი მეურნეობის მქონე გლეხები, რომლებიც სავაჭრო მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, არამედ სავაჭრო-საწარმოო დაწესებულების მფლობელი და სხვა მათი მსგავსი ტიპები.

სავაჭრო და სავახშო კაპიტალს აქვს რა ექსპლოატაციის უნარი, ზედმეტი შრომისა და მისი პროდუქტის მითვისების უნარი, თუ დამოუკიდებლად ვითარდება, მაშინ ის პროგრესს ხელს არ უწყობს. დამოუკიდებლად განვითარებისას „მევახშეობა არ სცვლის წარმოების წესს, მაგრამ მას მიეკვრის როგორც პარაზიტი და მას საბრალოდ ხდის. იგი სწოვს მას, სისხლიდან სცლის და რეპროდუქციას აიძულებს სულ უფრო და უფრო უბადრუკ პირობებში სრულდებოდეს. აქედან — ხალხის სიძულვილი მევახშის მიმართ“[3].

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „რაც უფრო ძლიერად არის განვითარებული სავაჭრო და სავახშო კაპიტალი, მით უფრო სუსტად არის განვითარებული სამრეწველო კაპიტალი (=კაპიტალისტური წარმოება), და პირიქით“[4]. ლენინი ასკვნიდა, რომ „სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება ჩვენს სოფელში აფერხებს გლეხობის დაშლას“[5]. ცოტა უფრო ქვემოთ ლენინი ამბობს: ჩვენ განვაყენებთ „დაშლის შემაფერხებელ ამ ფაქტო-

---

[1] ლენინი წერდა: „რაც უფრო მაღალია გლეხობის კეთილდღეობა საზოგადოდ, მით უ ფ რ ო ჩ ქ ა რ ა მიმდინარეობს გლეხობის ეს დაშლა კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ანტაგონისტურ კლასებად“. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხს., ტ. 13, გვ. 295.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, 1934, გვ. 127.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხს., ტ. 3, გვ. 200.

[4] იქვე, გვ. 202.

რებს: კაბალას, მევახშეობას, შრომამიგებას და სხვ.“[1]. ამგვარად, მევახშეობა შრომამიგების მსგავსად წარმოადგენდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის შემაფერხებელ ფაქტორს.

სავაჭრო და სავახშო კაპიტალის როლის განხილვისას უეჭველად შეინიშნება განსხვავებული მნიშვნელობა სავაჭრო კაპიტალსა და სავახშო კაპიტალს შორის. სავაჭრო კაპიტალი აჩქარებდა სასაქონლო მეურნეობის განვითარებას, ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნებსა და თვით ერთი ქვეყნის შიგნით ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობათა განმტკიცებას, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნაციონალური ბაზრის შექმნის საქმეში.

ამასვე ვერ ვიტყვით სავახშო კაპიტალზე. მევახშეებისადმი დავალიანება წვრილ მწარმოებლებს აიძულებდა თავისი პროდუქციის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი გაეყიდათ ბაზარზე, რათა გადაეხადათ ვალი და ვალის პროცენტი. მევახშეთაგან აღებულ სესხს, როგორც წესი, მევალე როგორც კაპიტალს ისე კი არ იყენებდა, არამედ როგორც საგადასახადო ან შემსყიდველ საშუალებად. ამიტომ, მევახშეობის ფართო განვითარება ხელს უწყობდა მევალეთა მეურნეობის რღვევასა და, საერთოდ, საწარმოო ძალების დაცემას. მევახშეობა დამოუკიდებლად განვითარებისას გლეხის მეურნეობას ეკვრის, როგორც პარაზიტი, რის შედეგადაც გლეხის მეურნეობაში რეპროდუქცია უფრო და უფრო უბადრუკ პირობებში სრულდება.

სავაჭრო და სავახშო კაპიტალის შესახებ მარქსი და ლენინი მიუთითებენ, რომ ისინი, ერთი მხრით, ხელს უწყობენ საკუთრების კაპიტალიზმამდელი ფორმების რღვევას, ხოლო, მეორე მხრით — დამოუკიდებლად განვითარებისას არ ჰქმნიან წარმოების ახალ წესს, არამედ აქვთ წარმოების ძველი წესის შენარჩუნების ტენდენცია. სავახშო და სავაჭრო კაპიტალი დამოუკიდებლად განვითარებისას მწარმოებელს მევახშესა და ვაჭარ-შემსყიდველთან კაბალურ ურთიერთობაში აგდებს, მწარმოებელი მათგან პირადად დამოკიდებული ხდება. ამასთან ერთად, სავახშო და სავაჭრო კაპიტალი ხელს უწყობს ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების შენარჩუნებას.

მევახშისათვის სასარგებლო არ არის, რომ გლეხი წარმოების საშუალებებისაგან სავსებით გაათავისუფლოს, რადგან შემდეგ მას ბევრს ვერაფერს გამორჩება, არსებულ წვრილ მეურნეობაზე მი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 202

წებებით კი ნახულობს მოგებას, ითვისებს გლეხის ზედმეტ შრომას. კ. მარქსი აღნიშნავდა: „მევახშეობა, ისე როგორც ვაჭრობა, მოცემული წარმოების წესის ექსპლოატაციას ეწევა, არ ჰქმნის მას, მისდამი გარეგნული დამოკიდებულება აქვს. მევახშეობა პირდაპირ ცდილობს მის შენარჩუნებას, რათა შეეძლოს ისევ და ისევ გასწოოს მისი ექსპლოატაცია; მევახშეობა კონსერვატიულია, იგი ეხოლოდ აჩანაგებს არსებული წარმოების წესს"[1].

ამრიგად, ლენინის მიერ გამოთქმული დებულება რეფორმის შემდგომი ხანის რუსეთის მიმართ საქართველოს მაშინდელ სინამდვილესაც შეესაბამება. აღვნიშნავთ რა სავაჭრო და სავახშო კაპიტალის შემაფერხებელი როლის შესახებ, ამით, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ ვაჭრობა-მევახშეობის როლს წარმოების ძველი წესის დაშლისა და ახლისათვის პირობების მომზადების საქმეში. სავაჭრო კაპიტალი წარმოებაშიაც იდგამდა ფესვებს. გორის, სურამისა და ცხინვალის ვაჭრები იძენენ უმთავრესად წისქვილებს. ბაღვენახებსა და სახნავ მიწებს სხვადასხვა სოფლებში[2].

გორელ მოქალაქე დიმიტრი ქიტიაშვილს სოფ. ხიდისთავში საკუთარ მიწაზე ჰქონია გაშენებული 8,5 დესეტინა ბაღ-ვენახი. ასევე ეკუთვნოდა ორთვლიანი წყლის წისქვილი და სამშედლო. იმავე სოფელში საკუთარ მიწაზე მოწყობილი ჰქონდათ ორსართულიანი, სამთვლიანი წისქვილი გორის მცხოვრებთ ზაქარია და გიორგი როლანოვებს[3].

სოფელ ახალქალაქში საზიაროდ ჰქონდათ ორთვლიანი წყლის წისქვილი თავად დიმიტრი და ივანე თარხანმოურავებსა და თბილისის მცხოვრებთ სტეფანე და იაკობ ნაზაროვებს. ამავე სოფელში ორთვლიანი წისქვილი ეკუთვნოდათ თბილისელ მოქალაქეებს სიმონ და არტემ დავიდოვებს. სოფ. ერთაწმინდაში თბილისელ მოქალაქეებს ნაზარ და ივანე ნაზაროვებს ეკუთვნოდათ, აგრეთვე, ორთვლიანი წისქვილი[4].

ვაჭართა შორის, ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ვაჭრობით არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ მარჯვედ ახამებდნენ სავაჭრო და სავახშო ოპერაციებს ან ქმნიდნენ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 140.

[2] საქ. ცსსა, ფონდი 126, საქმე 1234, ფურც. 2, 1845; ფონდი 48, საქმე 1383, 1873 წ.

[3] იქვე, ფონდი 254, საქმე 374, ფურც. 326, 338, 339, 1887 — 1888 წწ.

[4] იქვე.

გორელი ვაჭარი ესტატე მთვარელიძე თხოულობდა 1904 წელს მისთვის დამატებითი გამოსაღების შემცირებას, რადგან მას დუქანი კი არა, ღვინის სარდაფი ჰქონდა, რის გამოც, მისი თქმით, ბრუნვა ნაკლები იყო. მთვარელიძის საჩივარი განუხილავს გორის საგადასახადო დაწესებულებას, რომელსაც აღნიშნული აქვს: „მთვარელიძე წინასწარ ყურძნის დაკრეფამდე ფულის გაცემის გზით ღვინოს იაფად იძენს, რის გამოც შესაძლებლობა აქვს აწარმოოს არა მარტო წვრილი გაყიდვა, არამედ საცალოც სხვა სამეკიტნოებზე, რის გამოც მისი სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა“[1].

ქართლში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შორის აღსანიშნავია გიგო სოლოღაშვილის მეურნეობა (ს. პატარა მეჯვრისხევი). გიგო სოლოღაშვილი, რომელიც ფართლითა და სხვა საქონლით ვაჭრობდა, სოფლის მეურნეობასაც ეწეოდა. მას დუქნები გახსნილი ჰქონდა პატარა მეჯვრისხევში, ნადარბაზევში, ფლავისმანში, მერეთში, ქვეშში. ჰქონდა საქსოვი სახელოსნოც, სადაც 2 კაცი მუშაობდა. ქსოვდნენ საჩოხე შალებსა და იარდალს (ბამბის უხეში ქსოვილი, რომელსაც საცვლებად და ლოგინისათვის ხმარობდნენ), ჰქონდა საკუთარი სამღებროც. სახელოსნოსა და სამღებროში მანქანებს არ იყენებდა. ჰქონდა არაყის სახდელი ქარხანა, სადაც ერთდროულად ამუშავებდა სამ ქვაბს, რომელთაც 5 კაცი ემსახურებოდა. გამოხდილ არაყს თბილისში სარაჯიშვილს აბარებდა. ჰქონდა წისქვილი. ფართოდ იყენებდა დაქირავებულ შრომას, მარტო 20-დე მოჯამაგირე ჰყავდა. აბამდა საკუთარ გუთნეულს, ჰყავდა 10 ცხენი, 6—7 ძროხა და სხვა საქონელი. მემამულე ერისთავებს მასთან 50 დესეტინამდე მიწა ჰქონდათ დაგირავებული. ამ მიწას თვითონ ამუშავებდა. ჰქონდა 3 დესეტინა საკუთარი ვენახი. დაახლოებით 5 დესეტინა ვენახი კი გირაოდ ჰქონდა აღებული. ვენახებს ამუშავებდნენ მათი პატრონი გლეხები, რომლებიც მოსავლის ნაწილს სოლოღაშვილს აძლევდნენ[2].

სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების ასეთივე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ცხინვალში ანა მურადოვას საკუთარ შენობაში გახსნილი დუქანიც. ამ დუქანს ემსახურებოდა დახლიდარი და ორი მუშა. დუქანთან ერთად მურადოვას საკმაოდ მოზრდილი საკუთარი ვენახიც ჰქონია.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 20070, ფურც. 12, 1904 წ.

[2] ცნობა მოგვაწოდა მეჯვრისხევის მცხოვრებმა დავით ხოშასურიძემ (88 წლ.).

ვაჭარ მურადოვას შესახებ გორის საგადასახადო დაწესებულება (Раскладочное Присуствие) შემდეგი სახის საინტერესო ცნობას გვაწვდის: „დაწესებულების თავმჯდომარის მიერ შეკრებილი მონაცემებისა და აგრეთვე მისი სხვა თანამშრომლების ხელში მყოფი ცნობების მიხედვით, მურადოვა თავის დუქანში ჰყიდის ღვინოს, რასაც ან საკუთარი ვენახიდან (3 1/2 დეს.) მიღებული მოსავლიდან აყენებს, ან ყიდულობს ცხინვალის რაიონის სხვა მევენახეებისაგან; მისი დუქნიდან მარაგდებიან დაბა ცხინვალის დუქნები და სამიკიტნოები; ამის გამო მურადოვას სავაჭრო ბრუნვა არავითარ შემთხვევაში არაა 4000 მანეთზე ნაკლები"[1].

მართლაც, გორის მაზრაში ვაჭრები თუ კაპიტალს აბანდებდნენ სავაჭრო მიწათმოქმედების ამა თუ იმ დარგში, ეს პირველ რიგში ითქმის მევენახეობასა და მეხილეობაზე.

ვაჭრები საკუთრებაში შეძენილ ბაღ-ვენახებს ან იჯარით აძლევდნენ გლეხებს დასამუშავებლად (უმეტესად სანახევროდ), ან თვითონ უძღვებოდნენ მეურნეობას. უკანასკნელ შემთხვევაში დაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

გორის მაზრაში სავაჭრო დაწესებულებების მეპატრონეთა შესახებ სხვადასხვა მონაცემების განხილვის დროს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა დაკავებული იყო წმინდა სახის სავაჭროებში და რომ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები ძალზე იშვიათი იყო. ჩვენ უმთავრესად გვხვდება წვრილი სავაჭროები, ფართლეულის მაღაზიები, ტრაქტირები, დუქნები და სხვა. ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა სავაჭროთა მეპატრონენი დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობასთან, განსაკუთრებით მევენახეობასთან. საკუთარ მამულებში მოყვანილი ღვინით ამარაგებენ თავის სავაჭროებს (დუქანი, ტრაქტირი, ღვინის სარდაფი და სხვ.). ამასთან, ასეთ ვაჭარ-მრეწველთა რაოდენობა მაზრაში XX საუკუნის დასაწყისშიაც კი ძალიან ცოტა იყო. ასეთი ფაქტები იმაზე მიუთითებდა, რომ თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ძირი ეთხრებოდა სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელ განვითარებას, მის ამ გაბატონებულ ფორმას. უკვე სამრეწველო კაპიტალისადმი დაქვემდებარებული სავაჭრო კაპიტალი, რა თქმა უნდა, სწრაფი ტემპით შეუწყობდა ხელს გლეხობის კლასობრივ დაშლას.

---

[1] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 20070, ფურც. 12, 1904 წ.

გორის მაზრაში XIX საუკ. მეორე ნახევარში სავაჭრო და სავახშო კაპიტალს (განსაკუთრებით უკანასკნელს) უფრო მეტად აქვს დამოუკიდებლად განვითარების, ვიდრე სახეცვლილების, ტენდენცია, რადგანაც წარმოებაში კაპიტალის მოთავსება უფრო ნაკლები რაოდენობით წარმოებს. მართალია, სავაჭრო და სავახშო კაპიტალი წარმოების კაპიტალისტურ წესებზე გადასვლის ზოგიერთ წინაპირობას ჰქმნიდა, მაგრამ სავაჭრო და სავახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება, რასაც ადგილი ჰქონდა ქართლში XIX საუკ. მეორე ნახევარში, ამ გადასვლას ამუხრუჭებდა. მევახშეები და, აგრეთვე, ვაჭრები იშვიათად მიმართავდნენ ფულის წარმოებაში დაბანდებას, რადგან სავახშო ან სავაჭრო კაპიტალი ამავე სახით, ე. ი. დამოუკიდებლად, უფრო დიდ შემოსავალს იძლეოდა მოგებისა და სარგებლის მოტანით. თვით 1904 წელს მიმომხილველი ა. კოფოდი მიუთითებდა, რომ მევახშეები და ვაჭრები უმეტესად ფულადი სიმდიდრის დაგროვებით კმაყოფილდებიან, ვიდრე, ვთქვათ, მიწის შეძენით. მხოლოდ გორის მახლობლად მდებარე ადგილებში ვაჭრები არ უშვებდნენ შემთხვევას, შეეძინათ ბაღ-ვენახები და წვრილი მამულები ყოვლად იაფად[1].

* * *

ჩვენ საშუალება არა გვაქვს ზუსტად დავადგინოთ კულაკურ კომლთა რაოდენობა მაზრაში. ცნობილია, რომ გლეხურ კომლთა ეკონომიური სიძლიერის დასადგენად საჭიროა ვიცოდეთ, რამდენი ნათესი აქვს კომლს, რამდენი სული მუშა პირუტყვი ჰყავს მას და სხვა.

რუსეთის საერობო სტატისტიკისაგან განსხვავებით იმ დროინდელ სტატისტიკას თბილისის გუბერნიაში ძალიან ნაკლებად მოეპოვება მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე პასუხის გასაცემად. თბილისის გუბერნიის სტატისტიკა გლეხური კომლების მიმართ უმთავრესად მიწის რაოდენობის ჩვენებით კმაყოფილდება. ჩვენ იძულებული ვართ გამოვიყენოთ ზოგი რამ აქედან.

გორის მაზრაში კულაკურ მეურნეობათა რაოდენობის დადგენისათვის ჩვენ იძულებული ვართ საზომად ბარსა და მთისძირა ზონაში ძირითადად მიწა მივიღოთ. რაც შეეხება მთას, აქ გლეხის ეკონომიური სიძლიერის გადამწყვეტი ფაქტორი ოთხფეხი საქონელი იყო.

---

[1] А. Кофод, Сельскохозяйственные очерки Закавказья, 1904, 33-77.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი მითითება იმის შესახებ, რომ „მიწა, უეჭველია, წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში; ამიტომ მიწის რაოდენობის მიხედვით ყველაზე სწორად შეიძლება ვიმსჯელოთ მეურნეობის ოდენობაზე, და, მაშასადამე, მის ტიპზეც, ე. ი., მაგალითად, იმაზე, წვრილ, საშუალო, მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობაზეა ლაპარაკი თუ ისეთ მეურნეობაზე, რომელიც დაქირავებულ შრომას არ იყენებს“[1].

პირველ ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ამიერკავკასიასა და, მით უმეტეს, გორის მაზრაში შიდა რუსეთის გუბერნიებთან შედარებით გლეხობას გაცილებით ნაკლები მიწა ჰქონდა[2]. ასე მაგალითად, თუ რუსეთში იმ გლეხებს, რომელთა მეურნეობაზეც საშუალოდ 7 დესეტინა მიწა მოდიოდა, ლენინი ღატაკებს უწოდებს, ჩვენს პირობებში, კერძოდ გორის მაზრის ჩრდილო მთიანეთში, 7 დესეტინაზე მეტი ვარგისი მიწის მქონე გლეხური მეურნეობანი ერთეულები იყვნენ[3].

საბატონო გლეხებმა თბილისის გუბერნიაში 1864 წელს კომლზე საშუალოდ 3,9 დესეტინა მიწა მიიღეს, ნაცვლად 5,9 დესეტინისა, რაც მათ ჰქონდათ რეფორმამდე. 1900 წლისათვის დროებითვალდებულ გლეხთა თითოეულ კომლზე საშუალოდ 1—1½ დესეტინა მიწა მოდიოდა, ხოლო გლეხის ოჯახის ყველაზე მცირე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო გლეხს მოეხნა და დაეთესა 6—10 დესეტინა მიწა მაინც[4]. იმ პერიოდში, მიწათმოქმედებაში ერთი და ორმინდვრიანი სისტემის ბატონობასთან დაკავშირებით, გლეხს რომ ყოველწლიურად 6—10 დესეტინა ნახნავი ჰქონოდა, ამისათვის საჭირო იყო მისთვის მიწა 10—20 დესეტინის რაოდენობით. სწორედ 10—20 დესეტინა ვარგისი მიწა მაინც უნდა ჰქონოდა საშუალო გლეხს, რომ მისი ოჯახის შემოსავალს გასავალი დაეფარა. აგრონომ ა. დეიჩმანს მიაჩნდა, რომ ჩვენთან ყოველი გლეხის ოჯახს მინიმალურ მოთხოვნი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 538.

[2] Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тифлис, 1903, გვ. 11.

[3] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956, გვ. 325.

[4] А. Кипшидзе, Исторический очерк деятельности Тифлисского губернского по крестьянским делам Присутствия (1864—1900 гг.), журн. „Кавказский вестник“, 1901, № 9, გვ. 107.

ლებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა არანაკლებ 24 დესეტინა მიწისა. სწორედ 24 დესეტინა ნაყოფიერი მიწა სჭირდება გლეხის ოჯახსო — ამბობს ის[1]. ვ. ი. ლენინი განსაზღვრავდა, რომ „ვაინაჩრობით ცხოვრებისათვის შეძლებულ საადგილმამულო მეურნეობაში საჭიროა სულ ცოტა 15 დესეტინა"[2].

გლეხობის ის ნაწილი, რომელიც 20—25 დესეტინაზე მეტ მიწას ამუშავებდა, შეიძლება მდიდარ გლეხებად ჩაგვეთვალა (900-იან წლებში მაზრაში გლეხთა დაახლოებით 500 კომლი თითოეული ფლობდა 20 დესეტინაზე მეტ მიწას), რადგან ისინი პროდუქტებს აწარმოებდნენ უმთავრესად ბაზარზე გასატანად. ამავე დროს, 20—25 დესეტინა და მეტი მიწის დამუშავება. როგორც წესი, დაქირავებული შრომის გამოყენებას გულისხმობდა.

რატომ ვიღებთ, სახელდობრ, მიწის რაოდენობას არანაკლებ 20—25 დესეტინისა შეძლებული გლეხის ეკონომიური სიძლიერის დამადასტურებელ მინიმალურ ზღვრად? რუსეთის გუბერნიებში, ჩვეულებრივად, ეს მინიმალური ზღვარი 25 დესეტინა ნათესს შეადგენდა. იქ გლეხის ოჯახის მინიმალურ ეროთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ანგარიშობდნენ 16—18 დესეტინა ნათესს. მაგრამ ეს იყო რუსეთში. ჩვენი აზრით, საქართველოს მაშინდელ პირობებში შესაძლებელია დავუშვათ შედარებით ნაკლები რაოდენობა. ვიღებთ რა შეძლებული გლეხისათვის მიწის რაოდენობის მინიმუმს 20—25 დესეტინის რაოდენობით, ჩვენ ვთვლით, რომ აქაური გლეხი მხოლოდ მარცვლეულის ნათესებზე არ იყო დამოკიდებული. მას თავისი ფართობის გარკვეულ ნაწილზე გაშენებული ჰქონდა ძვირფასი სპეციალური კულტურები (გორის მაზრაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვაზი და ხეხილი). ეს გარემოება კი მკვეთრად სცვლის სურათს მფლობელის სასარგებლოდ. რადგან ბაღი ან ვენახი გაცილებით მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივ შეუძლია მოგვცეს სხვა სახის სპეციალურმა კულტურამ (კარტოფილი, კანაფი და სხვ.).

მეორე მხრით, ტექნიკურ თავისებურებათა გამო მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია ხშირად მეურნეობის წარმოებისა და კაპიტალიზმის ზრდას იწვევს ისე, რომ მეურნეობაში დამუშავებული

---

[1] Записки Кавказского Общества Сельского хозяйства, 1856, кн. III, зз. 96.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, зз. 77.

მიწის საშუალო რაოდენობის შემცირებაც კი ხდება. ამ დროს შეძლებულ გლეხთა მეურნეობაში მიწაზე კაპიტალი მოქმედებს. ეს კი იწვევს ტექნიკურ ცვლილებებს, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გაუმჯობესებისა და მათი გამოყენების ზრდას. დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდას და ა. შ.

ბარად. როგორც წესი, ყოველი შეძლებული გლეხი ცდილობდა ნაოესების ფართობის გადიდებასა და ბაღ-ვენახების ფართობების გაზრდასთან ერთად საკმაო რაოდენობით მუშა პირუტყვის ყოლას. ბარის მძიმე ნიადაგები დიდი რაოდენობით მოითხოვდნენ გუთანში შესაბმელად მუშა საქონელს. საშუალო გლეხს 3—4 სული მუშა საქონელი მაინც უნდა ჰყოლოდა, რომ სხვა გლეხებთან ერთად გუთანი შეება. მდიდარ გლეხს კი, სავარაუდებელია, რომ 5 სულზე მეტი ეყოლებოდა. ისეთ კომლთა რიცხვი. რომელსაც შეეძლო გუთნეული დამოუკიდებლად გამოეყვანა მაზრაში, დაახლოებით 4%-ს არ აღემატებოდა[1].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „კომლზე 15 დესეტინამდე მიწის მფლობელობანი მივაკუთვნოთ პირველ ჯგუფს, — ესაა გაჩანაგებული, ბატონყმური ექსპლოატაციით წელში გაწყვეტილი გლეხობა. მეორე ჯგუფს შეადგენს საშუალო გლეხობა — 15-დან 20 დესეტინამდე მფლობელობა. მესამეს — შეძლებული გლეხობა (გლეხური ბურჟუაზია) და კაპიტალისტური მიწათმფლობელობა, 20-დან 500 დესეტინამდე“[2]. მეორე ადგილას ლენინი მიუთითებდა, რომ „მდიდრებად ჩაითვლებიან მხოლოდ 30 დესეტინაზე მეტის მფლობელნი“[3]. გამოვდივართ რა ლენინის ამ მითითებებიდან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართლის ბარსა და მთისძირა სოფლებში 20—25 დესეტინისა და მეტის მფლობელი გლეხების ძირითადი ნაწილი შეიძლება მივაკუთვნოთ გლეხობის ზედა ფენას. ამასთან, გამორიცხული არ არის. მაგალითად, იმის შესაძლებლობა, რომ მთელი მიწის ფართობის ნაწილი უვარგისი იყო. გორის მაზრაში ყველგან ერთნაირად ნაყოფიერი მიწები არ ყოფილა. ურწყავი და მით უმეტეს ხრიოკი მიწები ჩვეულებრივად ძნელი დასამუშავებელი იყო და ნაკლებ მოსავალს იძლეოდა.

---

[1] И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе, журн. «Русская мысль», 1902, книга VII, გვ. 125.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 80.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 272.

მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, თუ რისთვის გამოიყენებოდა ეს ფართობი. გორის მაზრაში ხელსაყრელი პირობების გამო ხვნა-თესვასა და მესაქონლეობასთან ერთად დიდად შემოსავლიანი კულტურები მევენახეობა და მეხილეობა იყო განვითარებული. ამიტომ, შეძლებული გლეხური კომლის საკუთრებაში არსებული მიწის დიდ ფართობზე ვენახი და ბაღი მნიშვნელოვანი რაოდენობით იგულისხმებოდა.

გლეხური კომლის ეკონომიურ სიძლიერეზე როცა ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, კომლის სულადობა, საერთოდ, მუშახელის რაოდენობა, კერძოდ. გორის მაზრაში კი 11 და მეტი სულისაგან შემდგარ ოჯახთა რაოდენობა 1897 წელს 3226 კომლს უდრიდა[1].

დიდ ოჯახებს, ცხადია, უფრო მეტი რაოდენობით შეეძლოთ გამოეყვანათ მუშახელი. შეძლებულ გლეხურ კომლებში ჩვეულებრივად სულადობა უფრო მეტი იყო და, ცხადია, სამუშაოდაც მეტი მუშახელის გამოყვანა შეეძლოთ. ამასთან, ოჯახში მუშახელის სიმრავლე სრულიადაც არ გამორიცხავს დაქირავებული შრომის გამოყენებას, მით უფრო, როცა კომლს დიდი რაოდენობით გააჩნია სახხავ-სათესი, ვენახი, ბაღი, ჰყავს ბევრი მუშა საქონელი.

ამგვარად, კულაკთა რიგებში იყვნენ ის მეურნე გლეხები ან მოჯარადრეები, რომელნიც სავაჭრო მიწათმოქმედებასა და სავაჭრო მეცხოველეობას ეწეოდნენ. მათ მოჰყავდათ არა მარტო მარცვლეული კულტურები, არამედ, და უფრო მეტად, ისეთი სპეციალური კულტურებიც, როგორიც იყო ვაზი, ხეხილი, სიმინდი, კარტოფილი და სხვ. მისდევდნენ პროდუქტული, მუშა და სახორცე პირუტყვის მოშენებას დაქირავებული შრომის გამოყენებით და გაყიდვის მიზნით. ასეთთა რაოდენობა მაზრაში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მფლობელებთან ერთად დაახლოებით 5—6%-ს შეადგენდა.

ამრიგად, გორის მაზრაში სავარაუდებელია როგორც კულაკურ მეურნეობათა შედარებით ნაკლები რაოდენობა, ისე თვით ამ მეურნეობათა მცირემიწიანობა. გლეხობის უხვმიწიანობა გლეხური ბურჟუაზიის მეტ სიმრავლესა და მეტ სიმდიდრეს მოასწავებდა, გლეხთა მცირემიწიანობა კი საწინააღმდეგო შედეგს გვაძ-

---

[1] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г., LXIX, გვ. 6 — 7.

ლევს — დიდია გლეხთა მასის სიღატაკე. შედარებით მცირერიცხოვანია და ნაკლებ შეძლებული გლეხური ბურჟუაზია.

ჩვენს განკარგულებაშია მასალები ცალკეულ მდიდარ გლეხურ კომლთა შესახებ 900-იანი წლების დასაწყისისათვის. ქვემოთ მოგვაქვს ზოგიერთი ცნობა.

თ ე დ ო გ ზ ი რ ი შ ვ ი ლ ი (სოფ. კასპი) სამთვლიანი წისქვილის, სამი დღიური ვენახისა და საკუთარი გუთნეულის მფლობელი იყო (გუთნეულში 8 უღელ ხარ-კამეჩს ანუ 16 სულ საქონელს აბამდნენ). საკუთარი მიწა შედარებით ცოტა ჰქონდა. რადგან მემამულეებმა მას მიწა არ მიჰყიდეს. მეურნეობა უმთავრესად იჯარით აღებულ მიწაზე ჰქონდა მოწყობილი. ყოველთვის ჰყავდა ერთი ან ორი მოჯამაგირე. მუშებს სეზონურად დ დღიურადაც ქირაობდა. ყიდიდა 20—25 კოკა ღვინოს (კოკა=75 ლიტრს) და დიდი რაოდენობით პურს — „ნაკლები ხალხი (ღარიბები — ი. უ.) სულ მის კართან იდგა. ზოგს ფულზე მიჰყიდდა პურს, ზოგს კი მუშაობაზე აძლევდა“[1].

ვ ა ს ი ლ კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი (სოფ. ქვემო ჭალა) ყოველწლიურად 15 დესეტინა მიწას მაინც თესავდა. საკუთარი მიწა მას 12 დესეტინა ჰქონდა, აქედან ერთ დესეტინაზე მეტი ვენახი. დანარჩენს იჯარით იღებდა მემამულეებისაგან ან ღარიბი გლეხებისაგან. ჰყავდა ოთხი უღელი (8 სული) შესაბმელი საქონელი. ოჯახი 11 სულისაგან შედგებოდა. მათგან 4 მუშახელი იყო. ჰყავდა მოჯამაგირე, აგრეთვე სეზონურად და დღიურადაც ქირაობდა მუშებს. ყოველწლიურად 400 ფუთზე მეტ პურს ყიდიდა ვაჭრებსა და გლეხებზე (გლეხი ხშირად წაღებული პურის ღირებულებას შესატყვისი სამუშაოს შესრულებით იხდიდა). ღვინო მოსდიოდა 100—150 კოკა (ამ სოფელში კოკა=72 ლიტრს), რომლის 2/3-ს ყიდიდა[2].

ი ვ ა ნ ე ი ჩ ქ ი თ ი (სოფ. მეჯვრისხევი) ფლობდა 20 დესეტინა საკუთარ სახნავ მიწას, 2 დესეტინა ვენახსა და ორთვლიან წისქვილს. ღაახლოებით 10 დესეტინა სახნავ მიწას იჯარითაც იღებდა. ღვინისა და მარცვლეულის მოსავლის 3/5-ს ბაზარზე ყიდიდა[3].

---

[1] ცნობა მოგვაწოდა კასპის მცხოვრებმა, გიგო მერებაშვილმა (86 წლ.).

[2] ცნობა მოგვაწოდეს ქვემო ჭალის მცხოვრებლებმა ნიკოლოზ თავშავაძემ (66 წ.) და იოსებ წიკლაურმა (75 წლ.).

[3] ცნობა მოგვაწოდა მეჯვრისხევის მცხოვრებმა დავით ხომასურიძემ (88 წლ.).

მიხა ფსუტური (სოფ. ნაწრეტი) საკუთარი გუთნეულის მფლობელი იყო. 2—3 მოჯამაგირე ყოველთვის ჰყავდა. წელიწადში 4800 ფუთამდე პური და 3200 ფუთამდე ქერი მოსდიოდა. მოსავლის უდიდეს ნაწილს ბაზარზე ყიდიდა. ოჯახში 12 სული იყო, ამათგან — ოთხი მუშახელი[1].

ადიკო ღვინაძე (სოფ. კოდისწყარო), რომლის ოჯახში ორი ძმა იყო, წელიწადში 4000 ფუთ პურსა და 2000 ფუთ ქერს ღებულობდა[2].

აბრამ ბეგიაშვილი (სოფ. მეჯვრისხევი) 700 დესეტინა მიწას ფლობდა, აქედან 500 დესეტინა ტყე და 200 დესეტინა სახნავი იყო. ჰყავდა საკუთარი გუთნეული, მუშახელს დიდი რაოდენობით ქირაობდა. მიწას სხვა გლეხებსაც აძლევდა იჯარით[3].

ზაქარია ზანგურაშვილი (სოფ. მეჯვრისხევი) 10 დესეტინა საკუთარ მიწასა ფლობდა. მიწას იჯარითაც ბევრს იღებდა. ჰქონდა 4 დესეტინა ბაღ-ვენახი. ჰყავდა საკუთარი გუთნეული და 200 სული თხა და ცხვარი. ყოველთვის ჰყავდა 2—3 მოჯამაგირე, ხოლო ყანის მკის ან სიმინდის თოხნის დროს 30—35 მუშას ერთდროულად ქირაობდა. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე ორ კალოს ღეწავდა. პური 1200 ფუთზე მეტი მოსდიოდა. წლიურად ყიდდა 800 ფუთზე მეტს პურს, ღვინის მოსავლის ნახევარს და ხილის მოსავალს თითქმის მთლიანად[4].

ვანო წკრიალაშვილს (სოფ. შავშვები), რომლის ოჯახში ორი სული იყო, წელიწადში 2800 ფუთი პური და ქერი მოსდიოდა. ჰყავდა საკუთარი გუთნეული, 3—4 მოჯამაგირე. სეზონურად და დღიურადაც ბევრ მუშას ქირაობდა. 200 სულამდე ცხვარი ჰყავდა. წელიწადში 2400 ფუთ მარცვალს მაინც ყიდდა[5].

ალექსი ხმიადაშვილს (სოფ. ტირძნისი) 5 უღელი შესაბმელი ხარ-კამეჩი ჰყავდა. ჰქონდა 10 დესეტინა საკუთარი მიწა, ამასთან კიდევ 15 დესეტინას იჯარით იღებდა მემამულე სულხანიშვილისაგან, რისთვისაც სულ 30 მანეთს უხდიდა. ჰქონდა 2 დესე-

---

[1] ცნობა მოგვაწოდა მეჯვრისხევის მცხოვრებმა აბრამ უმეკაშვილმა (72 წლ.).

[2] მისივე ცნობა.

[3] ცნობა მოგვაწოდა მეჯვრისხევის მცხოვრებმა თედო ბეგიაშვილმა (65 წლ.).

[4] მისივე ცნობა.

[5] მისივე ცნობა.

ტინა ვენახი და წისქვილი. ჰყავდა 4 მოჯამაგირე. მუშას სეზონურად და დღიურადაც ქირაობდა. წელიწადში მას 1200—1600 ფუთი მარცვლეული მოსდიოდა. პურისა და ღვინის მოსავლის ნახევარზე მეტს ბაზარზე ყიდდა.

სოფ. ტირძნისში ასეთივე მდიდარი გლეხები იყვნენ ვანო და რაჟდენ ტეტუნაშვილები. ვანოს ყოველთვის ჰყავდა 3-4 მოჯამაგირე, ხნავდა 24 დესეტინას (10 დესეტინა საკუთარი მიწა, დანარჩენი იჯარით). რაჟდენი კი წელიწადში 25 დესეტინას მაინცა სთესავდა და 1200 ფუთამდე პურსა ყიდდა. მას 4 ტონა ხილიც გაჰქონდა ბაზარზე. ჰყავდა 5 მოჯამაგირე. ორი ურემი ქირაზე დაჰყავდა[1].

სოლომონ გორგიშვილის (სოფ. მერეთი) წლიური ნახნავი 20 დესეტინაზე მეტს შეადგენდა. მასვე ჰქონდა ბაღი და ერთი დესეტინა ვენახი. ამის გარდა, მემამულე ფურცელაძეებისაგან 5 დღიურ ვენახს იჯარით იღებდა. ჰყავდა 30 სული მსხვილფეხა საქონელი. ორი ურემი ქირაზე დაჰყავდა. ბაზარზე ყიდიდა ხორბლისა და ქერის მოსავლის ნახევარს, სიმინდის მოსავლის 5/6-ს, ღვინის მოსავლის 2/3-ს, 2—3 სულ მსხვილფეხა საქონელს და 15—20 ღორს, ამასთან 3—4 სულ მსხვილფეხა საქონელს კლავდა და ხორცს სოფელში ყიდიდა. ყოველთვის ჰყავდა მოჯამაგირე, მუშახელს დღიურადაც ქირაობდა. ოჯახში სულ სამი მუშახელი იყო[2].

ვასო ბერუაშვილი (სოფ. რუისი) ფლობდა 15 დესეტინა საკუთარ მიწას. მიწას იჯარითაც იღებდა. ჰქონდა ერთი დღიური ვენახი. ჰყავდა 20 სულამდე მსხვილფეხა საქონელი (4 უღელი შესაბმელი, 3 ძროხა, 1—2 ფურკამეჩი, მოზარდი საქონელი), 300 სული ცხვარი. ოჯახში ორი მუშახელი იყო. ქირაობდა მუშას დღიურად. ჰყავდა ორი მოჯამაგირე[3].

იაგორ გოქაძეს (სოფ. მოხისი) ოჯახში 4 მუშახელი იყო. იაგორს ჰქონდა 20 დესეტინა საკუთარი მიწა, 7—8 დესეტინას იჯარით მემამულეებისაგან ან ღარიბი გლეხებისაგან იღებდა. საიჯარო გადასახადს უმეტესად ფულად იხდიდა. ჰყავდა 27 სული მსხვილფეხა საქონელი, აქედან: შესაბმელი 4 უღელი, 4—5 ძროხა, 3 ფურკამეჩი და სხვ. ერთი ურემი ქირაზე დაუდიოდა. წელი-

---

[1] ცნობა მოგვაწოდა ტირძნისის მცხოვრებმა გაბრიელ ბუჩუკურმა (68 წლ.).
[2] ცნობა მოგვაწოდეს მერეთის მცხოვრებლებმა შიო გორგიშვილმა (85 წლ.) და ვასო გორგიშვილმა (75 წლ.).
[3] ცნობა მოგვაწოდა რუისის მცხოვრებმა გიორგი ქარქუშაშვილმა.

წადში 1300 ფუთამდე მარცვლეული მოსდიოდა. აქედან ყიდიდა 700 ფუთ ქერს და 300 ფუთ პურსა და სიმინდს. წელიწადში 100 მუშაზე მეტს ქირაობდა[1].

ამავე სოფლის მცხოვრებ დიმიტრი ქელეხსაშვილს ედგა ორსართულიანი თუნუქდახურული 8 ოთახიანი სახლი. ოჯახში 11 სული იყო, მათში 6 მუშახელი; ჰყავდა 40 სულამდე მსხვილფეხა საქონელი, აქედან 4 ფურკამეჩი, 5 ძროხა, 3 ცხენი და დანარჩენი მოზარდი საქონელი. ამბობდა საკუთარ გუთნეულს. ქონდა საკუთარი მიწა 50 დესეტინამდე, აქედან ყოველწლიური ნათესი — 40 დესეტინა. მოსდიოდა 6000 ფუთი მარცვლეული. ყიდიდა რამდენიმე ვაგონ მარცვალს (ვაგონში 766 ფუთი ჩადიოდა). ყოველთვის ჰყავდა მოჯამაგირე, აგრეთვე დღიურად ბევრ მუშას ქირაობდა[2].

ივანე ნოზაძეს (სოფ. მოხისი) 60 დესეტინა საკუთარი მიწა ჰქონდა. ყოველწლიურად 50 დესეტინას ხნავდა და თესავდა. მოსდიოდა 7500 ფუთი მარცვლეული, აქედან 6000—6500 ფუთამდე ყიდიდა. ჰყავდა 200 სული ცხვარი, 100 დედაღორი; წელიწადში 40—50 სულს ცხვარსა და 200 სულზე მეტ ღორსა ყიდიდა. ამბობდა საკუთარ გუთნეულს. გუთნეულში უხარო მეხრეებს ამუშავებდა, სამაგიეროდ კი უხნავდა. 2 მოჯამაგირე მაინც ყოველთვის ჰყავდა. წელიწადში 100 კაცზე მეტს დღიურად ქირაობდა. ოჯახში სულ ექვსი მუშახელი იყო[3].

მოხისში ასევე მდიდარი იყო პეტრე ამბოკაძე, რომელსაც ჰქონდა 50 დესეტინა საკუთარი მიწა. აქედან ყოველწლიური ნათესი 40 დესეტინა. ყიდიდა 1—2 ვაგონ მარცვლეულს, ჰყავდა საკუთარი გუთნეული, სულ — 40 სულამდე მსხვილფეხა საქონელი[4].

კოტე ურუტაძეს (სოფ. ქვენატკოცა) ჰყავდა 60 სული მსხვილფეხა საქონელი (საკუთარი გუთნეული, 7—8 ფურკამეჩი, 2—3 ძროხა, 3—4 ცხენი და სხვ.). ათასი სული ცხვარი; ყიდიდა მატყლს. ყველს, 200—300 ცხვარს. ჰქონდა 100 დესეტინა მიწა (აქ შედის 10 დესეტინა ტყე). მისი ყოველწლიური ნათესი 80 დესეტინას უდრიდა (პური— 30, სიმინდი — 10, ქერი — 40). ქერს ვაგონობით, სიმინდს კი ასეულ ფუთობით ყიდიდა. ჰყავდა 10 მოჯამაგირე (მათგან 6 მწყემსი)[5].

---

[1] ცნობა მოგვაწოდა მოხისის მცხოვრებმა ალექსი ლობჟანიძემ (81 წლ.).
[2] ცნობა მოგვაწოდა მოხისის მცხოვრებმა იასე ქელეხსაშვილმა.
[3] მისივე ცნობა.
[4] მისივე ცნობა.
[5] ცნობა მოგვაწოდა მოხისის მცხოვრებმა მიხეილ მესხმა (75 წლ.).

ალექსო იორამაშვილს (სოფ. დირბი) ჰქონდა 80 დესეტინა საკუთარი მიწა, ყოველწლიური ნათესი კი 60 დესეტინას მაინც შეადგენდა. ჰყავდა 60 სული მსხვილფეხა საქონელი, აბამდა საკუთარ გუთნეულს. ჰყავდა 3 მოჯამაგირე, ხოლო დღიურად წელიწადში 100 კაცზე მეტს ქირაობდა. 3 დესეტინა საკუთარი ვენახი ჰქონდა. ეს გლეხი მევახშეობასაც ეწეოდა: მას ვალის სარგებელში გირაოდ წელიწადში 6 დესეტინამდე ვენახი ჰქონდა აღებული. საკუთარი ვენახიდან და გირაო ვენახებიდან მიღებული ღვინის 5/6 მაინც ბაზარზე გაჰქონდა. მარცვლეულსაც ვაგონობით ყიდიდა[1].

ზუნა მაისურაძეს (სოფ. კნოლევი) 35 დესეტინა სახნავი მიწა და 1 დესეტინა ვენახი ჰქონდა. აბამდა საკუთარ გუთნეულს; 7 ბოხა, 3—4 ფურკამეჩი და 200 სული თხა და ცხვარი ჰყავდა. წელიწადში 2 ვაგონ ქერს, 60—70 ცხვარს და 3—4 სულ მსხვილფეხა საქონელს ყიდიდა. ჰყავდა 3 მოჯამაგირე.[2]

ილარიონ ოდიკაიეს (სოფ. შინდარა) ბევრი ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი, აგრეთვე ცხვარი და ღორი. აბამდა საკუთარ გუთნეულს, მარცვლეულს ვაგონობით ყიდიდა[3].

გიორგი კაპანაძეს (სოფ. წაღვლი) ჰყავდა 300 სული ცხვარი, 30 ღორი; აბამდა საკუთარ გუთნეულს. ჰქონდა 1,5 დღიური ვენახი. ჰყავდა მოჯამაგირე. ბაზარზე დაახლოებით ერთ ვაგონ ქერსა და ნახევარ ვაგონ პურს ყიდიდა[4].

ანდრო კილაძეს (სოფ. წაღვლი) 4 საცხოვრებელი სახლი ედგა. აბამდა საკუთარ გუთნეულს. ჰყავდა 300—400 ცხვარი, ყიდიდა 1,5—2 ვაგონ მარცვლეულს. 2 ურემი ქირაზე დაუდიოდა[5].

გლახა ტიტვინიძის (სოფ. არადეთი) ოჯახში 4 მუშახელი იყო. ჰქონდა 30 დესეტინა მიწა. ჰყავდა საკუთარი გუთნეული. ყიდიდა 800 ფუთ მარცვლეულს. ჰყავდა მოჯამაგირე, ქირაობდა მუშახელს დღიურადაც[6].

ლადო ბასიშვილს (სოფ. ქურთა) ჰქონდა 20 დესეტინა საკუთარი მიწა. აბამდა საკუთარ გუთნეულს. ბაზარზე 1800—2000

[1] ცნობა მოგვაწოდეს მოხისის მცხოვრებლებმა: მიხეილ მესხმა და ალექსი ლობჟანიძემ.

[2] ცნობა მოგვაწოდა ოქონის მცხოვრებმა ალექსი ხარებოვმა (80 წლ.).

[3] ცნობა მოგვაწოდა ოქონის მცხოვრებმა მიხეილ ბუხალაძემ (75 წლ.).

[4] ცნობა მოგვაწოდა წაღვლის ყოფილმა მცხოვრებმა (ამჟამად სურამში მცხოვრებმა) სოლო კილაძემ (72 წლ.)

[5] მისივე ცნობა.

[6] ცნობა მოგვაწოდა ქარელის მცხოვრებმა იასონ ბუსიშვილმა (70 წლ.).

ფუთ მარცვლეულს ყიდიდა. ჰქონდა სამი ვენახი. მოსავალი 50 ბოკა (ბოკა=5 ფუთს) მოსდიოდა. ღვინის მოსავლის ნახევარს ბაზარზე ყიდიდა. მუშას დიდი რაოდენობით ქირაობდა[1].

ეფრემ ნებიერიძეს (სოფ. კეხვი) ჰქონდა 15 დესეტინა სახნავი, 4 დესეტინა ბაღი, 3 დესეტინა ვენახი და ოთხთვლიანი წისქვილი; აბამდა ორ საკუთარ გუთნეულს, ჰყავდა მოჯამაგირეები. ამის გარდა წელიწადში 200 კაცს მაინც დღიურად ქირაობდა[2].

სოსო ბადუაშვილს (სოფ. სასირეთი) 50 დესეტინა მიწა ჰქონდა. თესავდა 30—35 დესეტინას, მოსდიოდა 2000 ფუთამდე მარცვლეული. აქედან ყიდიდა 1500 ფუთს. ჰქონდა 1 დესეტინა ვენახი და ორთვლიანი წისქვილი. მოჰყავდა და 60 ტონამდე კომბოსტოს ბაზარზე ყიდიდა. აბამდა საკუთარ გუთნეულს. ჰყავდა მოჯამაგირე. საჭირო შემთხვევაში ქირაობდა მუშას დღიურად, ხშირად 20—30 კაცს ერთდროულად[3].

ედიშერ გოგიჩაშვილს (სოფ. ქარელი) ჰქონდა 25 დესეტინა სახნავი მიწა, 1 დესეტინა ხილის ბაღი. სამთვლიანი წისქვილი. ჰყავდა 40 სული მსხვილფეხა საქონელი (აბამდა საკუთარ გუთნეულს, აგრეთვე ჰყავდა 6 ძროხა. 4 ფურკამეჩი და სხვ.). წელიწადში 20 დესეტინას თესავდა. ყიდიდა მოსავლის დიდ ნაწილს. კომბოსტოსა და ჭარხალს დათმობილი ჰქონდა 1—2 დესეტინა მიწა. მიღებულ ბოსტნეულს თითქმის მთლიანად ყიდიდა. ჰყავდა 2 მოჯამაგირე. დღიურადაც ბევრ მუშას ქირაობდა[4].

გაბო შერდიყოშვილს (სოფ. ბობნევი) ჰყავდა 1500 თხა და ცხვარი. 60 სკა ფუტკარი. ორი გუთნეული ხარ-კამეჩი, 10 ძროხა. წელიწადში 20 დესეტინა ნათესი ჰქონდა. ბაზარზე უმთავრესად მატყლს, თაფლს, ყველს, საკლავსა (წელიწადში 400—500 ცხვარს) და მსხვილფეხა საქონელს ყიდიდა[5].

ბეძეპილიევს (სოფ. ჯომაღა). ლევან შავლოხოვსა (სოფ. სლუბირი) და ყარამან ბურაევს (ს. კაბუზთა) თითოეულს 30 სულ ძროხაზე მეტი და 200 სულზე მეტი თხა და ცხვარი ჰყავდა.

---

[1] ცნობა მოგვაწოდა ქურთას მცხოვრებმა პეტრე მინდიაშვილმა (83 წლ.)

[2] მისივე ცნობა.

[3] ცნობა მოგვაწოდა რუისის მცხოვრებმა გიორგი ქარქუშაშვილმა (74 წლ.).

[4] ცნობა მოგვაწოდეს ქარელის მცხოვრებლებმა: კაკოლა გოგიჩაშვილმა (78 წლ.), იასონ ბუსიშვილმა (70 წლ.) და დავით ბაბლიძემ (73 წლ.).

[5] ცნობა მოგვაწოდა ბობნევის მცხოვრებმა (ამჟამად ატენში მცხოვრებმა) ესტატე ქერდიყოშვილმა (77 წლ.).

გბიჯიკაევს (სოფ. მაღი) ჰყავდა 28 ძროხა, 60 თხა და ცხვარი და 12 ხარი.

კოსტა ჯიოევს (სოფ. წონა), გარდა ადგილობრივი ჯიშის ძროხებისა, ჰყავდა 15 სული გერმანული ჯიშის წითელი ძროხა[1].

გაუს სლანოვს (სოფ. ბრითათა) 160 სულამდე ძროხა ჰყავდა. ამ რაოდენობის ნახევარი მას ღარიბ გლეხებზე ჰყავდა გაცემული შესანახად[2].

ქსნის ხეობაში მდიდარი გლეხები უფრო მეცხვარეობას მისდევდნენ. სოფ. ბალაანში ვანო ფოცხვერაშვილს ჰყავდა 700 სული ცხვარი, ხოლო სოსიკა ბალაშვილს — 800 სული. სოფ დადიანეთში ბარამბერიანიძეს ჰყოლია 800 ცხვარი. ტუჩა ბერიანიძეს — 800—900 სული, ხოლო სოფ. ჭურთაში ყარამან ბზიკიშვილს — 1000 — 1500 სული. ამ გლეხებს დაქირავებული მწყემსები ჰყავდათ, მაგალითად. ყარამან ბზიკიშვილს 4—5 კაცი[3]. ისინი დიდი რაოდენობით ყიდიდნენ მატყლს, ყველს, საკლავს.

ასევე სავაჭრო მეცხოველეობას ეწეოდა დიმიტრი კალხიტაშვილი (სოფ. დრე), რომელიც სესხად ფულს შეძლებულ თავადებსაც კი აძლევდა[4], და სხვა.

ახალდაბელი, ტაშისკარელი, ქვიშხეთელი და ზოგი სხვა სოფლის ბევრი მცხოვრები ბორჯომის ხეობაში სატივე ხეების დამზადებაზე მუშაობდა. ნაკლებ შეძლებულები ამხანაგობებს ადგენდნენ 2—3 კაცის რაოდენობით (აგრეთვე 2—3 უღელი ხარკამეჩით), მდიდრები კი ხშირად უსაქონლო ხალხს ქირაობდნენ. ჯიბრო ქურდაძე (სოფ. ქვიშხეთი) წელიწადში 18 ტივს მაინც ამზადებდა და ჰყიდიდა[5]; ასევე წარმატებით ამზადებდა სატივე ხეებს პაატა ლომსაძე (სოფ. ტაშისკარი), რომელსაც საკუთრად 10 უღელი შესაბმელი ხარკამეჩი ჰყავდა[6].

მდიდარი გლეხებიდან ზოგი დამზადებულ ტივებს ყიდულობდა და 3—4 ტივი ერთდროულად თბილისში ჩაჰქონდა გასაყიდად.

---

[1] ცნობა მოგვაწოდეს სტალინირის მცხოვრებმა ზაქარია კუმარიტოვმა (74 წლ.) და ჯომაღის მცხოვრებმა (ამჟამად სტალინირში ცხოვრობს) ხასაყო ძუგაევმა (100 წლ.).

[2] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в период капитализма, часть II, Тбилиси, 1956, გვ. 64.

[3] ცნობა მოგვაწოდა ლენინგორის მცხოვრებმა ვანო ხაჩატუროვმა (72 წლ.).

[4] ცნობა მოგვაწოდა ატენის მცხოვრებმა ესტატე ქერდიყოშვილმა.

[5] ცნობა მოგვაწოდა ქვიშხეთის მცხოვრებმა ანდრო ქურდაძემ (81 წლ.).

[6] ცნობა მოგვაწოდა ტაშისკარის მცხოვრებმა მაქსიმე ლომსაძემ (78 წლ.).

ასე იქცეოდა. მაგალითად, ანდრია ბლიაძე, რომელიც თვითონაც იყო მეტივე და სხვებსაც ქირაობდა (თითო ტივზე ორ-ორი კაცი იყო საჭირო)[1]. ახალდაბიდან ტივების ადგილზე ყიდვასა და თბილისში გაყიდვას 6 კომლი აწარმოებდა[2].

ჩამოთვლილთა გარდა შეიძლება დავასახელოთ მაზრის ბევრი მდიდარი გლეხი, რომელიც მარცვლეულს ვაგონობითა ჰყიდდა. ასეთები იყო — სოფ. შინდისიდან მიხა თვალიაშვილი, სოფ. ქვენატკოცადან — ანდრო ჩოჩიშვილი, სინო ოთლაძე (ამ უკანასკნელს, გარდა სხვა ქონებისა, ორი წისქვილიცა ჰქონდა: ერთი ხუთთვლიანი. მეორე — ოთხთვლიანი), ხვთისო თოთლაძე და მიხა გელაშვილი; სოფ. აბისიდან — სოლო კილასონია და გაბო ბერაძე და სხვ.[3].

რეფორმის შემდგომი პერიოდის გლეხურ მოსახლეობაში ღარიბები უმრავლესობას შეადგენდნენ. შემდეგშიც მათი რაოდენობა როგორც შეფარდებით, ისე აბსოლუტურად უფრო მატულობს. ეს საშუალო გლეხობის გაღატაკებისა და დაშლის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 900-იანი წლების დასაწყისში მაზრის გლეხურ კომლთა თითქმის 44% ფლობდა კომლზე მხოლოდ თითო დესეტინამდე მიწას, 45% კი სრულიად მოკლებული იყო მუშა პირუტყვს. ეს მონაცემი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მაზრის გლეხურ კომლთა 40—45% მაინც ღარიბ გლეხობას, სოფლის პროლეტარებსა და ნახევრად პროლეტარებს შეადგენდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბი და უღარიბესი გლეხობის დიდი რაოდენობა (60%-მდე) სხვა უბნებთან შედარებით ხიდისთავის უბანზე მოდიოდა.

ი. სტალინი შემდეგნაირად ახასიათებდა ღარიბ გლეხებს: „ვინ არიან ღარიბი გლეხები? ეს ისეთი ადამიანებია, რომლებსაც მეურნეობისათვის ჩვეულებრივ არ ჰყოფნიდათ ან თესლი, ან ცხენი, ან იარაღები, ან არ ჰყოფნიდათ ყოველივე ეს, ერთად აღებული. ღარიბი გლეხები — ეს ისეთი ადამიანებია, რომლებიც ნახევრადმშიერნი ცხოვრობდნენ და, როგორც წესი, იმყოფებოდნენ კულაკების კაბალაში, ხოლო ძველ დროს — როგორც კულაკების, ისე მემამულეების კაბალაში"[4].

---

[1] ცნობა მოგვაწოდა ახალდაბის მცხოვრებმა ზაქარია ცხვედაძემ (81 წლ.).
[2] ცნობა მოგვაწოდა ახალდაბის მცხოვრებმა ალექსი ქველაძემ (83 წლ.).
[3] ცნობა მოგვაწოდა მოხისის მცხოვრებმა მიხეილ მესხმა.
[4] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 209.

რეფორმის შემდეგ სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განმტკიცების მიხედვით, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, ქალაქებისა და რკინიგზების ქსელის ზრდასთან დაკავშირებით, განუწყვეტლივ ხდება გლეხობის დაშლა ანტაგონისტურ კლასებად. იზრდება ღარიბ გლეხთა რაოდენობა. გლეხთა რაოდენობის სულ ცოტა 60%-ს ოქტომბრის რევოლუციამდე ღარიბი გლეხები შეადგენდნენ[1].

ვ. ი. ლენინი რუსული სოფლის პროლეტარიატის ტიპიურ წარმომადგენლად ღარიბ ნადელიან გლეხსა თვლიდა: „სოფლის პროლეტარიატის უაღრესად ტიპიური წარმომადგენელი არის მოჯამაგირე, დღიური მუშა, შავი მუშა, მშენებელი ან სხვა რომელიმე მუშა ნადელით“[2].

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები საკვანძოთ უდგება თბილისის გუბერნიაში იმ დროს არსებულ მდგომარეობას.

მეტად მძიმე იყო ქართლის სოფლის ღარიბი გლეხობის ცხოვრება.

სოფ. დიცის ღარიბი გლეხების შესახებ კორესპონდენტი წერდა: „სისხლი ყელში გებჯინება, როდესაც უყურებ უპერანგო გლეხს რუსის ფარაჯაში, რომელიც ათი-ათასგან მიკერებულ მობრასტნულია ათასგვარი კონკებით; თეთრისა და წითლის ძაფით, დაკონკილ ჩოხაში ჭლიკები ნახევრობით ტიტველა უჩანს. იმის ტანისამოსის ძაფის წვერს რომ ჩამოსწიოთ, ადამის სამოსელით დაინახავთ, ისე გაიცრიცება და დაირღვევა ბეჩავის ტანისამოსი. თვით საბრალოს ხელის სისქედ აძევს მტვერი, ტალახი, მური და ვაგლახი“[3]. სურათი ღარიბი გლეხის უკეღმართი ცხოვრებისა ცოცხლად არის დახატული.

მეორე კორესპონდენტი, აღწერდა რა უმიწო გლეხის მდგომარეობას, წერდა: „ჩვენში ბევრ მუშაკთ არა აქვთ მამული და იძულებული არიან სხვის მამულზედ მოიყვანონ იმოდენა საზრდო, რომელიც რის ვაი ვაგლახით ჰყოფნით დასაკმაყოფილებლად უპირველესთა თვისთა საჭიროებათა.

...რა მოელის მოუსავლიანობის დროს უმამულო გლეხს? შიმშილი და სიკვდილი... რა არის უმამულო გლეხ-კაცი? ის არის უბე-

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 209.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 191.

[3] ციტირებულია ფ. გოგიჩაიშვილის სტატიიდან „შინაური მიმოხილვა“, ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 1, გვ. 86.

დური ქმნილება; იმის მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ფრთა შეკვეცილი ჩიტისა და წყალმოკლებული თევზისა...

სხვასთან მოჯამაგირეთ დადგომით გლეხი იშოვნის ნახევარ საზრდოს, თუ კიდევ ნაკლებსაც არა; მეორე ნახევარი საზრდოსი საიდგანღა იშოვოს თუ რომ იმას არ ექნება მამული? სიღარიბე და სიღატაკე მალე ეწვევა უმამულო გლეხს და ეს დღითი-დღე უფრო და უფრო გაძლიერდება. სიღარიბეს მოაქვს თვისი ჩვეულებრივი ნაწარე ნაყოფები: გადაგვარება ხალხისა ზნეობით, გონებით და ფიზიკურად". გლეხი მიწაზე არის დამოკიდებული, „მამული კი ყველას არა აქვს, და თუ თითო- ოროლა დღის მიწა აქვსთ ეს თითქმის ისევ უქონლობას შეედრება, რადგანაც იმითი იმას ცხოვრება არ შეუძლიან"[1].

მძიმე იყო ცხოვრება. საერთოდ, მემამულე-კაპიტალისტთა ბატონობის დროს, მძიმე იყო მუშა ხალხის მდგომარეობა. განსაკუთრებით სოფლად, რადგანაც აქ „მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის მხრით ჩაგვრას ემატება წინაკაპიტალისტური ექსპლოატაციის ფორმების სიმძიმე"[2]. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ისეთ დაბეჩავებასა და ჩაგვრას. ისეთ სიღატაკეს, როგორც რუს გლეხებშია. არათუ დასავლეთ ევროპაში, თურქეთშიც კი ვერ ნახავთ"[3]. მძიმე იყო მდგომარეობა რუს გლეხთა უმრავლესობისა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იყო მათი ქართველი თანამოძმეების ბედი. ქართველი თავადაზნაურობა და მეფის ხელისუფლება ყოველი ღონით ცდილობდა, რაც შეიძლება ურყევად დაეცვა ძველი „მამაშვილური" ურთიერთობა ყოფილ ბატონსა და მის ნაყმევებს შორის. მემამულეები და მევახშეები, მდიდარი გლეხები და მეფის სახელმწიფო მოხელეთა ხროვა წარმოადგენდა უზარმაზარ პარაზიტს. რომელიც ძირითადად ღარიბ და საშუალო გლეხთა სისხლის წოვით ცოცხლობდა.

გლეხთა გაპროლეტარება იწვევდა მათ საშინელ ეკონომიურ პირობებში ჩავარდნას. „უმთავრესად მცირემიწიანობის გამო გლეხობის უმრავლესობა თანდათან ღარიბდება და ადგება გაპროლეტარების გზას. გასულ ზაფხულს მე შემოვიარე გორის მაზრა და იქ მნახველი ვიყავ გლეხთა ისეთი სიღარიბისა. რომლის აღწერაც კი შეუძლებელია" — წერდა ფ. გოგიჩაიშვილი[4].

---

[1] გაზ. „გუთნის დედა". 1875. № 21.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 307.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 319.
[4] Ф. Гогичаишвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тифлис, 1903. გვ. 21 — 22.

ჩვენ აქ მოვიტანთ.რამდენიმე ღარიბი გლეხის ოჯახის მოკლე აღწერას (900-იანი წლების დასაწყისისათვის).

ზ ა ქ ა რ ი ა ვ ე შ ა პ ურ ი (სოფ. მეჯვრისხევი) ცხოვრობდა მიწურ სახლში, რომელსაც ბანი ნიადაგის პირას ჰქონდა[1]. სახლში ხის ტახტი ედგა, რომელზედაც ჭილობი იყო გადაფარებული. აქვე იდგა კიდობანი (გამომცხვარი პურის შესანახად), სკივრი, გოგროხა (წნელის გოდორი საქონლის პატივით გალესილი), რომელშიაც მარცვალს ან ფქვილს ინახავდნენ. ზ. ვეშაპურს მხოლოდ ერთი ჩარექი ვენახი ჰქონდა და ერთი ძროხა ჰყავდა. ოჯახს მოჯამაგირეობით არჩენდა[2].

მ ი ხ ა ხ ა რ ხ ე ლ ი (სოფ. მეჯვრისხევი) მიწურ სახლში ცხოვრობდა, 1/2 ჩარექი ვენახი და 1 დღიური მიწა ჰქონდა. მოჯამაგირეობითა და დღიური მუშაობით ირჩენდა თავს[3].

ვ ა ნ ო კ ა პ ა ნ ა ძ ე (სოფ. რუისი) მიწურ სახლში ცხოვრობდა. ბანი მიწისპირას იყო. სახლში მიწის ტახტი ედგა, რომელსაც ჭილობი ეფარა; ტახტზე დაგლეჯილი ლოგინი ელაგა, სკამების მაგივრობას ხის კუნძები ეწეოდა. პურს მიწის ტახტზე სჭამდნენ. სახლში კიდობანი და პატივით გალესილი გოდორი იდგა. ვანო კაპანაძეს სულ ერთი დღიური მიწა ჰქონდა. ოჯახს მოჯამაგირეობით, უფრო კი დღიური მუშაობით არჩენდა[4].

გ ი ა ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე (სოფ. რუისი) ცხოვრობდა ბანიან, მიწურ სახლში. სადაც მიწის ტახტი ედგა, დაგლეჯილ ჭილობგადაფარებული. სკამად ალიზის ნაჭერი ან ქვა იყო გამოყენებული. მჭადის შესანახად დანგრეული ხის ყუთი იდგა. აქვე იყო პატივით გალესილი გოდორი. ჰქონდა 2 ჩარექი ვენახი. თავს დღიური მუშაობით ირჩენდა[5].

ა ლ ე ქ ს ი ბ ა ს ი ა შ ვ ი ლ ი (სოფ. კავთისხევი) ასევე მიწურ სახლში ცხოვრობდა. არც სახნავი მიწა და არც ოთხფეხი საქონელი მას არ გააჩნდა. მხოლოდ ორი ჩარექი ვენახი ჰქონდა. ეწეოდა

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ გორის მაზრის გლეხთა დიდი ნაწილი 900-იანი წლების დასაწყისში ჯერ ისევ მიწაში ცხოვრობდა. მათი ბანიანი საცხოვრებელი სახლები მიწაში იყო ჩათხრილი, სახურავი (ე. ი. ბანი) ნიადაგის პირას იყო ისე, რომ ადამიანები, საქონელი და ურმებიც კი მათზე ისე დადიოდა როგორც ჩვეულებრივ მინდორზე. გლეხთა კულაკური კომლები ქვიტკირის ან ხის კარგ სახლებში ცხოვრობდნენ.

[2] ცნობა მოგვაწოდა მეჯვრისხევის მცხოვრებმა დავით ხომასურიძემ.

[3] ცნობა მოგვაწოდა მეჯვრისხევის მცხოვრებმა თედო ბეგიაშვილმა.

[4] ცნობა მოგვაწოდა რუისის მცხოვრებმა მიხა გურასაშვილმა (74 წლ.).

[5] ცნობა მოგვაწოდა რუისის მცხოვრებმა გიორგი ქარქუზაშვილმა (74 წლ.).

დღიურ მუშაობას — დადიოდა გუთანზე, სამკალად, საბარავადა და სათოხნად, მუშაობდა კალატოზთან ხელის მუშად[1].

ა ბ რ ა მ შ ა ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი (სოფ. ბობნევი) ბანიან, მიწურ სახლში ცხოვრობდა. ტახტი სულ არ ედგა. ოჯახის წევრები პირდაპირ მიწაზე წვებოდნენ. ჰქონდა კიდობანი, პატივით გალესილი გოდორი და ხის კასრი წყლისათვის. მიწა ჰქონდა ერთი დესეტინა, მაგრამ ბიძაშვილს მიჰყიდა. მოჯამაგირეობით, უფრო კი დღიური მუშაობით ცხოვრობდა — უმთავრესად ფერდობებზე ბაქნებს აკეთებდა (ავაკებდა) ვენახისათვის[2].

ქართლის ზოგიერთ სოფელში ეულები ცხოვრობდნენ. ეული სრულიად უმიწაწყლო, უქონელ ადამიანს ეწოდებოდა. ბევრ მათგანს ლოგინიც კი არა ჰქონდა. მაგალითად, სოფ. რუისში ეულების 10—12 კომლი იყო (ქარქუზაშვილები, სულაშვილები, ხუციაშვილები, ლომიძე და სხვ.)[3].

XIX საუკ. დასასრულისათვის გაზ. „კვალის" კორესპონდენტი ქართლის სოფლის ყოვლად უნუგეშო სურათს გვიხატავდა: „ისეთ თავ მინებებულ. უპატრონო ხეობას ვერსად ნახავთ, როგორიც არის ძოვრეთის (საციციანო) ხეობა; არსად სკოლა, არსად სამკითხველო, არსად ექიმი. ასე გაშინჯეთ. ეკლესიაც კი ისე თავ მინებებულია, რომ გეშინიათ. ბინამ წირვა გამოვა თავზე არ დაგენგრეთ, ამას ზედ დამატებია ახლა რაღაც ცხელების ნაირი ავათმყოფობა, რომელიც სოლერასავით მოსდებია ამ ხეობის სოფლებს. ოჯახს ვერ ნახავთ, რომ სამი ავათმყოფი არ იწვეს"[4].

მაშინდელი სოფლის ტრაღიკულ მდგომარეობაზე მიუთითებს, აგრეთვე, სოფ. აღაიანის მაგალითი. აქ, ისე როგორც ბევრ სხვა სოფელში, მძვინვარებდა მალარია. რომლის შედეგადაც 1873—1885 წლების განმავლობაში სრულიად აბოწყდა გლეხთა 7 კომლი. ანუ ამ სოფლის მოსახლეობის 12%[5].

უმიწო და მცირემიწიანი გლეხების საგრძნობი ნაწილი ქალაქებისაკენ მიისწრაფის, რათა იქ იშოვოს ლუკმა-პური. ბევრი გლეხი, — ამბობს ბიმომხილველი. — ცდილობს ჩქარა დაამთავროს

---

[1] ცნობა მოგვაწოდა კაკიისხევის მცხოვრებმა ხაქარია ბასიაშვილმა (80 წლ.).

[2] ცნობა მოგვაწოდა ბობნევის მცხოვრებმა (ამჟამად ატენში ცხოვრობს) ჯსტატე ქერდიყოშვილმა.

[3] ცნობა მოგვაწოდა რუისის მცხოვრებმა გიორგი ქარქუზაშვილმა.

[4] გაზ. „კვალი", 1897, № 40.

[5] «МДИЭБГКЗК», т. VI, გვ. 141.

რთველი, რათა შეუდგეს მეორე სამუშაოს, იშოვოს გარე სამუშაო[1]. 90-იანი წლების ბოლოს გამოკვლეული გორის მაზრის 654 კომლიდან გარე სამუშაოზე იმყოფებოდა 151 კაცი[2]. ეს მხოლოდ იმათი რაოდენობაა, ვინც სოფელს სრულიად მოწყვეტილია და არ შეიცავს ყველა მათ, ვინც. საერთოდ, შრომას აქირავებს.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ გლეხობა იტანჯებოდა არა მარტო კაპიტალიზმისაგან, არამედ უფრო მეტად კაპიტალიზმის ეკონომიკურ-ეკონომიკურ ბლოკობის გამო[3]. შიდა გუბერნიებთან შედარებით, მრეწველობის სუსტი განვითარება საქართველოში ვერ უზრუნველყოფდა უმიწო და მცირემიწიანი გლეხების სამუშაო ძალის გამოყენებას და ისინი იძულებულნი იყვნენ დარჩენილიყვნენ სოფლად და არაადამიანურ პირობებში განეგრძოთ არსებობა. ქალაქში წასული გლეხი ძალიან ძნელად შოულობდა სამუშაოსა და თავშესაფარს. „ჩვენს ქალაქებს. ეკონომიური განუვითარებლობის გამო არ შეუძლიათ თავშესაფარი მისცენ იმ ზედმეტ მოსახლეობას, რომელიც სოფლად უმიწაწყლოდ რჩება“ — აღნიშნავდნენ 900-იანი წლების დასაწყისში[4].

აღნიშნული გარემოება ხასიათდება, აგრეთვე, 1904 წლის „მოამბეში“. „უმიწო ქართველ გლეხობისათვის ძნელია ქალაქებში სამუშაოს შოვნა, რადგან ჩვენში ჯერ მოქალაქეობრიობა, ვაჭრობა და საბრეწველო წარმოება განუვითარებელია. ასევე ძნელია მისთვის, „გარეშე მიზეზთა გამო“, თავისუფალ მიწებზე დასახლება და მეურნეობის გაუმჯობესება. მას მეტი გზა არა აქვს, — ისევ ძველს ადგილას უნდა დარჩეს და ეცადოს ავად თუ კარგად ხვნა-თესვის საშუალებით არსებობის სახსრის მოპოვებას და ცხოვრებაში თავის ვატანას“[5].

XIX საუკ. II ნახევარსა და XX საუკ. I მეხუთედში ქართლის სოფელში მთელი მიწის ფონდის უდიდესი ნაწილი მემამულეთა ხელში იყო. მათ უპირისპირდებოდა მთელი გლეხობა, რომელსაც

---

[1] П. Кандураловъ. Очерк виноградарства и виноделия в Картлинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, 1897, გვ. 80.

[2] И. Веретенниковъ, По поводу податной реформы на Кавказе, журн. «Русская мысль», кн. 7. 1902. გვ. 130—131.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 521; ტ. 17, გვ. 121.

[4] ციტირებულია კ. ბაბილოძის ნაშრომიდან: აგრარული ურთიერთობა საქართველოში XIX საუკ. მეორე ნახევარში, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1950, გვ. 46.

[5] ფ. გოგიჩაიშვილი, შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „მოამბე“, 1904, № 1, გვ. 76.

მემამულეებთან შედარებით 7—8-ჯერ ნაკლები მიწა გააჩნდა. ნაგრამ თვითონ გლეხობაც ერთგვაროვანი მასა აღარ არის, არამედ, ერთი მხრით, ღარიბი და უღარიბესი გლეხობაა, რომელთა ეკონომიური მდგომარეობა უარესია ქალაქის პროლეტარიატის მდგომარეობაზე. და, მეორე მხრით, შეძლებული გლეხობა, კულაკობა. რომლის ხელშია გლეხობის მიწის მნიშვნელოვანი ფონდი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მუშა პირუტყვი, სპეციალური კულტურების ნარგავების დიდი ნაწილი.

წინააღმდეგობა არსებობს როგორც მემამულეებსა და მთელ გლეხობას შორის, ისე გლეხთა მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის. ამასთან მეორე სახის წინააღმდეგობა უფრო და უფრო ძლიერდება.

შეძლებული გლეხობა. როგორც წესი, მიმართავს მუშახელის დაქირავებას, ღარიბი გლეხობა ჰყიდის თავის სამუშაო ძალას.

სოფლად დაქირავებული შრომის ძირითადი სახეებია მოჯამაგირეობა და დღიურად მუშაობა. მოჯამაგირეთა შრომა უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე დღიური მუშისა. ყველაზე შეძლებული გლეხები უმთავრესად მოჯამაგირეთა შრომას მიმართავდნენ (დაქირავებული შრომის მუდმივი გამოყენება), გლეხთა ნაკლებ შეძლებულ ფენებში კი უფრო მეტად იყენებდნენ დღიურ შრომას. მოჯამაგირეთა შრომა უფრო ნაკლებ ფასობდა, იგი, მაგალითად, 90-იანი წლების ბოლოს უდრიდა წელიწადში 25—50 მანეთს; თუ დაქირავება სეზონური იყო და მხოლოდ ზაფხულს მოიცავდა, მაშინ ხელფასი უდრიდა 15—30 მანეთს, დღიურად დაქირავებული მუშის ხელფასი კი დღეში 40 კაპიკიდან 60 კაპიკამდე აღწევდა[1]. ამგვარად, მოჯამაგირეები ექსპლოატაციას ყველაზე მეტად განიცდიდნენ, მათ მისდევდნენ სეზონური და, ბოლოს, დღიური მუშები.

გორის მაზრაში ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მაზრაში 29637 მეურნეობა იყო. ამ მეურნეობათაგან სისტემატურ დაქირავებულ შრომას მოჯამაგირეთა დაქირავების სახით მიმართავდა 1341 კომლი. მათგან

---

[1] ცნობები მოგვაწოდეს კავთისხევის მცხოვრებლებმა ზაქარია სესიკელაშვილმა (87 წლ.) და ზაქარია ბასიაშვილმა (80 წლ.), რუისის მცხოვრებმა მიხა გურასპაშვილმა (74 წლ.), მოხისის მცხოვრებმა იასე ქელეხსაშვილმა (75 წლ.) და სხვ.

ოითო მოჯამაგირე ჰყავდა 1005 კომლს,

2 — 3 მოჯამაგირე ჰყავდა 272 კომლს,
4 — 5 „ „ 41
6 — 10 „ „ 20 „
11 „ და მეტი . 3 კომლს[1].

ცნობილია, რომ შედარებით ნაკლებ შეძლებულ კულაკთა ფენა, მოჯამაგირეების გარდა, უმთავრესად სეზონურ და დღიურ მუშებს ქირაობდა. სეზონური და დღიური მუშახელის გამოყენებას მიმართავდნენ ძალიან შეძლებული კომლებიც. ასეთი სახის დაქირავებული გლეხთა რაოდენობაზე ჩვენ ზუსტი ცნობები არა გვაქვს.

რეფორმის შემდეგ გლეხობის დაშლა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. ეს პროცესი დამთავრებული არ იყო ოქტომბრის რევოლუციის დროისათვის. დაშლის პროცესი მეტ-ნაკლები სისწრაფით მიმდინარეობდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. დაშლა შეეხო გლეხთა ყველა კატეგორიას (დროებითვალდებულნი, სახაზინოები, იარზნები), რომლებიც, მიუხედავად თავისი გამძლეობისა, მაინც ექვემდებარებიან ჯერ ნაწილობრივ დეფორმაციას. შემდეგ კი სრულ რღვევას. რღვევა-დაშლის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობდა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიაში, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, განსხვავებული იყო მთასა და ბარში. ბარში დაშლა უფრო სწრაფად წარიმართა. მთამ უფრო მეტად და უფრო დიდხანს შეინარჩუნა ნახევრად ფეოდალური ურთიერთობანი.

თბილისის სახაზინო პალატის მმართველი გორის მაზრის ორ მაზრად გაყოფის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „მაზრის გაყოფით შეიქმნა აუცილებლობა ასლად შექმნილ მაზრაში ხაზინის დაარსებისა. ამჟამადაც კი ხაზინის ყოფნა ქალაქ გორში, რომელიც მნიშვნელოვნად დაშორებულია ისეთ შედარებით მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებთან, როგორიცაა ბორჯომი, მიხაილოვო[2] და სურამი მათთან მისამხარი რაიონებით, რომლებიც მოსახლეობის სიმჭიდროვითა და სიმდიდრით მნიშვნელოვნად აღემატება მაზრის დანარჩენ ნაწილს, იწვევს უხერხულობას და წარმოადგენს დაბრკოლებას ამ რაიონის დროულსა და წესიერ მომსახურებაში"[3].

ამგვარად, მაზრის ის რაიონები, რომლებიც სავაჭრო-სამრეწველო დაბებსა და მის გარშემო მდებარე სოფლებს შეიცავდნენ (განსაკუთრებით ზემოთ მითითებულ, აგრეთვე ქარელის, გომის,

[1] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г., LXIX, გვ. 6 — 7.
[2] მიხაილოვო ანუ ხაშური.
[3] საქ. ცსსა, ფონდი 254, საქმე 11750, ფურც. 10, 1910 წ..

ცხინვალის, გორის გარშემო მდებარე ადგილებში). ერთი მხრით, ხასიათდებიან მოსახლეობის მეტი სიმჭიდროვით მაზრის სხვა ადგილებთან შედარებით, მეორე მხრით — მეტი „სიმდიდრით". ჩვენ სიტყვა სიმდიდრე იმიტომ ჩავსვით ბრჭყალებში, რომ გავარჩიოთ თავადაზნაურობის გარეშე მოსახლეობის ზედა ფენების მართლაც მეტი სიმდიდრე ამავე ფენების ეკონომიურ მდგომარეობასთან შედარებით წარსულში. ეს ფენები აქ უფრო ძლიერნი ჩანან, ვიდრე, ვთქვათ, მაზრის ჩრდილო ან სამხრეთ ნაწილში.

მეტი „სიმდიდრე" მიუთითებს, რომ ამ ადგილებში, მაზრის ბევრ სხვა ნაწილთან შედარებით, კლასობრივი დიფეოენციაცია თავადაზნაურობის გარეშე მოსახლეობისა უფრო შორს არის წასული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გლეხთა კატეგორიების მიხედვით გლეხური ბურჟუაზია უფრო დიდი რაოდენობით სახელმწიფო გლეხებიდან გამოიყოფოდა. ამას განაპირობებდა ამ უკანასკნელთა „უხვმიწიანობა" სხვა კატეგორიების გლეხებთან შედარებით. სახელმწიფო გლეხები უფრო ნაკლებად იტანჯებოდნენ მემამულეთა კაბალისაგან. მათ შორის უფრო ჩქარა ვითარდებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობა.

1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუცია წარმოადგენდა იმ ნიშანსვეტს, რომლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა კაპიტალიზმი როგორც ქალაქად, ისე სოფლად: ბატონყმობის ნაშთებს კიდევ ერთხელ ჩაეცა ლახვარი. სოფლის დიფერენციაციამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.[1]

აღსანიშნავია, რომ თვით 1905 წლის რევოლუციის შემდეგაც კი მაზრის ჩრდილო მთიანეთის ბევრ სოფელში გლეხობის უმრავლესობას საშუალო გლეხობა შეადგენდა. ასეთები იყო სოფ. ვანელი (80% საშუალო გლეხობა, 10% ღარიბი), თლია (90% საშუალო, 2,3% ღარიბი), ზღუდერი (77% საშუალო, 6% ღარიბი), ედისა (80% საშუალო, 12,5% ღარიბი), ხოჯა (78% საშუალო, 7% ღარიბი) და სხვ. მაგრამ ამ დროისათვის მთის უმრავლეს სოფლებში დაშლა ისე შორს არის წასული, რომ იქ ღარიბები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ასეა, მაგალითად, სოფლებში—ქალეთში (10% საშუალო, 62 % ღარიბი), ჯავაში (30% საშუალო, 60% ღარიბი), მსხლებსა (41% საშუალო. 51% ღარიბი) და სხვ.[2].

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 312.

[2] З. Ванети, Социально-экономическое положение крестьян Юго-Осетии накануне революции, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института, Выпуск III, Сталинир, 1936, გვ. 235 — 236.

მიუხედავად ნელი ტემპისა, რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით, ქართლის სოფელი სახეს იცვლის, სოფლად იქმნებიან წვრილი კაპიტალისტური მეურნეობები. შემდგომში უფრო მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობანი განდევნიან წვრილ მეურნეობებს, რომლებიც აღარ შეესაბამებიან კაპიტალისტური ბაზრის გაზრდილ მოთხოვნილებებს; ისე რომ, წვრილი კაპიტალისტური მეურნეობები თავისი დროისათვის მეურნეობის მოწინავე ფორმებს წარმოადგენდნენ და ნიშნავდნენ პროგრესს ბატონყმურ-ნატურალურ მეურნეობასთან შედარებით[1].

განვითარების ამგვარი წარმართვა სოფლად გარდუვალია კაპიტალიზმის პრუსიული გზით განვითარების დროს.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 213.

დასკვნები

1. რუსეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. საუკუნეთა განმავლობაში მტრული გარემოცვაში მყოფი ქართველი ხალხი და, საერთოდ, ამიერკავკასიის ხალხები რუსეთთან შეერთებით გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას. შეერთების შემდეგ ეს ხალხები აქტიურად ებმებიან მსოფლიო ეკონომიურ ურთიერთობაში. ჩვენი ქვეყანა ნელა. მაგრამ განუხრელად მიდის კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების გზით.

2. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენდა ააგლეხო რეფორმა. სოფლის მეურნეობაში განვითარდა კაპიტალიზმი, რაც შეუჩერებლივ დევნიდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას. ეს გამოწვეული იყო საზოგადოების ეკონომიური კანონის — წარმოებითი ურთიერთობის საწარმოო ძალების ხასიათთან აუცილებელი შესატყვისობის კანონის მოქმედებით.

საგლეხო რეფორმა, რომელიც ძირსებითად ბურჟუაზიული იყო, გატარებულ იქნა მემამულეთა მიერ, ფეოდალური სახელმწიფოს ინიციატივით. ეს კი რეფორმას უაღრესად შეზღუდულ, ბატონყმურ ხასიათს ანიჭებდა. რეფორმამ დიდხანს შეინარჩუნა ბატონყმობა, რომლის ძლიერმა გადმონაშთებმა ჩვენში თებერვლის რევოლუციამდე მოაღწია.

რეფორმის ბატონყმური ხასიათი განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანდა რუსეთის განაპირა-კოლონიურ მხარეებში. კერძოდ, ქართლში. აქაც გლეხობა, ფაქტიურად, უმიწოდ იქნა განთავისუფლებული, ხოლო ჩამონაჭრებმა 37% შეადგინა. გლეხთა 13% თავიდანვე თითქმის სრულიად მოკლებული იყო მიწას. რეფორმამ ქართველ თავადაზნაურობას ბევრი განსაკუთრებული შეღავათი მიანიჭა, კერძოდ, მან დამატებით მიიღო 7 მილიონ მანეთზე მეტი—ყმების პირადი განთავისუფლების ნაცვლად. ქართველ თავადაზნაურთა განსაკუთრებული პრივილეგიები ნიშნავდა ქართველ გლეხთა ექსპლოატაციის კიდევ უფრო გაძლიერებას. ცარიზმი ქართველი გლეხობის

მდგომარეობის პირდაპირი გაუარესების ხარჯზე ახდენდა ქართველი თავადაზნაურობისათვის განსაკუთრებულ „წყალობათა“ გაცემას.

3. საგლეხო რეფორმის შემდეგ, მიუხედავად ფეოდალიზმის ძლიერი ნაშთებისა, თანდათან იმარჯვებს კაპიტალიზმი.

ქართლის სოფელში კაპიტალიზმის განვითარებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს რკინიგზების გაყვანა, მრეწველობის განვითარება, ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა, სავაჭრო-სამრეწველო დაბების წარმოქმნა. ყოველივე ეს კი წარმოადგენდა რუსეთის ფართო ბაზართან ამიერკავკასიის დაკავშირების შედეგს. ქართლის სოფელი არა მარტო თვითონ წარმოადგენდა ბაზარს რუსეთის მრეწველობისათვის, არამედ, თავის მხრივ, აქაური სოფლის ნაწარმოები, განსაკუთრებით ღვინო, შემდეგ კი ხილი იპრება რუსეთის ბაზარზე.

ამიერკავკასია, რუსეთის კაპიტალიზმის მეშვეობით, ხდება საქონლის მსოფლიო ბრუნვის მონაწილე.

4. კაპიტალიზმის განვითარება ქართლის სოფელში დაიწყო რეფორმის გზით. ეს გზა განსაკუთრებით მძიმე და მტკივნეული იყო ქართლში იმის გამო, რომ ექსპლოატაციის კაპიტალისტურ ფორმებს ემატებოდა ექსპლოატაციის ფეოდალური ნაშთები, აქ კაპიტალიზმი ვითარდება ე. წ. პრუსიული გზით და წარმოადგენს განვითარების ამ ტიპის უცუდეს ვარიანტს.

5. რეფორმის შემდეგ გლეხური მეურნეობა ვითარდება სასაქონლო-ფულადი მეურნეობის საფუძველზე და დამოკიდებულია ბაზართან.

რეფორმის შემდეგდროინდელი მიწათმოქმედება სულ უფრო და უფრო იღებს სავაჭრო ხასიათს, რაც, პირველ ყოვლისა, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაში ვლინდება.

ქართლის მთაში ვითარდება სავაჭრო მეცხოველეობა, განსაკუთრებით მატყლისა და რძის პროდუქტების დამზადება-გაყიდვის მიზნით. ბარში დიდ გასაქანს პოულობს მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდასთან დაკავშირებით თანდათან შორეულ ბაზრებზე გადის სოფლის ნაწარმი. იზრდება სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება მრეწველობის პროდუქტებზე, პირველ რიგში, პირადი მოხმარების საგნებზე; იზრდება მოთხოვნილება წარმოების საშუალებებზე (იარაღები, ნაგებობანი და სხვა), ფართოვდება დაქირავებული შრომის გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

6. რეფორმის შემდეგ ფართო გასაქანს პოულობს მიწების ყიდვა-გაყიდვა და დაგირავება. ეს ეკონომიური მოვლენები ატარებენ ბურჟუაზიულ ხასიათს. მიწას ყიდულობს უმთავრესად გლეხობის ზედაფენა; ჰყიდის ან იჯარით იძლევა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ ღარიბი გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამასთან ერთად, ქართლში ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ, იზრდება კაპიტალისტური იჯარაც, რასთან დაკავშირებითაც თანდათან ძლიერდება და 900-იან წლებში გარკვეულ ადგილს იკავებს კაპიტალისტური რენტა, რაც უმთავრესად სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ სიათზე მიუთითებს.

7. ქართლის სოფელში მიმდინარეობს გლეხობის არა უბრალო ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნის, „დიფერენციაციის" პროცესი. გლეხობა არა მარტო „დიფერენციაციას" განიცდის, „არამედ სავსებით ნადგურდება, არსებობას სწყვეტს, რადგან თანდათან გამოიდევნება სოფლის მოსახლეობის სრულიად ახალი ტიპებით"[1], სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის სახით. გლეხობა შეუჩერებლივ იშლება ორ მოპირდაპირე, ერთმანეთს შორის ანტაგონისტურად განწყობილ კლასად. დაშლა მიმდინარეობს საშუალო გლეხობის ხარჯზე.

8. იქმნება სოფლის ბურჟუაზია, ე. წ. კულაკობა. რომლის რაოდენობა ქართლში XX საუკ. დასაწყისში კომლთა დაახლოებით 5—6%-ს აღწევს. შეძლებული გლეხობის ეს შედარებითი სიმცირე აიხსნება მთელი გლეხობის ეკონომიური ჩამორჩენილობითა და მცირე მიწიანობით (როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგ).

კულაკთა ჯგუფში შედიან როგორც დამოუკიდებელი მეურნენი, რომელნიც სავაჭრო მიწათმოქმედებას ეწევიან, ისე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მფლობელნი და სხვები.

შეძლებული გლეხობის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გლეხობის ისეთი ფენის გაჩენა-არსებობა, რომელიც თავის შრომას აქირავებს. სოფლის ბურჟუაზია, როგორც წესი, მიმართავს დაქირავებული შრომის სისტემატურ გამოყენებას. ყველაზე შეძლებულნი უმთავრესად მოჯამაგირეთა შრომას იყენებენ. გლეხური ბურჟუაზიის უფრო ნაკლებად შეძლებული ფენა კი მიმართავს უმთავრესად დღიური მუშების დაქირავებას. გლეხობის მაღალი ჯგუფები ახდენენ გლეხური მიწების კონცენტრაციას თავის ხელში. XX საუკ. დასაწყისში გლეხთა დაახლოებით 480 კომლს

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 187.

ეპირა მაზრის გლეხურ კომლთა უშუალო გამგებლობაში მყოფი მიწის 23 % მაინც. ამასთან, გლეხურ კომლთა 4%-ს გუთნეულის დამოუკიდებლად გამოყვანა შეეძლო.

9. ქართლის სოფლის პროლეტარიატი არის „დაქირავებული მუშების კლასი ნადელით". ამ სოფლის პროლეტარს უმეტეს შემთხვევაში გააჩნია მიწის მცირე ნაკვეთი, რომელსაც ზოგჯერ იჯარითაც იძლევა. ამასთან, ღარიბები მიწას თანდათან კარგავენ. ქართლის სოფელში პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები ისეთ გაჭირვებას განიცდიან, „რომლის აღწერაც კი შეუძლებელია", ეს უნდა აიხსნას ბატონყმობის ძლიერი ნაშთების არსებობითა და კაპიტალიზმის შედარებით სუსტი განვითარებით. ამიერკავკასიის ქალაქი სამუშაოთი ვერ უზრუნველყოფს ქართლის სოფლის იმ პროლეტარებს, რომლებიც ქალაქისაკენ მიიერტვიან. ამიტომ, ძირითადად სოფელია ის ადგილი, სადაც ღარიბ გლეხს სამუშაო ძალის გაყიდვა შეუძლია.

სოფლის პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების (რომელთა რიცხვიც 900-იანი წლების დასაწყისში დაახლოებით გლეხურ კომლთა 40—45%-ს შეადგენდა) საარსებო დონე ქალაქის პროლეტარებისაზე დაბალია.

10. გლეხობის უკიდურეს ჯგუფებს შორის დგას საშუალო გლეხობა. იგი ხასიათდება სასაქონლო მეურნეობის ნაკლები განვითარებით. მისი მდგომარეობა ფრიად მერყეევა. ყოველი მოუსავლიანი წელი, ყოველი სტიქიური უბედურება (სეტყვა, გვალვა, მინდვრის თაგვი, კალია და სხვა) მას პროლეტარიატის რიგებისაკენ ერეკება. შეძლებულ გლეხთა რიგებში ხვდება საშუალო გლეხობის მხოლოდ მცირე ნაწილი. საშუალო გლეხობის რაოდენობა იმავე 900-იანი წლებისათვის, სავარაუდებელია, შეადგენს სოფლის მოსახლეობის 45—50%-ს.

11. გლეხობის ბურჟუაზიულ დაშლას დიდად უწყობდა ხელს საგადასახლებო მოძრაობა. ქართლში ეს მოძრაობა, ორი სახისაა: ერთი მხრით, გადასახლება ხდება სოფლიდან ქალაქში, მეორე მხრით — გლეხური მოსახლეობა მთიდან ბარისაკენ მიდის.

12. გორის მაზრაში გლეხობის დაშლას აფერხებდა სავახშო და ნაწილობრივ სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება (ამასთან, XIX საუკუნის ბოლო ხანებიდან სავახშო და განსაკუთრებით სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელ განვითარებას ძირი ეთხრება) და ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, პირველ რიგში, შრომამიგების არსებობა. გლეხობის დაშლას, ე. ი. კაპიტა-

ლიზმის განვითარებას, ამიერკავკასიის სოფელში აფერხებდა ცარიზმის პოლიტიკაც. რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა განაპირა კოლონიური მხარეების მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაციის მაღალ დონესა და ამ მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას.

— —

ლიტერატურა

კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2. 1934 წ.

К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. VIII, XV, XVI.

ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. გამოცემა მე-4, ტ. 1, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 22, 32.

ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, 2, 4, 6, 7, 10, 11, 12, 13.

ი. ბ. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, 1954.

ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, 1952.

И. В. Сталин, О статье Энгельса «Внешняя политика русского царизма», журн. «Большевик», 1941, № 9.

I. ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა

ს. ავალიანი, ხიზანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1919, № 1.

ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში ქუთაისი, 1920.

ა. ასათიანი, მიწის საკითხი საქართველოში, თბილისი, 1919.

კ. ბაბილოძე, აგრარული ურთიერთობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1950.

ბახტაძე, ანტონ ფურცელაძის ეკონომიური შეხედულებანი. ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1947.

ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1946.

ალ. ბუჩუკური, ხილის მაღალი მოსავლის ოსტატები, თბილისი, 1955.

გ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. ბატონ-ყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, 1864 — 1905, თბილისი, 1928.

ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი. შინაური მიმოხილვა, ჩვენი ეკონომიური გაჭირვება, ჟურნალი „მოამბე" № I, 1904.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში (რეფორმის 75 წლისთავისათვის), ჟურნალი „ბოლშევიკი". № 9—10, 1939.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. მევახშეობის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნეში. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. V. № 3. 1944.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში 1801—1921 წწ.. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. 1946.

გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მიწათმოქმედების გაუმჯობესებული იარაღები საბჭოთამდელ ამიერკავკასიაში. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, II, 1947.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ., ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. III, 1949.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში. თბილისი, 1956.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წლებში. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1950.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. აგრარული ურთიერთობანი ამიერკავკასიაში XIX—XX სს. მიჯნაზე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი. 1955.

მ. დ უ მ ბ ა ძ ე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბილისი, 1957.

დ უ მ ბ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში (ხელნაწერი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, П—101.

ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები (ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან), თბილისი, 1951.

ლ. კარბელაშვილი, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ისტორიისათვის საქართველოში (1921 წლამდე), ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1948. XXXIV a—в.

ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, 1954.

ნ. ლომოური, მოთხრობები, თბილისი, 1951.

დ. მაჭავარიანი, პროექტი და საშუალება (გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატის მომავალ მოქმედების შესახებ), ტფილისი, 1900.

ფ. მახარაძე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, თხზულებანი, ტ. VIII, თბილისი, 1932.

ფ. მახარაძე, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში, თხზ., ტ. VIII, თბილისი, 1932.

ფ. მახარაძე, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის შესახებ, თხზ., ტ. VIII, თბილისი, 1932.

ფ. მახარაძე, ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში, თხზ., ტ. VII, თბილისი, 1930.

ფ. მახარაძე, გლეხკაცობის მდგომარეობის შესახებ ამიერკავკასიაში, თხზ., ტ. II, თბილისი, 1925.

ფ. მახარაძე, წარმოების წინანდელი ფორმების ნაშთები და კაპიტალისტური სისტემა, თხზ., ტ. III, თბილისი, 1926.

ფ. მახარაძე, საგლეხო რეფორმა, თხზ., ტ. III, თბილისი, 1926.

ფ. მახარაძე, სათავად-აზნაურო მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში, თხზ., ტ. III, თბილისი, 1926.

ფ. მახარაძე, ამიერ-კავკასიის გლეხკაცის მდგომარეობა, თხზ., ტ. III, თბილისი, 1926.

ფ. მახარაძე, აგრარული საკითხი ჩვენში, თხზ., ტ. VII, თბილისი, 1930.

ს. მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1951.

ა. მურაჩაშვილი, გლეხკაცობის სავახშო კაბალა და სოფლის წვრილი კრედიტის ორგანიზაცია საქართველოში ბატონყმობის შემდეგ 1905 წლის რევოლუციამდე, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939.

ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტფილისი, ტ. I, 1930; ტ. II, 1932.

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.

პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1954.

პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბილისი, 1954.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, № 6, გლეხები და პარტიები, ტფილისი, 1906.

ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ეკონომია თუ აგრონომია? გაზ. „დროება" № 248. 1883.

ა. ფ უ რ ცე ლ ა ძ ე, მამულის საერთო მფლობელობა, თბილისი. 1905.

დ. ქ ო რ ი ძ ე, მიწის ნაციონალიზაცია საბჭოთა საქართველოში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949.

შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1840—1864), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XII—B, თბილისი, 1944.

შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ნატურალური ბეგრის საკითხისათვის რეფორმამდელ საქართველოში, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1949.

შ. ჩ ხ ე ტ ი ა, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს, თბილისი, 1953.

შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ბრძოლა საგლეხო რეფორმის გარშემო აღმოსავლეთ საქართველოში, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950.

ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IV—IX. ტფილისი, 1927—1928. ხ ა ლ ხ უ რ ი პოეზია. 1934.

გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში. ტფილისი. 1932.

ხ ე ხ ი ლ ე ბ ი ს სანერგეები და ბაღები ძმები გ. და მ. ფრიდონოვებისა სადგურ სკრას მახლობლად; ა/კ რკინის გზა, გორის მაზრა, თბილისის გუბერნია, თბილისი, 1905.

ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I, II, ტფილისი, 1927.

ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნიკო ნიკოლაძე. წინასიტყვაობა. ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, ტფილისი, 1930.

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, გაზ. „კომუნისტი" № 291 (10377), II/XII, 1955.

II. რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურა

В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в период капитализма (1864—1917—1921 гг.), часть вторая, Тбилиси, 1956.

С. Л. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, тт. I—IV (1912, 1913, 1914 и 1920 гг.).

А. Аверьянов, Кулак-мироед, С-Петербург, 1889.

И. Г. Антелава, Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века, Сухуми, 1952.

И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века (до крестьянской реформы 1864 года), 1955.

Ан-Пари, Грузинские хизаны и идеологи хизанства, Тифлис, 1913.

А. Н. Арасханянц, Закавказская хлебная торговля в связи с развитием сельского хозяйства, Тифлис, 1887.

М. Балас, Историко-статистический очерк виноделия в России (Кавказ и Крым), Санкт Петербург, 1877.

Т. Болотов, Горийский уезд и его ветеринарно-санитарные условия, Сборник кавказского общества сельского хозяйства, Выпуск IV, Тифлис, 1882.

К. Борисевич, Хлебные жуки в Горийском уезде, Сборник императорского кавказского общества сельского хозяйства, 1894.

И. Г. Будак, Развитие капитализма в сельском хозяйстве Бессарабии в пореформенный период, Кишинев, 1954.

З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956.

З. Ванети, Социально-экономическое положение крестьян Юго-Осетии накануне революции, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского Института, Выпуск III, Сталинир, 1936.

Е. Г. Вейденбаум, Хизаны в Грузии, Тифлис, 1913.

И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе, журн. «Русская мысль», книга VII, 1902.

Н. Воронов, Статистические этюды, Газ. «Кавказ», №№ 73, 78, 79, 1866.

Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем, Тифлис, 1907.

Л. В. Гантовер, О происхождении и сущности вечно-чиншеваго владения, С.-Петербург, 1884.

М. Н. Гарсеванов, Очерк виноделия Кавказа, Сборник сведений о Кавказе, т. III, Тифлис.

Р. Гвоздев, Кулачество-ростовщичество и его общественно-экономическое значение, С-Петербург, 1899.

В. Геевский, Краткий очерк земледелия за Кавказом, Тифлис, 1887.

Я. Гогебашвили, Правда о Тифлисе, Тифлис, 1897.

Ф. Гогичайшвили, Малоземелье среди крестьян Закавказья, Тифлис, 1903.

К. Гоциридзе, Положения о крестьянах Закавказья с правительственными распоряжениями и разъяснениями Правительствующего Сената, Кутаис, 1904.

П. Гугушвили, Подготовление крестьянской реформы в Закавказье, Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Тбилиси, 1950.

С. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1888.

С. Гулишамбаров, Виноградное вино на всемирном рынке, С-Петербург, 1895.

С. Гулишамбаров, Виноградное вино в России в XIX столетии, Одесса, 1896.

И. Джавахов (Джавахишвили), Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., 1906.

А. Джавахов, Город Гори, 1882.

М. Г. Джанашвили, Гори и его окрестности, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Тифлис, 1904.

К. Х. Дзокаев, Экономическое развитие осетинского крестьянства в пореформенный период (1870—1900 гг.), Известия Северо-Осетинского научно-исследовательского Института т. XI, Выпуск 1, Дзауджикау, 1948.

С. А. Егиазаров, Исследования по истории учреждении в Закавказьи, Часть I, Казань, 1889.

Н. Е. Ермолаев, Аренда владельческой земли государственными крестьянами в Закавказье, Труды кавказского общества сельского хозяйства, № 12. 1888.

Журналы заседаний первого съезда податных инспекторов ведомства Тифлисской казенной палаты, С 15-го по 28-е апреля 1896 г., Тифлис.

С. М. Заваров, Выводы из данных по урожаю хлебов в 1893 году и некоторые меры помощи населению неурожайных мест, Сборник императорского кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1894.

П. А. Зайончковский, Отмена крепостного права в России, Москва, 1954.

Г. В. Зерцалов, Юбилей крестьянской реформы в Тифлисской губернии, Тифлис, 1914.

И. О. Иосселиани, Сельское хозяйство и правовыя отношения сельского населения, Труды кавказского общества сельского хозяйства, № 7—8, 1887.

И. О. Иосселиани, Данныя об урожае хлебов по сообщениям корреспондентов Общества в 1893 году в Закавказье, Сборник императорского кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1894.

И. О. Иосселиани, 1850—1900 гг. Обзор деятельности императорского кавказского общества сельского хозяйства за 50 лет, Выпуск I, Тифлис, 1901.

История СССР, т. II, Россия в XIX веке, Под редакцией проф. М. В. Нечкиной, Москва, 1949.

Кавказский календарь, Тифлис, 1846—1915 гг.

Г. Калантаров, Крепостное право в Грузии в начале настоящего столетия, Сборник сведений о Кавказе, т. II, Тифлис, 1872.

Е. Канчер, Ввоз и распространение сельскохозяйственных машин, Журн. «Кавказское хозяйство», № 2, 1910.

П. Г. Кандуралов, Очерк виноградарства и виноделия в Карталинии, Сборник сведений по виноградарству и виноделию, Выпуск VIII, Тифлис, 1897.

Д. Кипиани, Хизанский вопрос, Журн. «Юридическое обозрение», № 165, 1884.

А. Кипшидзе, Исторический очерк деятельности Тифлисского губернского по крестьянским делам Присутствия (1864—1900 гг.), Журн. «Кавказский вестник» № 9, 1901.

А. Кипшидзе, Очерк крепостного права и крестьянская реформа, Журн. «Кавказский вестник», № 6, 1902.

А. А. Кофод, Сельскохозяйственные очерки Закавказья, С-Петербург, 1904.

И. И. Левашов, Кустарные промыслы Тифлисской губернии, Отчеты и исследования по кустарной промышленности в России, т. II, С-Петербург, 1894.

П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. т. I—II, Ленинград, 1950.

Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. т. I—VII, Тифлис, 1885—1887.

Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, С-Петербург, 1904.

Материалы по истории осетинского народа, т. II. Сборник документов подготовлен В. С. Гальцевым, Орджоникидзе, 1942 г.; т. III, Дзауджикау, 1950.

МПС, Казенные железные дороги, Сводные статистические таблицы о перевозках пассажиров и грузов по Закавказским железным дорогам за 1902 год (отчет коммерческой статистики), Тифлис, 1904.

А. П. Николаи, Воспоминания из моей жизни, Москва, 1892.

А. П. Николаи, Отчет по главному управлению наместника Кавказом, 1873.

Об обязательном выкупе помещичьих, владельческих и церковных крестьян в Закавказском крае, Канцелярия наместника его императорского величества на Кавказе, Отделение крестьянское, 25-го февраля 1909 года, Общия соображения, Тифлис.

Обзор Тифлисской губернии за 1899 год (приложение к Всеподданнейшему отчету), Тифлис, 1900.

Отчет по главному управлению наместника Кавказского за первое десятилетие управления Кавказским и Закавказским краем его императорским высочеством великим князем Михаилом Николаевичем, 6 декабрь 1862—6 декабрь 1872 г. Тифлис, 1873.

Отчет сельскохозяйственного товарищества землевладельцев Горийского уезда, Тифлисской губернии за время с 1 января 1901 года по 1-е января 1902 г.

Л. Л. Першке, Обзор отраслей промышленности в Закавказском крае, служащих источником косвенных налогов. и поступление по акцизного по краю дохода за 1901 год, Тифлис, 1902.

А. С. Пиралов, Аграрный вопрос и крестьянские безпорядки в Закавказье, Тифлис, 1905.

По устройству быта государственных крестьян (осетин). Тифлис. 1904.

Прекращение хизанских отношений в Грузии, Тифлис, 1914.

Прокламации большевистских организации Закавказья 1904—1906 гг., Тбилиси, 1940.

Д. Пурцеладзе, О необходимости улучшения материального положения временно-обязанных крестьян Тифлисской губернии, газ. «Кавказ», 1884, № 73.

Д. Пурцеладзе, Крестьянский вопрос в Грузии, Журн. «Юридическое обозрение», 1884, № 159.

В. Б. Пфаф, Описание путешествия в южную Осетию, Рачу, Большую Кабарду и Дигорию, Сборник сведений о Кавказе, т. II, 1872.

М. Н. Романов, Всеподданнейшая записка от I. VII. 1865 г.

Сборник императорского кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1894.

Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Выпуск III, Тифлис, 1883.

Сборник материалов по изучению полевого хозяйства на Кавказе, Выпуск III, 1908.

Сборник правительственных распоряжений и решений по устройству быта крестьян и поселян Кавказского края, Составил управляющий канцелярнею по делам устройства крестьян при главном управлении наместника кавказского Кучаев. Тифлис, книга I, 1880, книга II, 1883.

Сборник сведений о Кавказе, Изданный под редакциею главного редактора статистического комитета Н. Зейдлица, тт. I—IX, 1871—1885.

Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, Выпуск VIII, Тифлисская губерния (Горийский и Душетский уезды). Издание кавказского филоксерного комитета, Тифлис, 1897.

Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, Выпуск I—VI, Тифлис, 1895—1905.

Сведения об отношениях между помещиками и их крестьянами в Грузии, Имеретии и Гурии, собранные в 1841 году, О крестьянах Грузии.

Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, тт. I—V, Тифлис, 1887—1888.

Свод сведений о экономическом положении хизан Тифлисской и Кутаисской губерний, по данным губернских по крестьянским делам присутствий, собранным в 1883 году.

Свод трудов местных комитетов по Кавказу, области Войска Донского, Сибири, Степному краю и Туркестану, Составил А. А. Кауфман, С-Петербург, 1904.

И. Л. Сегаль, Крестьянское землевладение в Закавказье, Тифлис, 1912.

Сельскохозяйственный обзор по Закавказью за 1909 год, Императорское кавказское общество сельского хозяйства, Статистическое бюро, Тифлис, 1910.

Орест Семин, Великая годовщина, Аграрный вопрос и крестьянская (крепостная) реформа на Кавказе, Исторический очерк, Киев, 1911.

Н. Н. Спешнев, Очерк плодоводства Горийского уезда, Тифлисской губернии, Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, Выпуск I, Тифлис, 1895.

Статистическое описание Закавказского края, Составил Орест Евецкий, Санкт-Петербург, 1835.

Труды Кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1856—1893.

Труды Кавказской шелководственной станции, т. XII, Выпуск I, Тифлис, 1904.

Труды местных комитетов о нуждах сельскохозяйственной промышленности, LII, Кавказский край, С-Петербург, 1903.

М. Туманов, Статистическия данныя о крепостном владении в Тифлисской губернии. О крестьянах в Грузии.

М. Туманов, О хизанском состоянии в Грузии. О крестьянах в Грузии.

М. Туманов, О крепостном праве в Грузии. о крестьянах в Грузии.

Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, С-Петербург, 1900.

Граф. Уварова, Кавказ, Рача, Горийский уезд, Горы Осетии, Пшавия, Хевсуретия и Сванетия, Путевые заметки, Часть III, Москва, 1904.

Фабрично-заводская промышленность и торговля России, С-Петербург, 1896.

К. Хатисов, Кустарные промыслы Закавказского края, Отчеты и исследования по кустарной промышленности в России, т. II, С-Петербург, 1894.

Г. В. Хачапуридзе, Грузия во второй половине XIX века, Журн. «Историк-Марксист», № 8, 1940.

Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси, 1950.

П. А. Хромов, Экономическое развитие России в XIX—XX веках, Москва, 1950.

Н. А. Цаголов, Очерки русской экономической мысли период падения крепостного права, Москва, 1956.

В. Чередниченко, К истории осетин-хизан, Известия Юго-Осетинского научно-исследовательского Института Краеведения, Выпуск I, Сталинир, 1933.

С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, тт. I—II, Тифлис, 1907.

III. პერიოდული პრესა

გაზ. „გუთნის დედა“
№ 7, 1873 წ.
№ № 21, 22, 23, 1875 წ.
გაზ. „დროება“
№ 19, 1873 წ.
№ № 444, 454, 1874 წ.
№ № 128, 135, 1878 წ.
№ № 75, 81, 169, 1880 წ.
№ № 34, 250, 1881 წ.
№ 124, 1882 წ.
№ 248, 1883 წ.
№ № 46, 190, 1884 წ.
№ № 106, 107, 108, 191, 196, 1885 წ.
გაზ. „ივერია“
№ 3, 1905 წ.
გაზ. „კვალი“
№ № 24, 25, 26, 27, 38, 39, 1895 წ.
№ 40, 1897 წ.
№ 9, 1898 წ.
№ № 22, 35, 1900 წ.
№ 10, 1903 წ.
გაზ. „მეურნე“
№ 11, 1888 წ.
გაზ. „სასოფლო გაზეთი“
№ 9, 1875 წ.
ჟურნ. „ივერია“
№ 1, 1877 წ.
ჟურნ. „იმედი“
№ № 1, 3—4, 1881 წ.
ჟურნ. „მოამბე“
№ 1, 1904 წ.

Газ. «Кавказ», №№ 84, 85, 86, 92, 93, 94, 1864 г., № 76, 1867 г., № 2, 4, 6, 12, 19, 1881 г.

Газ. «Обзор», № 470, 1880 г.

Журн. «Кавказское хозяйство» №№ 3, 10, 1910 г.; №№ 23, 24 1914 г.
Журн. «Колокол» №№ 198, 199, 1865 г.
Журн. «Научное обозрение» № 10, 1910 г.
Журн. «Русское обозрение», 1894 г.
Журн. «Юридическое обозрение» №№ 113, 115, 1883 г.; №№ 145, 187, 1884 г.; №№ 198, 200, 202, 210, 1885 г.

IV. წყაროები

შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950.

Акты собранные кавказскою археографическою комиссиею, тт. I—XII.

Документы по истории Грузии, Грузия в период буржуазных реформ (1862—1872 гг.), т. I, часть I, Под редакцией проф. Ш. К. Чхетия, Тбилиси, 1954.

Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. LXIX, Тифлисская губерния, Под редакциею Н. А. Троиницкого, 1905.

Полное собрание законов Российской империи, т. XXXVI, Санкт-Петербург, 1863, т. XI, С-Петербург, 1894.

Сборник статистических данных о землепользовании и способов хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Закавказский статистический комитет, Под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1899.

Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, Изданный Тифлисским дворянским депутатским собранием под редакцией Ф. Г. Гогичайшвили, Тифлис, 1910.

Сборник статистических сведений о Тифлисской губернии, Издание Тифлисского губернского статистического комитета, Тифлис, 1903.

Сборник статистических сведений о Кавказе, Издаваемый кавказским отделом императорского русского географического общества, т. I. Составлен и издан под редакциею действительного члена отдела Н. И. Воронова, Тифлис, 1869.

Сборник статистических сведений по Закавказскому краю, Составлен по постановлению Закавказского статистического комитета, Под редакцией старшего редактора отдела Е. Кондратенко, Часть I, Тифлис, 1902.

Сборник материалов для описания Тифлисской губернии, издаваемый при канцелярии Тифлисского губернатора под редакцией правителя оной К. Л. Зиссермана, Выпуск I,

II, Тифлис, 1871, 1872.

Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Издан по распоряжению Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе, Закавказским статистическим комитетом, Тифлис, 1893.

Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, Издано Закавказским статистическим комитетом под редакцией члена того же комитета Е. Кондратенко, Тифлис, 1893.

Сельское хозяйство и аграрные отношения. т. II, Отмена крепостного права, Составил проф. П. В. Гугушвили, Тбилиси, 1950.

Труды Тифлисского губернского статистического комитета, Выпуск I, сведения за 1884 и 1885 гг., Издано под редакцией секретаря комитета Игнатовского, Тифлис, 1886.

Центральный государственный Военно-исторический Архив

Фонд «ВУА»
Дела №№ 19100, 19103
Фонд № 400
Дела №№ 17, 45, 76
Фонд № 414
Дело № 301.

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ფონდი № 5.

საქმე №№ 25, 146, 820, 2377, 2446, 2639, 2668. 3371, 3975.

ფონდი № 26.

საქმე №№ 2091. 2095.

ფონდი № 31.

საქმე №№ 10. 222.. 854. 888, 957, 999. 1035. 1065. 1084. 1145. 1349, 1543. 21180. 21181. 21188, 21191. 21192. 21195. 21204. 21209, 21219, 21225.

ფონდი № 48.

საქმე № № 2, 9, 16, 24, 36, 38. 55, 94, 102, 107, 120, 222, 223. 224. 229. 245, 267, 268, 277, 285, 296, 624, 781, 992, 1111, 1112. 1120, 1151, 1153, 1173, 1182. 1183, 1191, 1194, 1200, 1578. 1745, 1758, 1775, 1778, 1807, 1808, 1812, 1815, 1834, 1836, 1844, 1868, 1872, 1877, 1917. 1928. 1927, 1992, 1995, 2032. 2033, 2140, 2198, 2258, 2290, 2293, 2302.

ფონდი № 126.

საქმე №№ 750, 759, 768. 769, 770, 773. 776, 784, 800. 817, 819, 822, 823, 829. 833, 834, 837, 838, 862, 883, 898, 981. 986, 987, 989, 990, 995. 997. 1059. 1060, 1066. 1077, 1108, 1157, 1162. 1234, 1242, 1243, 1246, 1247, 1263, 1447, 1448, 1450, 1451, 1457, 1459.

ფონდი № 138.

საქმე № № 2, 3, 7, 9, 16, 29.

ფონდი № 139.

საქმე № № 8, 23, 25.

ფონდი № 220.

საქმე №№ 5, 7, 10, 11, 13, 14, 17, 39, 50, 54, 56, 57, 69, 75, 78, 79, 98, 109, 111. 112, 115, 116, 143, 147, 148, 166, 167, 203, 225, 300. 302. 318, 360, 375. 391, 396, 495, 499, 525, 593, 597, 608, 667, 676, 766, 832, 833, 834, 837, 839, 841, 843, 844, 845, 851, 853. 855. 857. 861. 870. 872, 879, 880, 881, 896, 897, 914, 935, 945. 956. 993, 1021. 1023. 1038, 1054, 1055. 1066, 1057, 1064, 1065, 1080.

ფონდი № 254.

საქმე №№ 52. 54. 62. 64, 76, 78. 79, 102, 103, 128, 138, 139, 143, 146. 281. 379. 800. 2076. 2313. 3127. 3566. 3740, 4996, 5007. 6599. 6600. 6604. 6618. 6619. 6626. 6655. 6656, 6668. 7303. 7974. 7999. 8793. 9353. 9527. 9900. 10163. 10165. 10208. 11750. 19208. 19210. 19211. 19212. 19213. 19214. 19215. 19216. 19217. 19267. 19328. 19364. 19365. 19419. 19486. 19607. 19608. 19609. 19610. 19904. 19917. 19958. 19994. 19995. 19996. 19997. 19998. 20070. 20805. 20806. 20807. 20811, 20822, 20844. 20875. 20891. 20915. 20923. 20961. 20962.

ფონდი № 255.

საქმე № 2361.

ფონდი № 414.

საქმე №№ 3. 5. 6. 7. 8, 9. 10. 14, 15. 16. 19. 22. 23, 27, 28, 29, 30. 31, 32, 34. 35. 36. 40. 48, 50, 52. 54, 57, 58. 60. 63. 65. 82, 89.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი. საგლეხო რეფორმა აღმოსავლეთ საქართველოში და გორის მაზრის გლეხობა 16

1) გორის მაზრის მოსახლეობა 16

2) საგლეხო რეფორმის გატარება აღმოსავლეთ საქართველოში 19

3) საგლეხო რეფორმა და გორის მაზრის გლეხობა 34

ა) დროებითვალდებული გლეხები 34

ბ) სახელმწიფო გლეხები 41

გ) ხიზნები 50

თავი მეორე. ვაჭრობა-მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გავლენა გლეხობის დაშლაზე 61

1) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება 61

ა) საგარეო და საშინაო ვაჭრობის ზრდა 61

ბ) შინამრეწველობა და ხელოსნობა 72

გ) კაპიტალისტური წამოწყებები მრეწველობაში და მათი განვითარება 77

დ) საგზაო მშენებლობის განვითარება 84

2) ქალაქების ზრდა-განვითარება 93

ა) ქალაქი თბილისი 93

ბ) ქ. გორი და გორის მაზრის საგაჭრო-სამრეწველო დაბები 96

3) საგაჭრო მიწათმოქმედება და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია 104

ა) სოფლის მეურნეობის ეკონომიური ზონები 104

ბ) მორწყვის საქმე მაზრაში 113

გ) მეცხოველეობის განვითარება 115

დ) ხვნა-თესვა რეფორმის შემდეგდროინდელი ქართლის სოფელში 123

ე) მეფეტალეობის განვითარება 130

ვ) მეხილეობა და მებოსტნეობა 137

ზ) გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენება 139

თავი მესამე. გლეხობის დაშლა 147

1) მიწათმფლობელობა მაზრაში 147

2) მიწის გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა 156

3) მიწის დაგირავება 163

4) მიწის იჯარა 166

5) მიწების კონცენტრაცია გლეხობის უმცირესობის ხელში 175

6) საგადასახლებო მოძრაობა 183

7) გლეხური ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობა 188

დასკვნები 229

ლიტერატურა 234

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. დუმბაძე
გამომცემლობის რედაქტორი ო. გიორგაძე
ტექრედაქტორი ა. თოდუა
კორექტორი გ. ჯაყელი

გადაეცა წარმოებას 13.9.1957; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 7.2.1958; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 7,75; საბეჭდი ფურცელი 15,5; საავტორო
ფურცელი 13,72; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 14,18;
შეკვეთა 1608; ფე 04761; ტირაჟი 1000
ფასი 10 მან. 25 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5